სსიპ აჭარის მუზეუმი
LEPL AJARA MUSEUM

# მუზეუმი და გლობალიზაცია

სამეცნიერო ჟურნალი

I

# MUSEUM AND GLOBALIZATION

Scientific magazine

ISSN 2960-9526

ISSN 2960-9518

ბათუმი
2022
Batumi

# მუზეუმი და გლობალიზაცია

## სამეცნიერო ჟურნალი

## საერთაშორისო კონფერენციის მასალები

(ბათუმი 14–15 დეკემბერი 2022)

# I

# Museum and Globalization

## Scientific magazine

## Materials from the international conference

(Batumi 14-15 dekemberi 2022)

ბათუმი

BATUMI

2022

**UDC (უაკ) 069: 327 მ-91**

მთავარი რედაქტორი: თამარ შალიკაძე
სსიპ აჭარის მუზეუმის სამეცნიერო და საგამომცემლო საქმის კურატორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული პედაგოგი)

Editor chief: Tamar Shalikadze
Kurator of Scientific and Public and Publishing of the Ajara Museum, Batumi Shota Rustaveli University (invited teacher)

სარედაქციო კოლეგია: თ.ზოიძე - სსიპ აჭარის მუზეუმის დირექტორი

T.zoidze - Director of LEPL Ajara Museum

ო. გოგოლიშვილი - ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის მმართველი

O. Gogolishvili - Manager of the Khariton Akhvlediani Museum of Ajara

ე. კახიძე - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მმართველი

E. Kakhidze - Manager of the Archaeological Museum of Ajara

თ.შალიკაძე - სსიპ აჭარის მუზეუმი სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმის კურატორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული პედაგოგი)

T. Shalikadze - Kurator of Scientific and Publishing of the Ajara Muzeum, Batumi Shota Rustaveli University ( invited teacher)

თ. ლომთათიძე - სსიპ აჭარის მუზეუმი - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი, ისტორიის დოქტორი

T. Lomtatidze -LEPL Ajara Museum - Batumi Archaeological Museum Science, Doctor of history

**ISSN 2960-9518**

**ISSN 2960-9526**

## სარჩევი
## Table of Contents

### ისტორია
### History


**ოთარ გოგოლიშვილი**

გაზეთი „დროება“ და აჭარა...........................................................................................

**Otar Gogolishvili**

Newspaper “Droeba” and Ajara.......................................................................................

**კახა კვაშილავა**

თურქეთი  და საქართველო: ურთიერთობათა ახალი ეტაპის დასაწყისი.........................

**Kakha Kvashilava**

Türkiye and Georgia: the Beginning of a New Stage in Relationships.......................................

**იზოლდა ბელთაძე**

ლევანტის  საპაიო  კომპანია...........................................................................................

**Izolda Beltadze**

Levant Bonding Company..................................................................................................

**გიორგი ბაციკაძე**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ნეიტრალიტეტი..................................

**Giorgi Batsikadze**

Democratic Republic of Georgia and Neutrality.........................................................................

**ოთო საბანაძე**

ჰერეთის ისტორიული ძეგლები..........................................................................................

**Otar Sabanadze**

Historial monuments of Hereti..........................................................................................


### არქეოლოგია
### Archaeology


**გურამ ჩხატარაშვილი, რეზო ტაკიძე, ვალერი მანკო**

სამხრეთ-დასავლეთ  საქართველოს პრეისტორიულ ძეგლებზე წარმოებული კომპლექსური კვლევის შედეგები.........................................................................................................

**Guram Chchatarashvili, Rezo Takidze, Valeri Manko**

The result of complex researches on the prehistoric monuments of South-West Georgia..........

**ჯონი აფაქიძე, მანანა კუპრავა**

სოხუმისა და მისი შემოგარენის გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის არქეოლოგიური

ძეგლები..........................................................................................................................................

**Joni Apakidze, Manana Kuprava**

Late Bronze and Iron Age archaeological monuments of Sukhumi and its surroundingds.........

**ელისო ბაღათურია-კნერი**

**ქალთა ტიპები ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში**...............................................................................

**Eliso Baghaturia-Kner**

Female images from NW Colchis...........................................................................................................

**ნინო ხუციშვილი, ანა თვარაძე, ნიკოლოზ დიასამიძე**

ელინისტური ხანის ბერძნული საწარმოო ცენტრების სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები კოლხეთთან ნოქალაქევის ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით...................

**Nino Khutsishvili, Ana Tvaradze, Nikoloz Diasamidze**

Hellenistic period trade-economic relation between Greek and Colchis according to new archaeological finds from Nokalakevi......................................................................................................

**ნინო სულავა, მაია ჭიჭინაძე**

პალინოლოგიური კვლევის შედეგები ანტიკური ხანის ცხეთის სამაროვანზე (ლეჩხუმი, საქართველო)..........................................................................................................................................

**Nino Sulava, Maia Chichinadze**

The Results of the Palynological Studies Carried Out at the Tskheta Necropolis.......................

**ემზარ კახიძე, ქემალ იბრაჰიმზადე**

გონიო-აფსაროსის ციხის შესახებ არსებული ახალი ლათინური წარწერები და ოსმალური საარქივო ცნობები......................................................................................................................

**Emzar Kakhidze, Kemal Ibrahimzade**

New Latin inscriptions and Ottoman archival documentation on the fort of Gonio-Apsarus....

**კახაბერ ქამადაძე, ირინე ვარშალომიძე**

არქეოლოგიური გათხრები ქვემო ვაშლოვანში (ხულოს მუნიციპალიტეტი)...................

**Kakhaber Kamadadze, Irine Varshalomidze**

Archaeological excavations in The Vashlovani village (Khulo Municipality)...............................

**თამარ შალიკაძე, იზოლდა დუმბაძე**

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედში (სინდიეთი) 2022 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები......................................................................

**Tamar Shalikadze, Izolda Dumbadze**

Theresults of the archaeological excavations carried out in 2022 in Kedkedi village of Khelvacha-

uri Municipality (Sindieti)..........................................................................................................

**მარიამ იზორია, მაია იზორია**

კერამიკული სასმისების გენეზისი საქართველოს არქეოლოგირი მასალების მიხედვით...

**Mariam Izoria, Maia Izoria**

Genesis of ceramic cups according to the archaeological materials discovered in Georgia.........


## ეთნოლოგია

## Etnography

**რუსუდან კობრავა**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში: წყავროკაში, დაგვაში, კვირიკეში, ხუცუბანში 2022 წელს ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციის შედეგები................

**Rusudan Kobrava**

The results of the scientific research and excavations held in Kobuleti Municipality villages: Tskavroka, Dagva, Kvirike, Khutsubani in 2022...................................................

**ნინო ხარჩილავა**

მიცვალებულის დაკრძალვისა და გლოვის ტრადიციები (გალის რაიონის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით).......................................................................

**Nino Kharchilava**

Burial and mourning rituals (based on ethnographic materials of Gali district).............

**ქეთევან დეკანაძე**

ოსმალთა ბატონობის გავლენა აჭარაზე (აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით) .........................................................

**Ketevan Dekanadze**

Ottoman influence on Ajara (according to the materials preserved in the Khariton Akhvledian Museum of Adjara)..........................................................................................

**ნუგზარ მგელაძე, თემურ ტუნაძე**

აჭარის მუზეუმებში დაცული „ლაზური“ ცულების კოლექცია.............................

**Nugzar Mgeladze, Temur Tunadze**

A collection of “Laz” axes preserved at Ajara Museum........................................................

**თამილა ლომთათიძე**

სიმბოლო - ნიშანთა სემანტიკა აჭარის ეთნოკულტურაში (ჯვარი).......................

**Tamila Lomtatidze**

Semantics of symbols and signs in the ethno culture of Ajara (cross)............................


## ხელოვნება

## Art

**იზოლდა. მელიქიშვილი**

მხატვრული ქარგვის ტრადიცია და ტექნიკა საქართველოში...........................................

**Izolda Melikishvili**

Traditions and technique of artistic embroidery in Georgia........................................................

**თალიკო ბერიძე**
ბათუმის მეტყველების უახლესი ისტორიიდან.........................................................................
**Taliko Beridze**
language of our home town.......................................................................................................

**მარიამ მარჯანიშვილი**
„ვეფხისტყაოსანი“ პარიზის სცენაზე.............................................................................................
**Mariam Marjanishvili**
The Knight in the Panther's Skin on Paris Stage..........................................................................

**ვაჟა კაკაბაძე**
სახვითი ხელოვნება როგორც ფილოსოფიის კატეგორია........................................................
**Vazha Kakabadze**
Fine Art as a Category of Philosophy.........................................................................................

**ეველინა კრავჩენკო**
გროტ ინკერმანში ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური კერა ყირიმში............................
**Evelina A.Kravchenko**
The Grotto in Inkerman – new archaeological site in the South-Western Crimea.....................

**კულტურული ტურიზმი, სამუზეუმო მენეჯმენტი**
**Cultural management, Museum Management**

**თემურ ზოიძე**
კულტურული ტურიზმის ლოკაციის რესურსული პოტენციალი აჭარაში.........................
**Temur Zoidze**
Resource potential of the cultural tourism localization in Ajara.................................................

**რომან მამულაძე, ლედი ძნელაძე, მერი გაბაიძე**
სამუზეუმო ტურიზმის როლი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში (აჭარის მაგალით-ზე)....................................................................................................................................
**Roman Mamuladze, Ledi Dzneladze, Mery Gabaidze**
The role of museum tourism in the economic development of the region (on the example of Adjara)...................................................................................................................................

# გაზეთი „დროება“ და აჭარა

# Newspaper “Droeba” and Ajara

**ოთარ გოგოლიშვილი**

*სსიპ აჭარის მუზეუმი, ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის მმართველი,*

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

**Otar Gogolishvili**

*LEPL Ajara museum, Head of Khariton Akhvlediani Museum,*

*PhD in history, profesor*

**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.01

**აბსტრაქტი:** რუსეთ-თურქეთის ომის 1877-1878 წ.წ. პირველსავე დღეებში, ათასობით ქართველი მოხალისე ჩაეწერა მოქმედ არმიაში, შეიქმნა ქართული რაზმები, რომლებიც მოწინავე პოზიციებზე იბრძოდნენ და საკუთარი სისხლის ფასად ართმევდნენ მომხვდურებს საუკუნეების განმავლობაში მიტაცებულ ქართულ მიწებს. გაზეთ ,,დროებაში'' მკაფიოდაა გადმოცემული აჭარის მოსახლეობის სულისკვეთება ამ ომში ჩაბმისას, რადგანაც ეს იყო ერთადერთი გზა დედასამშობლოსთან დაბრუნებისა. ნიშანდობლივია, რომ ომის დაწყებისთანავე ასობით ადგილობრივი მცხოვრები გამათავისუფლებელთა მხარეზე დადგა. მთელი ომის პერიოდში ,,დროებამ" დიდი მუშაობა გასწია აჭარელთა გასამხნევებლად, ოსმალთა მიერ გავრცელებული პროვოკაციული ხმების საწინააღმდეგოდ ამცნობდა მოსახლეობას, რომ დადგა დრო შევიწროვებული და შეურაცხყოფილი ხალხის დაცვის და ოკუპანტების დათრგუნვა-განადგურების.

**საკვანძო სიტყვები:** რუსეთ-თურქეთის ომი, ქართული რაზმები, ქართული მიწები, აჭარის მოსახლეობა, დედასამშობლოსთან დაბრუნება

**Abstract:** the very beginning of the Russo-Turkish War 1877-1878, Georgian volunteers enrolled in the active army, and Georgian detachments were created, which were fighting in advanced positions and retaking Georgian lands seized by enemies centuries ago. The newspaper «Dro» clearly expressed the spirit of the people of Adjara when they got involved in this war because it was the only way to return to their motherland. It is significant that at the beginning of the war, hundreds of residents took the side of the liberators. During the entire war period, the newspaper «Droeba» did a great job to encourage the Adjarians, against the provocative voices spread by the Ottomans, it informed the population that the time had come to protect the oppressed and insulted people, suppress and destroy

the occupiers.

**Key words:** Russo-Turkish war, Georgian detachments, Georgian lands, population of Adjara, Returning to motherland

,,დროება” მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის უაღრესად სოლიდური და პოპულარული გაზეთია. მისი გამოცემა ილია ჭავჭავაძის ინიციატივითა და უშუალო თანადგომოთ დაიწყო ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი წერეთელმა. ეს პროგრესული გაზეთი, რომელმაც სახელოვნად განაგრძო ,,საქართველოს მოამბის” საუკეთესო ტრადიციები, პოლიტიკური და ლიტერატურული მიმართულებისა იყო, მაგრამ არ დარჩენილა იმ დროის საქართველოს არცერთი მეტად თუ მცირედ მნიშვნელოვანი მოვლენა, თავისი ავტორიტეტული სიტყვა რომ არ ეთქვა. ასე იქცა “დროება” ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შტაბად და უდიდესი როლი შეასრულა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში გამოცემის პირველივე წლებიდან “დროებამ” დიდი ყურადღება დაუთმო აჭარის ყოფასა და ცხოვრებას, ქართული საზოგადოების გულისყური მიაპყრო “ბედისაგან მივიწყებული ძმებისადმი” – აჭარლებისადმი.

დიახ, გაზეთი „დროება“ გახლდათ ის პერიოდული პრესა, რომელშიც სისტემატიურად იხილებოდა აჭარის რეგიონში მიმდინარე მოვლენები. სხვადასხვა პუბლიცისტთა ნააზრე-ვზე დაყრდნობით გაზეტში აღწერილია ადგილობრივთა ყოფა-ცხოვრება, ადათ-წესები, განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის თავისებურებები. მართლაც საინტერესოდ გვესახება პერიოდული ორგანოს როლი და დანიშნულება აღნიშული პრობლემების გასაცნობად. ეროვნულ-განმანთავისუფლე-ბელ მოძრაობის ფლაგმანად ქცეულ გაზეთ „დროებას“ მრავალი მკითხველი ჰყავდა, გამომდინარე იქიდან, რომ გაზეთში უტყუარად აირეკლებოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის აჭარის სინამდვილე. გაზეთის ფურცლებზე ჩვენ ვეცნობოდით, როგორც საზოგადოებისთვის ცნობილ პუბლიცისტთა ნააზრევს, აგრეთვე ადგილობრივთა შეხედულებებსაც, რომელიც კიდევ უფრო ნათლად გვიხატავდა აღნიშულ გაზეთ „დროების“ ფურცლებზე უამრავი გულისწუხილი აღიბეჭდა, როგორც ცნობილი საზოგადო მოღვაწეების მხრიდან, აგრეთვე იმ ხალხის მხრიდანაც, რომლებიც ცდილობდნენ სიტყვის ძალით შებრძოლებოდნენ მტერს, თავიანთი ბრძოლისუნარიანობა და შეუპოვრობა ეჩვენებინათ. მოძიებული პუბლიცისტური წერილების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის და ბედის უკუღმართობით დედასამშობლოს მოწყვეტილი ხალხის ერთიან ქართულ სივრცეში დაბრუნების საქმეში გაზეთმა დიდი წვლილი შეიტანა. “თქვენ შესაძლებელია არ იცოდეთ, რომ ოსმალოს საქართველოს თქვენზე აქვს სასოება და ცისქვეშეთში არავის შესცქერის თავის იმედათ!

გახსოვდეთ, თქვენი ძმები, შვილო!" – ასე მიმართავდა "დროება" თავის მკითხველებს და მოწინავე ახალგაზრდებს ურჩევდა, წასულიყვნენ ოსმალო საქართველოში, შეეკრიბათ ძველებური სიმღერები. ლექსები, ისტორიული მასალები, გაეცნოთ ხალხი.

,,ჩვენის გაზეთის რედაქცია დიდის მადლობით მიიღებს, რა მცირეც არის ცნობას, რომელიც იმ ჩვენს მოძმეებს შეეხება და დიდი სიამოვნებით დაბეჭდავს "დროებაში." – სთხოვდა გაზეთი მკითხველებს [**საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (შემოკლებით სცსია), ფ. 12, აღწ. 234, საქ. 598. ფურც. 75**].

და, მართლაც, 1870 წლიდან მოყოლებული, გაზეთის ფურცლებზე სულ უფრო მატულობს წერილები, რომლებიც სრულყოფილად ასახავს აჭარის, ამ ძირძველი ქართული მხარის, ისტორიას, მის მკვიდრთა ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს. ამით "დროება" ორ მიზანს ისახავდა: ჯერ ერთი, ცდილობდა, გაეზარდა ქართველი საზოგადოებრიობის დაინტერესება აჭარისადმი და, მეორეც, ეროვნული თვითშეგნება გაეღვიძებინა მაჰმადიან მოძმეებში, მით უმეტეს, რომ რუსეთი ოსმალეთის წინააღმდეგ ახალი ომისათვის ემზადებოდა, რასაც შეიძლებოდა სამუსლიმანო საქართველოს გათავისუფლება მოჰყოლოდა.

ომის წინა პერიოდში, როგორც "დროება" გვამცნობს, ნათლად გამოიკვეთა აჭარის მკვიდრთა სწრაფვა საქართველოსთან შეერთებისათვის, რაც ოსმალთა წინააღმდეგ არაერთმა აჯანყებამაც დაადასტურა.

ამ მოძრაობამ დიდი აღტაცება გამოიწვია საქართველოში და გაზეთი ,,დროებაც" მხარში ამოუდგა თანამოძმეებს. ,,ჩვენი ვალია, - წერდა სერგეი მესხი, - დავეხმაროთ თანამოძმეებს, დავეხმაროთ როგორც სლავიანები და, განსაკუთრებით რუსები, ეხმარებიან აჯანყებულ ჰერცოგოვინელებს." იმ დროისათვის "დროების" რამდენიმე ნომერი მოდიოდა აჭარაში და გამარჯვების რწმენას ნერგავდა მოსახლეობაში. ამიტომაც იყო, რომ ოსმალოს მთავრობამ აკრძალა "დროებისა" და ქართული წიგნების აჭარაში შემოტანა [**სცსია,ფ. 12, აღწ. 234, საქ. 598. ფურც. 89-91**].

1877 წლის აპრილში, რუსეთ-თურქეთის ომის პირველსავე დღეებში, ათასობით ქართველი მოხალისე ჩაეწერა მოქმედ არმიაში, შეიქმნა ქართული რაზმები, რომლებიც მოწინავე პოზიციებზე იბრძოდნენ და საკუთარი სისხლის ფასადართმევდნენ მომხვდურებს საუკუნეების განმავლობაში მიტაცებულ ქართულ მიწებს. გაზეთში მკაფიოდაა გდმოცემული აჭარის მოსახლეობის სულისკვეთება ამ ომში ჩაბმისას, რადგანაც ეს იყო ერთადერთი გზა დედასამშობლოსთან დაბრუნებისა. ნიშანდობლივია, რომ ომის დაწყებისთანავე ასობით ქობულეთელი გამათავისუფლებელთა მხარეზე დადგა. მთელი ომის პერიოდში ,,დროებამ" დიდი მუშაობა გასწია აჭარელთა გასამხნევებლად, ოსმალთა მიერ გავრცელებული პროვოკაციული ხმების საწინააღმდეგოდ ამცნო მოსახლეობას, რომ რუსეთი მტრული მიზნებით არ შედიოდა მათ მხარეში, რომ მას სურდა შევიწროვებული და შეურაცხყოფილი

ხალხის დაცვა და ოკუპანტების დათრგუნვა-განადგურება [**ჯანელიძე, 2008:67**].

აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გაზეთის რედაქტორ სერგეი მესხის ღვაწლსა და დამსახურებას. ამ კეთილმა კაცმა მთელი თავისი ქონება და სიცოცხლე საერთო საქმეს ანაცვალა. იგი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო აჭარით, ამიტომაც ომის დაწყების-თანავე ფრონტს მიაშურა და ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მოქმედ არმიას. აქედან რედაქციას უგზავნიდა ომის ვითარების ამსახველ კორესპონდენციებს. სერგეი მესხი გამარჯვებულ რუს-ქართველთა არმიასთან ერთად შემოვიდა ბათუმში (შემდგომშიც არაერთგზის იმოგზაურა აჭარაში) და აღწერა ის მძიმე მდგომარეობა, რაც აქ დახვდა. იგი ურჩევდა მთავრობას რიგიანი, ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ხალხის ხასიათის მცოდნე მოხელეები დაენიშნა აჭარაში, არ შეელახათ ახალდაბრუნებული მოძმეების თავმოყვარეობა, შეემსუბუქებინათ მათი მდგომარეობა. განსაკუთრებული სიმძაფრით გაილაშქრა მუჰაჯირობის წინააღმდეგ და მოუწოდა მთავრობას, ქმედითი ღონისძიებები განეხორციელებინა ამ მოძრაობის შესაჩერებლად [**საქართველოს ისტორია, 2004:97**].

სერგეი მესხის ყოველი სიტყვა უსაზღვრო სიყვარულითაა გამთბარი ,,ბედისაგან დაჩაგრული მოძმეებისადმი," ამიტომაც იყო, რომ როცა იგი გარდაიცვალა (1883 წ.), მთელ ქართველ ხალხთან ერთად აჭარის მოსახლეობამაც ცხარედ დაიტირა მათი მოსარჩლე და გულშემატკივარი მამულიშვილი.

,,ყოველი ბათუმელი ქართველები ღრმა მწუხარებაში ჩაგვყარა ამ კაცის გარდაცვა-ლებამ," "წერა-კითხვის საზოგადოება მწუხარებს სერგეი მესხის გარდაცვალებას. მასში სკოლამ დაკარგა საუკეთესო მოსარჩლე და კეთილმსურველთაგანი." "დროებაში" გამოქვეყნებულ სამძიმრის ამ წერილებს, ბათუმში მოღვაწე სხვა ქართველებთან ერთად, იბრაიმ, ისმაილ, ახმედ და ხუსეინ აბაშიძეებიც აწერენ ხელს.

სერგეი მესხის მზრუნველობას აჭარისადმი ისიც ადასტურებს, რომ ილია ჭავჭავაძის დავალებით იგი არაერთგზის ჩამოვიდა ბათუმში, რათა შეერჩია ქართული სკოლისათვის კარგი ადგილი, მოეგვარებინა სკოლის გახსნასთან დაკავშირებული საქმეები. აღსანიშ-ნავია ისიც, რომ "სერგი - ბეგმა," როგორც მას აჭარლები ეძახოდნენ, თავისი ხელით დაურიგა ქობულეთლებს მათ დასახმარებლად შეგროვილი ორი ათასამდე მანეთი.

,,დროებას" და მოწინავე ქართველ ინტელიგენციას მშვენივრად ესმოდათ, რომ აჭარის მოსახლეობის კულტურულ დაწინაურებაში, ეროვნული გრძნობის გაღვივებაში უპირველესი როლი ქართულ სახალხო სკოლას და თეატრს უნდა შეესრულებინა.

,,დროებას" წერილებს აწვდიდნენ ახმედ და გულო კაიკაციშვილები ქობულეთიდან, მუხამედ ირემაძე ღორჯომიდან, სულეიმან მიქელაძე საღორეთიდან (ახლანდელი პირველი მაისი), დავით წერეთელი მაჭახლიდან, ლევან და ლუკა (კრაზანა, ჭიაჭამია) მჭედლიშვილები ბათუმიდან, ლუკა ქუთათელაძე ზემო აჭარიდან. მათ კორესპონდენციებში აღწერილია

მშობლიურ უბეში ახლად დაბრუნებული მხარის წარსული, მისი აღორძინების პირველი ნაბიჯები, აჭარის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებები, ადათ-წესები. მათი მეშვეობით ,,დროებამ" მკითხველებს მიაწოდა აჭარული ზეპირსიტყვიერების უნიკალური ნიმუშები – ხალხური ლექსები, ლეგენდები...[**სცსია,ფ. 12, აღწ. 236, საქ. 598. ფურც. 20**].

,,დროებამ" არაერთი აქაური მამულიშვილის ნათელი ხატება შემოუნახა შთამომავლობას, საზოგადოებას გააცნო აჭარის გათავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი შერიფ ხიმშიაშვილი, კაცი, რომელსაც ,,ზორბა ტანზე ქართული ჩოხა აცვია, "რომელსაც აქვს" ისეთი ტკბილი კითხვა-პასუხი და უბრალო ლაპარაკშიც კი ისეთი, რომ მგონი არ მოგწყინ-დებათ იმას ყური უგდოთ." სწორედ

,,დროებამ" შემოგვინახა შერიფ ხიმშიაშვილის სიტყვები, წარმოთქმული ბათუმის გუბერნატორთან გამართულ სადილზე. შერიფმა დიდი შეფასება მისცა იმ ღვაწლსა და ამაგს, აჭარას რომ დასდეს რუსთა მხედრიონმა და ქართველმა ძმებმა.

,,ესეც იმათი სადღეგრძელო იყოს, ვინც ამ ომში მონაწილეობა მიიღო და ძველი და ახალი განაწილებული ქართველები შეგვაერთა. არც ჩვენგან და არც ჩვენი შთამომავლებისაგან დავიწყებული არ იქნება მათი შრომა და კაცობრიობა." _ საინტერესოა მისი სიტყვები თბილისში მის პატივსაცემად გამართულ სადილზე, რასაც სპეციალური წერილი უძღვნა სერგეი მესხმა [**სურგულაძე, სურმანიძე. 2010:72**].

"დროებამ" შემოგვინახა ხსოვნა ჩაქველი ხუსეინ ბეჟანიძისა, რომელსაც "ძლიერ უყვარდა მამა-პაპის მიწა-წყალი და მისი მოშორება სიკვდილად მიაჩნდა," კაცი, რომელმაც ,,საშვილიშვილოდ, საუკუნოდ მოსახსენიებელი, საქართველოს საისტორიოდ საღაღადებელი, ქართველთა ქვეყნისათვის ძვირფასი საქმე მოიმოქმედა – 100.000 შვილი გადაურჩინა დედა-ქვეყანას," მუჰაჯირობას რომ აღუდგა წინ.

"დროებამ" გაგვაცნო მუჰაჯირობის წინააღმდეგ კიდევ ერთი აქტიური მებრძოლი, ოლადაურელი ჰაჯი ლომან ქარცივაძე – "ჭკვიანი, ნასწავლი და ხალხში გავლენიანი კაცი," რომელიც ოსმალეთიდან დაბრუნებული ურჩევდა ხალხს, რომ ,,ბევრი ადგილი დავიარე, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთანა შემკობილი და საჩვენო ვერსად ვერა ვნახე-რა," ამიტომ ოსმალეთში არ გადასახლდეთო.

დიდი წონა ჰქონდა ასეთი ადამიანების სიტყვას და კარგად იცოდა ეს გაზეთის რედაქტორმა.

როცა "დროების" დამსახურებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ მემედ აბაშიძის სიტყვები, გაზეთის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით რომ წარმოსთქვა: "თქმა არ უნდა, ჩვენი თანამოძმე ქართველი პირების ერთად-ერთი მიზანი იყო გაზეთ "დროების" გამოცემით გავრცელება სამშობლოს შვილებშიეროვნულ-კულტურული შეგნებისა, რომ მით გაემდიდრებინათ ის ეროვნული სალარო, საიდანაც ხალხი როგორც კაცობრივს, ისე სულიერ

საზრდოს მიიღებს" [**შარაძე, 1998:25**].

ვთხოვთ ღმერთს, რომ მიანიჭოს თავისი სასუფეველი ამ ეროვნული შემეცნების საქმეში მოურიდებელ და თავდაუზოგველ მოღვაწეებს – სერგეი მესხს, გიორგი წერეთელს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ივანე მაჩაბელსა და სხვებს, რომლებმაც ჩვენს ეროვნულ მეტყველებას ასპარეზი აუმღლეს და გაუფართოვეს."

გაზეთმა ,,დროებამ" და მისმა რედაქტორმა სერგეი მესხმა დიდი როლი შეასრულეს ქ. ბათუმში 1881 წელს პირველი ქართული სკოლის გახსნაში.

მადლიერმა შთამომავლობამ სათანადოდ დააფასა გაზეთ ,,დროების" რედაქტორ სერგეი მესხის ღვაწლი და ამაგი. მისი სახელი მიეკუთვნა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩხუტუნეთის საშუალო სკოლას, ხოლო ზაქარია ჭიჭინაძის სახელი _ ერგეს საშუალო სკოლას. მაგრამ, დასანანია, რომ დღეს, როცა მთელი სისავსითაა წარმოჩენილი ,,დროება"-,,ივერიაში" (1880-1885 წლებში ,,დროება" და ,,ივერია" საერთო რედაქციით გამოდიოდა) მოღვაწე ქართველი მამულიშვილების – ლუკა და ლევან მჭედლიშვილების, დავით წერეთლის (აკაკი წერეთლის ძმა), ბათუმის პირველი ქართული სკოლის მასწავლებელ მოსე ნათაძის, მიხეილ შარაშიძის და სხვათა ამაგი, მათი დამსახურება ჯეროვნად არაა დაფასებული. კარგი იქნება, როგორც მათი, ისე გაზეთების "დროების" და"ივერიის" სახელები მიეკუთვნოს აჭარის ქუჩებს, სკოლებს, კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებს.

**გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა**

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 12, აღწ. 234, საქ. 598.

2. ჯანელიძე ო, 2008, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბილისი

3. საქართველოს ისტორია, 2005, საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე, თბილისი

4. სურგულაძე ა, სურმანიძე რ, 2010, სურგულაძე ა, სურმანიძე რ, შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, ბათუმი

5. შარაძე გ, 1998, შარაძე გ, მემედ აბაშიძე, ბათუმი

# თურქეთი და საქართველო: ურთიერთობათა ახალი ეტაპის დასაწყისი

# Türkiye and Georgia: the Beginning of a New Stage in Relationships

**კახა კვაშილავა**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*

*ისტორიის დოქტორი,ასოცირებული პროფესორი*

**Kakha Kvashilava**

*Sukhumi State University, PhD in histori,*

*Associated Professsor*

**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.02

**აბსტრაქტი:** 1992 წლიდან საქართველოსა და თურქეთს შორის განახლებული ურთიერთობები დღემდე წარმატებით ვითარდება. ჩვენს ქვეყნებს შორის კავშირები სამაგალითოა. ის ყოველგვარი გართულებების გარეშე მიმდინარეობს. თურქეთი იყო პირველი სახელმწიფო, რომელიც გვერდში დაუდგა რუსულ-ბოლშევიკური იმპერიისგან თავდახსნილ საქართველოს და დაეხმარა მას როგორც სახელმწიფოებრიობის მოწყობაში, თავდაცვისუნარიანობის გაზრდაში, სასურსათო-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში და სხვ. ამ ურთიერთობების წარმატებაზე, ბუნებრივია, პოზიტიური როლი შეასრულა ედუარდ შევარდნაძესა და სულეიმან დემირელს შორის ჩამოყალიბებულმა განსაკუთრებულმა მეგობრულმა კავშირებმა.  აქედან გამომდინარე, წარმოდგენილ სტატიაში შესწავლილია თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები 1992-2003 წლებში. კვლევისას გამოყენებულია ანალიზი, ლოგიკური, ინდუქციური და ისტორიული მეთოდი.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, თურქეთი, ედუარდ შევარდნაძე, სულეიმან დემირელი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, დიპლომატიური ურთიერთობები, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები, სამხედრო დახმარება.

**Abstract:** Since 1992, the renewed relations between Georgia and Türkiye have been developing successfully until now. The ties between our countries are exemplary. It is going on without any complications. Türkiye was the first country that stood by Georgia, which had freed itself from the Russian-Bolshevik Empire, and helped it in establishing statehood, increasing its defence capabilities, solving food and economic problems, etc. Naturally, the special friendly ties formed between Eduard Shevardnadze and Süleyman Demirel played a positive role in the success of these relations. Therefore, in the presented report, Türkiye-Georgia relations in 1992-2003 are studied. Analysis, logical, indu-

ctive and historical methods are used by us in the research.

**Keywords:** Georgia, Türkiye, Eduard Shevardnadze, Süleyman Demirel, Baku-Tbilisi-Ceyhan, Diplomatic relations, Trade-economic ties, Military assistance.

1992 წლის 21 მაისს საქართველოს და თურქეთის რესპუბლიკებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა. ოფიციალური ანკარა ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც ჯერ კიდევ 1991 წ. 16 დეკემბერს ცნო საბჭოთა იმპერიისგან ახლად განთავისუფლებული ქართული სახელმწიფო და მასთან ოფიციალური კავშირები დაამყარა. იმავე დღეს საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თურქეთის დიდი მილი მეჯლისის დეპუტატისგან, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წევრის სულეიმან ილდირიმის (1935-2019) წერილი მიიღო ***[თურქეთმა გადაწყვიტა.., 1991: 1]***. ამასთან დაკავშირებით სამსუნის 19 მაისის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მემედ საღლამმა მეზობელი ქვეყნის პირველ პირს მისი უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომელთა (ბილალ დინდარი და ზენელაბიდინ მაკასი) მიერ თურქულად ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი" უსახსოვრა [***თურქეთმა გადაწყვიტა.., 1991: 1***].

ამდენად, მეზობელი თურქეთი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა ***[ჩვენს ურთიერთობებს კარგი მომავალი აქვს.., 1993: 1]***. ოფიციალურ თბილისსა და ანკარას შორის ახალ და მჭიდრო მეგობრულ კავშირებს დაედო დასაბამი, რომელიც აგერ, 30 წელია, სტაბილურად გრძელდება და წარმატებით ვითარდება.

XX საუკუნის მიწურულს თურქეთი განსხვავებული სახით გაიცნო საქართველოს მოქალაქემ. თუკი მანამდე, საბჭოურ პროპაგანდას ჩვენი სამხრეთ-დასავლელი მეზობელი პირსისხლიან მტრად, „მშრომელთა მჩაგვრელი" „კაპიტალიზმისა და NATO-ს აგენტად" ჰყავდა წარმოდგენილი, 1990-იანი წლების დასაწყისიდან რუსულ-ბოლშევიკური პროპაგანდით შექმნილი ამ სახების გადააზრება და ცვლილება მოხდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ოფიციალურმა ანკარამ მისი ყურადღება კავკასიის რეგიონისაკენ წარმართა [***ბერიძე ზ., 2019: 25***], რაც, სავსებით, ბუნებრივი რეაქცია თურქეთისათვის, მით უფრო, რომ ანკარის ამ მიმართულებას დასავლეთის, განსაკუთრებით – ამერიკის შეერთებული შტატების, მხარდაჭერაც ახლდა თან [**Аватков,** http://www.iimes.ru]. 1993 წ. თურქეთის პრემიერ-მინისტრი თანსუ ჩილერი შენიშნავდა, რომ სამხრეთ კავკასიის „რეგიონში დღეს არსებული ვაკუუმი უნდა შეავსოს თურქეთმა ან ირანმა, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი დაიბრუნებს თავის ძველ პოზიციებს. თუ ამ სივრცეს თურქეთი შეავსებს, იგი შეძლებს შეასრულოს რეგიონსა და დასავლეთს შორის დამაკავშირებელი ხიდის როლი და ხელი შეუწყოს აქ პროგრესული სახელმწიფოებისათვის შესაფერისი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. თუ მოხდება პირიქით და აქ ირანი დაისადგურებს, რეგიონში კიდევ უფრო

დაიძაბება ურთიერთობა. ეს მარტო თურქეთის პრობლემა არ არის“ [*ზერიძე ზ., 2019: 65*].

ევროპელი მკვლევრების სავსებით სამართლიანი შენიშვნით, ოფიციალური ანკარა ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებული საქართველოსათვის უმთავრესი მოკავშირე აღმოჩნდა, რომელმაც 1990-იანი წლების რთულ პერიოდში ჩვენს სახელმწიფოს დიდი დახმარება (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო) აღმოუჩინა [**სმოლნიკი..,** https://ge.boell.org].

ჯერ კიდევ დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარებამდე ოფიციალურ ქართულ პერიოდიკაში ჩნდება მასალები თურქეთის შესახებ. მარტო 1991 წ. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 28 წერილი გამოქვეყნდა ამ საკითხზე. ეს უკვე ნიშნავს იმ დაინტერესების გამოვლენას, რომელიც ქართულ-თურქულ ურთიერთობებს უკავშირდება.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა გ. სიხარულიძის წერილი, სადაც ის მკითხველს აცნობდა თურქული ეკონომიკური სასწაულის შესახებ, რომლის ავტორიც თურქეთის მე-8 პრეზიდენტი თურგუთ ოზალი (1989-1993) გახლდათ [**სიხარულიძე, 1991: 3**]. სტატიის დაწერა ავტორს უბიძგა ქართული საზოგადოების მზარდმა ყურადღებამ თურქეთისადმი. გ. სიხარულიძეს მისაბაძად დაუსახავს თ. ოზალის ეკონომიკური რეფორმები, რის გამოც თურქეთის იმჟამინდელ თავკაცს „ეკონომიკური სასწაულის მამა“ უწოდეს. ავტორი სავსებით სამართლიანი შენიშვნით ასრულებს სტატიას: „მეზობელს არავინ ირჩევს, მით უმეტეს – მეზობელ სახელმწიფოს. იგი ისტორიული კანონზომიერების შედეგია. თურქეთთან ჯანსაღი ეკონომიკურ-პოლიტიკური კავშირი მომავალი საქართველოს არსებობის გარანტიაა“ [**სიხარულიძე, 1991: 3**]. ეს სავსებით მართებული დასკვნა იყო.

იმავე 1991 წელს დაიწყო ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი თურქეთიდან, რამაც, სავსებით, ბუნებრივად სკეპტიკური კითხვებიც გააჩინა საზოგადოებაში. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ სვამდა კითხვას, თუ რაში სჭირდებოდა საქართველოს თურქული ჩაი, რადგან ეს პროდუქტი ჩვენთან ისედაც იწარმოებოდა. ამიტომ, სტატიის ავტორის აზრით, უმჯობესი იყო, უცხოური ვალუტის დანაზოგი მოხმარებოდა ისეთ იმპორტს, რომლის ანალოგი ქვეყანაში არ იყო და ის აუცილებლად სჭირდებოდა საზოგადოებას [**კორძაძე.., 1991: 2**].

აქტიური პოლიტიკური კონტაქტები თურქეთსა და საქართველოს შორის უკვე 1992 წ. გაზაფხულიდან იწყება. ეს რთული პერიოდი იყო საქართველოს ისტორიაში. შეიარაღებული გამოსვლების შედეგად დაემხო დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება. საქართველოს სათავეში მოექცა დროებითი მთავრობა, რომელშიც ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა იყო საბჭოთა საქართველოს მმართველი 1972-1985 წლებში, შემდეგ კი სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. 1992 წლის 7 მარტს ის საქართველოში დაბრუნდა.

1992 წ. 21 მაისს თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიქმეთ ჩეთინი. მაღალი რანგის სტუმარი საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. შევარდნაძემ მიიღო. „ვამაყობ იმით, რომ მე მხვდა წილად ხელი მოვაწერო დოკუმენტებს საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ, – აღნიშნა ჰ. ჩეთინმა. – ჩემთან ერთად ჩამოვიდა თქვენს ქვეყანაში დანიშნული გენერალური კონსული. ახლა იგი მიიღებს ელჩის რანგს. მალე თბილისში თურქეთი გახსნის თავის საელჩოს" [***ჩვენს ურთიერთობებს კარგი მომავალი აქვს.., 1993: 1***]. ამ შეხვედრაზე დაიგეგმა თურქეთ-საქართველოს ურთიერთობათა განვითარების გეგმა: უცხოეთის ინვესტიციათა დაცვის კანონის შემუშავება, ერთობლივი საწარმოებისა და ბანკების გახსნა, პირდაპირი საჰაერო მიმოსვლას, სავიზო სისტემის გამარტივება, ვაჭრობის, ეკონომიკური ურთიერთობის მაქსიმალური ხელშეწყობის პირობების შექმნა [***ჩვენს ურთიერთობებს კარგი მომავალი აქვს.., 1993: 1***].

თურქეთის პირველი დიპლომატის ვიზიტი, ფაქტობრივად, მოიაზრებდა 1992 წ. ზაფხულში საქართველოში თურქეთის პრემიერ-მინისტრის სულეიმან დემირელის ოფიციალური შეხვედრის მომზადებასაც[1].

ამ ვიზიტისას რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი უნდა გაფორმებულიყო. თუმცა, ქართულ-თურქული ურთიერთობების აღდგენა, ლამის, იმთავითვე, ჩიხში შევიდა და თითქოს უპერსპექტივოც კი სჩანდა. თურქეთის მთავრობის ხელმძღვანელის პირველი ოფიციალური ვიზიტის წინ, ორივე ქვეყნის დიპლომატები თურქეთთან ჩარჩო-ხელშეკრულების ტექსტზე მუშაობდნენ. თურქული მხარე კატეგორიულად მოითხოვდა ხელშეკრულებაში 1921 წ. ყარსის ხელშეკრულების პირობებზე მინიშნებას, რაც ქართული მხარის შეშფოთებას იწვევდა. საბოლოოდ დილემა რუსეთში თურქეთის ელჩმა ვოლკან ვურალის ჩარევამ გადაწყვიტა: ყარსის ხელშეკრულების დებულება აჭარასთან მიმართებაში უარყოფილი არ იყო, მაგრამ, პრაქტიკულად, შეუძლებელი ხდებოდა მისი რეალიზაცია [**ჩარკვიანი, 2016: 18-19**]. ქართველმა მეცნიერებმა, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებმა, ყარსის ხელშეკრულებას საგანგებო სტატია მიუძღვნეს, სადაც აღნიშნულია: „...ყარსის ხელშეკრულება საკმაოდ საინტერესო საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს თავისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი დებულებებით... რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ყარსის ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლებების მიერ, მაშინ როდესაც დღევანდელი ხელისუფლება თავის თავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უფლებამონაცვლედ თვლის, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: საერთაშორისო სამართალში მტკიცედ ჩამოყალიბებულ წესად ითვლება, რომ კოლონიური ჩაგვრისა და დამოკიდებული მდგომარეობიდან

1. ს. დემირელი იყო მესამე უმაღლესი რანგის პოლიტიკოსი, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში ჩამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯეიმზ ბეიკერისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰანს-დიტრიხ გენშერის შემდეგ; საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს (10.03 – 16.10.1992) პირველი და უკანასკნელი თავმჯდომარე ე. შევარდნაძე იყო.

თავდახსნილი ქვეყანა აღიარებს იმ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ხელშეკრულებას, რომელიც შეესაბამება მის ეროვნულ ინტერესებს“ **[ალექსიძე.., 1994: 243]**.

იმავე წლის 25 ივნისს ე. შევარდნაძე ვიზიტით მეზობელ ქვეყანას პირველად ეწვია. თურქეთის პრეზიდენტ თურგუთ ოზალის ინიციატივით, სტამბოლში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (Organization of the Black Sea Economic, Karadeniz Ekonomik İşbirliği Örgütü) დაფუძნდა. ეს იყო რეგიონალური თანამშრომლობისა და ინტეგრაციისკენ მიმართული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა **[ჭიღვარია, 2010: 214]**. ბისეკი, ერთის მხრივ, აერთიანებდა მსგავსი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წარსულის ქვეყნების (გარდა თურქეთის რესპუბლიკისა) და, მეორეს მხრივ, თურქეთი ამ რეგიონში ლიდერად ყალიბდებოდა, რომელიც ცდილობდა დაეჭირა რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენისგან გამოთავისუფლებული ვრცელი გეოგრაფიული არეალი. ამასთან ერთად, საბჭოთა კავშირის კოლაფსით გამოწვეული ახალი სახელმწიფოების წარმოქმნით და შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვაკუუმის შესავსებად, ოფიციალურმა ანკარამ 1992 წელს საგანგებო ინსტიტუცია – „თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო“ (TİKA – Türk İşbirliği ve Koordinasyon Ajansı) – დააარსა **[ჭიღვარია, 2010: 214]**.

სტამბოლში საქართველოს პირველ პირთან შეხვედრისას, ს. დემირელმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა თურქეთ-საქართველოს კავშირების ისტორიულ მნიშვნელობას [***სულეიმან დემირელი საქართველოს ეწვევა,* 1992: 1**]. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ოფიციალურად მიიღო მიწვევა საქართველოში სტუმრობაზე, რაზეც თანხმობა იქნა განცხადებული **[სულეიმან დემირელი საქართველოს ეწვევა, 1992: 1]**.

სტამბოლში ვიზიტისას, ე. შევარდნაძე თურქეთელ ქართველებსაც შეხვდა. მან ქართულ დიასპორას ისტორიული სამშობლოსადმი მხარდაჭერისაკენ მოუწოდა, რაზეც უპირობო თანხმობა მიიღო. საინტერესოა, რომ საუბარი ქართულ ენაზე მიმდინარეობდა [***შეხვედრა თურქ საქმოსნებთან,* 1992: 1**].

1992 წლის 13 ივლისს თბილისში გაიხსნა თურქეთის გენერალური საკონსულო, რომელიც იმავე წლის 23 ნოემბერს საელჩოდ გარდაიქმნა. ამ პერიოდში თურქეთის წარმომადგენელი იყო დროებითი რწმუნებული ტიმოჩინ არბაქი (13.07.–23.11.1992)[2].

ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისათვის 1992 წლის 22 ივლისს თურქეთ-საქართველოს ბიზნეს საბჭო დაარსდა **[სვანიძე, 2007: 545]**.

---

2. შემდგომ წლებში თურქეთის დიპლომატიურ მისიას საქართველოში ხელმძღვანელობდნენ: საქმეთა დროებითი რწმუნებული აჰმეტ რიზა დემირერი (1.09.1993 – 1.04.1994), უფუკ თევფიკ ოქიაიუზ (1.04.1994 – 27.03.1998), ბურაქ გიურსელი (30.03.1998 – 14.06.2002), დიჯლე ქოფუზი (15.06.2002 – 18.11.2004), ერტან თეზგიორი (29.11.2004 – 16.10.2009), ლევენტ მურატ ბურჰანი (30.09.2009 – 17.11.2013), ზექი ლევენტ გუმრუქჩუ (30.01.2014 – 30.11.2017), ფატმა ჯერენ იაზგანი (16.04.2018 – 01.07.2022), ალი ქაან ორბაი (01.07.20220დან); თურქეთში საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელები: ნოდარ კომახიძე (1994-1997), ტარიელ ლებანიძე (30.09.1998 – 15.10.2004), გრიგოლ მგალობლიშვილი (15.10.2004 – 02.11.2008), ტარიელ ლებანიძე (01.01.2009 – 01.09.2012), ზურაბ პატარაძე (15.10.2012 – 01.03.2013), ირაკლი კოპლატაძე (15.06.2013 – 2018), გიორგი ჯანჯღავა (2018-დან).

1992 წ. 30 ივლისს თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ს. დემირელმა[3] მისი პირველი ვიზიტი საქართველოში დაიწყო სიტყვებით: „რადგან ჩვენ შორის პოლიტიკური პრობლემა არ დგას, ბევრი რამ შეგვიძლია გავაკეთოთ“ [**ჩარკვიანი, 2016: 19**].

ს. დემირელის ვიზიტისას გაცხადდა, რომ თურქეთი საქართველოს 50 მლნ აშშ დოლარის კრედიტს გამოუყოფდა, რომლითაც საქართველო თურქეთში საჭირო საქონელს შეიძენდა. ამასთანავე, თურქეთის პირველმა პირმა ხაზი გაუსვა, რომ კასპიის ზღვის ნახშირწყლების ტრანსპორტირება თურქეთისაკენ მხოლოდ აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის მარშრუტით განხორციელდებოდა [**ჩარკვიანი, 2016: 19-20**]. ეს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იყო საქართველოსთვის, ვინაიდან მასზე დაეფუძნებოდა ქვეყნის უსაფრთხოების სისტემა და, გარკვეულ წილად, ეკონომიკური დამოუკიდებლობაც.

ს. დემირელი საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაციით ჩამოვიდა, რომელშიც მრავლად იყვნენ ქართული წარმოშობის მაღალი თანამდებობის პირები და საზოგადო მოღვაწეები, რომელთა ნაწილი კარგად ფლობდა ქართულ ენას [**შევარდნაძე, 2018: 492**]. ერთ-ერთი მათგანი იყო თურქეთის პარლამენტის წევრი „სამართლიანი გზის“ პარტიიდან, ბატონი რეფაიდინ შაჰინი (ლორთქიფანიძე, 1939-2013), რომელმაც მასპინძლები გააოცა ქართულის საოცარი ცოდნით.

მხარეებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ“, რომლითაც ხელმომწერი მხარეები აღიარებდნენ ერთმანეთის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრების ურღვეობას, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობას და გამოთქვამდნენ თანამშრომლობის გაღრმავების სურვილს [***ხელშეკრულება..,*** https://matsne.gov.ge][4]. დოკუმენტის რატიფიკაცია თურქეთმა იმავე წლის 28 სექტემბერს, ხოლო საქართველომ კი 1993 წლის 25 მარტს მოახდინა [**ზერიძე., 2019: 69**].

იმავე დღეს, ს. დემირელმა და ე. შევარდნაძემ კიდევ 5 ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი: „შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საავტომობილო მიმოსვლის შესახებ“, „საზღვაო შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის“, „ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“, „ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და დაცვის შესახებ“, „ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის დარგში თანამშრომლობის შესახებ“

3. ს. დემირელი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რანგში 4-ჯერ იმყოფებოდა საქართველოში: 1994, 1995, 1997 და 2000 წწ.; ე. შევარდნაძე თურქეთს 11-ჯერ ეწვია, მათ შორის ოთხჯერ – ოფიციალური ვიზიტით.

4. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის უკვე 80-მდე ორმხრივი ხელშეკრულებაა დადებული.

[***ორმხრივი ხელშეკრულებები..***, https://mfa.gov.ge].

1992 წლიდან თურქეთმა საქართველოსადმი ეკონომიკური დახმარების გაწევა აქტიურად დაიწყო, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ჩვენი ქვეყნისათვის, რომელსაც ძველი, საბჭოური ეკონომიკური კავშირები თანდათან ეკარგებოდა. ჯერ კიდევ 1992 წლის 19 მაისს თურქეთის პრემიერ-მინისტრის, ს. დემირელის უშუალო განკარგულებით, საქართველოს უსასყიდლოდ გადმოეცა 50 000 ტონა ხორბალი, რაც იმ წლებში საქართველოს ყოველთვიური საჭიროების 50%-ს შეადგენდა [***თურქული ხორბალი..*, 1992: 2**].

1992 წლის ზაფხულის ბოლოს საქართველოში დაძაბულობის ახალი კერა გაჩნდა: 14 აგვისტოს აფხაზეთში სამხედრო-შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო, რომელიც, რეალურად, წარმოადგენდა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის აგრესიას აფხაზი სეპარატისტების უშუალო ჩართულობით. საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც იმ ხანებში მაინცდამაინც აქტიური საგარეოპოლიტიკური მხარდაჭერა არ გააჩნდა, ოფიციალურ ანკარას სისტემატურად აყენებდა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში [**ჩარკვიანი, 2016: 31**]. საინტერესოა, რომ 1992-1993 წწ. სეპარატისტთა ლიდერი ვლადისლავ არძინბა არაერთხელ ჩავიდა თურქეთში, თუმცა არცერთმა ოფიციალურმა პირმა ის არ მიიღო [**ზერიძე., 2019: 48**]. იმავე წლის 20 ოქტომბერს რუსეთის გაზეთ „იზვესტია"-ში გამოქვეყნდა ინტერვიუ სეპარატისტთა ლიდერთან, სადაც ის აღნიშნავდა იმ დახმარების შესახებ, რომელსაც აფხაზებს მათი თურქული და სირიული დიასპორა უწევდათ (ფინანსური, ჰუმანიტარული). ვლ. არძინბა არ გამორიცხავდა ამ ქვეყნებიდან მოხალისეების ჩამოსვლასაც [**Ардзинба, 2011: 43**]. მართლაც, თურქეთიდან მალე ჩამოვიდნენ დიასპორის წარმომადგენლები საქართველოს წინააღმდეგ საომრად [**Аҩараа, 2013: 116**].

თურქეთი ურყევად უჭერდა და უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ოფიციალური ანკარა, ამ პოზიციიდან გამომდინარე, პრობლემის გადაჭრის მაქსიმალურად სწრაფი სამართლებრივი და მყარი გამოსავალი ეფუძნებოდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობას, საკუთრების ხელშეუხებლობას და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს [***ახალი ეტაპის დასაწყისი..*, 1996: 1**]. თუმცა, იყო შემთხვევები, როცა თურქეთის აფხაზური დიასპორა აგრძელებდა კონტაქტს აფხაზეთთან. 1994-1996 წლებში ტრაპიზონსა და სოხუმს შორის რეგულარული საბორნე კავშირიც არსებობდა [**ზერიძე., 2019: 81**]. ანკარას აფხაზეთთან ვაჭრობა არალეგალურად მიაჩნია, მაგრამ ამ აფხაზური კომპანიები, თურქეთში მცხოვრებ მათი დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად, ახერხებდნენ გარკვეული საქმიანი კონტაქტების წამოწყებას, რაც სასტიკად ეწინააღმდეგებოდა თურქეთის რესპუბლიკის ოფიციალურ პოზიციას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. ვლ. არძინბამ 1998-2000 წლებში, არაერთხელ ოფიციალურად დაადასტურა, რომ საკვები პროდუქტები (მაგ., ხორბალი) და ენერგომატარებლებიც თურქეთიდანაც

შემოდიოდა ოკუპირებულ აფხაზეთში [**Ардзинба, 2011: 347, 501**]. 1999-2009 წწ. პერიოდში ქართულმა საზღვაო პოლიციამ 60-მდე გემი დააკავა, რომელთაც საქონელი აფხაზეთიდან თურქეთში ან საპირისპირო მიმართულებით გადაჰქონდათ [**ზერიძე., 2019: 82**].

ოფიციალური ანკარა, რომელიც სასიცოცხლოდაა დაინტერესებული სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის უზრუნველყოფითა და სტაბილური სამხედრო-პოლიტიკური სივრცით, 1999 წელს ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების ინიციატივითაც გამოვიდა. თუმცა, მკვლევარ ჯ. ზერიძის შეფასებით, ამ მცდელობებს არსებითი პროგრესი არ მოჰყოლია [**ზერიძე ჯ., 2019: 83**].

თურქეთთან 1992 წ. 30 ივლისს გაფორმებული ჩარჩო-ხელშეკრულება იყო ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც ხელს უხსნიდა თბილის-ანკარას შორის ურთიერთობების გააქტიურებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რთული შიდაპოლიტიკური მდგომარეობა გააჩნდა (შეიარაღებული დაპირისპირებები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში), ოფიციალური თბილისი აგრძელებდა თურქეთთან კონტაქტების გაფართოებას. ასე, მაგალითად, 1993 წ. მაისში ბრიუსელში გაფორმებული ტრასეკა-ს[5] ფარგლებში თურქეთთან ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს უმოკლესი სარკინიგზო მარშრუტის შექმნის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდა [**ზერიძე., 2019: 74**].

საქართთველო-თურქეთის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო „სარფის კარის“ გახსნა (1993 წ. ივლისი), რაც ხელს უწყობდა როგორც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებას, ასევე თურქეთში მცხოვრებ ქართველებსა და ისტორიულ სამშობლოს შორის კონტაქტების აღდგენას [**ჭელიძე, 1993: 2**].

1994 წ. 12-13 იანვარს საქართველოს ე. შევარდნაძის პირველად ოფიციალურად ეწვია შედგა თურქეთს, რომლის დროსაც თურქეთის პრეზიდენტ ს. დემირელთან ერთად მრავალ მნიშვნელოვან ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. საქართველოს ბაზარი და ის გზები, რომელიც აქედან ეხსნებოდათ თურქ ბიზნესმენებს, იმდენად მიმზიდველი იყო, რომ ჩვენს ქვეყანაში არა ერთმა თურქმა ბიზნესმენმა და ინვესტორმა წამოიწყო თავისი საქმიანობა, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს საბაზრო ეკონომიკის წახალისებას.

1991-1993 წწ. საქართველო-თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობა ძირითადად ცალმხრივი იყო [სვანიძე, 2007: 545]. ბუნებრივია, ანკარას სასარგებლოდ. 1993 წ. თურქეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვამ 56,3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 1999 წ. მიწურულისთვის კი ამ თანხის რაოდენობა 207,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა [**ოზქანი, 2013: 204-205**]. თურქეთიდან საქართველოში, ძირითადად, საკვები პროდუქცია შემოჰქონდათ: ხორბალი, ფეტვი, შაქარი და სხვა საკვები პროდუქტები. აქედან კი მეზობელ ქვეყანაში გაჰქონდათ ფერადი ლითონი, ბამბა, მიწა, ქაღალდი, ტყავ-ქსოვილები, ხის პროდუქცია, ელექტროენერგია და სხვ. [**სვანიძე, 2007: 546**]. საქართველოდან ძვირფასი ლითონების

5. TRACECA (Transport Corridor Europe-Caucasus-Asia; Avrupa-Kafkasya-Asya Taşımacılık Koridoru; ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი).

უკონტროლო ექსპორტი საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევდა **[ხუბულური, 1992: 4]**.

რთულ საშინაო მდგომარეობაში (გაყინული კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ასეულ ათასობით დევნილები კონფლიქტური ზონებიდან, უმუშევრობა, გაჩერებული ეკონომიკა და სხვ.) აღმოჩენილი საქართველო 1994 წ. იძულებული გახდა რუსეთთან ხელშეკრულება გაეფორმებინა, რომლითაც რუსული სამხედრო ბაზები საქართველოში 25 წლით რჩებოდა. ამ ვითარებას ყურადღებით აკვირდებოდა თურქეთი, რომლისთვისაც ეს მაინცდამაინც სასიამოვნო ფაქტი არ იყო. 1994 წ. 15 ნოემბერს თბილისში ერთი დღით ჩამოვიდა ს. დემირელი. ეს იყო მისი პირველი ვიზიტი თურქეთის პრეზიდენტის სტატუსში. რეგიონისათვის ამ რთულ და იქნებ მტკივნეულ თემაზე საუბრისას დემირელის რეაგირება ფრთხილი, მოზომილი და იმავდროულად პრინციპული იყო **[ჩარკვიანი, 2016: 184]**. ეს მართლაც მნიშვნელოვანი პრობლემა იყო თურქეთისათვის, რომელსაც ნამდვილად არ სიამოვნებდა მის საზღვრებთან რუსული სამხედრო პოტენციალის გაზრდა **[ოზქანი, 2013: 193]**.

ამ შეხვედრაზე ე. შევარდნაძემ კონკრეტულად დაასახელა ცენტრალური აზიიდან და აზერბაიჯანიდან ნავთობის ტრანსპორტირების მარშრუტი – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. აქ მან თურქეთის უშუალო და პირდაპირი მხარდაჭერა მოითხოვა [ჩარკვიანი, 2016: 184]. საქართველოს ხელისუფლება მშვენივრად ხვდებოდა, რომ ენერგომატარებლების გატარება მისი ქვეყნის ტერიტორიაზე უსაფრთხოების გარანტიის წინაპირობა იყო. ამასთან ერთად, ეს პროექტი ხელს შეუწყობდა საქართველოსგან რუსეთის ჩამოშორებას, რაც მის სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა. თურქეთის საქართველოს ამ მისწრაფებებს სრულ მხარდაჭერას უცხადებდა **[ოზქანი, 2013: 205]**.

პრეზიდენტმა ს. დემირელმა მკვეთრად გამოხატა თურქეთის დამოკიდებულება საქართველოსადმი და დასავლეთსაც მოუწოდა ამგვარი მხარდაჭერა დაეფიქსირებინათ ამ სამხრეთ კავკასიური ქვეყნისადმი **[სულეიმან დემირელის სიტყვა, 1994: 1]**.

გააქტიურებული ქართულ-თურქული ურთიერთობები კარს უხსნიდა საქართველოს მოქალაქეებს თურქეთში როგორც სეზონური სამუშაოებისათვის, ასევე მცირე ბიზნესისა და ტურისტული მიზნებით. თუმცა, საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც ტოტალიტარულ ბოლშევიკურ იმპერიაში ცხოვრების შემდეგ, პირველად მიეცათ საზღვარგარეთ გასვლის შესაძლებლობები, ბუნებრივია, ბევრ სირთულეებს აწყდებოდნენ. ამ მხრივ, მთელი დატვირთვით მუშაობდა ქართული საკონსულო ქ. ტრაპიზონში, რომელსაც იმჟამად ხელმძღვანელობდა  გიორგი ჯანჯღავა (მოგვიანებით საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში). გენერალური კონსული შენიშნავდა, რომ სამუშაოდ თურქეთში ჩასულმა ქართველთა დიდმა ნაწილმა არ იცოდა ადგილობრივი კანონმდებლობა. ამასთან ერთად, ზოგიერთი გარკვეულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებასაც

(ქურდობა, საპასპორტო რეჟიმის დარღვევა) ეწეოდა. თუმცა იყო შემთხვევები, როცა თურქეთის ციხეებში თვეობით ისხდნენ საქართველოს მოქალაქეები კონკრეტული ბრალდების წაყენების გარეშე. ამასთან ერთად, თურქი დამსაქმებლებიც უხეშად არღვევდნენ ქართველ მუშახელთა უფლებებს და მათ კუთვნილ ჯამაგირს არ უხდიდნენ [**ჭელიძე, 1995: 3**]. იყო ისეთი შემთხვევებიც თურქეთის პოლიციის მხრიდან საქართველოს მოქალაქეებისადმი პასპორტის განზრახ გაფუჭებაში, ფიზიკურ შეურაცხყოფაში და სხვა [**ჭიღლაძე, 1993: 7**].

გააქტიურებულმა სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა, საქართველოში შიდაპოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციამ გამოიწვია ჩვენს ქვეყნებს შორის ახალი სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნის აუცილებლობა. ასეთი გადასასვლელი 1995 წ. 9 აგვისტოს ვალეში გაიხსნა. საინტერესოა, რომ 1995 წ. აგვისტოში გაზეთ „მილიეთის" შეფასებით, „ორი ქვეყნის ლიდერების ურთიერთობა სამაგალითოა". ეს მართლაც ასე იყო. ს. დემირელისა და ე. შევარდნაძის პირადი ურთიერთობები მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენდა თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობათა შემდგომი განვითარებისთვის.

თბილის-ანკარას ურთიერთკავშირი მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს არ ითვალისწინებდა. ჯერ კიდევ 1993 წლიდან მონაწილეობდნენ თურქი სამხედროები საქართველოს შეიარაღებული ძალების ტრანსფორმირების პროცესში. ამ წელს, მათი თანამონაწილეობით, გაიხსნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აკადემია; თურქეთი, როგორც NATO-ს წევრი-სახელმწიფო, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გადამზადების პროცესში (1996 წლიდან). 1998 წლიდან კი თურქეთი საკუთარი სამხედრო სასწავლებლების კარს უღებდა ქართველ კურსანტებს. ამასთან ერთად, თურქეთი ქართველ მედიკოსებს ხელს უწყობდა თურქეთის სამედიცინო-სამეცნიერო ცენტრებში გაევლოთ პრაქტიკა [***მუსტაფა ქალემლი..*, 1996: 3**]. ოფიციალური ანკარა, წვრთნიდა რა ქართველ სამხედროებს, ამასთან ერთად, სამხედრო ტექნიკასაც აწვდიდა. მაგალითად, საქართველოს მიიღო სამხედრო კატარღები სანაპირო დაცვისათვის [ზერიძე ჯ., 2019: 79-80]. 1998-2004 წწ. თურქეთის თავდაცვის სამინისტრომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გრანტის სახით 15,3 მლნ. აშშ დოლარი გადასცა [**სვანიძე, 2007: 551**].

თურქულ-ქართული ურთიერთობების შემდგომი განვითარება 1996 წლის გაზაფხულიდან დაიწყო. აპრილის დასაწყისში საქართველოს დელეგაცია, პრეზიდენტ ე. შევარდნაძის ხელმძღვანელობით, თურქეთში გაემგზავრა, სადაც მორიგი შეხვედრები გაიმართა უმაღლეს დონეზე. ამ ვიზიტისას რამდენიმე ხელშეკრულებაც („სავიზო შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის", „შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო საზღვარზე გამშვები პუნქტების შესახებ", „შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამხედრო წვრთნის, ტექნიკისა და მეცნიერების

სფეროებში“, „ოქმი საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ორი ქვეყნის სარკინიგზო და სხვა საინფრასტრუქტურო ქსელების დაკავშირების შესახებ“, „ოქმი საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“) გაფორმდა. ქართულმა მხარემ უარი თქვა სასაზღვრო ხელშეკრულებაზე ხელმოწერაზე იქ ნახსენები ყარსის 1921 წ. შეთანხმების გამო. ოფიციალური თბილისის აღნიშვნით, ამაზე მინიშნება უკვე არსებობდა 1992 წ. 30 ივლისს ხელმოწერილ ჩარჩო-ხელშეკრულებაში [ჩარკვიანი, 2016: 268]. თუმცა, 1997 წ. 14 ივლისს ეს დოკუმენტიც გაფორმდა.

თურქეთი ყურადღებით და შეშფოთებით აკვირდებოდა ყოფილი საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებს, რომელიც მიზნად სსრკ-ს აღდგენას ითვალისწინებდა. 1996 წ. მაისში ირანში ახალი სარკინიგზო ხაზის (მეშჰედ-სარახს-თეჯენი) გახსნისას [***წარსული აწმყოს..,* 1996: 1-2**] გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პირველმა პირმა პრეზიდენტ ს. დემირელს უთხრა: „ჩვენ, კავკასიის ქვეყნების ხელმძღვანელებს გადაწყვეტილი გვაქვს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, შევინარჩუნოთ დამოუკიდებლობა, არ შევუერთდეთ ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც დამოუკიდებლობის დაკარგვის ტოლფასი იქნება. ეს ადვილი ნამდვილად არ არის. ვინც უნდა გაიმარჯვოს რუსეთში, დაწოლა დიდი იქნება“ [**ჩარკვიანი, 2016: 277**].

ე. შევარდნაძე მის მემუარებში პირდაპირ აღნიშნავს, რომ რუსეთი იყო დაინტერესებული მხარე, რომელიც ყველაფერს აკეთებდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ჩასაშლელად, თუმცა მოსკოვს არაფერი გამოუვიდა, რადგან ამ იდეას მხარს უჭერდნენ აშშ და თურქეთი [**შევარდნაძე, 2018: 493**].

1990-იანი წლების მიწურულს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა სამხრეთ კავკასიაში. 1998 წ. ხელმოწერილი „ანკარის დეკლარაცია“ და 1999 წ. ეუთო-ს სტამბოლის სამიტის დროს გაფორმებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-თბილისი-ერზრუმისა და ტრანსკასპიური გაზსა დენის ხელშეკრულებები და მემორანდუმები თურქეთსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის მაჩვენებელი იყო [**ოზქანი, 2013: 205-206**].

1999 წ. 27 თებერვალს სტამბოლის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად აირჩიეს. თავის სიტყვაში საქართველოს პირველმა პირმა აღნიშნა: „ჩვენ მრავალსაუკუნოვანი მეზობლობის მატიანეში, ბუნებრივია, საკამათო ფურცლებსაც წააწყდებით. მათი არსებობა სრულიად კანონზომიერია გამომდინარე იმ ზოგადი პოლიტიკური პარადიგმიდან, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ შუასაუკუნოვანი სახელმწიფოები. ამ კონტექსტში, ვფიქრობ, უადგილო არ იქნება გავიხსენო, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია აზრი იმის თაობაზე, რომ ოსმალეთის იმპერია, შუასაუკუნეების გარკვეულ პერიოდში, საქართველოს ევროპისაკენ სწრაფვისათვის ბარიერს წარმოადგენდა. მე ეს მხოლოდ იმისათვის გავიხსენე, რომ კიდევ

ერთხელ გავამახვილო ყურადღება იმ გრანდიოზულ ცვლილებებზე, რომლებიც მოხდა მსოფლიოში, მათ შორის ჩვენი ქვეყნების ურთიერთობებშიც. როცა საქართველოს ყველაზე უფრო უჭირდა, როცა იგი ბლოკადის საზარელ მარწუხებში მოექცა, სწორედ დღევანდელმა დემოკრატიულმა თურქეთმა გაუხსნა მას გზა ევროპისკენ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით საავტომობილო გზა, საჰაერო გზა". ე. შევარდნაძე შეეხო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს: „ეს არტერია ერთმანეთთან მჭიდროდ დააკავშირებს სამ ქვეყანას და ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მისი მნიშვნელობა ზევრად აღემატება მისი საშუალებით ტრანსპორტირებული ნავთობის ღირებულებას" [**ჩარკვიანი, 2016: 416-417**].

XXI ს. დასაწყისისთვის, საქართველოში გაიზარდა თურქეთის ეკონომიკური წარმომადგენლობა და უკვე მოქმედებდა 45 თურქული ფირმა კვების მრეწველობის, კომუნიკაციების, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სხვა სფეროებში [**სვანიძე, 2007: 546**].

2000 წ. 14-15 იანვარს თბილისში პრეზიდენტი ს. დემირელი ჩამოვიდა. ფაქტობრივად, ეს მისი უკანასკნელი ვიზიტი აღმოჩნდა ქვეყნის პირველი პირის რანგში. თურქეთის პრეზიდენტი მეტად საინტერესო ინიციატივით ჩამოვიდა, რომელიც კავკასიაში სტაბილურობის დამყარებას უკავშირდებოდა: „ხომ არ დაგვეწყო მუშაობა კავკასიის სტაბილურობის პაქტზე... ამერიკა, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი, თურქეთი ყველა ერთად უნდა ზრუნავდნენ კავკასიის პრობლემების მოსაგვარებლად. აქაურ დაპირისპირებათა განმუხტვა დღეს და ხვალ არ მოხდება, მაგრამ მოქმედება უნდა დავიწყოთ. ყველა უნდა გავერთიანდეთ. მსოფლიოს ყურადღება უნდა გადმოერთოს ბალკანებიდან კავკასიაზე" [**ჩარკვიანი, 2016: 488**]. რუსეთის ჩართვა ამ იდეაში, ბუნებრივია, კრემლის კონტრქმედებების გაუვნებელყოფას ისახავდა მიზნად.

2000 წლის შემოდგომაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა. ეს მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი მოვლენა იყო საქართველო-თურქეთ-აზერბაიჯანის უახლეს ისტორიაში. გ. ჩარკვიანის თქმით, „ამ აქტით სრულდებოდა გაურკვევლობის, დაძაბული მოლოდინის, ჩასაფრებულ არაკეთილმოსურნეთა არგუმენტების მოგერიების და, ზოგჯერ, მათგანვე მომდინარე აშკარა მუქარების უგულებელყოფის ხანა. მართალია, პოლიტიკური გადაწყვეტილება სტამბოლში ერთი წლით ადრე მიიღეს, მაგრამ ახლა პროცესს საბოლოო წერტილი ესმებოდა, ის შეუქცევადი ხდებოდა" [**ჩარკვიანი, 2016: 536**]. რუსეთისთვის, რომელიც მუდმივ ზეწოლას ახდენდა პროექტის მონაწილეებზე, განსაკუთრებით კი საქართველოზე, ამ ნავთობსადენის იდეის ჩასაკლავად, ეს მძიმე დარტყმა იყო.

2002 წ. 29-30 აპრილს ტრაპიზონში თურქეთ-საქართველო-აზერბაიჯანის სამიტი გაიმართა. პრეზიდენტ აჰმედ ნეჯდეთ სეზერის წინადადებით, ენერგეტიკული დერეფნის პროექტისადმი შეერთება შეეძლო ყველას, ვინც მონაწილე მხარეების ტერიტორიულ

მთლიანობას აღიარებდა [**ჩარკვიანი, 2016: 596**]. საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნით, წარმატებული პროექტის სიცოცხლისუნარიანობას საფრთხეს შეუქმნიდა ტერორიზმი [**ჩარკვიანი, 2016: 596**]. ბუნებრივია, აქ რუსეთი მოიაზრებდა, რომელიც შეშფოთებით ადევნებდა თვალს თურქეთის პოზიციების განმტკიცებას სამხრეთ კავკასიაში და აქედან კი – ცენტრალურ აზიაში. აღნიშნული საფრთხის ასაცილებლად სამივე სახელმწიფომ ხელი მოაწერა ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და სხვა მნიშვნელოვანი დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის ხელშეკრულებას [**ჩარკვიანი, 2016: 597**].

2002 წლის 18 სექტემბერს სინგაჩალის ნავთობის ტერმინალზე საფუძველი ჩაეყარა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას. საზეიმო ცერემონიალი ბაქოში შედგა, რომელსაც სამი ქვეყნის პირველი პირები დაესწრნენ: თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. სეზერი, საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძე და აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰ. ალიევი [**სვანიძე, 2007: 550**].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების განახლება ჯერ კიდევ 1991 წელს დაიწყო და თურქეთი აღმოჩნდა პირველი სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა. ეს კავშირები ახალ დონეზე ავიდა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისა და 1992 წლის 30 ივლისის ჩარჩო-ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. ამ კონტაქტებისთვის დამატებითი პოზიტიური სტიმულის მიმცემი იყო ორი ქვეყნის პირველ პირებს (ე. შევარდნაძე, ს. დემირელი) ჩამოყალიბებული მეგობრული ურთიერთობები. რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ მეგობრობა არ იყო მთავარი ფაქტორი. ამ კავშირებს ამტკიცებდა თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა ინტერესები, რომელთა თანხვედრაც აქვს ადგილი. აქედან მოყოლებული, საქართველოსათვის თურქეთი მტკიცე და ერთგულ საერთაშორისო პარტნიორად და მეგობრად რჩება. ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული სახელშეკრულებო-სამართლებრივი თანამშრომლობის თითქმის ყველა სფეროს არეგულირებს. აქტიურად მიმდინარეობს ვიზიტების ურთიერთგაცვლა როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ორგანოების დონეზე. თურქეთ-საქართველოს შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებას ეხება ისიც, ორი ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ მიმოსვლის გამარტივებული რეჟიმით, პირადობის მოწმობების საფუძველზე.

თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. თურქეთის კერძო სექტორი საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია. ამასთან, საქართველო დაინტერესებულია გაზარდოს ექსპორტი თურქეთის ბაზარზე. აღსანიშნავია საქართველო-თურქეთის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებული ენერგეტიკული პროექტები, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. ამ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ და გეო-ეკონომიკურ იდეას საფუძველი ჩაუყარა სწორედ სულეიმან

დემირელის, ედუარდ შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის წარმატებულმა თანამშრომლობამ. დღესაც ასევე წარმატებულად გრძელდება აქტიური თანამშრომლობა სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტის სრულფასოვნად რეალიზაციისთვის.

**ბიბლიოგრაფია**


1. ალექსიძე.., 1994 – ალექსიძე ლ., კობახიძე დ. ყარსის ხელშეკრულება (საერთაშორისო სამართლებრივი ანალიზი), – ქართული დიპლომატია. წელიწდეული, 1. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1994;

2. ბერიძე ზ., 2019 – ბერიძე ზ. თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები XX საუკუნის 90-იან წლებში. დისერტაცია წარმოდგენილია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი, 2019;

3. ბერიძე ჯ., 2019 – ბერიძე ჯ. საქართველო-თურქეთის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე (1992-2012 წლები). დისერტაცია წარმოდგენილია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი, 2019;

4. კორძაძე.., 1991 – კორძაძე გ., შევჩენკო რ. რად უნდა საქართველოს თურქული ჩაი, – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. #32 (65). 21 თებერვალი, 1991;

5. ოზქანი, 2013 – ოზქანი გ. ურთიერთობა კავკასიის ქვეყნებთან, – წგნ.: თურქეთის საგარეო პოლიტიკა (1990-2008 წლები). მთავარი რედაქტორი ს. კაპანაძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2013;

6. სვანიძე, 2007 – სვანიძე მ. თურქეთის ისტორია (1299-2000). გამომცემლობა „ინტელექტი“. თბ., 2007;

7. სიხარულიძე, 1991 –სიხარულიძე გ. თურქეთი, შორეული და ახლობელი, – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. #51 (71). 15 მარტი, 1991;

8. სმოლნიკი.., https://ge.boell.org – ფრ. სმოლნიკი, ა. ვაისი, ი. ზაბანოვა. მყიფე წონასწორობა. თურქეთი, საქართველო და დე ფაქტო სახელმწიფო აფხაზეთი, – https://ge.boell.org/ka/2018/02/05/mqipe-conascoroba-turketi-sakartvelo-da-de-pakto-saxelmcipo-apxazeti;

9. შევარდნაძე, 2018 – შევარდნაძე ე. ფიქრები წარსულსა და მომავალზე. მემუარები. მეორე გამოცემა. გამომცემლობა „ნეოსტურდიო“. თბ., 2018;

10. ჩარკვიანი, 2016 – ჩარკვიანი გ. ნაცნობ ქიმერათა ფერხული. გამომცემლობა „ინტელექტი“. თბ., 2016;

11. ჭელიძე, 1993 – ჭელიძე გ. სარფიდან – ტრაპიზონამდე ხოფას გავლით, – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. #100 (379). 27 სექტემბერი, 1993;

12. ჭელიძე, 1995 – ჭელიძე გ. ტრაპიზონში რა გინდოდა?!, – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. #31 (1047). 23 მარტი, 1995;

13. ჭიღვარია, 2010 – ჭიღვარია გ. თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან. დისერტაცია წარმოდგენილია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი, 2010;

14. ჭიღლაძე, 1993 – ჭიღლაძე ლ. 57 ჩვენი მოქალაქე თურქეთის ციხეებშია, – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. #202 (730). 27 სექტემბერი, 1993;

15. ხუბულური, 1992 – ხუბულური ლ. საქართველოს ძარცვავენ, თურქეთს ამდიდრებენ, – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. #71 (350). 30 აპრილი, 1992;

16. ახალი ეტაპის დასაწყისი.., 1996 – ახალი ეტაპის დასაწყისი ორი ქვეყნის მომავალ ურთიერთობაში, – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. #39 (2152), 3 მარტი, 1996;

17. თურქეთმა გადაწყვიტა.., 1991 – თურქეთმა გადაწყვიტა საქართველო ცნოს, – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. #247 (297), 18 დეკემბერი, 1991;

18. თურქული ხორბალი.., 1992 – თურქული ხორბალი საქართველოსკენ მოდის, – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. #100 (379). 10 ივნისი, 1992;

19. მუსტაფა ქალემლი.., 1996 – მუსტაფა ქალემლი საპატიო დოქტორი, – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. #39 (2152). 3 მარტი, 1996;

20. ორმხრივი ხელშეკრულებები.., https://mfa.gov.ge – „ორმხრივი ხელშეკრულებები საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის“, – https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/InternationallegalAgreements/თურქეთის-რესპუბლიკა.aspx;

21. სულეიმან დემირელი საქართველოს ეწვევა, 1992 – სულეიმან დემირელი საქართველოს ეწვევა, – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. #117 (396). 30 ივნისი, 1992;

22. სულეიმან დემირელის სიტყვა, 1994 – სულეიმან დემირელის სიტყვა, – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. #202 (730). 17 ნოემბერი, 1994;

23. შეხვედრა თურქ საქმოსნებთან, 1992 – შეხვედრა თურქ საქმოსნებთან, – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. #117 (396). 30 ივნისი, 1992;

24. ჩვენს ურთიერთობებს კარგი მომავალი აქვს.., 1993 – ჩვენს ურთიერთობებს კარგი მომავალი აქვს (ედუარდ შევარდნაძე), – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. #87 (366), 23 მაისი, 1993;

25. წარსული აწმყოს.., 1996 – წარსული აწმყოს, აწმყო კი მომავალს, – გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. #92 (2205). 15 მაისი, 1996;

26. ხელშეკრულება.., https://matsne.gov.ge – „ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობებისშესახებ“,– https://matsne.gov.ge/ka/document/view/1207454?publication=0;

27. Аватков, http://www.iimes.ru, – Аватков В. А. Перекресток геополитических интересов России и Турции – Кавказ и Центральная Азия, http://www.iimes.ru/?p=8521;

28. Айараа, 2013 – Айараа (1992-1993). Сухум, 2013;

29. Ардзинба, 2011 – Ардзинба В. Г. «Мы шли на смерть, чтобы жить». Сухум, 2011.

# ლევანტის საპაიო კომპანია

# Levant Bonding Company

**იზოლდა ბელთაძე**

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო*

*უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი.*

**Izolda Beltadze**

*BSU, Associate Professor at the Department of Histori,*

*Archaeology and Ethnology, PhD in History*

**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.03

**აბსტრაქტი:** ლევანტის კომპანია იყო ინგლისის ერთ-ერთი აქციონერული კომპანია, რომელიც წარმოიშვა 1581 წელს. საპაიო კომპანიაში გაერთიანებული იყო ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიასთან შედარებით უფრო მდიდარი ვაჭრები, რომელთაც ბრუნვაში ჰქონდათ დიდი ოდენობის კაპიტალი, რაც მათ საშუალებას აძლევდა გაეწია დიდძალი ხარჯები ლევანტის ქვეყნებში.

ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის ცალკეული წევრი ვაჭრობდა დამოუკიდებლად. თვითონ უზრუნველყოფდა ფრახტს. თავის თავზე იღებდა ვაჭრობის დროს ზარალს და მოგებასაც. კომპანიის ვაჭრობა იყო უმთავრესად კონტინენტური და ვერ გასწევდა ხარჯებს შორეული ვაჭრობისათვის, ხოლო ლევანტის კომპანიამ ეს შეძლო.

1588 წლისთვის- Levant Company- გადაკეთდა მარეგულირებელ, მონოპოლიურ კომპანიად ლევანტის ქვეყნებში (შუა საუკუნეების ეპოქაში ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებს-მცირე აზიას, სირიას, პალესტინას, ეგვიპტეს, საბერძნეთს მიაკუთვნებდნენ ლევან-ტის ქვეყნებს, რომლებიც შედიოდნენ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში) და მისი სტატუსი იყო - სააქციო კომპანია. 1592 წლის 7 იანვარს კომპანიას მიენიჭა ახალი წესდება, რომლის მიხედვით კომპანიასთან გაერთიანდა თურქეთის და ვენეციის კომპანიები.

1581 წლის ქარტიით ინგლისელ ვაჭრებს მიენიჭათ 12 წლით ვაჭრობის უფლება. 1601 წელს კი 15 წლით. 1661 წელს მეფე ჩარლზ II-ის წესდებით, კომპანია გადაკეთდა პოლიტიკურ ორგანოდ, რომელსაც საკანონმდებლო უფლება ჰქონდა ლევანტის ქვეყნებში. კომპანიის წევრების რაოდენობა შეზღუდული არ იყო. ძირითადი კანდიდატი უნდა ყოფილიყო საბითუმო მოვაჭრე ან შვიდწლიანი სტაჟის მქონე. 25 წლამდე პირები დაიშვებოდა თუ გადაიხდიდა 25 ფუნტს. ხოლო ზემოთ მყოფი ასაკის მქონე ორჯერ დიდს. კომპანიის წევრთა რაოდენობა სხვადასხვა დროს დასახელებულია: 29, 43, 119, 300 კაცი.

ლევანტის კომპანიაში გაერთიანებული იყვნენ, გარდა ლონდონელებისა, ასევე პროვინციელი ვაჭრებიც. ასევე კომპანიის ვაჭრები გაერთიანებული იყვნენ სამ და მეტ კომპანიაში. ვაჭართა დიდი კაპიტალი რომ არა ისინი ვერ შეძლებდნენ ერთდროულად რამოდენიმე კომპანიის სავაჭრო საქმეებში მონაწილეობას.

ლევანტის კომპანიას სათავეში ედგა მმართველი -გუბერნატორი, რომელსაც ჰყავდა 12 თანაშემწე. კომპანიას ასევე ჰყავდა პასუხისმგებელი წარმომადგენლები იმ ადგილებში, სადაც მას ჰქონდა კომერციული გარიგებები. ასეთი იყო ელჩი კონსტანტინოპოლში და კონსულები, ვიცე-კონსულები ლევანტის სხვადასხვა ქალაქში. გარდა ამისა, საელჩოს თანამშრომლები იყვნენ თარჯიმნები, ხაზინადარი და მქადაგებელი.

კომპანიას დაწესებული ჰქონდა იმპორტის და ექსპორტის რეგულირების წესები. ინგლისიდან გაჰქონდა ძირითადად მაუდის ქსოვილები, ხოლო შემოჰქონდა აბრეშუმი, ბამბა, მოცვი, ნარკოტიკები, ილზი, ჯავზი, პილპილი, მიხაკ- დარიჩინი, ღვინოები, და სხვა აღმოსავლური საქონელი. ძირითადად ვაჭრობდნენ: ვენეციაში, ზანტში, კეფალონიაში, კანდიაში, კონსტანტინეპოლში, სციოში, ალეპოში, ტრიპოლში, ალჟირში, კარტეხანში, ალიკანტეში, ბარსელონაში, ვალენსიაში, მარსელში, ასევე არ უშვებდნენ გადაჭარბებული რაოდენობის საქონლის გატანას და შემოტანას, ვინაიდან ეს გამოიწვევდა საქონლის ჩაწოლას და მოგება ნაკლები დარჩებოდა. ლევანტის კომპანია ყოველწლიურად ქვეყანას აძლევდა შემოსავლის სახით 4 ათას ფუნტ სტერლინგს.

სამეფო ხელისუფლება არ უშვებდა ურთიერთობის გამწვავებას ლევანტის ქვეყნებთან: ვენეციასთან, თურქეთთან, მიუხედავად ინგლისელ ვაჭართა არაერთი უკმაყოფილებისა, ვინაიდან პოლიტიკური თვალსაზრისით ინგლისისათვის წამგებიანი იქნებოდა ეს. აი, ეს არის სწორედ დიპლომატია. უმჯობესი იყო დაზარალებულიყო ინგლისელი ვაჭარები, ვიდრე გამწვავებულიყო ურთიერობა ლევანტის ქვეყნებთან.

ინგლისელმა ვაჭრებმა განავითარეს ბამბის და აბრეშუმის წარმოების ტექნოლოგია, რომელიც ვითარდებოდა კაპიტალისტური გზით, რაშიაც ინგლისს დაეხმარა მაუდის ქსოვილების წარმოების გამოცდილება. საბოლოოდ, ინგლისური ქსოვილებით ვაჭრობა ლევანტის ქვეყნებში დიდძალ მოგებას უტოვებდა ინგლისს. ასევე აღმოსავლური საქონლის (ნედლეულის) აბრეშუმის, ბამბის შემოტანამ ხელი შეუწყო შესაბამისი წარმოების განვითარებას, რამაც განაპირობა ქვეყნის ეკონომიკური დაწინაურება.

**საკვანძო სიტყვები:** კომპანია, ვაჭარ-ავანტიურისტი, ლევანტი, მონოპოლიური, პროტექციონისტური, ქარტია.

**Abstract:** The Levant Company was one of the English joint-stock companies that originated in

1581. The Sapaio Company included more wealthy merchants than the London Company of Merchant Adventurers, who had a large amount of capital in circulation, which enabled them to make large expenditures in the countries of the Levant.

An individual member of a company of merchant-adventurers traded independently. He provided the freight himself. He took upon himself the loss and profit during trading. The Company's trade was primarily continental and could not afford the costs of long-distance trade, whereas the Levant Company could.

By 1588, the Levant Company was transformed into a regulatory, monopoly company in the countries of the Levant (in the Middle Ages, the Mediterranean countries - Asia Minor, Syria, Palestine, Egypt, Greece were included in the countries of the Levant, which were part of the Ottoman Empire) and its status was - a joint-stock company. On January 7, 1592, the company was granted a new charter, according to which the companies of Turkey and Venice were united with the company..

By the charter of 1581, English merchants were granted the right to trade for 12 years. and in 1601 for 15 years. In 1661, by charter of King Charles II, the Company was transformed into a political body with legislative authority in the Levant. The number of company members was not limited. The main candidate should have been a wholesaler or with seven years of experience. Under 25s were admitted if they paid £25. And those with an older age are twice as old. The number of members of the company is named at different times: 29, 43, 119, 300 people.

In addition to the Londoners, provincial merchants were also united in the Levant Company. Also, company merchants were united in three or more companies. If it were not for the large capital of the merchants, they would not be able to participate in the trade affairs of several companies at the same time.

The Levant Company was headed by a ruler-governor who had 12 assistants. The company also had responsible representatives in places where it had commercial dealings. Such was the ambassador in Constantinople and the consuls and vice-consuls in various cities of the Levant. In addition, the employees of the embassy were translators, a treasurer and a preacher.

The company had established import and export regulation rules. From England it exported mainly Maud fabrics, while it imported silk, cotton, blueberries, drugs, ylang-ylang, nutmeg, pepper, clove-cinnamon, wines, and other oriental goods. They mainly traded in: Venice, Zante, Kefalonia, Candia, Constantinople, Scio, Aleppo, Tripoli, Algiers, Cartagena, Alicante, Barcelona, Valencia, Marseille, and they did not allow excessive quantities of goods to be exported and imported, as this would cause the goods to lie down and the profit would be less.

The royal government did not allow relations with the countries of the Levant: Venice, Turkey, despite many dissatisfactions of English merchants, because it would be unprofitable for England from

a political point of view. This is exactly diplomacy. It was better to suffer the English merchants than to aggravate the hostilities with the countries of the Levant.

English merchants developed the technology of cotton and silk production, which developed in a capitalist way, in which England was helped by the experience of Maud textile production. Finally, the English cloth trade in the countries of the Levant left a large profit for England. Also, the import of oriental goods (raw materials) silk, cotton contributed to the development of relevant production, which led to the economic development of the country.

**Key words:** Company, Merchant-Adventurer, Levant, Monopoly, Protectionist, Charter.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ინგლისის ერთ-ერთი საპაიო, ლევანტის კომპა-ნიის ისტორია. საინტერსოა როგორ წარმოიშვა კომპანია, როგორი იყო მისი შემადგენლობა, რა იყო კომპანიის მმართველობის ორგანოები, რა იყო ექსპორტის და იმპორტის საგნები, როგორი იყო ვაჭრობის ორგანიზების წესები, როგორ იღებდნენ კომპანიის წევრებს, რომელ ნავსადგურებში ვაჭრობდნენ და რა როლი შეასრულა ამ კომპანიამ ინგლისის ეკონომიკურ განვითარებაში. აღნიშნული საკითხების შესწავლაში დაგვეხმარა ლონდონში 1908 წელს გამოცემული მნიშვნელოვანი წყარო „ლევანტის კომპანიის ადრეული ისტორია“. ასევე გამოვიყენეთ სხვადასხვა ავტორების: მ.იაბროვას, ვ.შტოკმარის, მ.ოსოკინის, ა.მორტონის შრომები.

ლევანტის კომპანია წარმოიშვა 1581 წელს. შუა საუკუნეების ეპოქაში ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებს-მცირე აზიას, სირიას, პალესტინას, ეგვიპტეს, საბერძნეთს მიაკუთვნებდნენ ლევანტის ქვეყნებს, რომლებიც შედიოდნენ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში (Мортон, 1950 :1)

საპაიო კომპანიების წარმოშობა ემთხვევა იმ დროს, როცა ინგლისი იწყებდა გასვლას ოკეანეში და ხანგრძლივ მოგზაურობებს.

ასეთ ვითარებაში ვაჭრისათვის ხელსაყრელი იყო ჰქონოდა პაი ერთდროულად სხვადასხვა კომპანიაში (3, 4, 5 ან 6 კომპანიაში) და მიეღო შესაბამისი მოგება. ხოლო სხვადასხვა კომპანიაში ერთდროულდ პაის ( საწილოს) შეტანა შეეძლო, რა თქმა უნდა, დიდი კაპიტალის მქონე ვაჭრებს ( იზოლდა ბელთაძე-ხინიკაძე, 2009: 165)

მაშასადამე, საპაიო კომპანიაში გაერთიანებული უნდა ყოფილიყო ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიასთან (1407 წელს შეიქმნა) შედარებით უფრო მდიდარი ვაჭრები, რომელთაც ბრუნვაში ექნებოდათ დიდი ოდენობის კაპიტალი, რაც უდავოდ დაუტოვებდა მათ დიდძალ მოგებას.

ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია, მართალია იყო ერთიანი ორგანიზაცია, მაგრამ

მისი ცალკეული წევრი ვაჭრობდა დამოუკიდებლად და მიდიოდა რისკზე. თვითონ უზრუნველყოფდა ფრახტს, გემის ტვირთს. წარუმატებელი ვაჭრობის დროს თავის თავზე იღებდა ზარალს, ხოლო კარგი ვაჭრობის დროს მთლიანად იღებდა მოგებას. საერთო ჯამში ვაჭრობა იყო ინდივიდუალური (Осокин, 1982.:193). მაგრამ კომპანია ვერ გასწევდა დიდ ხარჯებს შორეული ვაჭრობისათვის. ეს კი შეძლეს მხოლოდ საპაიო (აქციონერულმა) კომპანიებმა, რომელსაც ქარტიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ენიჭებოდათ მონოპოლიური უფლება ( Мортон, 1950 :93).

როგორ შეიქმნა ლევანტის კომპანია?

ლონდონელმა ვაჭრებმა ჯერ კიდევ 1580 წელს მიმართეს დედოფალ ელიზავეტ I-ს (1558-1603 წწ) ქარტიით, რომელშიც ითხოვდნენ რეგიონში ვაჭრობის უფლების მიღებას. იმავე წელს, ინგლისსა და ოსმალეთის იმპერიას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ინგლისელ ვაჭრებს ოსმლეთის იმპერიაში ვაჭრობის უფლებებს ანიჭებდა. ერთ-ერთი ინგლისელი ვაჭარი უილიამ ჰარბორნი, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებებს კონსტანტინოპოლში 1582 წელს გახდა კომპანიის მუდმივი წარმომადგენელი. ხოლო 1586 წლისათვის ჰარბორნი დაინიშნა «მისი უდიდებულესობის ელჩად» ოსმალეთის იმპერიაში და მისი ყველა ხარჯი (სულთანისა და მისი მოხელეებისათვის მიცემული საჩუქრების სახით) გადაიხადა ლევანტის კომპანიამ.

1588 წლისთვის-Levant Company-გადაკეთდა მარეგულირებელ, მონოპოლიურ კომპანიად დადგენილ სავაჭრო ქვეყნებში (ლევანტის ქვეყნებში-ი.ბელთაძე) და მისი სტატუსი იყო - სააქციო კომპანია.

1592 წლის 7 იანვარს კომპანიას მიენიჭა ახალი წესდება, რომლის მიხედვით კომპანიასთან გაერთიანდა თურქეთის და ვენეციის კომპანიები და 1595 წლისთვის ნათელი გახდა მისი, როგორც მარეგულირებელი კომპანიის ფუნქცია. კომპანია ადრეულ ხანებში არა მხოლოდ ბარბაროსი მეკობრეების საფრთხეს იგერიებდა, არამედ ესპანეთის გალერებთან ბროლისას (1586, 1590 და 1591 წლებში), როცა ისინი ცდილობდნენ ინგლისელი ვაჭრებისათვის ტვირთის წართმევას, წარმატებებს აღწევდნენ. უფრო მეტიც, ლევანტის კომპანიას ჰყავდა იმდენად კარგად შეიარაღებული გემები, რომ მათი ნაწილი გადაეცა ინგლისის სამეფოს საზღვაო ფლოტს, რომელიც გამოიყენეს ესპანური არმადას წინააღმდეგ ბრძოლისას (1588 წელი).

1600 წლის 12 ივლისს ინგლისელი ვაჭრები ითხოვდნენ ხელახლა მიეღოთ სავაჭრო პრივილეგიები, ვინაიდან კომპანია იძლეოდა ქვეყნისათვის ყოველწლიურად 4 ათასი ფუნტის შემოსავალს. დედოფალი დათანხმდა 1601 წლის 1 დეკემბერს კომპანიისათვის მიენიჭებინა პრივილეგიების ახალი ქარტია 15 წლის ვადით.

კომპანიის წესდებაში დასახელებული იყო 119 ვაჭარი, რომლებიც შეადგენდა კომპანიის ძირითად ბირთვს. ირკვევა ისიც, რომ კომპანიაში ვაჭართა რაოდენობა არ იყო შეზღუდული. ნებისმიერი ინგლისელი ვაჭარი, ვინც იყო 26 წელზე მეტი ასაკის და გადაიხდიდა მომდევნო

ხარების დღესასწაულამდე 25 ფუნტს, მიიღებდნენ კომპანიაში. ხოლო ვინც განაცხადებდა სურვილს კომპანიაში შესვლაზე ხარების დღესასწაულის შემდეგ, მაშინ საფასური იქნებოდა 50 შილინგი. ასევე თავისუფალი ვაჭრების შეგირდები, რომლებიც კომპანიაში საქმიანობდნენ 3 წლის განმავლობაში, 20 შილინგის დაგახდის შემთხვევაში კომპანიაში შესვლის უფლებას მიიღებდნენ (EPSTEIN, 1908 : 59).

ელისაბედ პირველის მიერ, ლევანტის კომპანიისათვის მინიჭებული პრივილეგიით ისარგებლეს მხოლოს 2 წელი, ჯეიმს სტიუარტის (1603-1625 წწ) ხელისუფლებაში მოსვლამდე ,როცა ირღვეოდა ინლისელი ვაჭრების უფლებები. ამ მხრივ, საინტერესოა 1605 წლის დოკუმენტი, რომელშიც ინგლისელ ვაჭართა უფლებების დარღვევაზე არის საუბარი.

ვაჭრები ითხოვდნენ გაეთავისუფლებინათ ისინი ახალი (ვენეციელების მიერ დაწესებული-ი.ბელთაძე) გადასახადებისაგან. თუ გაგრძელდებოდა ვაჭრობა ლევანტის ქვეყნებში, მაშინ უნდა დაენიშნათ იქ ელჩი და კონსული, რომ არ დარღვეულიყო ინგლისელი ვაჭრების უფლებები. თუ ადგილი ექნებოდა ვენეციელების მხრიდან მათ მიმართ უსამართლო მოპყრობას და ახალი გადასახადებების დაწესებას, მაშინ იძულებული იქნებოდნენ შეეწყვიტათ ვაჭრობა და ინგლისი ყოველწლიურად შემოსავალს 4 ათას ფუნტი სტერლინგის ოდენობით ვერ მიიღებდა (EPSTEIN,1908:56-58).

ვაჭრები ასევე გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას იმის გამო რომ ინგლისელი და უცხოელი ვაჭრები (ვენეციელები-ი.ბელთაძე) ერთნაირი უფლებებით არ სარგებლობნენ. ვენეციელ ვაჭრებს მეტი უფლებები ჰქონდათ. ინგლისელებს კი ორმაგი გადასახადი უნდა გადაეხადათ. ერთჯერ ინგლისში და ერთჯერ ვენეციაში. ამიტომ ინგლისელი ვაჭრები ითხოვდნენ, რომ მებაჟეებს ინგლისში უცხოელებისთვის (ვენეციელებისათვის-ი.ბელთაძე) ორმაგი საბაჩჟო გადასახადი გადაეხდევინებინათ.

ვენეციის ხელისუფლებას ჰქონდა გაცემული ბრძანება, რომ არცერთ უცხოურ გემს არ უნდა დაეტვირთა მოცხარი გემზე, თუ იგი ვენეციაში თავისი ქვეყნის საქონლის ორ მესამედს არ ჩაიტანდა და არ გადაიხდიდა გადასახადს. მართალია ეს არ იყო ხელსაყრელი პირობა ინგლისელი ვაჭრებისათვის, მაგრამ მეფის ბრძანებით, მაინც არ უნდა შეწყვეტილიყო ვაჭრობა“.

წერილი დათარიღებულია 1605 წლის 8 სექტემბრით.

გამოდის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ირღვეოდა ინგლისელი ვაჭრების უფლებები, მეფე მაინც არ ითვალისწინებდა მათ საჩივარს და ცდილობდა შეენარჩუნებინა სავაჭრო ურთიერთობა ლევანტის ქვეყნებთან. ვენეცია იყო მოცხარით ვაჭრობის ცენტრი, საიდანაც ინგლისს შემოჰქონდა მოცხარი, ამიტომ ვენეციელებს ნებისმიერ დროს, ინგლისელთა მიერ გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, შეეძლოთ მათთვის მოცხარის შესყიდვა აეკრძალათ და არ დაეშვათ მისი გატანა ინგლისში. აი, რითინ აიხსნება ინგლისის მეფის ასეთი

დამოკიდბულება მომჩივანი ვაჭრების მიმართ. წინა პლანზე იდგა ქვეყნის ეკონომკიკური ინტერესები.

თავდაპირველად კომპანიას 9 თანამდებობის პირი ჰყავდა: მმართველი (გუბერნა-ტორი), მოადგილე, რომელიც განაგებდა კომპანიის ფინანსებს. შემდეგში დაინიშნა მოხელე, რომლის ხელში იყო კომპანიის ქაღალდები, ობლიგაციები და ბეჭედის შენახვა, მდივანი, ბუღალტერი, ბიდლი (შიკრიკი). მოგვიანებით აირჩიეს აუდიტორები. ისინი პირველად მოიხსენიება 1632 წელს, როგორც ყოველწლიურად არჩეული მოხელეები. ( EPSTEIN ,1908 :68)

XVI საუკუნის 80-იან წლებში ლევანტის კომპანიის ქარტიაში დასახელებულია 29 მეპაიე. ამათგან 12 იყო ლონდონის ლივრეის კომპანიიდან (Штокмар,1962:208), დანარჩენი კი, შესაძლებელია, პროვინციული ქალაქებიდან იყვნენ. მ. ოსოკინის მიხედვით ცნობილია, რომ ლევანტის კომპანიაში საერთოდ გაერთიანებული იყვნენ, გარდა ლონდონელებისა, ასევე პროვინციელი ვაჭრებიც (Осокин, 1982:14).

კომპანიის ვაჭრებიც გაერთიანებული იყვნენ სამ და მეტ კომპანიაში. მაგალითად, ლევანტის კომპანიის 186 წევრიდან, 34 იყო ლევანტის, 33 ერთდროულად ლევანტის და ოსტ-ინდოეთის, ხოლო 108 სამი და მეტი კომპანიის წევრი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ვაჭართა დიდი კაპიტალი რომ არა ისინი ვერ შეძლებდნენ ერთდროულად რამოდენიმე კომპანიის სავაჭრო საქმეებში მონაწილეობას.

ამის მაგალითად დავასახელებთ შემდეგს, ლევანტის კომპანიის ერთ-ერთი წევრი ედუარდ ჰოლდმანი ამავე დროს იყო ოსტ-ინდოეთის კომპანიის მმართველი და ვენეციის კომპანიის წევრი. იგი მონაწილეობდა 1587 წლის დრეიკის ექსპედიციის მომზადებაში და სხვა სავაჭრო ოპერაციებში ( Яброва , 1983:208).

რა იყო კომპანიის იმპორტის და ექსპორტის საგანი. ლევანტის იმპორტის ძირითადი საქონელი მოცხარი იყო. მაგრამ ვაჭრობდნენ სხვა საქონლითაც: ბამბა, მატყლი, ქიმიკატები, სანელებლები, ტყავი, აბრეშუმი, ღვინოები და სხვა. ინგლისელებს შეჰქონდათ: სხვადასხვა ქსოვილები.

კომპანიას დაწესებული ჰქონდა იმპორტის და ექსპორტის რეგულირების წესები. როგორც მოცხარზე ისე შეტანილ ქსოვილებზე. ამ მხრივ საინტერესოა 1617 წლის დოკუმენტი, საიდანაც ირკვევა, რომ ბრისტოლის და ეკზეტერის ვაჭრებმა წესდების საწინააღმდეგოდ შემოიტანეს მოცხარი და არ გადაიხადეს კომპანიის მიერ დაკისრე-ბული გადასახადები.

ხოლო მეორე, 1631 წლის 7 ივნისის, დოკუმენტში საუბარია მოცხარით ვაქრობაზე და კომპანიის წესდების დარღვევაზე. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კომპანიის წევრმა ფლაუერმა ლონდონის პორტში შემოიტნა დიდი ოდენობით მოცხარი, რაც იყო წესის დარღვევა. კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოცხარი დაებრუნებინათ იქ, საიდანაც ჩამოიტანეს ( EPSTEIN, 1908 : 122).

როგორც ჩანს, კომპანია განსაზღვრავდა მოცხარის შემოტანის დროს და რაოდენობასაც.

ინგლისელი ვაჭრებისათვის მომგებიანი იყო ლევანტის ქვეყნებთან ვაჭრობა. შემოჰქონდათ სხვადასხვა აღმოსავლური საქონელი: აბრეშუმი, ძაფები, ინდიგო, მოცხარი, მუსკატის კაკალი, მატყლისა და ბამბის ქსოვილები, წიწაკა, ხავერდი, ხალიჩები და ა.შ. ლევანტის კომპანიამ შეინარჩუნა თავისი მონოპოლია 1753 წლამდე (ზელთაძე-ხინიკაძე, 2009:168)

კომპანია სარგებლობდა ვენეციასა და თურქეთში ვაჭრობის დროს შემდეგი ნავსადგურებით:. ქალაქი ვენეცია, ზანტი, ვენეციის კეფალონია, კანდია, სციო, კონსტანტინოპოლი, ალექსანდრეტა, ალეპოს პორტი, ტრიპოლი, ალექსანდრია, ალჟირი ( EPSTEIN, 1908 :230).

გარდა ამისა ისინი ვაჭრობდნენ საფრანგეთის, ესპანეთისა და იტალიის შემდეგ სანაპიროებზე: კარტახენის (იტალია), ალიკანტეს, (ესპანეთი) ბარსელონის (კატალონია), ვალენსიის (ესპანეთი), მარსელის (საფრანგეთი), ტულონის (საფრანგეთი), გენუის (იტალია), ლივორნოს (იტალია), ჩივიტავეკიის (იტალია), პალერმოს (იტალია), მესინას (იტალია), მალტის (საფრანგეთი), მაიორკის (ესპანეთი), მენორკის (ესპანეთი) და კორსიკის (საფრანგეთი).

კომპანიას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლისიდან გაჰქონდა ძირითადად მაუდის ქსოვილები, ხოლო შემოჰქონდა აბრეშუმი, ბამბა, მოცვი, ნარკოტიკები, ილზი, ჯავზი, პილპილი, მიხაკ-დარიჩინი და სხვა აღმოსავლური საქონელი. ინგლისელმა ვაჭებმა განავითარეს ბამბის და აბრეშუმის წარმოების ტექნოლოგია, რომელიც ვითარდებოდა კაპიტალისტური გზით.

ბამბის წარმოება განსაკუთრებით განვითარდა ინგლისის შემდეგ რაიონებში: ნორიჩში, იორკშირში, დორსეტშირში, დერბშირში, ნოტინგემშირში, ჩეშირშირში (Осокин,1982 :14).

**დასკვნა**

ამრიგად, ლევანტის კომპანია იყო ინგლისის ერთ-ერთი აქციონერული კომპანია, რომელიც წარმოიშვა 1581 წელს. საპაიო კომპანიაში გაერთიანებული იყო ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიასთან შედარებით უფრო მდიდარი ვაჭრები, რომელთაც ბრუნვაში ჰქონდათ დიდი ოდენობის კაპიტალი, რაც საშუალებას აძლევდა გაეწია დიდძალი ხარჯები ლევანტის ქვეყნებში.

1588 წლისთვის- Levant Company- გადაკეთდა მარეგულირებელ, მონოპოლიურ კომპანიად ლევანტის ქვეყნებში და მისი სტატუსი იყო - სააქციო კომპანია. 1592 წლის 7 იანვარს კომპანიას მიენიჭა ახალი წესდება, რომლის მიხედვით კომპანიასთან გაერთიანდა თურქეთის და ვენეციის კომპანიები.

1581 წლის ქარტიით ინგლისელ ვაჭრებს მიენიჭათ 12 წლით ვაჭრობის უფლება. 1601

წელს კი 15 წლით. 1661 წელს მეფე ჩარლზ II-ის წესდებით, კომპანია გადაკეთდა პოლიტიკურ ორგანოდ, რომელსაც საკანონმდებლო უფლება ჰქონდა ლევანტის ქვეყნებში. კომპანიის წევრების რაოდენობა შეზღუდული არ იყო. ძირითადი კანდიდატი უნდა ყოფილიყო საბითუმო მოვაჭრე ან შვიდწლიანი სტაჟის მქონე. 25 წლამდე პირები დაიშვებოდა თუ გადაიხდიდა 25 ფუნტს. ხოლო ზემოთ მყოფი ასაკის მქონე ორჯერ დიდს. კომპანიის წევრთა რაოდენობა სხვადასხვა დროს დასახელებულია: 29, 43, 119, 300 კაცი.

ლევანტის კომპანიაში გაერთიანებული იყვნენ, გარდა ლონდონელებისა, ასევე პროვინციელი ვაჭრებიც. ასევე კომპანიის ვაჭრები გაერთიანებული იყვნენ სამ და მეტ კომპანიაში. ვაჭართა დიდი კაპიტალი რომ არა ისინი ვერ შეძლებდნენ ერთდროულად რამოდენიმე კომპანიის სავაჭრო საქმეებში მონაწილეობას.

ლევანტის კომპანიას სათავეში ედგა მმართველი -გუბერნატორი, რომელსაც ჰყავდა 12 თანაშემწე. კომპანიას ასევე ჰყავდა პასუხისმგებელი წარმომადგენლები იმ ადგილებში, სადაც მას ჰქონდა კომერციული გარიგებები. ასეთი იყო ელჩი კონსტანტინოპოლში და კონსულები, ვიცე-კონსულები ლევანტის სხვადასხვა ქალაქში. გარდა ამისა, საელჩოს თანამშრომლები იყვნენ თარჯიმნები, ხაზინადარი და მქადაგებელი.

კომპანიას დაწესებული ჰქონდა იმპორტის და ექსპორტის რეგულირების წესები. არ უშვებდნენ გადაჭარბებული რაოდენობის საქონლის გატანას და შემოტანას, ვინაიდან ეს გამოიწვევდა საქონლის ჩაწოლას და მოგება ნაკლები დარჩებოდა.

სამეფო ხელისუფლება არ უშვებდა ურთიერთობის გამწვავებას ლევანტის ქვეყნებთან: ვენეციასთან, თურქეთთან, მიუხედავად ინგლისელ ვაჭართა არაერთი უკმაყოფილებისა, ვინაიდან პოლიტიკური თვალსაზრისით ინგლისისათვის წამგებიანი იქნებოდა ეს. აი, ეს არის სწორედ დიპლომატია. უმჯობესი იყო დაზარალებულიყო ინგლისელი ვაჭარები, ვიდრე გამწვავებულიყო ურთიერობა ლევანტის ქვეყნებთან.

ინგლისელმა ვაჭებმა განავითარეს ბამბის და აბრეშუმის წარმოების ტექნოლოგია, რომელიც ვითარდებოდა კაპიტალისტური გზით, რაშიაც ინგლისს დაეხმარა მაუდის ქსოვილების წარმოების გამოცდილება. საბოლოოდ, ინგლისური ქსოვილებით ვაჭრობა ლევანტის ქვეყნებში დიდძალ მოგებას უტოვებდა ინგლისს. ასევე აღმოსავლური საქონლის (ნედლეულის) აბრეშუმის, ბამბის შემოტანამ ხელი შეუწყო შესაბამისი წარმოების განვითარებას, რამაც განაპირობა ქვეყნის ეკონომიკური დაწინაურება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბელთაძე-ხინიკაძე ი (2009). ინგლისის სავაჭრო კომპანიები და კოლონიური ექსპანსია (XV-XVII ს. დასაწყისში),თბილისი.

2. EPSTEIN M.A., (1908) THE EARLY HISTORY OF THE LEVANT COMPANY. LONDON

3. Мортон А.А. (1950) История Англии. Москва.

4. Осокин М.Г. (1982) Торговля Англии с Левантом в период кризиса Английского абсолютизма (1600-1640). Москва .

5. Штокмар В.В., (1962) Экономическая политика английского абсолютизма в эпоху его расцвета. Ленинград.

6. Яброва М.М., (1983) Зарождение раннекапиталистических отношений в английском городе (Лондон XIV- начале XVI века) Автореферат дисс. на соиск.учен.степ. доктора ист.наук. Саратов,

## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ნეიტრალიტეტი
## Democratic Republic of Georgia and Neutrality


**გიორგი ბაციკაძე**

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*

*ისტორიის დოქტორანტი*

**Giorgi Batsikadze**

*Batumi Shota Rustaveli State University,*

*doctoral candidate in history*



**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.04



**აბსტრაქტი:** სამეცნიერო სტატია ეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და ნეიტრალიტეტის საკითხს. თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოს საგარეო ორიენტაციის საკითხს ყოველთვის თან ახლავს გამორჩეული საზოგადოებრივი ყურადღება, განსაკუთრებით დაძაბულ საერთაშორისო გეო-პოლიტიკურ ვითარებაში, როგორიც დღესაა. ნეიტრალიტეტი კი, რატომღაც, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ასოცირდება. ამდენად, სტატიის მიზანია ჩაუღრმავდეს ამ პრობლემას და გაანალიზოს რამდენად იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნეიტრალური სახელმწიფო.

სტატიაში განხილულია ცალკეული ისტორიული მოვლენები, რომლებიც შესაძლოა ბადებდეს შეხედულებას პირველი რესპუბლიკის საერთაშორისო ნეიტრალიტეტის შესახებ, ასევე მოვლენები, რომლებიც მოწმობენ საპირისპიროს და გვაძლევენ უაღრესად საყურადღებო ინფორმაციას და მყარ საფუძველს იმის სათქმელად, რომ საქართველოდ დემოკრატიული რესპუბლიკა არ იყო ნეიტრალური სახელმწიფო.

ეს საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი, ვფიქრობთ სტატია კარგ საფუძველს შექმნის ამ მიმართულებით კვლევის გასაფართოებლად და სამსახურს გაუწევს დაინტერესებულ მკვლევარებს.



**საკვანძო სიტყვები:** პირველი რესპუბლიკა, ნეიტრალიტეტი, პოლიტიკა, ხელშეკრულება



**Abstract:** The scientific article deals with the Democratic Republic of Georgia and the issue of its neutrality. The topic is relevant to the extent that the question of the foreign orientation of the state is always accompanied by outstanding public attention, especially in the tense international geo-political situation, such as today. Neutrality has been associated with the Democratic Republic of Georgia in

Georgia's past for some reason. Thus, the article aims to delve into this problem and analyze to what extent the Democratic Republic of Georgia was a neutral state.

The article discusses separate historical events that may give rise to the view of the international neutrality of the First Republic. As well as events that testify to the opposite and provide us with highly noteworthy information and a solid basis for saying that the Democratic Republic of Georgia was not a neutral state.

This issue is less studied, we think the article will create a beneficial basis for expanding research in this direction and will serve interested researchers.

**Key words:** First Republic, neutrality, politics, treaty

**შესავალი**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია და თანამედროვეობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია იმ თვალსაზრისით, რომ ზევრი იდენტური პრობლემა მაშინაც და ახლაც გარკვეული სიმწვავით დამდგარა და დადგება დღის წესრიგში. ეს არ არის გასაკვირი, ვინაიდან ქვეყნის ჩამოყალიბების პროცესს თან მუდმივად ახლავს სხვადა-სხვაგვარი დაბრკოლება, რომელთა გადალახვაც ფეხზე აყენებს ქვეყანას. სამწუხაროდ, ჩამოყალიბების, ასე ვთქვათ, მეორე პროცესი საჭიროზე მეტ ხანს, 1991 წლიდან, პრაქტიკულად დღემდე, გრძელდება. ამასთანავე, საქართველოს გეო-პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, გარკვეული საკითხები ყოველთვის აქტუალურია. ერთ-ერთი ამათგანია ქვეყნის საგარეო ორიენტაციის და საერთაშორისო სტატუსის თემა. საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის საერთაშორისო პოლიტიკა, მითუმეტეს რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, უდიდესი პასუხისმგებლობისა და სიფრთხილის სფეროა. ამიტომაცაა საზოგადოებრივი აზრის მღელვარების ამპლიტუდა განსაკუთრებით მაღალი და სენსიტიური ამ თემების ირგვლივ. ნეიტრალიტეტი სწორედ იმ საკითხთაგანია, რომელიც თანამედროვეობაშიც გააქტიურდა და მისი კონტექსტი, რატომღაც, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ასოცირდება. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია ჩავუღრმავდეთ საკითხს და განვმარტოთ იყო თუ არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნეიტრალური სახელმწიფო.

**ნეიტრალიტეტი და პირველი რესპუბლიკა**

უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას ნეიტრალიტეტის მნიშვნელობას. ნეიტრალიტეტი არ არის შემთხვევითი არასამხედრო არჩევანი, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას ასევე არანეიტრალური სახელმწიფოს მიერ, ჩვეულებითი და კონვენციური სამართალი განასხვავებს მუდმივ და დროებით, შეიარაღებულ და შეუიარაღებელ, ინდივიდუალურ და

კოლექტიურ, აქტიურ და პასიურ ნეიტრალიტეტს. 1856 წლის პარიზის და 1909 ლონდონის დეკლარაციებთან ერთად, 1907 წლის ჰააგის კონვენცია განსაზღვრავს ნეიტრალური ძალის უფლებებსა და ვალდებულებებს [**Papisca, 2017: 396**]. ჰააგის V კონვენცია ეხება ნეიტრალური ძალის უფლებებსა და ვალდებულებებს, კერძოდ, ნეიტრალურმა სახელმწიფომ არ უნდა მიაწოდოს არანაირი სამხედრო დახმარება მეომარ მხარეებს, იგულისხმება როგორც შეიარაღება, ასევე ცოცხალი ძალა, არ დაუთმოს მათ ნეიტრალური ტერიტორია, იყოს მიუკერძოებელი მეომარ მხარეებთან მიმართებაში, აქვს უფლება სამხედრო გზით დაიცვას მისი ნეიტრალიტეტის ხელყოფის მცდელობა და ა.შ. სახელმწიფომ შესაძლებელია ნეიტრალიტეტი მიიღოს კონკრეტულ მიმდინარე კონფლიქტთან მიმართებაში ან მუდმივი ნეიტრალიტეტი გამოაცხადოს [**Thomas, Duncan, 1999: 366**]. ეს უკანასკნელი ნიშნავს სახელმწიფოს, როგორც ნეიტრალური სუბიექტის კონსტიტუციურად დეკლარირებას, რომელიც ოფიციალურად დადგენილ სტატუსს ინარჩუნებს მანამ, სანამ არ დატოვებს ნეიტრალურ მდგომარეობას. იურიდიულთან ერთად, სახელმწიფო შეიძლება იყოს დე-ფაქტო ნეიტრალური, რაც ნიშნავს, არ ჰქონდეს ოფიციალურად გაცხადებული, თუმცა საერთაშო-რისო პოლიტიკაში პოზიციონირებდეს იმავე პრინციპებით.

რაც შეეხება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, იყო თუ არა იგი ნეიტრალური სახელმწიფო, ამისათვის ჩვენ რამდენიმე საკითხს განვიხილავთ.

ტრაპიზონში დაწყებულ საზავო კონფერენციაზე, რომელიც 1918 წლის 11 მაისს ბათუმში განახლდა, გამოიკვეთა ამიერკავკასიის ფედერაციის უეჭველობა. ოსმალეთის მოთხოვნებს ბათუმის, ყარსის, ერევნის გუბერნიის ნაწილის და ახალციხე-ახალქალაქის თაობაზე, აზერბაიჯანის გარდა ვერცერთი რესპუბლიკა ვერ დაეთანხმებოდა. ამათანავე, ქვეყნების მესვეურებს კარგად ესმოდათ ოსმალეთის და მათი ძალების თანაფარდობა, რის გამოც აუცილებელი იყო ძლიერი საერთაშორისო პარტნიორის პოვნა, სომხეთი ინგლისურ, ხოლო საქართველო გერმანულ ორიენტაციაზე დადგა [**ზენდიანიშვილი, 2006: 319-320**].

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებ-ლობა აღდგენილად გამოაცხადა და გამოსცა დამოუკიდებლობის აქტი, რომელშიც განისაზღვრა ქვეყნის სტატუსი, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა. დაფიქსირე-ბული იყო, რომ საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა [**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, 1990: 4**]. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი ნათელია და ნეიტრალიტეტი ოფიციალურად გაცხადებული. თუმცა, შევხედოთ მომდევნო პრაქტიკას, რომელიც დაგვანახებს საპირისპიროს და დამოუკიდებლობის აქტის ამ ჩანაწერის მიზეზს.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საქართველო გერმანიის მფარველობის ქვეშ გადავიდა. 1918 წლის 28 მაისს ფოთში დაიდო წინასწარი ხელშეკრულება [**ავალიშვილი,**

**1924: 85-88**], რომლითაც გერმანიამ ფატობრივად ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. 1918 ივნისში საქართველოში, ხელისუფლების თანხმობითა და მოწვევით, შემოვიდა გერმანული სამხედრო-დიპლომატიური მისია, საჯარისო შენაერთებითა და საბრძოლო აღჭურვილობით, რომლებიც განლაგდნენ საქართველოს ტერიტორიაზე [**ჯანელიძე: 77**]. იმავე წლის ოქტომბრისთვის მზად იყო ახალი ხელშეკრულება ქართულ-გერმანული ურთიერთობების განსამტკიცებლად [**ავალიშვილი: 152-154**], თუმცა გერმანიის მარცხმა პირველ მსოფლიო ომში ყველაფერი შეცვალა.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის და მისი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ, მათი კონტროლის ქვეშ არსებულ ტერიტორიას ანტანტის ჯარები იკავებენ. 1918 წლის მიწურულს საქართველოში ინგლისის ჯარები შემოდიან და 1920 წლის ზაფხულამდე რჩებიან. რუსეთში ბოლშევიკების წარმატებების პირდაპირპროპორციულობამ, საქართველოსთვის მზარდ საფრთხეებთან, განაპირობა ის, რომ ამჯერად უკვე პრო-ბრიტანულ ვექტორზე მყოფი ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ ინგლისის ჯარების თუნდაც მცირე ნაწილის საქართველოში დატოვებას, რადგან ყველას კარგად ესმოდა ძლიერი პოლიტიკური პარტნიორის თუ მფარველის სასიცოცხლო მნიშვნელობა ქვეყნისთვის. საქართველოს მთავრობა მზადყოფნას გამოთქვამდა, ჯარის მცირე ნაწილის დატოვების შემთხვევაში, დიდ ბრიტანეთთან გაეფორმებინა ხელშეკრულება სამხედრო ბაზის გამოყოფის თაობაზე. თუმცა, დიდმა ბრიტანეთმა ეს წინადადება არ მიიღო [**ზენდიანიშვილი, 2006: 333-334**].

1919 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა აქტიურად ეხმარებოდა ჩრდილო კავკასიელ მთიელებს დენიკინელებთან და ბოლშევიკებთან ბრძოლაში, როგორც ფინანსურად, ისე სამხედრო კუთხით. 1919 მარტში საქართველოს მთავრობამ მთიელებს გადასცა ტექნიკა, იმავე წლის აპრილში საკომუნიკაციო სისტემები, ხოლო ზაფხულში ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო შორს წავიდა და ჩრდილოეთ კავკასიაში გაიგზავნა ქართული სამხედრო რაზმი, რომელიც ჩეჩნეთში 1920 წლის თებერვლამდე მოქმედებდა. მთიელების დახმარება არ შეწყვეტილა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მანძილზე [**ვაჩაგაევი, 2022: 1-10**].

1920 წლის 7 მაისს გაფორმდა საზავო ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის, რის საფუძველზეც რუსეთი აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. მხარეები პირობას დებდნენ, ურთიერთშორის დაეცვათ სასტიკი ნეიტრალიტეტი, საქართველო იღებდა ვალდებულებას, რომ დაუყოვნებლივ განეიარაღებინა და განედევნა რუსეთის ან მისი ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ძალები, რომელთაც მიზნად ექნებათ რუსეთის, ან მოკავშირე სახელმწიფოთა, მთავრობის ძირს ჩამოგდება. აგრეთვე, სამომავლოდ არ მიეცა მსგავსი ძალებისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირების უფლება და ა.შ. [**საქართველოს რესპუბლიკა, N125, 1920: 1-3**].

მოსკოვის ხელშეკრულების გაფორმებას ორიოდ თვეში საქართველოდან ინგლისის ჯარების გასვლა დაემთხვა. თუმცა, ამ ორ მოვლენას ერთმანეთთან კავშირი არ აქვს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ესმოდა რა რუსეთისგან მომავალი საფრთხე, საქართველოს მთავრობა ცდილობდა ბრიტანეთის ჯარების ნაწილის დატოვებას საქართველოში. ბრიტანეთში ამ იდეის მთავარი გამტარებელი და მხარდამჭერი იყო ლორდი კერზონი, რომელიც არ უჭერდა მხარს ჯარების საქართველოდან გაყვანას **[George, 1938: 324]**. თუმცა, საბოლოოდ ბრიტანეთის პოლიტიკა აქეთ არ წავიდა **[George, 1938: 330-353]**, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა სხვაგვარად გადაწყვიტა. ბოლშევიკების წარმატებების ფონზე სამხედრო ინტერვენცია მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული და გადაწყდა ბრიტანეთის ჯარების ეტაპობრივი გაწვევა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ გადაწყვეტილებას არანაირი კავშირი არ აქვს 1920 წლის მოსკოვის შეთანხმებასთან, ამ საკითხზე ბრიტანეთში მიმდინარე ერთგვარ პოლემიკაში არსად ფიგურირებს ეს შეთანხმება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩანს ბრიტანელებს ჯარების ევაკუაციის გადაწყვეტილება ბევრად უფრო ადრე ჰქონდათ მიღებული (თუმცა ეტაპობრივად). ამის შესახებ საქართველოს მთავრობამ თებერვლის შუა რიცხვებში მიიღო ცნობა **[საქართველოს დამფუძნებელი კრება: სხდომის ოქმები: ტომი VI, 2019: 20]**, როდესაც მოსკოვის შეთანხმება მაისში გაფორმდა. ამასთანავე, ბრიტანეთს ბოლშევიკებთან ბრძოლის ტაქტიკა უკვე შეცვლილი ჰქონდა, გეზი კი რუსეთთან სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე აღებული. 1920 წლის დასაწყისში წამოწეული იდეა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმებაზე, არსებული წინააღმდეგობების შემდეგ, 1921 წელს იქნა სისრულეში მოყვანილი **[Glenny, 1970: 63–82]**.

ნეიტრალიტეტზე საუბრისას საგულისხმო ფაქტია 1919 წლის 16 ივნისის საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო ხელშეკრულება. ეს იყო კოლექტიური თავდაცვის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ორივე სახელმწიფო ვალდებულებას იღებდა მთელი შეიარაღებული ძალებით და სამხედრო საშუალებებით გამოსულიყო ყველა თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა ხელმომწერი სახელმწიფოების დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ ხელშეუხებლობას **[ერთობა, 1919 წ. 20 ივნისი, N134: 2]**.

ყველაფერთან ერთად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაუღალავად ესწრაფვოდა ერთა ლიგაში გაწევრიანებას, 1920 წლის სექტემბერში საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ გაწევრიანების მოთხოვნით ოფიციალურად მიმართა ერთა ლიგას. გაზრდილი საფრთხის ფონზე საქართველოში კარგად ესმოდათ უსაფრთხოების დამატებითი გარანტიების სასიცოცხლო აუცილებლობა. ერთა ლიგა კი საუკეთესო გამოსავალი იყო, რომლის წესდების მე-10 მუხლი ეხებოდა კოლექტიურ უსაფრთხოებასა და თავდაცვას, ლიგის წევრი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებდნენ დაეცვათ ყველა წევრის დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. საქართველოს მოთხოვნა რიგი

მიზეზებისდა გამო არ დაკმაყოფილდა და მთავრობის დასახული მიზანი ვერ შესრულდა, თუმცა მოცემულობა ცხადყოფს სახელმწიფოს მიზნებისა და პოლიტიკური ორიენტაციის ძირითად ასპექტებს.

**დასკვნა**

მაშასადამე, მოსაზრებაზე რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნეიტრალური სახელმწიფო იყო, ჩვენ მიერ წარმოდგენილი კონტრარგუმენტების საფუძველზე, შეგვიძლია შეჯამების სახით განვმარტოთ, რომ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში ჩადებული მუხლი საერთაშორისო ომიანობის დროს საქართველოს მუდმივი ნეიტრალიტეტის შესახებ განპირობებული იყო არა იმით, რომ საქართველო ნეიტრალური სახელწმიფოს ოფიციალურ სტატუსს იღებდა, არამედ დამოუკიდებლობა პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) მიმდინარეობისას გამოცხადდა და ეს იქნებოდა ახალშობილი სახელმწიფოსთვის ერთადერთი ლოგიკური პოზიცია, რათა შეძლებისდაგვარად გამიჯვნოდა შეიარაღებულ კონფლიქტს.

სახელწმიფო, რომელიც ცდილობს ჰყავდეს სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე, მის ტერიტორიაზე განათავსოს სხვა სახელმწიფოს შეიარაღება, დახმარებას უწევს სხვა სახელმწიფოს ოფიციალურ ტერიტორიაზე აჯანყებას, გააჩნია კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულება მეზობელ სახელმწიფოსთან, ისწრაფვის გახდეს საერთაშორისო ბლოკის წევრი, რომელსაც ასევე კოლექტიური თავდაცვის პრინციპები გააჩნია და, ყველაფერთან ერთად, კონსტიტუციურად არ აცხადებს ნეიტრალიტეტს, მიზანშეუწონელია ეწოდოს ნეიტრალური სახელმწიფო.

შესაბამისად, წარმოდგენილი მონაცემებისა და არგუმენტების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არ იყო ნეიტრალური სახელმწიფო და კონკრეტულ შემთხვევებში ნეიტრალური სახელმწიფოს სახით პოზიციონირება განპირობებული იყო სიტუაციური აუცილებლობით და არა ამგვარი საგარეო ვექტორით.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გაზეთი ერთობა, 1919 წ. 20 ივნისი, N134

2. გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 1920 წ. 8 ივნისი, N125

3. ავალიშვილი ზურაბ, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, წიგნი I, თბილისი, 1990

4. ზენდიანიშვილი ალექსანდრე, ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები, თბილისი, 2006

5. ვაჩაგაევი მაირბეკ, ქართული ლეგიონი ჩეჩნეთში (1919 წლის სექტემბერი - 1920 წლის დეკემბერი), 2022. https://gfsis.org.ge/ge/publications/view/3205.

6. ჯანელიძე ოთარ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 2018

7. საქართველოს დამფუძნებელი კრება : სხდომის ოქმები : ტომი VI, თბილისი, 2019

8. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბილისი, 1990

9. David Lloyd George, The Truth About The Peace Treaties Vol-1, London, Victor Gollancz LTD, 1938

10. Glenny, M. V. "The Anglo-Soviet Trade Agreement, March 1921." Journal of Contemporary History, vol. 5, no. 2, 1970, pp. 63–82.

11. Papisca A. (2017) 'Active Neutrality with the New International Law. Reflections from a Politics of Law Perspective', Peace Human Rights Governance, 1(3), 395-404.

12. Thomas A.R., Duncan J.C. (Editors), Annotated Supplement to the Commander's Handbook on the Law of Naval Operations, International Law Studies- Volume 73, U.S. Naval War College, Newport, Rhode Island, 1999.

**ჰერეთის ისტორიული ძეგლები**

**Historial monuments of Hereti**

**ოთო საბანაძე**

*ხარიტონ ახვლედიანის სახელობის*

*აჭარის მუზეუმის მეცნიერ - მუშაკი*

**Otar Sabanadze**

*LEPL Ajara Museum*

*Khariton Akhvlediani State Museum, magister*

**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.05

**აბსტრაქტი:** ჰერეთი უძველესი დროიდან ესაზღვრებოდა იბერიის სამეფოს აღმოსავლეთიდან და დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ტომებით. იბერებსა და ჰერებს შორის უძველესი დროიდანვე არსებობდა მჭიდრო კავშირები და შეიმჩნეოდა ჰერული ტომების ქართლ-კახელებთან კულტურულ-ეთნიკური და პოლიტიკური შერწყმის პროცესი. ჰერეთის წარმოშობაზე საინტერესო ცნობა აქვს ვახუშტი ბატონი-შვილს, მისი თქმით ''ჰერეთი ეწოდა თარგამოზის ძის, ჰეროსის გამო, რომელსაც ძმათა თვისთა შორის წილად ხუდა ქვეყანა ესე და დაიპყრა საღვარი თვისი'' (**ვახუშტი ბატონიშვილი, 1941:86**). VIII საუკუნეში ხდება ჰერეთის სამთავროს ჩამოყალიბება. მისი სამეფოდ გადაქცევა დაკავშირებულია გრიგოლ ჰამამის სახელთან, რომელმაც 893 წელს მიიღო მეფის ტიტული. ჰერეთის სამეფო მოგვიანებით კახეთის მეფე კვირიკე III მ შეიერთა და შეიქმნა ერთიანი კახეთ-ჰერეთის სამეფო. 1104 წელს ერწუხის ბრძოლაში დავით აღმაშენებელმა მოახერხა და კახეთ-ჰერეთი შეუერთა ერთიან ფეოდალურ საქართველოს. ჰერეთისთვის განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა XVII საუკუნის დასაწყისი. შაჰ აბას I - მა ჰერეთის ტერიტორიაზე ჩამოაყალიბა ელისუს სასულთნო, რომელიც გამაჰმადიანებულ ქართველ თავად ვახვახიშვილს გადასცა და სულთნობა უბოძა. ამიერიდან ელისუს სასულთნო გახდა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ფორპოსტი. დაიწყო მთიდან ლეკების ჩამოსახლება და დამკვიდრება. ლეკები ძლიერ ავიწროვებდნენ ქართველებს და აიძულებდნენ ისლამის მიღებას. XIX საუკუნეში მკვიდრდება ტერმინი ''საინგილო''. ინგილო თურქულად ''ახლად მორჯულებულს'' ნიშნავს, ხოლო ინგილოებს გამაჰმადიანებულ ქართველებს უწოდებდნენ. ჰერეთის საქართველოდან სამუდამოდ ჩამოცილება მოხდა სერგო ორჯონიკიძის და იოსებ სტალინის თაოსნობით 1921 წლის 15 ნოემბერს საქართველოსა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკების შეთანხმების საფუძველზე. დღეისათვის ჰერეთი შედის აზერბაიჯანის შემადგენლობაში და მოიცავს ბელაქანის, ზაქათალის და კახის რაიონებს. მიუხედავად სამშობლოსგან მოწყვეტისა, ჰერეთში დღესაც შემორჩენილია ქართული კვალი,

რაც გამოხატულია სხვადასხვა ისტორიული ძეგლებით, მათ შორის უმრავლესი არის ტაძრე-ბი. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ ქართველს ჰქონდეს ინფორმაცია სამშობლოს მიღმა დარჩენილ სამშობლოზე და იქ არსებულ ქართულ ძეგლებზე. ჩემს მიერ მომზადებული თემაც ამ მიზანს ემსახურება. ამ სტატიაში მე შევეხები ჰერეთის რამდენიმე გამორჩეულ მატერიალური-კულტურის ძეგლს, მათ შორისაა: ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია, ალიბეგლოს წმინდა ნინოს ეკლესია, კახის პატარა ალავერდის ეკლესია, ლექართის წმინდა ნინოს სამონასტრო კომპლექსი, ჰერეთში არსებული ე.წ კავკასიის დიდი კედელი და თამარის ხიდი.

**საკვანძო სიტყვები:** ჰერეთი, მატერიალური კულტურის ძეგლები, საინგილო, საქართველოდან ჩამოცილება, ქართული კვალი

**Abstract:** From ancient times, Hereti bordered the Kingdom of Iberia from the east and was inhabited by tribes related to Georgians. From ancient times, there were close ties between the Iberians and the Herians, and the process of cultural-ethnic and political fusion of the Heruri tribes with the Kartl-Kakhels was noticed. Vakhushti Batonishvili has an interesting report on the origin of Hereti, according to him, «Hereti was named after Heros, the son of Targamozi, who divided the five countries of Ese among his brothers and conquered the Saghvari region» (Vakhushti Batonishvili, 1941:86). In the 8th century, the principality of Hereti was established. Its transformation into a kingdom is connected with the name of Gregory of Hammam, who received the title of king in 893. The Kingdom of Hereti was later annexed by the King of Kakheti, Kvirike III, and a unified Kingdom of Kakheti-Hereti was created. In 1104, Davit Agmashenebeli succeeded in the battle of Ernakh and joined Kakheti-Hereti to the united feudal Georgia. The beginning of the 17th century was particularly difficult for Hereti. Shah Abbas I established the Elisu Sultanate on the territory of Hereti, which he handed over to the Georgian Prince Vakhvakhishvili, who converted to Islam, and gave him the Sultanate. From now on, Elisu Sultanate became the main outpost of the fight against Kartli-Kakheti. The settlement and settlement of Leks from the mountain began. The Leks oppressed the Georgians and forced them to accept Islam. In the 19th century, the term «Saingilo» was established. Ingilo means «newly converted» in Turkish, and the Ingilos were called Georgians who converted to Islam. Hereti was permanently removed from Georgia under the leadership of Sergo Orjonikidze and Joseph Stalin on November 15, 1921, based on the agreement between the Soviet Republics of Georgia and Azerbaijan. Today, Heret is part of Azerbaijan and includes Belakani, Zakatali and Kakh regions.

Despite being cut off from the motherland, Georgian traces have been preserved in Hereti today, whIt is important for every Georgian to have information about the homeland and the Georgian

monuments there. The topic prepared by me also serves this puIn this article, I will touch on some outstanding material-culture monuments of Hereti, including:rpose.ich is expressed by various historical monuments, the majority of which are churches. In this articleSt. George's Church in Kurmukh, St. Nino's Church in Alibeglo, Little Alaverdi Church in Kakh, St. Nino's Monastery Complex in Lekarti, the so-called Great Wall of the Caucasus in Hereti and the Tamar Bridge.

**Keywords:** Hereti, monuments of material culture, Saingilo, withdrawal from Georgia, Georgian traces

## ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია

ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია მდებარეობს კახის რაიონში. იგი აშენებულია ე.წ კარგარაკის მთის წვერზე, საიდანაც იშლება ქურმუხის ხეობის შესანიშნავი ხედი. ქურმუხის ეკლესია თარიღდება XIII-XIV საუკუნით, თუმცა იგი ისტორიის მანძილზე მრავალჯერ ყოფილა დანგრეული და შემდეგ თავიდან აღდგენილი . საბოლოოდ მისი აღდგენა მოხდა 1894 წელს ადგილობრივი ქრისტიანების ძალისხმევით. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია წმინდა ადგილად ითვლებოდა და ახლაც ითვლება როგორც ადგილობრივი ქრიტიანი ქართველებისთვის, ასევე არაქართველი მოსახლეობისთვისაც.



განსაკუთრებულად აღინიშნება 23 ნოემბერი გიორგობის დღესასწაული, რომელსაც ''ქურმუხობას'' უწოდებენ. ამ დღეს მლოცველები ფეხშიშველები მიემართებიან ტაძრისაკენ და მიაქვთ შესაწირი, ასევე ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები. წმინდა გიორგის ტაძრის გვერდით მდებარეობს უზარმაზარი კლდეში ჩამჯდარი ქვა, რომელიც ძველად წარმართულ ადგილად ითვლებოდა და არის შებოლილი საუკუნეების განმავლობაში ჯერ წარმართთა რიტუალის და შემდეგ ქრისტიან მლოცველთა სანთლებისგან **(ჭილაშვილი, 1980:198)**

1968 წლის 10 აპრილს კონუსური ფორმის მაღალი გუმბათი მთლიანად ჩამოინგრა. მის ადგილას აზერბაიჯანელი არქიტექტორები მეჩეთის მსგავსი გუმბათის ყელის დადგმას აპირებდნენ, რასაც ადგილობრივების უკმაყოფილება მოჰყვა. ისინი ტაძრის პირვანდელი ფორმით აღდგენას მოითხოვდნენ, რასაც საბოლოოდ მიაღწიეს კიდეც. დღეისათვის ეკლესი-აში წირვა ლოცვა არ აღესრულება, იგი მხოლოდ გიორგობის დღესასწაულებზე წელიწადში ორჯერ იღება მომლოცველებისთვის.

## ალიბეგლოს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია

ალიბეგლოს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია მდებარეობს კახის რაიონში, სოფელ ალიბეგლოში. მისი ძველი ქართული სახელი არის ''ქათმისხევა'', ხოლო ალიბეგლო კი ეწოდა ელისუს სულთნის ვახვახიშვილის გამო, რომელმაც რწმენა შეიცვალა და ალი-ბეგი



იწოდა.  წმინდა ნინოს ტაძარი აშენდა 1877 წელს. 1930-1932 წლებში მოხდა მისი გუმბათის, სამრეკლოს და ორქანობიანი კრამიტის სახურავის შეკეთება, რადგან მას საბჭოთა პერიოდში მინიჭებული ჰქონდა სასაწყობე ფუნქცია. ტაძარს იყენებდნენ მინერალური სასუქის და სხვადასხვა ნედლეულის შესანახად. ეკლესიის პატრონობა ძველი დროიდანვე მინდობილი ჰქონიათ ეკლესიის ახლოს მცხოვრებ ყიყიშვილების ოჯახს. ყიყიშვილების წინაპრებს დავალებული ჰქონიათ შემოსევების პერიოდში ეკლესიის განძის გადამალვა, რათა იგი მტერს არ ჩაეგდო ხელში. მათ ოჯახში დღემდე ინახება წმინდა ნინოს ეკლესიიდან გამოტანილი და საგულდაგულოდ შენახული ძვირფასი ნივთები, მათ შორის: თავმომრგვალებული ხის ჩარჩოში ჩასმული  წმინდა  ნინოს ორი ხატი, წმიდა ნინოს გამოსახულება შესრულებული  ზეთის ფერებში, წმიდა გიორგის ხატი, რომელიც ჭედურ ნახელავს წარმოადგენს, დაზიანებული სახარება,  ორი ვერცხლის ჯვარი და სხვ.

მტერთა შემოსევების გამო ეკლესიებიდან სიმდიდრის გახიზვნის ტრადიციამ ცალკეულ ოჯახებში შექმნა ქრისტიანული წმინდა ადგილები, რამაც დიდი წვლილი შეიტანა მოსახლეობის ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში. რაც შეეხება თვით წმინდა ნინო ტაძარს, იგი სხვა ქართული ტაძრების მსგავსად, მრავალჯერ ყოფილა დანგრეული და შემდეგ ახლიდან აღდგენილი.  ტაძრის აღდგენა დაიწყო 2010 წელს. მოხდა შიდა ინტერიერის კეთილმოწყობა და გარე ფასადის შეკეთება. მას ფინანსური დახმარება გაუწიეს სხვადასხვა პიროვნებებმა და ორგანიზაციებმა ალიბეგლოს დრამატული თეატრის წარმომადგენლის კოტე ბარიხაშვილის ხელმძღვანელობით. ტაძარში ნინოობის დღესასწაული აღინიშნება წელიწადში ორჯერ 27 იანვარს და 1 ივნისს. ამ პერიოდში ტაძარს ჰერეთის სხვადასხვა სოფლებიდან ქართველი მოსახლეობა სტუმრობს.

### კახის პატარა ალავერდის ეკლესია



ჰერეთისა და ქართული სახელმწიფოს ერთიანობის სიმბოლოდ შეიძლება ჩაითვალოს კახში მდებარე პატარა ალავერდის ეკლესია. 14 სექტემბერს ისევე როგორც კახეთში, კახშიც აღინიშნება ალავერდობა ზუსტად იგივე წეს-ჩვეულებებით. კახის გუმბათიანი პატარა ალავერდის ტაძარი აშენებულ იქნა ძველი უგუმათო ბაზილიკური ტაძრის ადგილას 1888 წელს ადგილობრივი მოსახლეობის სახსრებით. რაც შეეხება ძველ ტაძარს, იგი XIII საუკუნით თარიღდება მან ჟამთა სვლას და მტრების შემოტევას

ვერ გაუძლო და განადგურდა. ახალი ტაძარი ყველაზე უკეთაა შემორჩენილი საინგილოს ტაძრებიდან.

## ლექართის წმინდა ნინოს სამონასტრო კომპლექსი

ქ. კახიდან ოდნავ მოშორებით მდებარეობს უძველესი ქართული სოფელი ''ლექა-რთი'', თუმცა ლეკები სოფელს ''ლექეთს'' უწოდებენ. სოფლიდან ჩრდილოეთით 3 კილომეტრის მანძილზე კავკასიონის მთის ძირას, მდებარეობს ლექართის მონასტრის შენობათა ნანგრევები. ლექართის სამონასტრო კომპლექსი ჯერ ჯერობით სათანადოდ არ არის შესწავლილი. როგორც ნანგრევებიდან ვარაუდობენ, აქ უნდა იყოს 10 თუ 12 მდე ეკლესია, რომლის შესწავლასაც



ხელს უშლის გარემო პირობები, რადგან ტაძრები დაფარულია ბარდ-ეკლებით. ლექართის კომპლექსმა XX საუკუნემდე შემოინახა მისი ბრწყინვალება, რაც გამოიხატა ჩუქურთმებით, მხატვრობითა და ფერწერით. სამონასტრო კომპლექსი როგორც ჩანს ძველად გალავნით ყოფილა გარშემორტყმული, რაზეც მიუთითებს გალავნის ნაშთები. ლექართის კომპლექსი მისი სამონასტრო ცხოვრებითა და მრავალი სასწავლებელით წააგავს იყალთოს კომპლექსს. შუა საუკუნეებში სამონასტრო კომპლექსი წარმოადგენდა აღმოსავლეთ კახეთის მთავარ

საგანმანათლებლო კერას **(ად- ამია, 1969:59)**. მონასტერთა ნანგრევები მათი მდებარეობის გამო იყოფიან ორ ჯგუფად. მათ მოსახლეობა ''ქვემო და ზემო მონასტრებს'' უწოდებს. აღსანიშნავია ქვემო ტაძრების ჯგუფს მიკუთვნილი წმინდა ნინოს მონასტერი. იგი მისი ხუროთმოძღვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტით ენათესავება ისეთ ძეგლებს, როგორიცაა ზანას ტაძარი VII-IX ს.ს და ზვართნოცის ტაძარი VII ს.ს. ძეგლი 1940 წელს გამოიკვლია არქიტექტორმა პ.დ ბარანოვსკიმ. აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად არ აღმოჩნდა.

ძეგლის ხუროთმოძღვრული მორთულობის რაიმე ელემენტები-სამკაულები, რის გამოც იგი ჩამორჩება ზანას და ზვართნოცის ბრწყინვალე ორნამენტალურ დეკორულ გადაწყვეტას. მისი სამშენებლო ტექნიკაც უფრო არქაულად გამოიყურება, შეიცავს მრავალ საყურადღებო განმსახვავებელ ელემენტებს და მკაცრი სამშენებლო ტრადიციებით ხასიათდება. ამიტომ იგი წინ უსწრებს ზანას და ზვართნოცის მშენებლობის პერიოდს და აკუთვნებენ მისი იდენტური ძეგლის სირიის ე.წ ბოსრეს ტაძრის (**512წ.**) მშენებლობის პერიოდს. აქედან გამომდინარე იგი შეიძლება ჩაითვალოს V-VI საუკუნის ძეგლად.

## თამარ მეფის ხიდი

ჰერეთში, კონკრეტულად კი კახის რაიონში მდინარე ქურმუხზე მდებარეობს უძველესი ხიდი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა თამარ მეფის ხიდს უწოდებს, ხოლო აზერბაიჯანელები კი ულუ-ქორფუს (მაღალი ხიდი). ხიდი დღესაც გამოიყენება.



იგი ერთადერთია ხეობაში. მისი თაღი აგურით არის ნაგები, დანარჩენი კი რიყის ქვებით. ხიდის სიგრძე შეადგენს 15 მეტრს, სიგანეში კი 4 მეტრია. ქურმუხის წყალი როგორც მთის მდინარეებს სჩვევიათ ხშირად დიდდება, განსაკუთრებით კი გაზაფხულობით. ხშირად ადიდებული წყალი თაღამდეც აღწევს, რის გამოც ხიდის თაღს ცვეთა ეტყობა იმ მხრიდან, საიდანაც წყალი შედის. ცვეთის კვალი ძლიერ დიდია და დაუკვირვებელი თვალითაც კარგად ჩანს. ასევე უნდა აღინიშნოს ერთი ძალიან საინტერესო ფაქტი. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით მდინარე ქურმუხზე მრავალჯერ სცადეს ახალი ხიდის აგება, თუმცა ყველა ჯერზე ახალი ხიდი ადიდებულმა მდინარემ წაიღო, ხოლო თამარის ხიდს კი ჟამთასვლა და რთული კლიმატური პირობები ვერას აკლებს.

რამდენად შეიძლება მისი თამარ მეფესთან დაკავშირება ეს რთული დასამტკიცებელია, თუმცა იგი ძლიერ წააგავს X-XIII ს.ს სამხრეთ საქართველოში გავრცელებულ ხიდებს **(ჭილაშვილი, 1980:192)**.

### კავკასიის დიდი კედელი

ჰერეთში ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლების გარდა ასევე მრავლად არის თავდაცვითი დანიშნულების ძეგლებიც. ასეთს მიეკუთვნება ჰერეთში არსებული დიდი კედელი ანუ გალავანი. ასეთი დანიშნულების კედლები ევრა-ზიაში სხვადასხვა დროს და



სხვადასხვა ქვეყნებში შენდებოდა. მათ შორის უნდა აღინიშნოს რომის - ლიმესი და ჩინეთის დიდი კედელი, რომლებსაც თავდაცვითი დანიშნულება ჰქონდა. მსგავსი მსგავსი ტიპის კედლის ნაშთი შემორჩენილია ჰერეთშიც. რაც შეეხება კედ ლის მასშტაბებს იგი ქ. ბელაქანიდან დარუბანდამდე იყო გადაჭიმული. აღნიშნუ- ლი უზარმაზარი კედელი მოსახლეობას იცავდა მთიე-ლების თავდასხმისაგან. ხალხური გადმოცემის მიხედ ვით ძეგლი აშენებულია XII საუკუნეში თამარ მეფის მიერ, თუმცა არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ფარიკი კედლის მშენებლობას მიაწერს ხოსრო I ანუშირვანს **(531-578)**. კედლის მიდამოებში 1931 წელს გათხრები აწარმოა პოხომოვმა და მისი აზრითაც კედელი აგებული უნდა იყოს სასანიდების მიერ **(V-VII ს.)**. ყველაზე უკეთ კედლის ნაშთები შემო-რჩენილია ბელაქნის და ზაქათალის რაიო-ნებში. ზოგიერთ ადგილას კედლის სისქე აღემატება 150 სმ - ს, ხოლო სიმაღლე 250 სმ -ს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კედლის კვალი მრავალ ადგილას წაიშალა იმის გამო, რომ მოსახლეობა ახდენდა კედლის წყობიდან ქვების გამოცლას და გაზიდვას, რაც ახლაც წარმოებს და ამ მეტად საინტერესო ძეგლს ასე გაგრძელების შემთხვევაში სრულიად გაქრობა მოელის.

### დასკვნა

ჰერეთმა მისი ისტორიის მანძილზე გაუძლო უამრავ განსაცდელს. იგი წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთ მთავარ კარიბჭეს და იცავადა სამშობლოს აღმოსავლეთიდან მოსული

მტრისაგან. ეთნიკური და რელიგიური ცვლილების გამო მოხდა ჰერეთის საქართველოსგან ჩამოცილება მტრების მიერ. მიუხედავად ამისა ჰერელი ქართველების ნაწილი დღემდე ინარჩუნებს ეროვნულ იდენტობას და ზრუნავენ ამ მხარეში არსებული ქართული კულტურის ძეგლების კეთილდღეობაზე. ჟამთასვლამ და მტრებმა მაინც ვერ წაშალეს ქართული კვალი ჰერეთში. მნიშვნელოვანია ქართულმა სახელმწიფომ და ქართულმა ეკლესიამ იზრუნოს როგორც ადგილობრივი ქართველების იდენტობის დაცვაზე, ასევე ქართული ეკლესია - მონასტრების და სხვადასხვა ქართული ძეგლების მოვლა-პატრონობაზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს ისტორიის ოთხტომეული - ტომი მეორე

2. ჭილაშვილი ლ, კახეთის ქალაქები (XIV-XVII ს.ს), გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი 1980

3. პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970

4. ვახუშტი ბატონიშვილი - აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია) - თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით - სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა - თბილისი - 1941.

5. დ.მუსხელიშვილი-საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები II თბ. გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი 1980

6. ილია ადამია - ძველი ჰერეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები // ძეგლის მეგობარი, 1969 წ. კრ.19

# სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პრეისტორიულ ძეგლებზე წარმოებული კომპლექსური კვლევის შედეგები
# The result of complex researches on the prehistoric monuments of South-West Georgia

**გურამ ჩხატარაშვილი**
*სსიპ აჭარის მუზეუმი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი,*
*არქეოლოგიის  აკადემიური დოქტორი*
**რეზო ტაკიძე**
*ქობულეთის მუზეუმის დირექტორი,*
*არქეოლოგიის აკადემიური დოქტორი*
**ვალერი მანკო**
*უკრაინის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტი*
**Guram Chchatarashvili**
*LEPL Ajara Museum, Batumi Archaeological Museum,*
*PhD in Archaeology*
**Rezo Takidze**
*Director of Kobuleti Museum, PhD in Archaeology*
**Valeri Manko**
*Institute of Archaeology at Ukraine s national academy of Sciencies*
**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.06

**აბსტრაქტი** - წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია აჭარის რეგიონის (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) ადრე ჰოლოცენის ეპოქის ძეგლებზე სოფ. ქობულეთსა და ხუცუბანში ჩატარებული ინტერდისციპლინური არქეოლოგიური და ლაბორატორიული კვლევების შედეგები. ქვის არტეფაქტების ტიპოლოგიურმა და ტრასოლოგიურმა ანალიზებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა უძველესი ადამიანის ძირითადი საქმიანობა. ობსიდიანის არტეფაქტების გეოქიმიური ანალიზის (XRF მეთოდით) გამოყენებით შესაძლებელი გახდა განგვესაზღვრა იმდროინდელ ადამიანთა მობილურობა. პალინოლოგიური კვლევების საფუძველზე მოხდა უძველესი პალეოგარემოს რეკონსტრუქცია. მცენარეთა სპორების მიხედვით დასტურდება, რომ ქობულეთის ტერიტორიაზე ადრე ჰოლოცენის ხანაში თბილი კლიმატი იყო. აბსოლუტური თარიღების მიღება რადიოკარბონული მეთოდის (C14 AMS) გამოყენებით აჭარის ქვის ხანის არქეოლოგიისთვის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს.

**საკვანძო სიტყვები:** პრეისტორია, აჭარა, არქეოლოგია, ინტერდისციპლინური კვლევა

**Abstract** - In this paper we present the results of interdisciplinary archaeological and laboratory investigation carried out at the Kobuleti and Khutsubani Early Holocene sites in Ajara region (Kobuleti municipality). The typological and Use-Wear Analyses of stone artifacts helped to define the main branch of the economy of humans at the sites. Geochemical analysis of obsidian artifacts (by XRF method) helped us to define the mobility pattern of early humans. Palynological studies were conducted to reconstruct the paleoenvironment. The investigated plant spores proved that the climate in the Early Holocene was warm. Definition of an absolute date by means of the radiocarbon method (C14 AMS) represents an innovation conducted in the study of the Stone Age in Ajara.

**Keywords:** Prehistory, Ajara, Archaeology, Interdisciplinary investigation

უკანასკნელ ხანებში, სულ უფრო იზრდება ინტერესი საქართველოს პრეისტორიული ეპოქის მიმართ. ამას ადასტურებს განსაკუთრებით სოფ. ოროზმანის მიდამოებში აღმოჩენილი უძველესი ჰომინიდის კბილისა და და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა სამუშაო იარაღების აღმოჩენა (Bidzinashvili et. al., 2023). ბუნებრივია, არქეოლოგიური კვლევა-ძიებების გაგრძელების შემდეგ კიდევ უფრო მნიშვნელოვან აღმოჩენას ჩაეყრება საფუძველი.

პრეისტორიული ეპოქის ძეგლების კვლევაში მნიშვნელოვანი აღმოჩენების მიღმა არც ჩვენი რეგიონი დარჩენილა. 2019-2022 წწ. ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად, მეტად საინტერესო საველე არქეოლოგიური და ლაბორატორიული სამუშაოები ჩატარდა ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებულ სოფ. ქობულეთისა და ხუცუბნის ქვის ხანის ნამოსახლარებზე. აღსანიშნავია, რომ კვლევები განხორციელდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებითა და ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმის თანადგომით. ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებდა საქართველოს-უკრაინის საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია (ექსპედიციის ხელმძღვანელი: დოქტ. გურამ ჩხატარაშვილი) (Chkhatarashvili, Manko, 2020).

პრეისტორიული ეპოქის ძეგლებზე წარმოებული სამუშაოები კომპლექსური კვლევების ხასიათს ატარებდა და მოიცავდა რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას. კერძოდ:

- საველე არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა არქეოლოგიაში მიღებული თანამედროვე მეთოდიკის დაცვით. პირველ რიგში, შესასწავლ ფართობზე აიგო კვადრატები (1×1 მ). თითოეულ მათგანს მიეცა შესაბამისი ნუმერაცია და ლათინური ასო. ზედა ფენა ავიღეთ ნიჩბების გამოყენებით. კულტურული ფენის გამოჩენის დროს დავიწყეთ თხელი

ფენის (5 სმ) აღება სპეციალური დანებითა და საპრეპარაციო იარაღებით. ყველა არტეფაქტს მიეცა თავისი საინვენტარო ნომერი და დაფიქსირდა საველე დავთარში. In Situ მდომარეობაში აღმოჩენილი არტეფაქტი დავიტანეთ საერთო გეგმაზე სიღრმეების მითითებით. გათხრების პარალელურად გავასუფთავეთ ჭრილები, რომლებიც პარალელურად გრაფიკულად ჩაიხატა. პრეპარირებული ნიადაგი გაიცრა და გაირეცხა ლითონის ბადეში (3×3 მმ; 5×5 მმ).

- მოპოვებულ არტეფაქტებზე (კაჟი, ობსიდიანი) შედგა მონაცემთა ბაზა, რომელშიც მიეთითა ზომა, წონა, არსებული მდგომარეობა. დაიწყო მათი დეტალური აღწერა და სხვ. მასალათა სტატისტიკური დამუშავება მოხდა სპეციალური პროგრამის (statistica12.0) გამოყენებით.

- მუზეუმის ქვის ხანის ფონდებში მუშაობის დროს მოხდა მოპოვებული ქვის ინვენტარის შესწავლა ფორმალურ-ტიპოლოგიური მეთოდის გამოყენებით, რომელიც განხორციელდა ჟ. ტიქსიეს (Tixie, 1974) და ჟ. პელეგრინის (Pelegrin, 2012) ტიპოლოგიური სქემების მიხედვით. ანალიზის შედეგად შევისწავლეთ მთლიანი კოლექცია (დაახლ. 5 000 ერთ.). დამუშავდა საველე დავთრები და დღიურები. შეიქმნება მონაცემთა ბაზა;

- ქვის ინვენტარის ფუნქციონალურ-ტრასოლოგიური ანალიზი ჩატარდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევების ბაზაზე, ისტორიის დოქტორ, ტრასოლოგ ქეთევან ესაკიას მიერ. ტრასოლოგიური ანალიზის მიზანია ქვის ინვენტარის მიკროსკოპული შესწავლა უძველესი ადამიანის საქმიანობის დასადგენად. კვლევები ხორციელდება ორ ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავს არტეფაქტების ზედაპირის მიკროსკოპულ შესწავლას. იარაღის გამოყენების დროს მის ზედაპირზე სავსებით კანონზომიერი, სხვადასხვა ტიპის კვალი რჩება, რომლის შესასწავლად გამოყენებული იყო ბინოკულარული მიკროსკოპი (МБС-9). იარაღის მცირე მონაკვეთზე დაკვირვებისა და მიკროსტრუქტურის ფოტოგრაფირებისთვის გამოყენებული იყო მეტალოგრაფიული მიკროსკოპი (Olympus). კვლევის მეორე ეტაპი მოიცავდა არტეფაქტთა ფუნქციონალურ ანალიზს, კლასიფიკაციას მეურნეობის დარგების მიხედვით და ჰისტოგრამების აგებას. ქვის ინვენტარზე ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ გამოვლენილ იარაღთა უმეტესობა დაკავშირებულია ნანადირევი ხორცის დამუშავებასთან. შედარებით ცოტაა ხის/ძვლის და ტყავის დამუშავებისთვის საჭირო იარაღები (Chkhatarashvili et. al., 2020; Эсакия и др. 2020).

- პალინოლოგიური კვლევები ჩატარდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეოანთროპოლოგიისა და პალეობიოლოგიის კვლევით ინსტიტუტში სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორ, პალინოლოგ მაია ჭიჭინაძის მიერ. პალინოლოგიური ანალიზის მიზანია, მცენარეთა მტვრიანის შესწავლით დადგინდეს იმდროინდელი ადამიანის პალეოკლიმატური გარემო და ფლორა. არქეოლოგიური თხრილის ჭრილებიდან და/ან ორმოებიდან სტანდარტული მეთოდების გამოყენებით აღებულ იქნა ნიმუშები შემდგომი

ლაბორატორიული კვლევისათვის. თავდაპირველად ანალიზისთვის საჭირო ერთ-ერთი ჭრილის გვერდითი სიღრმიდან ავიღეთ დაახლ. 15-20 სმ მიწა, რომ არ მოხდეს თანამედროვე მცენარის მტვერი. ამის შემდეგ დავიწყეთ სინჯების აღება ქვემოდან ზემოთ, ყოველ 2 სმ შორის, რამაც საშუალება მოგვცა მივიღოთ სრული პალინოლოგიური სვეტი. პალინოლოგიური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ადრე ჰოლოცენის ხანაში სოფ. ქობულეთის და ხუცუბნის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო სითბოსმოყვარული მცენარეები (რცხილა, მურყანი, ცაცხვი, ძელქვა და სხვ.), რაც, თბილ და ზომიერ კლიმატზე მიუთითებს (Chkhatarashvili et. al., 2020).

ამასთან ერთად, პალინოლოგიურ ნიმუშებში დიდი რაოდენობით დაფიქსირდა სელის ქსოვილის ბოჭკოები, რაც იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ იმდროინდელი ადამიანი კარგად იცნობდა სელს, როგორც მცენარეს და მისგან ამზადებდა ტანსაცმელს.

- ობსიდიანის გეოქიმიური ანალიზი საშუალებას იძლევა, დადგინდეს ობსიდიანის ქიმიური შემადგენლობა და წარმომავლობა, რაც სპეციალსტებს შესაძლებლობას აძლევს განსაზღვროს უძველეს ადამიანთა მობილურობა და კონტაქტები. კვლევა ჩატარდა მისურის უნივერსიტეტის (აშშ) რეაქტორის კვლევის ცენტრის არქეომეტრიის ლაბორატორიაში. ობსიდიანის კვლევის საქმეში ლაბორატორიას მსოფლიო მასშტაბით უმდიდრესი გამოცდილება აქვს. ანალიზი ჩატარდა რენტგენოსპექტრალურფლუროსცენციური (XRF) მეთოდის გამოყენებით, რომელიც შეასრულა ამავე ლაბორატორიის ხელმძღვანელმა პროფ. მიხაელ გლასკოკმა. აღსანიშნავია, რომ სოფ.ქობულეთის 4 ერთ. ობსიდიანის არტეფაქტზე უკვე არსებობდა გამოკვლევა (Badalyan et. al., 2004). ობსიდიანის მომარაგების წყაროდ ჭიქიანის მთა განისაზღრა. ინტერდისციპლინური კვლევების ფარგლებში მოგვეცა შესაძლებლობა შედარებით მეტ ნიმუშზე მომხდარიყო კვლევა, რაც, ბუნებრივია, საშუალებას მოგვცემდა მიგვეღო უფრო ვრცელი ინფორმაცია, რაც სწორი დასკვნების გაკეთებაში დაგვეხმარებოდა. ანალიზისთვის შერჩეული იქნა სამი სახეობის 50 ერთ. ობსიდიანის არტეფაქტი. ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ სოფ. ქობულეთი ობსიდიანით სხვადასხვა წყაროდან (ჭიქიანის მთა, სარიყამიში) მარაგდებოდა (ვრც. იხ. Chkhatarashvili, Glascock, 2022). თუ გავითვალისწინებთ ობსიდიანის მომარაგების გზებს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თუ რამდენად დიდი ტერიტორიის გავლა სჭირდებოდა იმდროინდელ ადამიანს ობსიდიანის მარაგის შესავსებად.

- არქეოლოგიაში, ძეგლთა გათხრებისა და არტეფაქტთა შესწავლის გარდა, არანაკლებ აუცილებელია, გავიგოთ მათი ზუსტი ასაკი. არსებობს დათარიღების სხვადასხვა მეთოდი, რომელთაგან თანამედროვე არქეოლოგიაში განსაკუთრებით პოპულარულია რადიოკარბონული (C14) დათარიღება, რომელიც ძირითადად, ხის ნახშირის, ძვლის, კერამიკის, ტორფის და სხვ. მსგავსი მასალის დასათარიღებლად იყენებენ. კვლევები ჩატარდა

ვილნიუსის (ლიეტუვა) რადიოკარბონის ლაბორატორიაში.პირველად აჭარის პრეისტორიული ხანის ძეგლების კვლევა-ძიების ისტორიაში მივიღეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი აბსოლუტური თარიღი, რომლებიც ძვ.წ. X-VII ათასწლეულების ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება.

ამდენად, თანამედროვე არქეოლოგიაში ინტერდისციპლინური კვლევების გამოყენებით შესაძლებელია უძველესი ადამიანის ცხოვრების აღდგენა: საქმიანობის, საცხოვრებელი გარემოს, ასაკის, მობილურობა/კონტაქტების, ქვის დამუშავების ტექნოლოგიის და სხვ. საკითხების დადგენა. ვფიქრობთ, რომ მომავალი კვლევები კიდევ უფრო მეტ სინათლეს შეიტანს აჭარის ტერიტორიაზე ადრე ჰოლოცენის ხანაში (ძვ.წ. X-VII ათასწლეული) მცხოვრები ადამიანის კვლევა-ძიების საქმეში.

## ლიტერატურა:


Эсакия К., Чхатарашвили Г, Кахидзе А. 2020. Комплексный анализ каменного инвентаря раннеголоценовой стоянки Кобулети, Tyragetia, 71, s.n., vol. XIV [XXIX], nr. 1, 71-76

Badalyan R., Chataigner C., Kohl Ph., 2004. Trans-Caucasian Obsidian: The exploitation of the sources and their distribution, Ancient Near Eastern Studies, Supplement 12, Peeters, pp. 437-465

Bidzinashvili G., Chagelashvili R., Coil R., Kopaliani G., Martkoplishvili I., Vanishvili N. 2023. Kvemo Orozmani, Georgia: a new Lower Paleolithic archaeological site in the Southern Caucasus, Conference: Paleoanthropology Society 2023 Annual Meeting, June 2023, Portland

Chkhatarashvili G., Manko V. 2020. Kobuleti site: the evidence of Early Holocene occupation in Western Georgia, Documenta Praehistorica, XLVII, 28-35

Ckhatarashvili G., Manko V., Kakhidze A., Esakiya K., Chichinadze M., Kulkova M., Streltcov M. 2020. South-East BlackSea Coast in Early Holocene Period (According tointerdisciplinary archaeological investigations in Kobuleti site), Sprawozdania Archeologiczne, 72(2), 213-230

Chkhatarashvili G., Glascock M. 2022. Obsidian at Kobuleti (Western Georgia): Evidence for early human contact in Western Transcaucasia during the Early Holocene, Archaeological Research in Asia, 29

Pelegrin J. 2012. New Experimental Observations for the Characterization of Pressure Blade Production Techniques, P.M. Desrosiers (ed.), The Emergence of Pressure Blade Making: From Origin to Modern Experimentation, 465-500

Tixier J. 1974. Glossary for the description of stone tools, with special reference to the Epipaleolithic of the Maghreb, Newsletter of Lithic Technology: Special Publication, 3-40


0.50 mm


0.50 mm




1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27



## სოხუმისა და მისი შემოგარენის გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები

## Late Bronze and Iron Age archaeological monuments of Sukhumi and its surroundingds

**ჯონი აფაქიძე**

*გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

**მანანა კუპრავა**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*

**Joni Apakidze**

*Researcher of the Eurasian Department of the german archaeological Institute, Profesor of the Sokhumi State University*

**Manana Kuprava**

*Dr., Assoc. Professor of the Sokhumi State Universiy*

**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.07

**აბსტრაქტი:** სოხუმსა და მის შემოგარენში მრავლადაა დადასტურებული გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები. ნამოსახლარები და სამაროვნები სადღეისოდ არსებული მონაცემების საფუძველზე ზოგადად ძვ. წ. 1200 - ძვ. წ. 600 წლებით თარიღდება. სოხუმში აღმოჩენილი ბრინჯაოს ადრეული განძი და აფხაზეთის ზღვისპირა და შიდა რაიონებში გამოვლენილი კოლხური კულტურის სხვა ადრეული განძები (პილენკოვო, გაგრა, ბიჭვინთა, ლიხნი და სხვ.) და ბრინჯაოს ნივთების ცალკეული აღმოჩენებიც მიუთითებენ იმაზე, რომ კოლხური კულტურის ეს ლოკალური ვარიანტი ცენტრალურ კოლხეთთან და მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან ერთად ბრინჯაოს კოლხური კულტურის ფორმირებაში მონაწილეობდა და თავიდანვე მისი თავდაპირველი გავრცელების არეალში შედიოდა. რეგიონში აღმოჩენილია სპილენძის არაერთი საბადო. კოდორის ხეობაში ახლომდებარე ბაქშაფშარას საბადოში მადნის მოპოვება სავარაუდოდ ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგიდან იწყება. მომავალში აფხაზეთში თანამედროვე მეთოდებით არქეოლოგიური გათხრების ჩატარებასა და ინტერდისციპლინურ კვლევებს შეუძლია ამ მნიშვნელოვან კულტურული და ისტორიულ პრობლემას უფრო მეტი სინათლე მოჰფინოს.

**საკვანძო სიტყვები:** კოლხური კულტურა, სოხუმის მთა, გუადიხუ, წითელი შუქურა,

ეშერა

**Abstract:** Many Late Bronze Age and Early Iron Age settlements and burial grounds have been discovered in Sokhumi and its surroundings area. The chronological framework of these sites, according to current knowledge and data, can generally be dated to between 1200 BC and 600 BC. A bronze hoard of the Colchis culture has been discovered on the Sokhumi mountain, which is dated to the middle of the 2nd millennium BC. The bronze hoards of this early stage also come from other places in Abkhazia (Pilenkovo, Gagra, Bichvinta /Pitsunda/, Likhni, etc.). These findings confirm that the coastal area of Abkhazia, together with central Colchis, is the region of origin of the bronze Colchis culture. Several copper deposits have been discovered in the region. Ore mining in the nearby Bakshapshara deposit in the Kodori Valley probably began at the end of the 2nd millennium BC. In the future, archaeological excavations in Abkhazia using modern methods may shed more light on this important cultural-historical problem.

**Keywords:** Colchian Culture, Mountain Sokhumi, Guadikhu, Tsiteli Shukura, (Krasnij Majak), Eshera

გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანა ბრინჯაოს კოლხური კულტურის უმაღლესი აყვავების პერიოდია. ამ დროს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად კოლხური კულტურის გავრცელების არეალში შედიოდა **[ჯაფარიძე 1982; Apakidze 2009, ნახ. 1 და სხვ.] (ტაბ. 1.)** საკუთრივ სოხუმსა და მის შემოგარენში ამ პერიოდის კოლხური კულტურის მრავალი ძეგლია დადასტურებული. აღმოჩენილია როგორც ნამოსახლარები, ისე სამაროვნები, ცალკეული სამარხები და კოლხური კულტურის ბრინჯაოს ერთი ადრეული განძიც. ხშირია ბრინჯაოს ცალკეული ნივთების აღმოჩენის შემთხვევებიც.

გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ნამოსახლარები აღმოჩენილია სოხუმის მთაზე, ასევე სოხუმის უბანში, რომელსაც წითელი შუქურა ეწოდება, ეშერასა და შიცკვარაში.

1951 წელს ა. კალანდაძემ და მ. თრაფშმა სოხუმის მთაზე ჩატარებული არქეოლო-გიური გათხრების შედეგად დაადგინეს ნამოსახლარის, სამაროვნისა და სპილენძის სადნობი სახელოსნოს არსებობა **[კალანდაძე 1953:17-18; ჯიბლაძე 2007:15; Трапш 1955; Габелия, 2014:33, Apakidze, 2009:348]**.

სოხუმის მთა ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მთას ორი მწვერვალი აქვს. ისინი ერთმანეთისაგან ღრმა უნაგირით მკვეთრადაა გამოყოფილი. მთის ჩრდილოეთი მწვერვალი ზღვის დონიდან 190 მ სიმაღლეზე მდებარეობს. გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი ამ მწვერვალის ქვედა მონაკვეთში, უნაგირის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში იქნა აღმოჩენილი. ნამოსახლარზე 12 თხრილი იქნა დადებული, რის შედეგადაც

დადგინდა ორი კულტურული ფენის არსებობა. ქვედა ფენა გვიანბრინჯაოს ხანისაა, ხოლო ზედა - ანტიკური ხანისა. გვიანბრინჯაოს ხანის ფენაში აღმოჩნდა თიხის ქოთნების, თასების, ჯამების, სამეურნეო და სხვა ტიპის ჭურჭლის ნატეხები. კერამიკული ნაწარმის ერთ ნაწილს ყელზე კონცეტრული ხაზები შემოუყვება, ჭურჭელი ძირითადად შემკულია სავარცხლისკბილისებრი შტამპითა და ე. წ. თევზიფხური ორნამენტით. ყურების ზედაპირი სხვადასხვა მიმართულების ნაკაწრი შტრიხებითაა დაფარული. 1,0-1,10 მ სიღრმეზე დადასტურდა სპილენძის სადნობი სახელოსნოს არსებობა, სადაც მოპოვებული იქნა ბრინჯაოს ზოდები, წიდები და ბათქაში. სავარაუდოდ ეს სახელოსონო ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში უნდა იწყებდეს არსებობას. მ. თრაფშს ასევე გამოქვეყნებული აქვს სოხუმის მთაზე მის მიერ 1951 წელს გათხრილი ორმოსამარხი, რომელსაც ის, როგორც ჩანს, აქ აღმოჩენილ სამაროვანს მიაკუთვნებს და მას N 1 სამარხს უწოდებს [**Трапш 1970:137; Apakidze, 2009:ტაბ. 290**]. ორმოსამარხში მიცვალებულის ჩონჩხი ცუდად იყო შემონახული, თუმცა დადგინდა, რომ ის ზურგზე გაშოტილ მდგომარეობაში იყო დაკრძალული და მისი თავის ქალა სამხრეთ-დასავლეთით ზღვისკენ ყოფილა მიქცეული. სამარხში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭელი, II ტიპის ბრინჯაოს სამი კოლხური ცული და ოდნავ დაწახნაგებული ბრინჯაოს სამაჯური [**Трапш 1970:138**]. ამ ნივთების ნახატები მ. თრაფშს აქვს გამოქვეყნებული [**Трапш 1970:ნახ.9**]. აქ წარმოვადგენთ მ. თრაფშის ამ ნივთების ნახატის ჩვენეულ განახლებულ ვერსიას (ტაბ. 2). სადღეისოდ არსებული მონაცემების საფუძველზე კრიტიკას ვერ უძლებს მ. თრაფშის მიერ ამ სამარხის ძვ. წ. VII-VI სს. დათარიღება. ჯერ ერთი, ბრინჯაოს ასეთი ცულები ამ დროს უკვე პრაქტიკულად ხმარებიდნაა გამოსული და მეორეც, ამგვარი ცულები ანალოგებს პოულობენ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით ან ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებული განძების ამგვარ ცულებთან. ასეთია, მაგალითად, 1910 წელს აღმოჩენილი და ერმიტაჟში დაცული ლაილაშის განძის ამ ტიპის ცულები [**დ. ქორიძე 1965:24-25, სურ. 19; ლ. სახაროვა 1976:5, ტაბ. III, ტაბ. V**], თაგილონის განძი [**დ. ქორიძე 1965:32, სურ. 24**] და სხვ.

სოხუმის ცენტრიდან ჩრდილო-დასავლეთით, 2 კილომეტრის დაშორებით, დასახლება წითელ შუქურაში ლ. სოლოვიოვის მიერ აღმოჩენილ იქნა კოლხური კულტურის ადრერკინის ხანის ნამოსახლარი, რომელიც ზღვის სანაპიროს გასწვრივაა განლაგებული და თავიდან დაახლოებით 8 ჰა ფართობზე უნდა ყოფილიყო გავრცელებული [**Соловьев, 1950:269**]. 1956 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ მ. თრაფშის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ხსენებულ ნამოსახლარზე [**Трапш 1958; Габелия, 2014:34-35**]. ძეგლზე დადებული იქნა 6 თხრილი. მე-5 თხრილი, რომელსაც 25 მ$2^2$ ფართობი ეკავა გამოირჩეოდა არქეოლოგიური მასალის სიმდიდრით. ზედა კუტურული ფენის სისქე 15-20 სმ-ია, ხოლო ქვედა ფენის - 25-30 სმ. ეს უკანასკნელი ადრერკინის ხანას განეკუთვნება.

მე-5 თხრილში აღმოჩენილია ტიპიური ადრერკინის ხანის ე. წ. ტექსტილური ანუ ქსოვილის ანაბეჭდიანი კერამიკა და თიხის რქისებრი სადგარები, რომლებიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ადრერკინის ხანის დიუნური ნამოსახლარებისთვისაა დამახასიათებელი **[Соловьев, 1950:269; Куфтин, 1949:25-75; Куфтин, 1950:5-20; Воронов 1969:27-28; Рамишвили, 1975:136f; Габелия, 2014:34-35]**. ა. გაბელია აცხადებს, რომ ამჟამად ამ ნამოსახლარს მხოლოდ 2 ჰა ფართობი უკავია **[Габелия, 2014:34]**. ის აღნიშნავს, რომ ზღვამ გაანადგურა ნამოსახლარის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო გადარჩენილ მონაკვეთზე თანამედროვე სახლები დგას. კულტურული ფენები აქ ზოგიერთ ადგილას იქნა დადგენილი. კერძოდ, ადამიანის საქმიანობის კვალი აქ ამ ნამოსახლარის მხოლოდ დასავლეთ ნაწილში დადასტურდა, რომელსაც დაახლოებით 400 მ2 ეკავა. სოლოვიოვის თანახმად, ქსოვილის ანაბეჭდიანი კერამიკა აქ ანტიკური ხანის კერამიკასთან ერთადაა აღმოჩენილი. სადღეისოდ უკვე დადგენილია, რომ ანტიკურ ხანაში ქსოვილიანი კერამიკა არ არსებობს. როგორც ჩანს, ანტიკური კერამიკა მომდინარეობს ზედა ფენიდან, რომელიც შერეულია ქვედა ფენის ქსოვილის ანაბეჭდიან კერამიკასთან. ამ ნამოსახლარის შესახებ უფრო ზუსტი მონაცემები ამჟამად არ არსებობს.

სოხუმის რაიონს ეკუთვნის სოფელი ეშერა (სოხუმის რაიონი) , რომელიც ქვემო და ზედა ეშერად იყოფა. ზემო ეშერა სოხუმიდან ჩრდილოეთით, ხოლო ქვემო ეშერა მისგან დასავლეთით მდებარეობს. სოფელ ქვემო ეშერაში აღმოჩენილია ორი ნამოსახლარი: ეშერა I და ეშერა II. ეშერა I-ის გამთხრელები იყვნენ მ. ივაშჩენკო და ლ. სოლოვიოვი **[Иващенко, 1935:64–66; Воронов 1969:27 f.; Куфтин, 1949:18–21 ნახ. 4, ტაბ. II; Соловьев, 1950:269; Габелия, 2014:35-36; Apakidze 2009:348]**.

ნამოსახლარი ეშერა I მდებარეობს სოხუმიდან დასავლეთით 2 კილომეტრის დაშორებით ე. წ. ვერეშჩაგინის ბორცვის წვერზე, რომელიც ზღვის დონიდან 200 მ სიმაღლეზეა განთავსებული. აქ დაახლოებით 3-4 ჰა ფართობზე მიმოფანტული იყო კოლხური კულტურის კერამიკის ნატეხები. ბორცვის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი, სადაც დიდი ქვევრსამარხი იქნა აღმოჩენილი. სამაროვანზე ორი დიდი თხრილი იქნა დადებული. გათხრების შედეგად დადგინდა 0,4–0,6 მ სისქის კულტურული ფენის არსებობა. ამ ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩენელია სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხები, რომელთა კედლის სისქე 0,7-0,9 სმ შორის მერყეობს. გარდა სქელკედლიანი ჭურჭლების ფრაგმენტებისა აქ გამოვლენილია კანელურებიანი კერამიკისა და ე.წ. ქსოვილის ანაბეჭდიანი ჭურჭლის ნატეხებიც. მოპოვებულია ასევე ცხოველთა ძვლების ნარჩენებიც. კერამიკის ერთი ჯგუფი ზოგადად განეკუთვნება ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისს, ხოლო მეორე - ადრეანტიკურ ხანას. არ გამოვრიცხავთ უფროსი ჯგუფის კერამიკის ოდნავ დაძველების შესაძლებლობასაც.

ეშერა I-დან ნახევარი კილომეტრის დაშორებით სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს ნამოსახლარი ეშერა II, რომელსაც დაახლოებით 2 ჰა ფართობი უკავია. ნამოსახლარს უკავია

ბორცვის მწვერვალი და მისი ფერდობი. მთლიანობაში ეშერა II ზღვის დონიდან შედარებით უფრო დაბლა მდებარეობს, ვიდრე ეშერა I. ამ ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა. ბ. კუფტინის თანახმად, აქ ზედაპირზე შეგროვებული კერამიკა შეესაბამება ეშერა I-ის მონაპოვრებს. ამიტომაც ბ. კუფტინმა ის ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანას განაკუთვნა. გვინდა შევნიშნოთ, რომ ეშერა I-ის მონაპოვრები ინახება სოხუმში აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში, ხოლო ეშერა II-ის მასალები, როგორც მ. ბარამიძისაგან გადმოცემით ვიცით, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საცავში უნდა იყოს დაცული.

შიცკვარა მდებარეობს სოხუმიდან ჩრდილო-დასავლეთით 17 კმ-ის დაშორებით. ის განლაგებულია 4 მეტრი სიმაღლის ტერასაზე, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ზღვის მიერაა მოხსნილი. ეს ნამოსახლარი გათხარა ლ. სოლოვიოვმა [**Соловьев, 1950:269**]. ნამოსახლარის გადარჩენილ მონაკვეთზე მოპოვებულია ადრერკინის ხანის ქსოვილის ანაბეჭდიანი კერამიკა. ზედა კულტურული ფენა კი ანტიკური პეროდისაა [**Воронов 1969:27; Габелия, 2014:36; Apakidze 2009:359**].

1953 წელს მ. თრაფშმა შეისწავლა გუადიხუს სამაროვანი. ის მდებარეობს ბუნებრივ ბორცვ გუადაზე, სოხუმის მთის ჩრდილოეთით ქალაქ სოხუმსა დ სოფელ ბირცხას შორის (**ტაბ. 3**). ამ ბორცვის ნიადაგი ქვიანია, რის გამოც გვიანბრინჯაოს ხანაში აქ ღრმა სამარხების გათხრა ძალიან რთული უნდა ყოფილიყო. სამაროვნის სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით 140 მ-ია, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთით - 130 მ. სულ გათხრილია 91 სამარხი. აქედან 32 ე. წ. „უფროსი ჯგუფის" სამარხებია, ხოლო დანარჩენი „უმცროსი ჯგუფისა". მოგვიანო ხანის სამარხები ზოგადად ძვ. წ. V საუკუნითაა დათრიღებული, ხოლო ადრეული კი გვიანბრინჯაოს ხანისაა.

„უფროსი ჯგუფის" სამარხები წარმოდგენილია წაგრძელებულ-ოთხკუთხა (მართკუთხა) და მრგვალი ფორმის ორმოსამარებით (სამარხები: 1-2, 7-13, 24-26, 29-32). მათი სიგრძე მერყეობს 1,80 მ-დან 2,0 მეტრამდე, სიგანე კი - 80 სმ-დან 90 სანტიმეტრამდე, სიღრმე - 40 სმ-დან 65 სანტიმეტრამდე (**ტაბ. 4**). სამარხთა უმრავლესობაში ძვლები ცუდაა შემონახული. მე-9, მე-10 და 24-ე სამარხში კი ადამიანის ძვლები საკმაოდ კარგადაა შემონახული. ზოგიერთ სამარხში დადასტურებულია კრემაცია. ხსენებულ სამარხებში მიცვალებულები დაუკრძლავთ ზურგზე. აღმოსავლეთისკენ ორიენტირებული თავის ქალები ოდნავ დახრილია სამხრეთის მიმართულებითაც. ორმოსამარხები NN 3-6, 14-18, 20-23, 27-28 მრგვალი ფორმისაა. მათი დიამეტრი მერყეობს 40 სმ-დან 70 სანტიმეტრამდე. სამარხების მინიმალური სიღრმე 40 სმ-ია, ხოლო მაქსიმალური - 65 სმ. ამ ორმოსამარხებში დადასტურდა მიცვალებულების სრული კრემაცია (**ტაბ. 5A, 1; ტაბ. 5B, 1**), რომელიც ხდებოდა ორმოსამარხების გარეთ. მიცვალებულებს წვავდნენ ტანსაცმელთან და სამკაულებთან ერთად. ბოლოს ფერფლს სხვა ნივთებთან ერთად ორმოსამარხში კრძალავდნენ. ამიტომაცაა, რომ ამ ტიპის სამარხებში აღმოჩენილ იარაღებს

ცეცხლის კვალი არ ეტყობა. მიცვალებულის ნაშთი აქ ხის დამწვარ ნარჩენებთან, ნახშირთანაა შერეული.

წითელი შუქურის სამაროვანი მდებარეობს სოხუმის დასავლეთ ნაწილში (ქალაქის ამ უბანს მოსახლეობა უპირატესად რუსული სახელწოდებით მოიხსენიებს და მას Красный Маяк-ს უწოდებს). სამაროვანი განლაგებულია 2,5 - 3 მ სიმაღლის დიუნაზე, რომელიც მდ. გუმისთის მიერაა შექმნილი **(ტაბ. 6)**. აქ არქეოლოგიური დაზვერვები პირველად 1935 წელს ჩატარდა. 1947 წელს მიწის სამუშაოების დროს, თხრილის ამოღებისას, რომელიც ძველი არქეოლოგიური გათხრების ადგილას იქნა დადებული, ორი სამარხი იქნა აღმოჩენილი. 1956 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ მ. თრაფშის ხელმძღვანელობით დაიწყო დიუნაზე მდებარე სამაროვნის გათხრები. სისტემატიური არქეოლოგიური სამუშაოები წარმოებდა 1957-1959 წლებში. სამაროვნის დასავლეთი ნაწილი დროთა განმავლობაში განადგურებული იქნა. მ. თრაფშმა სულ 800 მ2 გათხარა, რომელიც 10 არეალად იყო დაყოფილი. გათხრილი ფართობის სიგრძე დასავლეთდან აღმოსავლეთის მიმართულებით 200 მეტრს აღწევდა, ხოლო სიგანე ჩრდილოეთიდან სამხრეთით - 30 მეტრს. სულ გამოვლენილი იქნა 152 სამარხი, რომელთაგან 104 გვიანბრინჯაოსა დ ადრერკინის ხანას განეკუთვნებოდა, ხოლო დანარჩენი - ანტიკურ პერიოდს [**Иессен, 1937:251-252; Соловьев, 1950:274-278; Трапш, 1958; Трапш, 1969:78-208, ნახ. 23-31, ტაბ. VI-XXVII; Воронов 1969:31; Лордкипанидзе, 1978:46-52; Воронов 1980:209-210; Квирквелия, 1981:5-6; Apakidze, 2009:373-374**].

წითელი შუქურის გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის სამარხები წარმოდგენილია ორმო- და ქვევრსამარხებით. სამარხ ორმოებს მომრგვალო-ოვალური ფორმა აქვთ. თითქმის ყველა სამარხის იატაკი წვრილი კენჭებითაა მოფენილი (მოკირწყლული). მხოლოდ მე-8 სამარხს, რომელშიც ცხენის თავის ქალა აღმოჩნდა და ასევე 38-ე და 39-ე სამარხებს არა აქვთ წვრილი ქვებით მოფენილი იატაკი. სამარხების სიგრძე მერყეობს 1,8 მ-სა და 2,0 მეტრს შორის; მინიმალური სიგანე 0,80 მ-ია, ხოლო მაქსიმალური - 1,0 მეტრი; სიღრმე კი მერყეობს 1,0 მ-სა 1,3 მეტრს შორის **(ტაბ. 7)**. ამ ტიპის სამარხებს ასეთი ნუმერაცია აქვთ: 1-46, 50-51, 54, 56-69, 80-89 და 96-104. სამარხები ## 47-49, 55, 79, 90, 92 წარმოადგენენ ქვევრსამარხებს **(ტაბ. 8)**. ყველაზე დიდი ქვევრსამარხი აღმოჩენილი 92-ე სამარხში. მისი სიმაღლე დაახლოებით 90 სმ-ია **(ტაბ. 8,3)**. ნომერ 55-ე სამარხში აღმოჩენილი ქვევრსამარხის სიმაღლე კი მხოლოდ 30 სმ-ია **(ტაბ. 8,1)**. ეს უკანასკნელი კი სიდიდით ყველაზე პატარაა.

წითელი შუქურის სამაროვანზე დადასტურებულია დაკრძალვის სამი ტიპი: 1) ზურგზე გაშოტილად. რაოდენობრივად დაკრძალვის ეს წესი სამარხთა უმრავლესობაშია დადსტურებული (სამარხები NN.: 3,-8, 11, 14-38, 40-46, 50-51, 54, 56-69, 80-89, 91, 96-104). მათგან მიცვალებულების ჩონჩხები ყველაზე კარგად შემონახულია მე-3, 25-27-ე, 41-ე, 82-83-ე და 91-ე

სამარხებში. მიცვალებულების თავის ქალა ორიენტირებული იყო ჩრდი-ლო-დასავლეთის მიმართულებით. მხოლოდ მე-3 და მე-4 სამარხებში იყო მიცალე-ბულების ქალა სამხრეთ-აღმოსავლეთით მიქცეული; 2) მარჯვენა მხარეს მწოლარე და მოხრილი ფეხების კიდურებით. მიცვალებულების თავის ქალა ძირითადად ორიენტირებული იყო ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, ერთ შემთხვევაში - სამხრეთ-აღმოსავლეთის (სამარხი 2) და კიდევ ერთ შემთხვევაში კი - დასავლეთის მიმართულებით (სამარხი 39); 3) მეორადი დაკრძალვა. მიცვალებულთა ნაშთები დაკრძალულია ორმოსამარხებში ან წინასწარ სპეციალურად მომზადებულ ორმოში მოთავსებულ თიხის ჭურჭელში. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ამგვარი 18 სამარხი იქნა აღმოჩენილი (სამარხები N.: 52, 52ა, 53, 54ა, 56ა, 66ა, 70-75, 75ა, 76-77, 95). დიდ ქვევრებში დაკრძალვის რვა შემთხვევაა დადასტურებული (სამარხები N.: 47-49, 55, 79, 90, 92, 94).

ქვემო ეშერაში ე. წ. ვერშჩაგინის ბორცვზე აღმოჩენილია გვიანრინჯაოს ხანის დიდი ქვერსამარხები ე. წ. ოსუარიუმები **(ტაბ. 9; ტაბ. 10)**. სულ აღმოჩენილია ოთხი ოსუარიუმი [**Apakidze 2009:450**]. ეს ძეგლები თავიდან მ. ივაშჩენკომ შეისწავლა [**Ivaščenko, 1932:103-112, ნახ. 20-28**], ხოლო შემდეგ ბ. კუფტინმა [**Куфтин 1949:155-2000, ნახ. 31,35-37, ტაბ. IX; XV-XVIII; XIX; XX, 1-8; XXI,1**], 1969 ი. ვორონოვმა თავის კატალოგში აქ მოპოვებული ყველა სამარხის მასალა ერთად გამოაქვეყნა [**Воронов 1969:27f.**].

1970 წელს ი. წვინარიამ ვერეშჩაგინის ბორცვის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ფერდობის მეოთხე ტერასაზე გათხარა ნაწილობრივ დანგრეული ოსუარიუმი, რომელშიც დიდი რაოდენობის არქელოგიური მასალა იქნა მოპოვებული [**Шамба 1984:51, ნახ. 11,1-8.10; 15, 1-2.4-7; 16,1; 26a,1; Apakidze 2009:451**]. სხვა ნივთებს შორის აღმოჩენილია ბრინჯაოს ორი გრავირებული კოლხური ცული [**Воронов, Гунба 1978:264, ნახ. 6,1-2**]. გრაფიკული დეკორის პირველი გამოჩენის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ზოგს მიაჩნია, რომ ის ძვ. წ. IX საუკუნის დასასრულიდან იწყებს არსებობას [**ფანცხავა 1988; Воронов, 2006 და სხვ.**], ხოლო ზოგი თვლის, რომ კოლხეთში, მაგალითად, თლიის სამაროვნის მონაპოვრების თანახმად, ამგვარი დეკორით შემკობის წესი უკვე ძვ. წ XI საუკუნის მეორე ნახევრიდან ანუ თლია IIA პერიოდიდან უნდა დავიწყოთ [**Apakidze 2009:174-181, ნახ. 64-67**]. ზ. ტეხოვი და ა. პრუსი ასევე მიიჩნევენ, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს თლიის სამაროვანზე გრაფიკული დეკორით კოლხური ბრინჯაოს ნივთები უკვე არსებობდა [**Техов 1977; Техов 1980; Pruß 1993**]. კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს ნაკეთობებზე გრავირებული ორნამენტის პირველი გამოჩენა ჩრდილოეთ კავკასიაში ვ. კოზენკოვას თანახმად, ძვ. წ. XII ს უნდა დათარიღდეს [**Козенкова, 1996**].

სავარაუდოდ სამარხეული კომპლექსის ნივთებს უნდა წარმოადგენდეს ზემო ეშერაში ა. ს. ავეტისიანის ეზოში აღმოჩენილია ბრინჯაოს ერთი შუბისპირი, ისრისპირი და ცული.

მ. თრაფში მათ ძვ. წ. IX-VIII სს ათარიღებს [**Трапш 1970:189; Apakidze 2009: 451**]. ქვემო ეშერის ნამოსახლარიდან დასავლეთით 1,5 კილომეტრის დაშორებით ქიურდერეს დოლმენების ველთან ახლოს აღმოჩენილია გვიანბრინჯაოს ხანის კიდევ ერთი დანგრეული სამარხი. ამ სამარხში სხვადასხვა ბრინჯაოს ნივთების გარდა ასევე აღმოჩნდა 14 ცალი ბრინჯაოს ბიკონუსური და 20 ცალი სარდიონის მძივი [**Лукин, 1956:f.; Воронов, 1980, 202, ნახ. 1,1-8**].

სოფელ ქვემო ეშერაში საშუალო სკოლის ეზოში მდებარე კუტიშხას გორაზე 1969 წელს მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით სამარხის ნაშთები იქნა აღმოჩენილი. 1970 წელს გ. შამბას მიერ ადგილზე ჩატარებული გათხრების შედეგად აქ დადგინდა მინიმუმ ორი კრომლეხის არსებობა. N. 1 კრომლეხი შედარებით კარგად იყო შემორჩენილი. მისი მაქსიმალური დიამეტრი 11,6 მეტრს შეადგენდა. აქ აღმოჩნდა ადამიანებისა და ძაღლე-ბის ძვლების ფრაგმენტები, დანახშირებული ხის ნარჩენები, კერამიკის ნატეხები და სხვა ნივთები [**Шамба 1974; Шамба 1984, 51-55**].

გარდა ნამოსახლარების, სამაროვნებისა და ცალკეული სამარხებისა სოხუმში ასევე აღმოჩენილია კოლხური კულტურის ბრინჯაოს განძებიც. პირველ რიგში აღსანიშნავია სოხუმში 1912 წელს კ. კაკუბას ეზოში შემთხვევით აღმოჩენილი განძი [**Иессен, 1935:126–127; Куфтин, 1949, ნახ. 49; ქორიძე, 1965:25, 28; Воронов, 1969:31**]. ნივთები ჩალაგებული ყოფილა თიხის ჭურჭელში. განძი შედგებოდა ბრინჯაოს სეგმენტისებრი იარაღებისაგან, რომელთა ზუსტი რაოდენობა უცნობია. სადღეისოდ შემორჩენილია მხოლოდ 8 მათგანი. 7 ეგზემპლარი დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში, ხოლო ერთი ინახებოდა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახლში სოხუმში. არ არის ცნობილი, თუ რა ბედი ეწია 1993 წლის ტრაგედიის შემდეგ ს. ჯანაშიას სახლს, შესაბამისად, ჩვენთვის ამ ბრინჯაოს ნივთის ადგილსამყოფელი უცნობია. რვა სეგმენტისებრი იარაღიდან გამოქვეყნებულია მხოლოდ 1 ეგზემპლარი.

1951 წელს მიწის სამუშაოების დროს სოხუმის მთის წვერზე აღმოჩნდა კოლხური კულტურის ბრინჯაოს ერთი ადრეული განძი [**კალანდაძე, 1954, ტაბ. 1; ქორიძე 1965:14, სურ. 31; Воронов, 1969:32**]. ის შედგება ბრინჯაოს მეორე ტიპის 13 ადრეული ცულისაგან, ბრინჯაოს ერთი დაზიანებული სეგმენტისებრი იარაღისაგან, ბრინჯაოს ერთი განუსაზღვრელი ორი ნატეხისა და და ბრინჯაოს (სპილენძის) სამი ზოდისაგან (**ტაბ. 11**).

როგორც ვხედავთ, გვიანბრინჯაოსა და ადარერკინის ხანაში, სოხუმსა და მის შემოგარენში გხვდება როგორც კოლხური კულტურის ნამოსახლარები და სამაროვნები, ისე ბრინჯაოს განძები. ეს ადგილები იმ დროს მთლიანად კოლხური კულტურის გავრცელების არეალში შედიოდა. ამ კულტურის გავრცელების ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი კი ქალაქ სოჭისა და მის შემოგარენში და, შესაძლოა, უფრო ჩრდილოეთითაც გადიოდა [**Воронов 2006, ნახ.10,2; Apakidze 2009:24, ნახ. 1**].

სოხუმის მთის განძი ბრინჯაოს კოლხური კულტურის ადრეული ეტაპის განძია და

ის დ. ქორიძეს ზოგადად ძვ. წ. XVI-XIV სს აქვს დათარიღებული **[ქორიძე 1965: 11, 14, სურ. 31]**. წითელი შუქურის სამაროვნის უადრესი სამარხები ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულსა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისს განეკუთვნება. როგორც უკვე აღნიშნული იყო წითელ შუქურაზე აღმოჩენილი 152 სამარხიდან 104 გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას განეკუთვნება **[Apakidze 2009:243]**. ასევე ქვემო ეშერის კრომლეხებიც ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანითაა დათარიღებული **[Шамба 1974; Шамба 1984, 51-55]**. ახალი კვლევებისა და მონაცემების შუქზე სოხუმისა და მისი შემოგარენის, ასევე ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ნამოსახლარებისა და სამაროვნების დათარიღებას უფრო მეტი დეტალიზება ჭირდება. მაგალითად, სოხუმის მთის ნამოსახლარის ძვ. VIII-VII სს დათარიღება **[Габелия, 2014:105]** უნდა შეიცვალოს და მისი საწყისი პერიოდი მინიმუმ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში იქნას გადატანილი. გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ ნამოსახლარს ა. კალანდაძე და ი. ვორონოვი ზოგადად ძვ. წ. XII-VIII სს. ათარიღებდნენ **[კალანდაძე 1953:18-19; Воронов 1969:32]**, ხოლო ლ. ჯიბლაძე მას ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისს პერიოდს განაკუთვნებს **[ჯიბლაძე 2007:16]**. როგორც ჩანს, სწორია სოხუმის მთის ნამოსახლარის ზოგადად XII/XI-IX/VIII სს დათარიღება. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ა. გაბელიას მიერ სოხუმის მთის თანადროულ ნამოსახლარად მითითებული ნაოხვამუს ბორცვის ზედა ჰორიზონტი ახალ მონაცემებზე დაყრდნობით ჯ. აფაქიძის მიერ უკვე კარგა ხანია ძვ. წ. XI-X სს. დათარიღებული **[Apakidze 2009:34-44]**. სოხუმის მთაზე აღმოჩენილი ლითონსადნობი სახელოსნოც გვიანბრინჯაოს ხანას ან შესაძლოა მის ადრეულ ეტაპსაც კი განეკუთვნებოდეს. ამაზე არაპირდაპირ შეიძლება მიუთითებდეს ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანების ბრინჯაოს ზემოთ ხსენებული განძი, რომელიც ასევე სოხუმის მთაზეა აღმოჩენილი. იქვე სამარხში აღმოჩენილი II ტიპის კოლხური ცულებიც ერთმნიშვნელოვნად მითითებენ იმაზე, რომ ისინი გვიანბრინჯაოს ხანის, დაახლოებით ძვ. წ. XIII/XII- XI სს. სამარხიდან უნდა მომდინარეობდნენ (ტაბ. 2,1-3). ცხადია, ლითონწარმოებას ხელს უწყობდა აფხაზეთის მთებში მადნეულით მდიდარი საბადოების არსებობა. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს ბაქშაფსარას საბადო (სპილენძის გამონამუშევრები) **[Бжания 1988:7-9; ჯაფარიძე 2013:9; ჯიბლაძე 2007:74]**. ვ. ბჟანაია 14C თარიღების საფუძველზე გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ბაქშაფსარას საბადოზე ლითონის მოპოვება შესაძლოა, უკვე ძვ. წ. III ათასწლეულში ხდებოდა **[Бжания 1988:9]**. სამწუხაროდ, სხვა მონაცემები ამ ადრეულ თარიღს მხარს არ უჭერს. ამიტომაც ამ ეტაპზე უნდა მივიჩნიოთ, რომ ბაქშაფსარას საბადოების დამუშავება ყველაზე ადრე ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგიდან უნდა იწყებოდეს. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ო. ჯაფარიძე სვანეთისა და რაჭის ყველაზე ადრეულ ლითონის მომპოვებელ ცენტრებს ძვ. წ. წ. II ათასწლეულის დასაწყისით ათარიღებს **[ჯაფარიძე 2013:9]**. ცხადია, აფხაზეთში ლითონის მომპოვებელი საბადოების არსებობა ხელს უწყობდა აქ ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებას. ამიტომაც არაა შემთხვევითი, რომ აფხაზეთის ზღვისპირა ზოლი

ცენტრალურ კოლხეთთან ერთად კოლხური კულტურის თავდაპირველი ჩამოყალიბების ადგილად ითვლება. ამაზე, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს აფხაზეთის ზღვისპირა ზოლსა და მიმდებარე ტერიტორიებზე აღმოჩენილი კოლხური კულტურის ბრინჯაოს ადრეული განძები. ესენია, უპირველეს ყოვლისა, პილენკოვოში, გაგრაში, ბიჭვინთაში, ლიხნსა და სოხუმის მთაზე **[დ. ქორიძე, 1965:11-12,14-15]** აღმოჩენილი განძები. აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთში უფრო ადრეული, შუაბრინჯაოს ხანის განძებიცაა აღმოჩენილი. ამ მხრივ საყურადღებოა, მაგალითად, 1959 წელს გალში აღმოჩენილი განძი **[Трапш 1970:193-196, ტაბ. VII]**, რომელიც შუაბრინჯაოს ხანის, კერძოდ, ძვ. III ათასწლეულის დასასრულის ან ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისის მონაპოვარს წარმოადგენდეს. სოფელ გაგიდის ადგილ „ნაჭკადუში" შემთხვევით აღმოჩენილია ბრინჯაოს ნივთების მდიდარი კოლექცია, რომელსაც ზოგადად ძვ. წ. XVIII-XV სს ათრიღებენ **[ჯიბლაძე, პაპაშვილი, ხვისტანი 2004:74]**. ეს აღმოჩენები, სხვა არსებულ მონაცემებთან ერთად მიუთითებენ, რომ აფხაზეთის ტერიტორია წინარეკოლხურ ანუ ე.წ. პროტოკოლხურ პერიოდშიც გამორჩეული ყოფილა ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოებით. ამის არაერთი დამადასტურებელი ფაქტი კარგადაა ცნობილი. ამას ადასტურებს, მაგალითად, ფიჩორის ცენტრალური დიხა-გუძუბას შუა ბრინჯაოს ხანის ფენების (VIII-V ფენები) მონაპოვრებიც **[ჯიბლაძე 2007:106f]**.

სოხუმისა და მისი შემოგარენის და ასევე მთელი ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ქრონოლოგია და პერიოდიზაცია მოითხოვს შემდგომ შესწავლას. უკვე არსებული მონაცემები მიუთითებენ იმაზე, რომ საჭიროა გარკვეული ძეგლების დათარიღების დაზუსტება, რადგანაც ახალი მონაცემების შუქზე მათი უფრო დაძველების ტენდენცია იკვეთება. ახალი ქრონოლოგიების შემუშავებისას უაღრესად მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინური კვლევების ჩატარება. პირველ რიგში აუცილებელია რადიოკარბონული თარიღების მოპოვება, მეტალოგრაფიული, ანთროპოლოგიური, პალინოლოგიური და სხვა კვლევების ჩატარება, რაც ამ მხარეში პრაქტიკულად არ ჩატარებულა ან ძალზე ცოტაა ამ მხრივ გაკეთებული. ეს კვლევები მოგვცემს შესაძლებლობას დავაზუსტოთ არა მარტო არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგია და პერიდოზაცია, არამედ ახლებურად გავიაზროთ მრავალი პრობლემური საკითხი.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ა. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1953.

2. ლ. სახაროვა, ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან, თბილისი, 1976.

3. დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი, 1965.

4. ო. ჯაფარიძე, დასავლეთ საქართველო გვიანბრინჯაოს ხანაში. მაცნე – ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1982a, 1, 61-82; 1982b, 2, 41-62.

5. ო. ჯაფარიძე, ბრინჯაოს ისტორიისათვის უძველეს საქართველოში, თბილისი, 2013.

6. ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. III-II ათასწლეულის ნამოსახლარები, თბილისი, 2007.

7. **J. Apakidze,** Die Spätbronze - und Früheisenzeit in West- und Zentralkaukasien. Chronologische Studien zur Kolchis-Kultur, 1600–700 v. Chr. – Prähistorische Archäologie in Südosteuropa 24, Verlag Marie Leidorf GmbH, Rahden/Westf. 2009. http://www.vml.de/d/detail.php?ISBN=978-3-89646-595-5

8. **M.M. Ivaščenko,** Beiträge zur Vorgeschichte Abchasiens. Eurasia Septentrionalis Antiqua, VII, 1932, 98–112.

A. Pruß, Zur Chronologie des Gräberfelds von Tli (Teil 1). Georgica 16, 1993, 25–47.

9. **В.В. Бжания,** Древние рудники у перевала Аденгь, Медные рудники Западного Кавказа III–II тыс. до н.э. и их роль в горно-металлургическом производстве древнего населения. В: Башкапскарский полево-археологический семинар. Тезисы докладов (Сухуми 1988) 7–9.

10. А.Н. Габелия, Абхазия в предантичную и античную эпохи. Сухуми, 2014.

11. Ю.Н. Воронов, Археогическая карта Абхазии, Сухуми 1969.

12. Ю.Н. Воронов, О хронологичеких связях киммерийско-скифской и колхидской культур. В: А.И. Тереножкин (Ред.), Скифия и Кавказ, Киев,1980, 200–218.

13. Ю.Н. Воронов,

14. Ю.Н. Воронов, М.М. Гунба, Новые памятники колхидской культуры в Абхазии. Советская археология 2, 1978, 257–264.

15. М.М. Иващенко, Исследования архаических памятников материальной культуры в Абхазии Известия научно–исследовательского института краеведения 3, 1935.

16. А.А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. Известия Государсвенной академии истории материальной культуры 120, Москва, Ленинград 1935:9–237.

17. А.А. Иессен, Сухумская экспедиция ГАИМК / Expedition von Sochumi der GAIMK (Staatliche Akademie der Geschichte der materiellen Kultur). Советская археология 3, 1937, 251–252.

18. Г.Т. Квирквелия, Материальная культура Северо-Западной Колхиды в VIII–V вв. до н. э.

Автореферат на соискание ученой степени кандидата исторических наук Тбилиси, 1981.

19. В.И. Козенкова, Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке (Узловые проблемы происхождения и развития кобанской культуры), Москва, 1996.

20. Б.А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, Тбилиси, 1949.

21. Б.А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси, 1950.

22. Г.А. Лордкипанидзе, Колхида в VI–IV вв. до н. э. Тбилиси, 1978.

23. А.Л. Лукин, Эшерская находка. Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д.И. Гулия Академии наук Грузинской ССР 27, 1956, 126–177.

24. А.Т. Рамишвили, Раскопки приморскких стоянок в Пичвнари (Кобулети) в 1960–1964 и 1967 гг. Советская археология 1, 1975, 136–153.

25. Л.Н. Соловьев, Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии. Советская археология 14, 1950, 265–286.

26. Б.В. Техов, Центральный Кавказ в XVI–X вв. до н. э., Москва, 1977.

27. Б.В. Техов, Тлийский могильник. Комплексы XVI–X vv. вв. до н. э. I , Тбилиси, 1980.

28. М.М. Трапш, Некоторые итоги археологического исследования в Сухуми в 1951–1953 гг. Советская археология 23, 1955, 206–227.

29. М.М. Трапш, 1958: –, Археологические раскопки в окрестностях Сухуми. Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д.И. Гулия Академии наук Грузинской ССР, Сухуми 1958, 185–207.

30. М.М. Трапш, Труды II: Культура населения Сухуми в эпоху бронзы и раннего железа, Сухуми 1969.

31. М.М. Трапш, Труды I: Памятники эпохи бронзы и раннего железа в Абхазии, Сухуми 1970.

32. Г.К. Шамба, Эшерские кромлехи, Сухуми 1974.

33. Г.К. Шамба, Раскопки древних памятников Абхазии, Сухуми 1984.

**ტაბულების აღწერილობა**

ტაბ. 1. კოლხური კულტურის გავრცელების ძირითადი არეალი თანამედროვე, ძირითადი ქალაქების მდებარეობის მითითებით (რუკა შერჩეულია Google Map-იდან. ყველა ქალაქის დასახელება რუკაზე ჩვენს მიერაა დატანილი).

ტაბ. 2. სოხუმის მთა. სამარხი N1. 1-3. ბრინჯაოს კოლხური ცულები; 4-6; კერამიკა (მ. თრაფშის მიხედვით 1970, ნახ. 9).

ტაბ. 3. გუადიხუს სამაროვნის გათხრების გეგმა (მ. თრაფშის მიხედვით 1969, ნახ. 2).

ტაბ. 4. გუადიხუს სამაროვნი. A. მე-8 (მე-11) სამარხი. B. მე-9 (მე-12) სამარხი (მ. თრაფშის მიხედვით 1969, ნახ. 7; ტაბ. 1,13; 2,11-12; 5,3-4).

ტაბ. 5. გუადიხუს სამაროვნი. A. 21-ე (68-ე) სამარხი; B. 23-ე (70-ე) სამარხი (A: მ. თრაფშის მიხედვით 1969, ნახ. 17. B: (მ. თრაფშის მიხედვით 1969, ნახ. 18, ტაბ. 2,2.8;3,2-3; 5,9.11).

ტაბ. 6. წითელი შუქურის სამაროვნის გათხრების გეგმა. a) გათხრილი არეალები; b) თანამედროვე სახლები; c) ტერასის კიდე (მ. თრაფშის მიხედვით 1969, ნახ. 23).

ტაბ. 7. წითელი შუქურის სამაროვნი. მიცვალებულები დაკრძლულია მარჯვენა მხარეს მოხრილ მდგომარეობაში: 1. სამარხი 1; 2. სამარხი 2; 3. სამარხი 10 (მ. თრაფშის მიხედვით 1969, ნახ. 26-27; 30).

ტაბ. 8. წითელი შუქურის სამაროვნი. ქვერსამარხები. 1. სამარხი 55(80); 2. სამარხი 93 (193); 3. სამარხი 92 (138); 4. სამარხი 90 (136); 5. სამარხი 94 (140) (მ. თრაფშის მიხედვით 1969, ტაბ. 16).

ტაბ. 9. რესტავრირებული ოსუარიუმი (ქვევრსამარხი) ეშერიდან. სამარხი 4 (ბ. კუფტინი მიხედვით 1949, ტაბ. 19).

ტაბ. 10. ნაწილობრივ დანგრეული ოსუარიუმი (ქვევრსამარხი) ეშერიდან. 1. ქვერსამარხი პრეპარაციის პირველ ფაზაზე; 2. ქვერსამარხი პრეპარაციის მეორე ფაზაზე (ბ. კუფტინი მიხედვით 1949, ტაბ. 34; 36).

ტაბ. 11. სოხუმის მთის ბრინჯაოს განძი. 1-13. კოლხური ცულები; 14-15. სავარაუდოდ სატეხების ფრაგმნტები; 16-17. ორი კოლხური ცულის თუ ცულების ნატეხი; 18. სეგმენტისებური იარაღი; 19-21. სპილენძის (ბრინჯაოს?) ზოდები (ალ. კალანდაძის მიხედვით 1953).

**შენიშვნა:** მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 ტაბულები მ. თრაფშის პუბლიკაციის მიხედვით (1969) გაუმჯობესებული ხარისხით მომზადებულია გრაფიკოს ელზა გომარელის მიერ, ხოლო მე-11 ტაბულა ალ. კალანდაძის პუბლიკაციის მიხედვით (1953) ხელახლა შესრულებულია გრაფიკოს ინგა ესვანჯიას მიერ.



Tab. 1



Tab. 2



Tab. 3



Tab. 4



Tab. 5




Tab. 6




Tab. 7



Tab. 8



Tab. 9



Tab. 10




Tab. 11

# ქალთა ტიპები ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში
# Female images from NW Colchis

**ელისო ბაღათურია-კნერი**

*მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი,*

*ისტორიის და კულტურის მეცნიერებათა დოქტორი*

**Eliso Baghaturia-Kner**

*Ludwig Maximilian University of Munich,*

*Phd in Histori and Cultural sciences*

**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.08

**აბსტრაქტი:** ისტორიული აფშილეთის მატერიალურ კულტურას ბევრი რამ აქვს გამოსამჟღავნებელი კოლხების ცხოვრებაში ასახული ქალის ღირებულებების შესახებ. შესაბამისად, ამ ნაშრომის მიზანია, ქალთა იმ ჯგუფების გამოკვლევა, რომელიც მნიშვნელოვნია კოლხი ქალის ტიპების გასაგებად, ვინაიდან წარმოდგენილია დედის, მეუღლის თუ შესალო შეყვარებულის სახით. კონტრასტი, რომელიც შეინიშნება დაკრძალვი წესებში, პირად ნივთებსა თუ საკუთრების პრინციპებში, რაც სიტუაციურად და წლების განმავლობაში იცვლებოდა, მეტყველია იმისა, თუ როგორ რეაგირებდნენ ინდივიდუალიზმზე. რაშიც, ასევე აისახა, თანმიდევრული, სოციალური და იდეოლოგიური ტრანსფორმაციის გავლენა რომაული და ადრებიზანტიური პერიოდის ქალთა საზოგადოებაზე. ეს ყოველივე მოიცავს კულტურის, წეს-ჩვეულებისა თუ მიდრეკილებების, იდეოლოგიისა და ფანტაზიების ისტორიას, რომელიც ითხოვს ახალი ნარატიული ჩარჩოს შექმნას იმ ისტორიისთვის, რომელიც განსხვავებულად მოყვება თუ როგორ გამოიყურებოდნენ კოლხეთის ქალბატონები პირად ურთიეთობებში, ოჯახში (როცა ქორწინდებიან) და საჯარო სფეროში. ამდენად, ქალის შერჩეული მოდელები რომელიც გამოვიყენე ქცევის, პრაქტიკისა და რწმენის აღსაწერად, წარმოადგენს ქალთა გამოცდილების ემოციურ და სულიერ სურათს ჩრდილო-დასავლთეთ კოლხეთში.

თუმცა, რთულია თვალი გაედევნოს თუ როგორ მუშაობდა პრაქტიკაში ზოგიერთი იდეა, რომელიც არქეოლოგიური მონაცემებიდან ამოვიდა, ვინაიდან არ არსებობს წერიობითი მტკიცებულება ამის დასამოწმებლად. ჩვენ ვეხებით აფშილეთის მრავალტომიან საზოგადოებას და ძნელი დასადგენია, თუ რა გავლენას მოახდენდა ურთიერთოებებზე მათი სხვადასხვა გეოგრაფიული წარმოომავლობა.

**საკვანძო სიტყვები:** ქალი, წეს-ჩვეულება, რწმენა

**Abstract:** Material culture of historical Apsilia has much to reveal about the values women represented in Colchian life. And the purpose of this paper is to examine female groups essential to our understanding of Colchian women and gives some insight to female archetypes representing mother, wife or perhaps the lover.  Some of them are little studied in my doctoral dissertation, but not reflect on the qualities stored in female archetypal entities. The useful contrast in burial practices, wealth, principles of property have varied considerably over years, from situation to situation demonstrates how they served individualization. This also tends to suggest how the gradual social and ideological transformation influenced the late roman female society from early Christianity. All constitute stories of cultures, attitudes, ideas, individual's fantasies, which require building up a new narrative framework for the history of how those females might look in relationship, in family (when joined in marriage) or in public realm. Models that have been used to describe distinctive patterns in behavior, practices and belief are emotional and spiritual picture of female experiences in NW Colchis.

Some of the idea we got from archeological evidences is hard to reach how it worked in practice, as there is no written evidence to confirm. What their identity or different geographic origin might reveal on interactions or influencing each other is difficult to assess.

**Key words:** woman, custom, faith

The academic discussion of the topic Colchian women goes back to antiquity, with tendency of focusing on powerful abilities of famous princess of royal family Medea. She wore 'peaked headgear, associated with eastern Barbarians' (Euripides) and her much advanced character definitely not discussed from a man perspective, but from a cognitive abilities. All this is little and we still know very little about the classic, Hellenistic or roman time Colchian women, be-cause we simply dismissed the practical and conceptual point of women analyzing the grave ma-terial. There is at least Apsilian material culture we have to move on, to better understand what female images conveyed in identification process, since we are dealing with cognitive system based on multi-tribal society.

From historical perspective this region can be argued to be functioned within the trade context, which brought different social reality because of its significant location between Caucasian mountain and Black Sea in NW part of Colchis, and also the perspective of two directional roads that crossed Apsilia. It brought another social condition and thereafter military reality which also comes into play. However, what power and ambitions they had are seen in military groups, de-fensive structures over the road and how they explored events. Hundreds of individual stories rise here was a matter of success in trade or battle disadvantages. And, I am trying to piece to-gether who might have worn all of that fascinated archeological stuff  that draw females of area, and how Colchian women may appear




**Fig. 1. Clothing images of females from Apsilia**

in theoretical model. Therefore, I will attempt to discuss how woman in Apsilia might looked like through their life, and how it applies on structuring fe-male society between the mid- 3rd to the early 6th centuries. This data comes from grave material.

What chronological proceedings showed is distinctive impact of females in area:

- The 270 – 350 AD which is a short period of occupation already show 25 % females in residence, but no information about children, couples or families.

- In the following years of 380/420 – 450 AD female society increases to 40 % and revealed

- The 450 – 500 AD reflect significant change and decrease of female society to 20 %.

- The last 500- 530/550 AD which is period of conquest and abandonment, some females survives only in area of Shapka and Tsebelda.

Those women I actually classify in terms of single, lover, married and mother. That tends to understand the nature of single and double body burials, and also their clothing, where properties are actually varies. They often include various fibulas, seldom the buckle and occasionally buttons of precious stone. That often used in a way to communicate cognitive field, but only clothing style does not quite works in tribal field indeed; because some of the style is basically used in different burial practices and identification becomes more difficult. However the position of fasteners, their functional properties and jewelry is everything we need to realize female outfit. That also guides the history of



**Fig. 2. Olginskoe cemetery grave 3. A-Reconstruction of internal grave structure.**
**B-Artistic reconstruction of corresponding Female.**

fashion and beauty practices observed in this area.

From physical data we can imagine females with 1.50 to 1.62 m body height. Differently structured stola or kind of local over garment and tunic underneath it, might the basic style. All the rest is reflection of fashion and abilities of community attitudes. But clothing is obviously much climate depended and that is why textiles varying in fabric and weight (including linen, silk and wool) those we realize from the size of fibulae. We don't know exactly what kind of textiles used for garment. Few surviving bits of textile on fibula from Apusta grave have not been investigated[1]. But most surely it was made from Colchian linen, well known from ancient time. Also Silk does not excluded to be used in later years[2], but expensive textiles might affordable to the wealthy.

Therefore, when we think about the Colchian female in roman and early medieval period, we have to imagine verities of dress and think about the meaning behind them. Indeed, we don't know much about exact garment and the ways they wore similarly to Greeks, romans, or had own version;

---

1. Apushta cemetery grave 33. Voronov 1982:66. Pic.31,7,8

2. Silk was historically traded through Apsilia and neighboring graves of Bolshaja Laba produce evidences of silk in graves of upper reaches of Kuban. See in Baghaturia 2006:.

but all they might use a *Tunica Intima* (intimate tunic)[3], *mamillare* (breast band) or strophium (the top) and *subligaculum* (bottom). We can speculate from evidences of sustaining fasteners that at least four different clothing types are observable. They probably based on a long garment supposed to fall to the ankles or even a little longer (**Fig.1.B**)[4].

Earlier images of 270-330 AD follow few different ideas. We get three distinctive version of dressing. The first entails a high interest in a pinned dress on both sides of chest, which have been used by female society of southern Apsilia. Earliest style of that worn by Mramba women is more spectacular perhaps because of much fitted garment tied together with cornelian buttons at the neck. Her over garment was fastened with omega type bronze fibulae on both sides of chest and then belted (**Fig. 1, A**)[5]. She might look pretty, by wearing a gilded glass neckless, quite a short chain of pearls suspending some carnelian and sardonic stone beads, and a silver bracelet on the left arm. No evidences about her hairstyle and we don't know if small knife found on her hip may reflect a clothing component, similar to some Pithius female[6]. Stylistically her dress shows a Greek influence, but what about the fibulae type? Could be it a kind of dress might worn by women who had special connections with Colchian authority and effected an area?

From cognitive perspective at least, this style implies something more, because continued to the late 4th century and used by different communities lived in Apsilia, but why? - It is a central question of hidden and unspoken story. Most obvious examples of that are few regional females still walked in similar clothing here, shared a rarest cremation funerary ideas that is characteristic for classic-Hellenistic central Colchian Chkorotskhu and easily lead to regional concern (**Fig. 2**)[7]. But a women from mountaineer Apusta with Abazgian type pottery, preferred to dress rather differently even in

3. Tunica Intima was a long or short sleeved tunic.

4. A long piece of cloth humbled around, with it a little and made a neckline, and end up with a sort of baggy, pinned to the right and left side. That is basic. then tied it over or only under by belt, that falls over as ancient islands did to adjust the length, pull the fabric up, over the rope as much as needed and then let this fall over.

5. This female was buried in Abgidzrakhu cemetery grave 7, which can be dated to the 200-270 AD. Her body length is 1.60 m Trapsh 1971:27. Tabl.IV.

6. Three small knifes are evidenced on the right hip of female adult in Pithius Grave 37. Another female buried in gave 48 occurs knife below the left arm. Lortkipanidze G. 1991:119, 120. (in Georgian)

7. Most of this community member in Apsilia is male. Their graves observed over the hill cemeteries of Olginskoe-graves 2,4, Mahajirov-gave 5 and may bear genetic information. See: Baghaturia-Kner E. 2022: 150-153, 159. Fig. 26,B; Tables 45, 49. One of such community member is observed in late roman cremation grave of Indgir in Gelenjik. See: OAK 1980:54; Khostaria 1941:90.




**Fig. 3. Tsebelda fort cemetery grave 23. A-Reconstruction of internal grave structure. B-Artistic reconstruction of corre-sponding Female.**

arly-4th century[8].

Most of the rest garments during the mid-4th to early-5th century supply more stereotyped clothing, well styled within the areal tradition, and provide information from a cognitive perspective. Three fibulas on the chest and perhaps more brightly colored cloth give certain sophistication to style. It involves the fibulae types like lebjazhi, profiled, local arched bow fibula, some applying a new coil-wire design (**Fig.1,B**) and early type of cross headed bow fibula. Number of characteristic reflected in fibulae sizes, which we find in graves of any type body display at the time, suggest autumn clothing. But if we dive a little deeper, we can actually see that some female of upland Apusta and Lar are still very confident in their little distinctive outfit. Some style is based on a single fastener. We don't know why they wore kind of dress pinned at the left[9] or on the right shoulder[10] which is not traditional, unusual and strange, but each brought through behavior and consciousness. Perhaps it gives notice of a very first moment of stylistic change. What a Lar women tends to illustrate is how to shape the body

8. Apusta cemetery grave 1. Voronov, Voznjuk, Jushin 1971: 176. Pic.2. Apushtinskii moginlnik. CA, 1. (Russian). Interestingly, her funeral was performed in the same way as other contemporary females in Apiancha and mid-4th century Alrakhu

9. N oriented Apushta cemetery grave 8. No sign of pottery fragment. Voronov, Voznjuk, Jushin. 1970:181. Pic. 7, 7-31. CA, 1. (In Russian)

10. It is a NE oriented double body grave of mother and her adult found in Lar cemetery graves 4. Her neckless suspended of jet, a pale brown bead, a green paste bead with red-yellow-blue inlay and a red paste with yellow-brown-green inlay could remain her similarly fashionable. Grave may date to the 300-330 AD. Voronov 1982:34. Pic. 14, 24-27.

by using a belt with circular buckle below the breast, and in cooler climate make a look nicer by pulling over a wool mantel, and pin it on the chest with Colchian coil-bended fibulae[11]. That is likely to be based on a roman fashion and keep an attractive look with a short neckless of various glass and paste beads. Not far from Lar, we can imagine the Apusta women, dressed perhaps in simple long sleeved tunica, her over garment pinned with a single Colchian fibula on the left breast area and hided hears neadwear, which is similarly tied by fibulae at the right temple[12]. Silver earrings and bracelets she wore on both arms, and jeweled cloth with several beads on the chest, is a way in which she remains more fashionable.

A rarest dress category for example with two or three fibulae tied at the neck[13], glad to ware Mramba and Apusta woman, may address an exceptional clothing that had been worn whether for marriages, funeral other social occasions like diner and etc.




**Fig. 4. Double body grave 37, Apiancha cemetery. A. reconstruction of the grave structure. B- Artistic image of buried couple.**

Most enigmatic is a dress style without fasteners, which also appear in cremation graves and in

11. It evidenced in Lar cemetery grave 3, which may date to the 270-320 AD. Voronov, Voznjuk, Jushin 1971: 31. Pic.14, 4-23. Apushtinskii moginlnik. CA, 1. (Russian).

12. It evidenced in Apushta cemetery grave 8. Her jewelry included the glass pearls of various colour and combined with short bead suspended of paste, jet, and sardonic and gilded glass variants. Voronov, Voznjuk, Jushin. 1970:179. Pic. 7.

13. Female in Abgidzrakhu cemetery grave 2 was evidenced in 1.62 m body length, occurring two fibulae below the jaw.. Grave may date to the AD 300-320. Trapsh 1971:22. Tabl.I. Another female that occur three fibulae on the neck and a knife on the waist was found in Bat cemetery grave 5, which may date to the 270-300 AD. Voronov 1982: 42, Fig. 5, 1-42

some ethnically distinctive burial practices revealing a coin placing in mouth[14]. Therefore, we don't know if all women had access to the dress attire or there were kind of women, who robably never wore fasteners in their entire life and similarly displayed in their funeral. But a basic sleeved tunica, the Stoller wrapped on or belted with a simply knotted belt below the breast is version to be expected. If they pull around a rectangular mantle (around the waist, and then over the arm) cloack or Palla, might depended on occasion.

What may consider the early medieval female society in Apsilia, it was closely connected with reside from northern to central parts of area by the late 5th century, and also their active response with fashion. Therefore, we see an example of that distinctive overdress with a front clothing coat, fastening with several fibulae on the chest[15], similar to central Apsilian society, and on the left shoulder[16] or at the neck[17] that showing mountaineer female behavior. But changes that follow trends and patterns are highlight another group, with different sets of fastener, and nail cleansing strep-ends or cosmetic sets, which hung on fibula at the waist, or worn on the right shoulder. It appears from about 430 AD and observed only among central Apsilian woman society[18]. Interestingly, all females avoid wearing a head cover with fibulae decoration. Some verities based on conceptual change are referenced in images of cross shaped fibulae used in same way as others, also in a golden cross on the chest and some protective elements like bell, which thought to be a grave offering[19].

However, they are female images usually of middle and low class, buried over several hills at the south and north. Information bias enables to comment what a textile features Plebian woman or Patricia, or the most prominent female of area. Only jewelry brings us to the image of two wealthiest females of Shapka society of 320-350 AD and 400-450 AD. The first, a conceptually distinctive Akhatsarakhu woman accentuated her dress with a belt, suspending rarest square buckle made of bronze and with Colchian arched fibula[20]. But her golden pendant of rounded shape is that matches

14. Female grave 1 of Mahajirov cemetery. Voronov, Bgazhba and etc, 1990:26. Pic.19, 1-5; Bghaturia-Kner 2022:343. Fig.47,2.

15. Tserkovni hill cemetery gave 10. Justinianov cemetery grave 3. Voronov, Shenkao 1971:180, 182. Pic. 10; 12.

16. Justinianov cemetery grave 5. Voronov, Shenkao 1971:184. Pic.14.

17. Tserkovni hill cemetery grave 1. Voronov, Shenkao 1971:171. Pic.1.

18. Such items are multiplied rapidly during the 430-450 AD could be an indication of development of the roman habits. Baghaturia-Kner E. 2012:242.

19. Justinianov cemetery grave 4. Voronov, Shenkao 1971:184. Pic. 13; Tsebelda fort cemetery grave 14. Voronov, Bgazhba and etc. 1989:12. Pic.7. AO, 1984. Abgidzrakhu cemetery grave 15. Trapsh 1971:38, Tabl.IX. Baghaturia-Kner 2012:231, Tabl.VIII.

20. The burial custom of female found in Akhatsarakhu cemetery cremation grave 12, closely links with central Colchian society. Trapsh 1971:97. Tabl. XXXVII.

to socially prominent female. It was decorated with royal blue glass, consisting three attached twisted thin-wire, each with spherical white pearl, and with a loop for hanging on the neck.

Another is more status conscious woman from Abgdzrakhu with 1.60 m body height, dressed in kind of cloak that tied by two distinctive local fibulas at both sides of shoulders and mantle pined with




**Fig. 5. Double body grave 11, Tsebelda fort cemetery.**
**A. Reconstruction of grave structure. B-Artistic image of buried female and child..**

Lebjazhi type fibulae on the chest[21]. I expect her with a popular hairstyle, very-well coifed or curled up hair, and at least with a head-band adorned by local arched fibula. Her precious jewelry including an imported golden pendant incrust with red stones, also the silver earrings, finger rings and bracelet that could ascertain a quick glance at her. High quality stuff of other women from Abgidzrakhu might draw attention with a golden cross, some set of precious tone beads including various carnelian, sardonic and rock crystal, also a 14-cut royal blue beads. Her mantel tied by silver fibulae on the chest[22]. Both Abgidzrakhu females may engage in public life as well.

Some graves show that defensive structures were areas not only for fighting, but to live, love and protect a woman, wives, daughters and sisters (perhaps of influential man). Identification of that is essential, because they are where we find untold stories of personal relationships and experiences, which also influence the social structure and shifted changes.

---

21. Female was found in Abgidzrakhu cemetery inhumation grave 45. Her long beads was suspended of several glass beads 14-cut royal blue beads, byconic blue pearls, rounded pearls of Lila colour, two distinctive eyed paste beads and amber beads of different size. Trapsh 1971:71-72. Tabl. XXIII. Pic.7,5.

22. Abgidzrakhu cemetery grave 15. Trapsh 1971:38. Tabl. IX. Pic.8.

***Hairdresser of Tsebelda.*** A female we found here may a typical example of very skilled women




**Fig. 6. Double body grave 11, Lar cemetery. 1-internal grave structure.
2. Reconstruction of mother and daughter.**

in beauty service at time (500-530 AD), who get over the stereotype outfit. Trying to shape the body by north Caucasian hinged fibulae at right side of belly is a way she might advance a sty-listic change. She might actually be appeared in life with a narrow and long sleeved tunica

with a slit neck, wrapped a short sleeved over garment which is decorated with silver plate at the chest and belted below the breast (**Fig. 3**)[23]. No evidences of her hairstyle, but bronze hoop-earrings, imported bracelets on both arms, some even from Palestine and a necklace of silvered glass pearls and stone beads are all about her wealth. Nail-cleansing and cosmetic straps that hung on hinged-bronze fibula and supported the belt, accentuate not only a dressing style, but multifunc-tional nature. That in fact you get also from sort of corresponding assemblages like scissor and awl. But scissor is one of the main reasons I think how hairdresser look like in early medieval Apsilia. And a vintage point of her importance is appearance among military society who would definitely need a popular haircut.

Her cosmetic sets, useful for adorning the eyelashes, lids, lips and for removing them could re-veal a behavior of the knowing subject-being engaged in beauty revives. We don't know any-thing about her makeup, but all this stuff gives sense of how this woman looked like. In general, we don't know what kind of face cream, chalk or lead power could be used by females in Apsilia, but deposited bowl and Lazian type pear shape jug could be helpful for Tsebelda wom-en for mixing the cosmetic

23. Tsebelda cemetery grave 296 (23). Her long beads is suspended also of colored glass or incrusted pasted beads with sea shell and some precious stone like amber, cornelian See: Baghaturia-Kner E. 2012: 241-242. Table VII; Baghaturia-Kner E. 2022. Table 79b, 11; Voronov, Bgazhba and etc. 1989:12. Pic.8. AO, 1984.

stuff[24].

***Couples grave.*** Another is a double body grave of different gender from Tsebelda fort ceme-tery. It is a limited grave category that evoking number of emotional relationships and cognitive processes. We in fact, know little about lovers or couples from Colchis. Some earliest cases from Apsilia turns us think about the period of 360-380 AD of their sudden appearance, which could be indicative for the changes in law. Therefore, let me start first with a couple grave found in civilian community of mid-4th century Apiancha.

An Apiancha woman is attributable to earliest evidence of couple grave had been presented with a 1.55 m body, placed to the left of her men (**Fig.4**)[25]. The sense we get form both-identically displayed decease, burial practice and offering spectrum, is a picture pretty much of the same community. She was very fond of using the 4th century version of garment, a mantle pinned at the neck and perhaps the rare hair-strep. Both had been fastened by identic coil-banded Col-chian fibulae, with metal stepped spirals at the left side. But another fibulae found in jar suggests a kind of different wool garment she might have. If we try to understand the content of her part-ner's offering, he in fact leaved as a spearman (1.75 m height) that point, but does not seem a kind of roman soldier.

A matter we do see in fingerings of another couple from the largest military side of area and a possible reason behind them is relative to an advantageously married soldier. It at least, it may imply a die of women together with her men, probably during 530-550 AD and that is why placed to the right of him[26]. The notes of her waist belted dress and over garment pinned with a north Caucasian hinged fibulae at the left shoulder, suggests similar design known from the 4th century Apushta area. As it was unusual at time, it could be a cautionary tale appearing this way. Because, we should bear in mind, that grave come at the time when certain changes of fashion and fasteners are remarkable. A small knife at her right hip is like others from area. From the body display, I would argue that she is similar to those Tsebeldian society does not distinguish much from Colchian. But since there is no strongly supportive construction of funerary ideas, it is difficult to find a conception for her tribal origin. In contrast, the body display of her hus-band, more specifically a knee bent right foot, is indication of distinctive treatment. Looking at the stone lining practice, often expected diverse community, makes me to believe a more differ-entiated practice, which first appears in central Apsilia in early 4th century Tsebelda. And if we figure out his dress attire and a narrow belt consisted of two distinctive strip-ends of Tolnanemei type and strip-terminals of *heraldic*[27], together with an actual

---

24. Roman females used lapis lazuli to color the eyelids and coal for outlining the eyes in black.

25. Couples grave 37 of Apiancha cemetery may date by the 380-400 AD. See: Baghaturia-Kner E. 2022: 359. Type 1, Fig. 50. Gunba 1978: 43-45. Tabl. XXXIV.

26. Tsebelda couples gave 13a-b. Voronov, Bgazhba and etc. 1989:11-12. Pic.6. fig. 2. 'AO. 1984 '.

27. Baghaturia-Kner 2022:390. Table 110b, B.

Leader shoe *caligae* (?) made with hob nails to cover the ankle[28], all are byzantine influence. His finger ring and hinged north Cau-casian fibulae supported his cloth on the right belly area, comes from different sources. I am not sure if this stuff was actually important to express the military rank, but his burial place from the commanding officer residence, obviously proves his authority.

**Mothers:** Some women get kids and produce a very attractive and clear conceptual figure of mother (**Fig.5**). They are two distinctive categories applying whether a child or adult, and chron-ologically of 450-500 AD and 530-550 AD.

There are few examples of first category. Earliest comes from Apiancha[29]. That is an image of elegant mother in sleeved garment with a closed tunic that is pinned by a Lebjazhi type silver fibula on the chest. She wore imported bracelets on arm, silver earrings and a kind of stone jew-elry appropriable to the time. Her body display, clothing style and provided deposition is very realistic to consider local women. The position of the child articulated bent at the right foot of mother is an indication of a very young age. Since there is no sign of related deposition, we don't know more about this child.

One aspect of later grave from Tsebelda is that it goes to demonstrate which community women and children have prevented in Tsebelda fort[30]. Another aspect is a burial custom of women with child, who dressed similarly to some Tsebeldian community in a way of using north Cauca-sian hinged fibulae at the right shoulder. Both were similarly articulated in most predominant extended position with distinctive head facing. Funeral made clear that pouring wares at the head is similar to the practice seen in area[31], but instead of using jug she occur a north Caucasian pot-tery above the right shoulder similar to a 4th century women from Apushta[32]. Also, we don't have any explanation what causes small knife to be placed on her right shoulder. However, be-cause containing north Caucasian pottery, and applying a stone lining practice, much of that so-phistication often used in north Caucasian grave, some experts refer it as North Caucasian indi-vidual (Alanian ?)[33]. But, there is a little bit to think about historical context of first appeared stone lining graves in mid- 4th century Tsebelda area[34]. We need to understand the nature of their funerary content, which does not exclude the shift of a little new community[35] and that is central to Tsebeldian

28. Baghaturia-Kner 2012:243. Baghaturia-Kner 2022:393. Table 109,C. Voronov, Bgazhba and etc. 1989:11-12. Pic.6, 36-44. 'AO. 1984 '.

29. Baghaturia-Kner 2022:359. Fig. 51.3.

30. Tsebelda fort cemetery grave 11. Voronov, Bgazhba and etc. 1989:11. Pic. 6. 1-14.

31. Abgidzrakhu cemetery graves 30 and 45. Trapsh 1971:49, 71. Tabl. XIII, Pic. 7.3; Tabl.XXIII, Pic.7.5.

32. Apushta cemetery grave 32. Voronov 1982:66. Pic. 30.46-56.

33. See Kazanski M, Mastykoa A. 2007.

34. See an individual male grave 6 and intercut graves 7-8 of male gender in Tsebelda cemetery. Voronov, Bgazhba 1982:57. Pic. 96, 97. AI

35. Baghaturia-Kner 2022:363.

society. Therefore, such later graves may include individuals those ancestors have happen to immigrate in Apsilia. And this intention of Tsebelda women could be both, emphasis and results of past changes attributable to certain community of Tsebelda area.

Another category from Lar and Apiancha are mothers, probably with their daughters, showing carefully conducted burial practice and corresponding structure[36]. Both mothers are similar in extended body display (with distinctive head facing) and in front placed feminine adult (**Fig.6**). Two pouring pottery of Lazian character are set at the head is similar method seen in 4th century graves of area[37]. Mothers are dressed up carefully in most common garment with two fibulas on their right shoulder, but from their cross shape pattern we may speculate byzantine dress style of Christian community. We don't know if adults wore different kind of dress, but fibulae on the left shoulder may resemble a Peplos type earlier costume. Their body display makes me a little wonder about origin, since regional people - some from northern Caucasia are often seen that way placed on their right hip. But since elder females decline such body display practice in Apsilia, it could be an indication of Age[38]. Kind of evidence like a hoe and whetstone indicates what type farming or gardening she was engaged in.

Conclusion: However, the point I'm trying to make is that, Colchian females were great follow-ers of fashion in any historical period. They were similarly important in the civic and military community. Evidence of female presence inside the fortified area are wives of militaries and sort of situations they getting wives. Who were they we don't know, but how they treated or rise generation is reflected in cognitive thinking and how they transformed their identity through cen-turies.

We draw mixed communities in fact, which produce the mental, cognitive and cultural map of multi-tribal female society in Apsilia. Their attitudes and interests might often oppose, distinc-tions would not set aside, which may also reflect on social structure or shape distinctive behav-iors. But it is not easy to illustrate the social interaction of different female groups, how they re-lated with each other or how all this works. Some from the places of Mramba, Apiancha, Tseb-elda and Apushta would actually meet every day and even involved in some kind of community work, or for something they care about. Indeed. But they all had to share life and resources managed by Colchian Kingdom and political activities, some of which may lead to innovations and change.

---

36. Those evidenced Lar grave 11 may date to the 400-450 AD. Voronov 1982:36. Pic. 16,15-19. Another was found in Tsebelda fort grave 11, which may date to the 500-530 AD. Voronov, Bgazhba and etc. 1989:11. Fig. 6; Kazanski Plan –Tseb 2, gr.321; Pic. 149 (1-14).

37. It evidenced in early-4th century Apusta grave 1 and mid-4th century Alrakhu grave 3. See in: Voronov, Voznjuk, Jushin 1970:176. Pic. 2. CA, N1; Gunba 1978:12, Tabl.III; See also Baghaturia-Kner 2022: 359. Types 2 and 3, Fig. 51, 3.

38. Baghaturia-Kner E. 2022: 360. Type 2, Fig. 51, 1-2.

This we get from offered properties giving a broader perspective on the life model of Colchian women and their active role in process. Popularity of clothing and evidences of cosmetic, make up fashion, jeweled hairstyle, showing a rapid changes in beauty practices suggests skilled fe-males might welcome in beauty practices. Such is a Tsebelda woman well-intentioned and so-cial, who easily could be imagined as a hairdresser, or skilled in arts of dressing and make up, therefore fell on social duties or public responsibilities with popular job. But some might en-gaged in laundry to wash the cloth and cooking services of soldiers. Evidences of certain knit-ting tools and sewing needle of Tsebelda and Apusta females (**Fig. ***) is conformation how proud they were to be able of spinning fibers, knitted socks to wear with sandals, weaving cloths or making garments, at least for their family members or even for soldiers. Skilled females might well involve even in wool or line production. Line production center in Colchis is un-known, but Apsilia had all condition for producing wool.

Few women of Mramba are seen competent in rituals, since they are easy to distinguish with handmade miniature juglets which possibly practiced in performing rituals or liturgies[39]. They could be experts in healing medical practices or kind of Maggie that motivated people and pro-tected at least from stress. This may define location (Mramba) and stage (300-360 AD).

In fact, the career opportunity for women was limited and they would deal with all sort of work. But Expectations of women might depend on family social status as well. Some married fe-males, especially enable nursing own children, required much effort in full daylight to keep family looking good. This obviously turns out to explain administrative and managerial skills of women. Most may act for the household consumption such as animal husbandry, producing cheese, care of vegetables, cooking dinner or organize parties, might not be considered popular job. But the household of women financially supported by their husbands would run very-well and such examples could be each wealthy women of Apsliia. Some important woman, perhaps from officers' family might have some public role in social organization.

We know that people in Apsilia were heavily engaged also in trade as biggest part of Apsilian economy, based on Mediterranean and near eastern trade. But no evidences for defining females in this matter.

39. Inhumation female grave 35 of Abgidzrakhu cemetery and Aukhuamakhu cemetery grave 1. Trapsh 1971:54-56, 98-100. Tabl. XV,1; XXXVIII,1.

**References**

Baghaturia E. 2006. On the importance of the 'Missimian''s – Kodori Route in the 1st -6th centuries. Venezia. (In English).

Baghaturia-Kner E. 2012. Clothing in Apsilia. Tbilisi. (In Georgian and in English).

Baghaturia-Kner E. 2022. Machara and Kodori valleys (historical Apsilia) of NW Colchis in Caucasia in the 1st to 7th centu-ries AD. Inaugural Dissertation. Munich. (In English).

Gunba M. 1978. Novie Pomjatniki Tsebeldinskoi Kulturi. Tbilisi. (In Russian).

Kazanski M, Mastykova A. 2007. Tsibulum: La necropole apsile de Tsibulum (VIIe av. J.-C.-VIIe ap.J.-C.). (Abkhazie, Caucase). Vol.1: Les fouilles de 1977-1986, Vol.2: L'etude du site. BAR. Internationl series, Band 1721. (In French).

Lortkipanidze G. 1991. Bichvintis Naqalaqari. Tbilisi. (In Georgian).

Trapsh M. 1971. Kultura Tsebeldinskikh Nekropolei. Trudi 3, *. (In Russian).

Voronov I, Jushin V. 1982.Novie Pomjatniki Tsebeldinskoi Kulturi v Abkhazii . CA, Moscow. (In Russian).

Voronov I. 1982. Drevnosti Azantskoi Dolini. Tbilisi. (In Russian).

Voronov I, Bgazhba O. 1982. Paskopki Mogilnika Tsibilium-1. AI v Tsebelde, Tbilisi. (In Russian). (In Russian).

Voronov I, Bgazhba O, Shenkao N, Loginov V. 1989. Issledovania Krepostei i Mogilnikov v Tsebelde. AO v Abkhazii 1984, Tbilisi. (In Russian).

Voronov I, Bgazhba O, Shenkao N, Loginov V. 1990. Novie Pogrebenia Apsilov Iz Okrestnostei Tsebeldi. AO v Abkhazii 1985, Tbilisi. (In Russian).

Voronov I. 2003. Mogili Apsilov. Itogi Issledovania Nekropolja Tsibilium v 1977-1986 godax. Edited by Bgazba. (In Rus-sian).

# ელინისტური ხანის ბერძნული საწარმოო ცენტრების სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები კოლხეთთან ნოქალაქევის ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით

# Hellenistic period trade-economic relation between Greek and Colchis according to new archaeological finds from Nokalakevi


**ნინო ხუციშვილი**

*პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი-სპეციალისტი*

**ანა თვარაძე**

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი-ასისტენტ-კურატორი*

**ნიკოლოზ დიასამიძე**

*ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიცია-ველის ზედამხედველი*

**Nino Khutsishvili**

*Parmen Zakaraia Nokalakevi Architectural Archaeological Museum-Reserve, magister*

**Ana Tvaradze**

*Georgian national museum*

*Simon JHanashia Museum of Georgia, magister*

**Nikoloz Diasamidze**

*Magister of Archaeology*



**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.09



**აბსტრაქტი:** ნაშრომი ეხება ნოქალაქევში აღმოჩენილი ელინისტური ხანის სამეურნეო (ამფორა, ლუთერიუმი) და სუფრის ჭურჭლის (ლანგარი, სამარილეები) იმპორტულ კერამიკულ ნაწარმს. ნოქალაქევში გამოვლენილი იმპორტული კერამიკული ჭურჭელი განხილულია საწარმოო ცენტრებისა და მათთვის დამახასიათებელი დამზადების ტექნიკისა და პერიოდების მიხედვით.


ნოქალაქევის ნაქალაქარი მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოქალაქევში, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე, ქ. სენაკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 16 კმ-ში.

ნოქალაქევის ნაქალაქარზე პირველი არქეოლოგიური გათხრები 1930-იან წლებში ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ალფონს მარია შნაიდერის ხელმძღვანე-ლობით ჩატარდა. მას შემდეგ, ნაქალაქარზე მცირემასშტაბიანი სამუშაოები სხვადასხვა დროს 50-60-იან წლებშიც მიმდინარეობდა.

1973 წელს ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოები ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიური განყოფილების ექსპედიციამ დაიწყო, ხოლო 2001 წელს შეიქმნა ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიცია,

რომელიც ძეგლზე არქეოლოგიურ სამუშაოებსდღემდე აწარმოებს. ნოქალაქევი მრავალფენიანი ძეგლია - უადრესი კულტურული ფენები ძვ.წ. VIII საუკუნით თარიღდება, სადაც გამოვლენილია ორმხრივპროტომიანი ზოომორფული ფიგურების რიტუალური მოედანი და საწარმოო ნამოსახლარი. დაფიქსირებულია და შესწავლილია ძვ.წ. VI-IV, III-I ახ.წ. IV-VI საუკუნეების, ასევე, განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების ფენები.

მრავალწლიანი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად ექსპედიციამ ნაქალაქარის რამდენიმე ლოკაციაზე დააფიქსირა ელინისტური ხანის, როგორც ნამოსახლარი, ასევე სამაროვანი. შესაბამისი პერიოდის ფენებში, დიდი რაოდენობით გამოვლინდა სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ადგილობრივი და იმპორტული არქეოლოგიური მასალა.

იმპორტული ნაწარმის გამოვლენა მნიშვნელოვანია ელინისტური ხანის ნოქალაქევის ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის საკვლევად. ძეგლზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ქალაქ სინოპში დამზადებული კერამიკული ჭურჭელი, ძირითადად კი ამფორები. დაფიქსირებულია ე.წ. ასტინომის დამღის ჯგუფის ორი ამფორის ყური. წითელლაკიანი და შავლაკიანი მცირე ზომის კერამიკული ჭურჭელი.

მოხსენებაში დეტალურად განვიხილავთ ნოქალაქევში გამოვლენილ ელინისტური ხანის იმპორტულ კერამიკულ მასალას და მათი შესწავლის ფონზე წარმოვაჩენთ ელინისტური ხანის ნოქალაქევისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთოებების ხარისხსა და ხასიათს ელინისტურ ხანაში.

**საკვანძო სიტყვები:** ელინისტური ხანა, ნოქალაქევი, იმპორტული კერამიკული ნაწარმი, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები

**Abstract:** The thesis refers to the Hellenistic period's imported ceramic materials (amphorae, lutherie, plate, salt cellar) fabricants and fabric centers. The Nokalakevi site is located in Senaki municipality, 16 km. North of the town of Senaki, on the left bank of the river Tekhuri.

Since the 1930's archaeological excavation have unearthed different archaeological layers dated back to the 8th-7th cc. B.C. workshop settlement and ritual square, a 6th-4th cc. B.C. settlement, a 3rd-1st cc. B.C. settlement and burials, and the 4th - 6th A.D. cc. ruins of the capital of the Egrisi kingdom.

Since 2001 Anglo-Georgian expedition carried out archaeological works continuously, expedition worked in the different parts of the settlement and unearthed Hellenistic period settlements and burials

with local and imported archaeological materials.

The appearance of the imported materials in Colchis means their trade relations between the Greek world and Colchis. There is unearthed a lot of ceramic materials produced in the city of Sinope, mostly there are amphorae fragments and two amphorae handles with the stamp on them. Expedition has unearthed ceramic materials from different industrial centers. We have examined black and red-covered artefacts dated back to the 3rd-2nd centuries B.C.

**Key words:** Hellenistic time, Nokalakevi, imported ceramic materials, trade-economic relation.

ნოქალაქევის ნაქალაქარი მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოქალაქევში, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე, ქ. სენაკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 16 კმ-ში **(სურ. 2)**.

ქართული წერილობითი წყაროების, კერძოდ კი ლეონტი მროველის ცნობით, ძვ.წ. III საუკუნეში ქართლის მეფე ფარნავაზის მოკავშირე ეგრისის მთავარ ქუჯის დაუარსებია ციხე-გოჯი: „მაშინ ფარნავაზ მისცა დაჲ თჳსი ოვსთა მეფესა ცოლად, და მეორე დაჲ თჳსი მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღჳთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი" **[მროველი, 1955:24]**. ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგა ხანია დადასტურებულია ციხე-გოჯისა და ნოქალაქევის იდენტობის საკითხი **[ლომოური, 1981a:18-47; ლომოური, 1981b: 48-76]**. თუმცა, მრავალწლიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად ჯერჯერობით მეფე ფარნავაზისა და ერისთავ ქუჯის პერიოდის ციხე-ქალაქის ნაშთები არ დაფიქსირებულა. 1973 წლიდან მოყოლებული ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილში ელინისტური პერიოდის მდიდარი კულტურული ფენები, სამაროვანი და ორი სამოსახლოა გამოვლენილი **[მურღულია, 2018 გვ. 52]**, ერთი სამოსახლო დღემდე არქეოლოგიური შესწავლის პროცესშია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ელინისტური ხანით დათარიღებული როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტული წარმოების კერამიკული ნაწარმი დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი ნაქალაქრზე. 1983-1986 ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნაქალაქარის აღმოსავლეთ სექტორში, VII უბანზე, ე.წ. „გალავნებთშორისში" გაჭრილ თხრილში (უბნის ხელმძღვანელი დ. ლომიტაშვილი) ელინისტური ხანის ნაგებობის ნაშთები პირველად დააფიქსირა **[ლომიტაშვილი, 1993:152-153]** რაც შეეხება ბოლო წლებს, ნაქალაქარზე ელინისტური ხანის სამოსახლო დაფიქსირდა A, B და F თხრილებში **(სურ. 1)**. რაც შეეხება ელინისტური ხანის სამაროვნებს, ისინი გამოვლენილია ნაქალაქარის აღმოსავლეთ გალავნის როგორც გარე, ასევე შიდა ტერიტორიაზე, ფიქსირებულია ორმოსამარხები, ქვევრსამარხები, რამდენიმე ამფორასამარხი და კრემაციული სამარხი. სამარხეული მასალა მრავალფეროვანია, გამოვლენილია: დოქები, ქოთნბი, ამფორისკი, ბრინჯაოს, ვერცხლის და იშვიათად ოქროს სამაჯურები, სასაფეთქლე რგოლები, საყურეები,

ბეჭდები, საკინძები, პასტისა და ნახევრადძვირფასი ქვების მძივები.

რაც შეეხება ელინისტური ხანის ნამოსახლარს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნამოსახლარი დაფიქსირებულია A, B და F თხრილებში. ესაა მიწაზე, ერთ რიგად დალაგებული უფორმოდ გათლილი კლდის ფლეთილი ქვების ხაზი, დუღაბის გარეშე, რომელზეც შემდგომ იდებოდა ძელები და თიხით ილესებოდა **[მურღულია, 2018:52]**. აღსანიშნავია, რომ დღემდე წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად ნაქალაქარზე ელინისტური ხანის ნამოსახლარის ორი ძირითადი ტიპი გამოიკვეთა: A თხრილში გამოვლენილი ნაგებობები ერთ ჰორიზონტზეა განლაგებული **(სურ. 3)**, მაშინ როცა F თხრილში დაფიქსირებული სამოსახლო ტერასებადაა მოწყობილი **(სურ.4)**. მსგავსი ტიპის სახლის არქიტექტურული მოდელი აღწერილი აქვს რომაელ არქიტექტორსა და ინჟინერ ვიტრუვიუსს და ის „კოლხური სახლის“ სახელითაა ცნობილი **[ყიფიანი, ამაშუკელი, 1995:6]**.

ელინისტური ხანის ადგილობრივი კერამიკული მასალა დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი როგორც A, ასევე F თხრილებში. შეიძლება გამოიყოს როგორც სამეურნეო, სამზარეულო, ასევე სუფრის ჭურჭლის სხვადასხვა ტიპი. გვხვდება ადგილობრივი წარმოების ბერძნული კერამიკული ჭურჭლის გავლენით შექმნილი ცალები - როგორიცაა სამტუჩაპირიანი დოქები, ლუთერიუმები, სამარილეები და ა.შ. რაც შეეხება იმპორტულ კერამიკულ მასალას, ნამოსახლარების შიდა და გარე ფართობზე შესწავლილი თანადროული კულტურული ფენებიდან მოპოვებულია დიდი რაოდენობით ამფორები, ლუთერიუმები, ლანგრები, სამარილეები, მცირე ზომის დოქები და ა.შ.

როგორც ცნობილია კოლხეთის მთავარ აგრო-სამრეწველო რეგიონი მდ. რიონის შუა წელის გარშემო იყო კონცენტრირებული. იგულისხმება ტერიტორიები, რომელიც ბიზანტიურ წერილობით წყაროებში მოხირისის სახელით იხსენიება. VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის მიხედვით: «მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზეა არქეოპოლისს დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მიწაწყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის, და სხვა ნაყოფნიც იქ კარგად ხარობენ. ამ მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე, სახელად რეონი; მის სანაპიროებთან ძველადვე კოლხებს აუგიათ ციხე. . . მას ლაზები ქუთათისს ეძახიან» **[კესარიელი, 1965: 194-195]**.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებული მოსაზრების მიხედვით, მოხირისი მდინ. რიონსა და ცხენისწყალს შორის მდებარე გავაკებულ ადგილებზე მდებარეობდა და ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ რაიონს წარმოადგენდა. მოგვიანებით ის ქუთაისის ე.წ. «სამოქალაქოს» ფარგლებში ექცეოდა **[ყაუხჩიშვილი, 1965:209; ჯანაშია, 1952:320; ბერძენიშვილი, 1975:493; ჯაფარიძე 2006: 114-119]**.

ს. ჯანაშიას აზრით, მოხირისში აბაშისა და მარტვილის ვაკე ნაწილებიც შედიოდა,

თუმცა ნ. მურღულიას მოსაზრებით, უფრო ნოქალაქევი „ქვეყნის“ საზღვრებში ექცეოდა და მოხირისის საზღვარი მდ. ცხენისწყალზე გადიოდა **[მურღულია, 2012: 98]**.

იმის გათვალისწინებით, რომ ნოქალაქევი მოშორებული იყო როგორც შავი ზღვისპირეთის ქალაქებიდან. ასევე, კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო-სამდინარო არტერიიდან - რიონიდან (ნოქალაქევიდან მდ. რიონამდე პირდაპირი ხაზით დაშორება 22 კმ-ია; მდ. ცხენისწყლამდე კი 15 კმ), იქ არსებული დასახლების მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ქონა შავი ზღვის სავაჭრო ცენტრებთან ნაკლებ სავარაუდო უნდა ყოფილიყო, თუმცა მრავალწლიანი კვლევა-ძიების შედეგად ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი ელინისტური ხანის იმპორტული მასალების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნოქალაქევი იმ დროინდელ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში აქტიურად იყო ჩართული. ქვემოთ წარმოდგენილი მასალის მიმოხილვა კარგად წარმოაჩენს ელინისტური ხანის ნოქალაქევისა და შავი ზღვისპირა ქალაქების ურთიერთობების ინტენსივობას, ხარისხსა და ხასიათს.

ნოქალაქევის ელინისტური ხანის იმპორტული მასალა ძირითადად სამეურნეო და სასუფრე დანიშნულების კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. მათი უმეტესობა ქალაქ სინოპშია დამზადებული. სინოპი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, მის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. ცნობილია, რომ ქალაქ სინოპს ვაჭრობის ძლიერი სისტემა ჰქონდა აწყობილი, იქ წარმოებული მასალები მთელს შავი ზღვისპირეთში იყო გავრცელებული. შესაბამისად, სინოპური ნაწარმი კოლხეთშიც დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი.

სინოპში დამზადებულ ამფორებს უმეტეს შემთხვევაში ყურზე დატანილი აქვთ შტამპები ეპონიმების მითითებით. ცნობილია, რომ სინოპმა თავისი ნაწარმზე დამღის დატანა ძვ.წ. IV საუკუნიდან დაიწყო.

სინოპური ამფორები ნოქალაქევში ძირისა და ყურის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი.

ყველა მათგანში დიდი რაოდენიბითაა პიროქსენის მინარევი, თიხა მონაცრისფრო-მოყავისფრო, მოიასამნისფრო და მოწითალოა.

ძირებიდან გამოირჩევა კონუსური ფორმის ორი ქრონოლოგიური ტიპი, ერთი რომელსაც შედარებით გრძელი, ხოლო მეორე, რომელსაც მცირე ზომის ოვალური ფორმის ძირი აქვს **(სურ. 5-6)**.

ორივე ამფორას, პარალელი მოეძებნება ვანში. რაც შეეხება ამ ამფორების თარიღს, ისინი ძირითადად, ძვ.წ. IV-II საუკუნეებს განეკუთვნებიან.

სინოპური ამფორის ყურები - ისინი ვარდისფრადაა გამომწვარი, დაკრავს იასამნისფერი ელფერი და შეიცავს დიდი რაოდენობით პიროქსენის მინარევებს. ორივე მათგანი ოვალურ განივკვეთიანია, ნოქალაქევში მოპოვებული ამფორის ყურებიდან ორი ნატეხი დამღიანია.

ერთზე დატანილია სამ სტრიქონიანი ბერძნული წარწერა ხარის გამოსახულებით **(სურ. 7)**, მეორე ამფორის ყურიც სამ სტრიქონიანია და მასზე პანია გამოსახული **(სურ. 8)**.

ვანში აღმოჩენილი დამღიანი ამფორის ყური თითქმის სრულიად იმეორებს ნოქალაქევში ნაპოვნი ამფორის ყურის ფორმას: ოვალურ განივკვეთიანი ყური, ზედ დატანილი სწორკუთხა დამღა სამ სტრიქონიანი წარწერით. ეს ყური ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება [**მათიაშვილი, 1976:83**].

ქიოსური წარმომავლობის უნდა იყოს F თხრილში 2019 ნაპოვნი ამფორის პირ-ყელის ფრაგმენტი. იგი ღია ყავისფრადაა გამომწვარი, თიხა მაღალი ხარისხისაა, კვარცის მცირე მინარევებით, კარგად ნაძერწი, პირი გარედან მომრგვალებული, ყელი ოდნავ გამობერილი (სურ.9) . მსგავსი ამფორა აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე: ,,ყელგამობერილი ქიოსური ამფორის თიხა ღია ყავისფერია, კარგი ხარისხის, თუმცა შედარებით მსხვილმარცვლიანი, დამახასიათებელი ჩანართი - თეთრი არა მბრწყინავი ნამცეცები, მცირე რაოდენობით შეიმჩნევა ქარსის წვრილი ნამცეცები და ის ძვ.წ. V საუკუნით თარიღდება" [**ფუთურიძე,1976:80**].

F თხრილში 113-ე ფენაში აღმოჩენილი ამფორის პირ-ყურის ფრაგმენტის კეცი აგურისფრადაა გამომწვარი, მსხვილ მარცვლიანი. ურევია პიროქსენის მცირე ნაწილაკები და თეთრი არამბზინავი ნამცეცები. პირი დაბალი, ზემოდან დაბრტყელებული, მცირედ გადმოშლილი. ყური ოვალურ განივკვეთიანი, თითქმის ბრტყელი, მსგავსი კერამიკული ნაწარმი ნაპოვნია ვანში [**ფუთურიძე 1976:90**]. ვანში აღმოჩენილი ჰერაკლიური ამფორის ნატეხები ძვ.წ. IV-II საუკუნეებით თარიღდება

ე.წ. სოლოხა I ტიპის ამფორა

მსგავსი ტიპის ამფორის ტიპი ნოქალაქევში დაფიქსირებულია პირ-ყელის ფრაგმენტით, ერთი ერთეულის სახით - თიხა ღია მოყავისფრო-მოჩალისფროა, პირი გადაშლილი, ზემოდან დაბრტყელებული, ყელი უმნიშვნელოდ აქვს დაქანებული, თიხა კარგად გამომწვარი და განლექილი, ემჩნევა ოქროსფერი მბრწყინავი მინარევები. პირის შიდა დმ - 14-16 სმ შორის მერყეობს **(სურ. 10)**. მსგავსი ტიპის ამფორები ფიქსირებულია ვანში [**ფუთურიძე,1976:82-83**] და დათარიღებულია ძვ.წ. IV საუკუნით.

გარდა იმისა რომ ნოქალაქევის ნაქალაქარზე ფიქსირდება სხვადასხვა საწარმოო ცენტრების ამფორები, ასევე გამოვლენილია წითელლაკიანი და შავლაკიანი ჭურჭელი

(სურ. 11), რაც, ცხადია იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ნოქალაქევში ეს ჭურჭელი მაღალი ფენის საზოგადოების მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი, რაც თავის მხრივ ნოქალაქევში მცხოვრები საზოგადოების მაღალ კულტურულ დონეზე უნდა მიანიშნებდეს.

ელინისტური ხანის წითელლაკიან კერამიკულ ნაწარმში გამოიყოფა ორი ჯგუფი [**მათიაშვილი, 1976:95**], ნოქალაქევში ფიქსირებულია ლაკის ორი ფენით დაფერილი კერამიკული ჭურჭელი **(სურ. 12)**. ისინი ჯამისა და ლანგრის სახითაა წარმოდგენილი.

შავლაკიანი კერამიკა ნოქალაქევში წარმოდგენილია ჯამებისა და ლანგრების ფრაგმენტებით. მსგავსი ტიპის ნაწარმი მიეკუთვნება პერგამონულ ნაწარმს და პარა-ლელები აღმოჩენილია ვანში. ისინი ძვ.წ. III საუკუნეს განეკუთვენიაბიან **[მათიაშვილი, 1983:66]**.

ლაკიანი კერამიკის გარდა, ბოლო წლებში ნოქალაქევში დავაფიქსირეთ ორი მცირე ზომის დოქი, ერთი მათგანი კორპუსის ზედა ნაწილითაა წარმოდგენილი ე.წ. ვარდულაპირიანი, ზეაწეული ყურით, რომელიც პირზევეა დაძერწილი **(სურ. 13)**. ხოლო მეორე ცალი თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი, ყურისა და პირის გარდა, კონუსური ყელით, ოდნავ გამობერილი მუცლით და ბრტყელი, მცირე ზომის ძირით **(სურ. 14)**. ორივე მათგანის თიხა კარგად განლექილი და კარგად ნაძერწია. ღია ჩალისფრად გამოწვარი. სამწუხაროდ, ამ ორი ნივთის ზუსტი პარალელების მოძიება ვერ მოვახერხეთ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნოქალაქევს ელინისტურ ხანაში აქტიური ურთიერთობები ჰქონდა შავი ზღვის სავაჭრო-საწარმოო ცენტრებთან. დასაშვებია ის ვერსიაც, რომ ნოქალაქევში აღმოჩენილი იმპორტული კერამიკული ნაწარმი არა პირდაპირ შავი ზღვისპირეთის საწარმო ცენტრებიდან მოხვდა ნოქალაქევში, არამედ ისინი რეიმპორტის საგნებია ანუ თავდაპირველად კოლხეთის შავი ზღვისპირა ქალაქებში ჩაიტანეს და იქედან მოხდა მათი ნოქალაქევში შეტანა შიდა ვაჭრობის დროს.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ბერძენიშვილი ნ. 1975: საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბილისი.

2. ლომოური ნ. 1981: არქეოლოგიური გათხრები 1973-1977, ნოქალაქევი - არქეოპოლისი - ციხეგოჯი (ისტორიული ნარკვევები), ნოქალაქევი არქეოპოლისი I, თბილისი.

3. ლომოური ნ. 1981: არქეოლოგიური გათხრები; 1973-1977 ნოქალქევის შესწავლის ისტორია. ნოქალაქევი არქეოპოლისი I . თბილისი.

4. ლომიტაშვილი დ. 1993: სტრატიგრაფია ნოქალქევის ნაქალაქარზე (VII უბნის მიხედვით); ნოქალაქევი არქეოპოლისი III არქეოლოგიური გათხრები 1983-1989, თბილისი.

5. მათიაშვილი ნ. 1983: ძვ.წ. III-II საუკუნეების შავლაკიანი კერამიკა, ვანი, VII, თბილისი.

6. მროველი ლ. 1955 „ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქ.ც.ა. ტ. I, თბილისი

7. მურღულია ნ. 2012: ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით), თბილისი,

8. მურღულია ნ. 2018: ნოქალაქევის ტოპოგრაფია ძვ.წ. I ათასწლეულში, საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიური ჟურნალი II, თბილისი

9. პროკოპი კესარიელი 1965: გეორგიკა II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი.

10. ფუთურიძე რ. 1976: იმპორტული ამფორები ვანის ნაქალაქარიდან (ძვ.წ. V-IV სს). ვანი II, თბილისი

11. ყაუხჩიშვილი თ. 1993 ნოქალაქევის ექსპედიციის მოპოვებული ბერძნული წარწერები, ნოქალაქევი-არქეოპოლისი III, თბილისი

12. ყიფიანი გ. და ამაშუკელი ნ. 1995. „კოლხური“ და „ფრიგიული“ სახლები. თბილისი;

13. ჯანაშია ს. 1952: შრომები II, თბილისი.

14. ჯაფარიძე ვ. 2006: ეგრისის ახ.წ. I-VIII სს. მატერიალური ძეგლები [არქეოლოგიური გათხრები, გამოკვლევა], თბილისი.

**ილუსტრაციების აღწერილობა:**

1. ნოქალაქევის ნაქალაქარის გენ-გეგმა.

2. ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასის აერო-ფოტო, ხედი სამხრეთიდან.

3. A თხრილის ფოტო, ელინისტური ხანის ნაგებობის საძირკველის ჩვენებით.

4. F თხრილის ფოტო, ელინისტური ხანის ტერასებიანი სამოსახლოს ჩვენებით.

5-6. სინოპური ამფორების ძირები.

7. ამფორის ყური, დამღიანი.

8. ამფორის ყური, დამღიანი.

9. ქიოსური ამფორის პირ-გვერდის ფრაგმენტი.

10. ე.წ. სოლოხა I ტიპის ამფორის პირ-გვერდის ფრაგმენტი.

11. შავლაკიანი ლანგრის ფრაგმენტი.

12. ლაკის ორი ფენით დაფარული ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი.

13. ვარდულაპირიანი დოქი.

14. დოქი.




სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6




სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14

**პალინოლოგიური კვლევის შედეგები**

**ანტიკური ხანის ცხეთის სამაროვანზე (ლეჩხუმი, საქართველო)**

**The Results of the Palynological Studies Carried Out at the Tskheta Necropolis**

**ნინო სულავა**

*საქართველოს ეროვნული მუზეუმის*

*ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის*

*არქეოლოგიისა და ისტორიის სამეცნიერო მიმართულების ხელმძღვანელი*

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*

**მაია ჭიჭინაძე**

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი*

*სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი*

*სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორი*

**Nino Sulava**

*The Main Curator of the Georgian*

*National Museum, Doctor of Historical Sciences*

**Maia Chichinadze**

*Science worker. Georgian National Museum*

*Research Institute of Paleoanthropology and*

*Paleobiogy Research Institute Status*

**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.10

**აბსტრაქტი:** პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ლ. სახაროვა) ცხეთის სამაროვანზე (ლეჩხუმი) 1962 წელს ჩატარდა. გაითხარა 15 სამარხი, რომლებიც დათარიღებულია კლასიკური პერიოდით (ძვ. წ. IV ს. - ახ. წ. IV ს.). აღმოჩენილი არტეფაქტები ინახება და ექსპონირებულია ცაგერის ისტორიულ მუზეუმში. ლეჩხუმში აღმოჩენილ სხვა მასალებთან ერთად ცხეთის სამაროვანზე გამოვლენილი მასალები რეგულარულად ქვეყნდება. 1960-იან წლებში შეუძლებელი იყო პალინოლოგიური კვლევების ჩატარება, ვინაიდან მეცნიერების ეს დარგი ევროპის ქვეყნებშიც კი მხოლოდ 1970-იან წლებში ჩამოყალიბდა, ხოლო საქართველოში - დაახლოებით 20 წლის წინ, როცა ორგანული ნარჩენები არქეოლოგიური მასალებიდან პირველად შეაგროვა და გამოიკვლია პალინოლოგმა ელისო ყვავაძემ. ცხეთის სამაროვანზე გათხრები განახლდა 2015 წელს. 2016, 2017, 2018 წლის გათხრების დროს აღმოჩენილი ანტიკური ხანის სამარხების თიხის ჭურჭლებიდან აღებული ორგანული ნაშთების პალინოლოგიური კვლევის შედეგად, რომელიც ორი (პალინოლოგიური და

არაპალინოლოგიური პალინომორფების (NPP)) მეთოდით გაკეთდა აღმოჩნდა: ჩვეულებრივი ვაზის, ვენახის სარეველების მტვრის მარცვლები, არაპალინოლოგიური ნაშთებიდან - სახამებლის, ფიტოლიტების დიდი რაოდენობა, არაპალინოლოგიური ნაშთებიდან აღმოჩნდა, აგრეთვე, სელის ბოჭკოებიც, რაც სამოსის ან დოქზე გადაფარებული სელის ქსოვილის ნაშთი უნდა იყოს. ნიმუშებში დიდი რაოდენობით ვხვდებით ხის მერქნის ტრაქეალურ უჯრედებს, რაც სამარხეში ხის კონსტრუქციის არსებობაზე მიუთითებს. არაპალინოლოგიური ნაშთებიდან ტკიპების სიმრავლე კი შეიძლება მიცვალებულების თბილ სეზონზე დაკრძალვის დასტური იყოს. ლეჩხუმში ამგვარი კვლევა პირველად ჩატარდა.

**საკვანძო სიტყვები:** ლეჩხუმი, ანტიკური ხანა, ცხეთის სამაროვანი, პალინოლოგია.

**Abstract:** The first archaeological expedition (head L. Sakharova) was held at the Tskheta Necropolis (Lechkhumi) in 1962. Fifteen burials dated from the Classical Period (4th century BC – 4th century AD) were excavated. The discovered artefacts are kept and exposed at the Tsageri Museum. Along with the other materials found in Lechkhumi, the materials revealed at the Tskheta Necropolis are investigated and published. It is understandable that in the 1960s it was impossible to carry out palynological studies, since this branch of science was established even in the European countries only in the 1970s. This discipline was started in Georgia about 20 years ago. The organic residues were first collected from the archaeological materials and investigated by Eliso Kvavadze.

The excavations at the Tskheta Necropolis were resumed in 2015. Due to the palynological investigations, carried out by means of two methods – Palynological studies Palynologycal and Non-Pollen Palynomorphs (NPP) - the organic residues were collected from the clay vessels, which were found in the burials dated from the Classical Period in the course of the excavations carried out at the Tskheta Necropolis in 2016, 2017, and 2018. There were identified pollen grains of wine-grapes, and vine-yard weeds. Of the NPP, there were defined lots of pollen grains of starch, phytoliths, as well as flax fibers. The latter ones, presumably, represent remains of clothes or linen textile, covering the jug.

Tracheal cells of the tree heartwood are encountered in great amounts, proving the existence of wooden constructions in the burial, while, of the NPP, the abundance of ticks could serve as a proof of interring of the deceased in the warm season. This kind of research was conducted for the first time in Lechkhumi.

**Key words::** Lechkhumi,  Ancient, Tskheta Necropolis

**შესავალი**. ლეჩხუმის[1] არქეოლოგიური მონაპოვარი მცირერიცხოვანი და მცირე მასშტაბიანი გათხრების შედეგად აღმოჩენილი და შემთხვევით მოპოვებული მასალის თავმოყრის საფუძველზეა წარმოდგენილი. ეს მასალები დაცულია, უპირველეს ყოვლისა, ცაგერის ისტორიულ მუზეუმში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც (სანკტ-პეტერბურგი, ერმიტაჟი). ლეჩხუმიდან ცნობილი არქეოლოგიური მასალები თითქმის ყველა არქეოლოგიურ პერიოდს მოიცავს – ქვის ხანიდან დაწყებული, გვიანი შუა საუკუნეებით დამთავრებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს რეგიონი ადამიანის მიერ ათვისებული იყო უძველესი დროიდან (სულავა, . . . 2012). ამჟამად ჩვენი კვლევის ობიექტია ,,ცხეთის სამაროვანი’’[2], სოფ. Dდეხვირის მახლობლად (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ცაგერის მუნიციპალიტეტი, ლასურიაშის თემი, ცაგერის ქვაბული, მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირი, ზღვის დონიდან დაახლ. 900-960 მ). ამ ადგილას, რომელიც მდინარეების ცხენისწყალსა და ლაჯანურს შორის არის მოქცეული, არქეოლოგიურად ნაწილობრივ შესწავლილი შუასაუკუნეების დეხვირის დედაციხეა (ადგილი ,,ახვლედიანების გორა”) და ძვ.წ. VIII-V სს-ის ნასახლარი (,,ყვავიქედას’’ ერთ-ერთი ბორცვი)[3]. ამ უკანასკნელზე თანადროული კოლხური კერამიკის გარდა, რომელიც ათარიღებს ამ ნასახლარს, აღმოჩნდა ქვის უნიკალური ყალიბიც, რომლის ანალოგიურიც უცნობია. ყალიბში ჩამოისხმებოდა საინკრუსტაციო მეანდრისებური ფირფიტები, რომლებსაც იყენებდნენ ცნობილი კოლხური აბზინდების შესამკობად[4].

სწორედ ამავე ,,ყვავიქედას’’ ტერიტორიაზე, სოფ. ცხეთისა და ცხეთის წმ. გიორგის სახელობის XVIII ს-ის ტაძრის მახლობლად, ,,ცხეთის სამაროვანზე’’ გაითხარა გასული

1. ლეჩხუმი – კოლხეთის ჩრდ.-აღმ.მხარე, მთიანი კოლხეთის ნაწილი, საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციაა – ლეჩხუმი/სკიმია/სკვიმნია - ჩხუმ-ცხუმის ბერძნული ვარიანტის სახით, რომელიც ს. ყაუხჩიშვილის აზრით, პროკოპი კესარიელის აღწერილობის მიხედვით ამ დროს ლაზეთში შემავალ ქრისტიანულ პროვინციას – ლეჩხუმს – ესადაგება. ეს მოსაზრება შემდეგ გაიზიარეს ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა, ნ. ლომოურმა, დ. ბერძენიშვილმა. ტერმინი – მთიანი კოლხეთი (მოიცავს – ლეჩხუმს, სვანეთს, რაჭას, მთიან იმერეთს, მთიან სამეგრელოს) არქეოლოგიურ ლიტერატურაში უფრო ისტორიული შინაარსის მატარებელია და გარკვეულ კულტურულ ერთობას გულისხმობს. ლეჩხუმის მიმართ ეს ტერმინი დამკვიდრდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან (სულავა, 1996).

2. სოფ. ცხეთაში ამჟერად მოსახლეობა აღარ ცხოვრობს.

3. ნასახლარი, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლების გათხრებისას მცირე დაფინანსების გამო, მთლიანად არ გათხრილა, მდებარეობს ადგილ ,,ყვავიქედას’’ ფერდობზე [სახაროვა, 1976; † სახაროვა, სულავა, 2014].

4. ყალიბი ექსპონირებული იყო ქ. ბოხუმში (გერმანია) უძველესი ქართული მეტალურგიის გამოფენაზე (Sulava, 2001a: 186-187; Sulava, 2001b: 375; სულავა, 2003: 31-37; Sulava, 2008: 299-305).

საუკუნის 60-იან წლებში ანტიკური ხანის (ძვ.წ. IV - ახ.წ. IV სს.) 15 სამარხი (სახაროვა, 1967; სულავა, 1996)[5].

ამ ადგილს, სოფ. ცხეთა-დეხვირის ტერიტორიას, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა ძვ.წ. I ათასწლეულიდან მოყოლებული შუასაუკუნეების ჩათვლით, კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებით: უპირველეს ყოვლისა, დეხვირის ციხის სტრატეგიული მნიშვნელობა (რაც მისი მდებარეობის მიხედვითაც ნათლად ჩანს) - იგი აკონტროლებდა მდ. ცხენისწყლის ხეობიდან მდ. ლაჯანურის ხეობაში მიმავალ გზებს. აქედან კარგად ჩანს ცაგერის ქვაბული და ლაჯანურის ხეობა, ანუ ლეჩხუმის ორი პროვინციის (,,ქუეყნის''), ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ორი ხეობის, ,,გადაღმა ლეჩხუმისა'' და ,,გადმოღმა ლეჩხუმის'' უდიდესი ნაწილი. დეხვირის ციხის მფლობელის თვალსაწიერში იქნებოდა მოქცეული სამეგრელოსკენ, სვანეთისა და რაჭისაკენ მიმავალი გზებიც. დეხვირის ციხის ვახუშტი ბაგრატიონისეული აღწერაც ამას ადასტურებს: ,,ლეჩხუმის საშუალსა, ცხენისწყლის ზეით კლდეზედ არს ციხე კლდესა ზედა შენი, დეხვირი, თავი თაკუერისა (ანუ ლეჩხუმისა – ნ. ს.), რამეთუ რომელსა უპყრავს იგი, მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად'' (ვახუშტი, 1941: 149; ბერძენიშვილი, ბანძელაძე, სურამელაშვილი, ჭურღულია, 1983: 37, 66)[6].

ამგვარად, აღვნიშნეთ კიდეც, ლეჩხუმის (თაკვერის)[7] ცნობილი სოფლების, დეხვირის და ცხეთის მიდამოებში ერთად თავმოყრილი არქეოლოგიური ძეგლები, რომელებიც ქმნიან კომპლექსს - გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ნასახლარი, ანტიკური ხანის სამაროვანი, შუასაუკუნეების დეხვირის ციხე[8], იმის დადასტურებაა, რომ ამ რეგიონს, რომელიც შუა საუკუნეებში მაკონტროლებელ გზაჯვარედინზე მდებარეობდა, მნიშვნელოვანი მდგომარეობა ეკავა მრავალი საუკუნის განმავლობაში, რაც აისახა კიდეც არქეოლოგიურ მასალაში: ყვავიქედას ნასახლარის გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით დასტურდება, რომ აქ დამჯდარი მიწათმოქმედი-მესაქონლე მოსახლეობა ცხოვრობდა, რომელიც მეტალურგიასთანაც იყო დაკავშირებული, რაზეც აქ აღმოჩენილი ქვის უნიკალური ყალიბი მიგვითითებს. ყვავიქედას სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე კი სოფელ ცხეთაში შესწავლილი ანტიკური ხანის სამაროვნის მასალა (ფიბულები, მძივსამკაული, კერამიკა)

---

5. როგორც ნასახლარის, ასევე სამაროვნის მასალები, ცაგერის ისტორიულ მუზეუმში ინახება.

6. აგრეთვე, იხ.: ისაკაძე რ. ,,ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) არქეოლოგიური ექსპედიციის დეხვირის ციხის რაზმის'' 2014 -2018 წლის საველე-არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშები სკმძდეს-ში.

7. სახელწოდება `ლეჩხუმის'', ,,თაკვერის'' და საერისთავოს საზღვრების დროში მონაცვლეობის საკითხის შესახებ იხ.: სულავა, 1996: 3-9, 96-100; ლეთოდიანი, 2003: 5-35. იხ.: იქვე მითითებული ლიტერატურა.

8. სწორედ ეს გახდა საფუძველი 2012 წელს ამ ტერიტორიაზე ,,ღია ცის ქვეშ არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმის'' შექმნისა.

მიუთითებს რეგიონის გარესამყაროსთან ფართო ურთიერთობაზე. როგორც ნასახლარზე, ასევე სამაროვანზე გამოვლენილი მასალა (საინკრუსტაციო მასალის ჩამოსასხმელი ყალიბი, ფიბულები, სამკაული, მძივსამკაული, კერამიკა) მნიშვნელოვანია არამარტო ქართული არქეოლოგიისათვის არამედ მთელი კავკასიის, შავიზღვისპირეთისა და მედიტერანული არქეოლოგიისათვის (სულავა, 1996).

,,ცხეთის სამაროვანზე'' პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი - არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. სახაროვა) 1962 წელს ჩატარდა. გაითხარა ანტიკური ხანის - ძვ.წ. IV - ახ.წ. IV სს-ის 15 სამარხი. როგორც მივუთითეთ, სამაროვნის მასალები დაცული და ექსპონირებულია ცაგერის ისტორიულ მუზეუმში. ლეჩხუმში აღმოჩენილ ანტიკური ხანის სხვა მასალებთან ერთად ,,ცხეთის სამაროვნის'' მასალა შესწავლილი და გამოქვეყნებულია (სახაროვა, 1967; სულავა, 1996; სულავა, . . . 2012; სულავა, 2014).

ცხადია, გასული საუკუნის 60-იან წლებში პალინოლოგიური კვლევების ჩატარების საშუალება არ იყო. Eეს დისციპლინა ევროპულ ქვეყნებში 70-იანი წლებიდან დაინერგა, საქართველოში კი, დაახლოებით 20 წლის წინ, როცა არქეოლოგიური მასალიდან აღებული ორგანული ნაშთები პირველად პალინოლოგმა ელისო ყვავაძემ შეისწავლა.

ცხეთის სამაროვანზე არქეოლოგიური სამუშაოები 2015 წელს[9] განახლდა. 2016-2018 წლების გათხრების დროს აღმოჩენილი ანტიკური ხანის სამარხების თიხის ჭურჭლებიდან აღებულ ორგანულ ნაშთებზე ჩატარდა პალინოლოგიური კვლევა, რომელიც ორი მეთოდით - პალინოლოგიური და არაპალინოლოგიური ნაშთების შესწავლის გზით განხორციელდა. შესწავლილია № 8 (2016 წ. - # 8 სამარხის მოზარდის თავთან აღმოჩენილი დოქის ორგანული ნაშთები. # 8 სამარხი აღმოჩნდა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,20 მ-ზე. ჩონჩხი დაკრძალულია გაშოტილი W-O ორიენტაციით, 10-15 სმ სიღრმის ოვალურად ამოჭრილ თირისმაგვარ ორმოში, თავთან მარჯვენა მხარეს უდევს 10X9 სმ ზომის ქვა; სამარხს ზემოდან რაიმე ნიშნული არ ქონდა. თავთან უდევს ყურიანი ტოლჩა, პირში ედო ბრინჯაოს მონეტა (ავგუსტუსის დენარი), მარცხენა მკლავის გასწვრივ 32 სმ სიგრძის რკინის მასრიანი შუბისპირი, მარჯვენა მკლავთან 90 სმ სიგრძის რკინის მახვილი ტარის თავზე ბრინჯაოს კნოპით (აღებისას გაირკვა, რომ ხის ქარქაშში უნდა ყოფილიყო ჩაგებული); წელის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს მრგვალი აბზინდა და რკინის მოხრილი დანა. ამ მიცვალებულის, ,,მეომრის'' ფეხებთან დაკრძალული აღმოჩნდა მოზარდი, რომელსაც თავთან ედო დოქი (ტაბ. 1, სურ. 1). სამარხი თარიღდება ახ.წ. II-III სს.) და № 6 (2017 წ. - # 6 დანგრეული სამარხის დოქის ორგანული ნაშთები (ტაბ. 2, სურ. 2)) სამარხებიდან აღებული პალინოლოგიური ნიმუშები.

---

9. იხ.: ,,ლეჩხუმის (ცხეთა-დეხვირის) არქეოლოგიური ექსპედიციის'' 2015 -2018 წლის საველე-არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშები სკმძდეს-ში და – სულავა, ესვანჯია, 2016.

**მასალა და მეთოდები**

საკვლევი მასალის დამუშავება საქართველოს ეროვნულ მუზეუმის პალინოლოგიის ლაბორატორიაში სტანდარტული მეთოდის გამოყენებით ხდება. პირველ ეტაპზე ნიმუში 10% კალიუმის ტუტეში იხარშება, შემდეგ მასალის ცენტრიფუგირებას კალიუმის ხსნარში ვახდენთ. ამ პროცესის დროს ნიადაგის და მტვრის მარცვლები ერთმანეთისგან განცალკევდებიან. ამის შემდეგ მიღებული ხსნარის ცენტრიფიგურება პატარა სინჯარებში ხდება, შემდეგ მასალას ვრეცხავთ კადმიუმისგან და ვაკეთებთ აცეტოლიზს (Moore et al. 1991]. დამუშავებულ მასალას ვათავსებთ გლიცერინში და დასკვნით ეტაპზე ვახდენთ მტვრის მარცვლების ამოცნობას OMAX-ის მიკროსკოპით 200x და 400x გადიდებით და ფოტოგრაფირებას მიკროსკოპზე დამონტაჟებული ფოტოაპარატით. მტვრის მარცვლების საერთო რიცხვის მიღების შემდეგ ყველა ნიმუშისათვის ხდება პროცენტების გამოთვლა მცენარეთა ეკოლოგიური ჯგუფების მიხედვით. მიღებული შედეგები დაგვაქვს დიაგრამაზე. სტატისტიკური პროგრამის -,,Tilia-ს'' გამოყენებით (Bennet, 2002; Grimm, 2010), მტვრის მარცვლების განსასაზღვრად კი გამოყენებულია პალინოლოგიური და არაპალინოლოგიური ტიპის პალინომორფების ატლასები (Beug, 2004; Moore et al., 1991; Piperno, 2006; Reille, 1992; 1994; 1997; Richter et al., 2004; Toohey, 2010; van Geel, 1998).

კვლევის შედეგები

სამარხი № 8. თიხის დოქიდან აღებულ ნიმუშში განისაზღვრა მურყნის (Alnus) (სურ. 1), რცხილის (Carpinus), თხილის (Corylus), ჩვეულებრივი ვაზის მტვრის მარცვლები (Vitis vinifera) (sur.1) და გვიმრის (Polypodiaceae) სპორები, ხოლო ბალახოვნებიდან აღმოჩნდა ვარდკაჭაჭას (Cichorium), ქოლგოსნების (Apiaceae), ნაცარქათამისებრთა (Chenopodiaceae) - ოჯახის წარმომადგენლების მტვრის მარცვლები.

არაპალინოლოგიური ტიპის პალინომორფებიდან დიდი რაოდენობით შეგვხვდა წყალმცენარეების ნაშთები (სურ. 2), ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები (სურ. 3), მათ შორის ფიჭვის ხის მერქნის. ნიმუშში ასევე მრავლად იჩინა თავი სახამებლის მარცვლებმა და ფიტოლიტებმა (სურ. 3). დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სოკოს სპორები, რომელთა შორის არის გლომუსი და სორდარია. ასევე დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ტკიპების, როგორც მთლიანი, ისე ცალკეული ნაწილები - ბუსუსები, კლანჭები (სურ. 4).

სამარხი № 6. თიხის დოქიდან აღებული ნიმუშების კვლევის შედეგად პალინოლოგიურ სპექტრში აღმოჩნდა ხე-მცენარეთა მტვერი, კერძოდ, ფიჭვის (Pinus), მურყნის (Alnus) (sur. 1), რცხილის (Carpinus), თხილის (Corylus), ჩვეულებრივი ვაზის (Vitis vinifera) (სურ. 1) და გვიმრის (Polypodiaceae) სპორები. ბალახოვნებიდან წარმოდგენილია ბალბის (Malva), ვარდკაჭაჭას (Cichorium), ღიღილოს(Centaurea), ქოლგოსნების (Apiaceae), ნაცარქათამისებრთა

(Chenopodiaceae) ოჯახის წარმომადგენლების მტვრის მარცვლები. არაპალინოლოგიური ტიპის ნაშთებიდან ბევრია სახამებლის, ფიტოლიტების, წყალმცენარეების, ტკიპების ნაშთები და სოკოს სპორები. დიდი რაოდენობით შეგვხვდა ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები (სურ. 6). ნიმუშში ასევე აღმოჩნდა სელის ქსოვილის ბოჭკოები.

**დასკვნა**

თიხის დოქების პალინოლოგიურ სპექტრში აღმოჩნდა ჩვეულებრივი ვაზისა და ვენახის სარეველების მტვერი, ამასთან არაპალინოლოგიური პალინომორფებიდან სახამებლისა და ფიტოლიტების ნაშთები, რაც, პალინოლოგიური კვლევის თანახმად, დოქებში ღვინის არსებობაზე მიუთითებს. ნიმუშებში არსებული სელის ბოჭკოები, სამოსის ან დოქზე გადაფარებული სელის ქსოვილის კვალი უნდა იყოს.

ხისმერქნისტრაქეალურიუჯრედებისსიმრავლესამარხშიხისკონსტრუქციისარსებობაზე უნდა მეტყველებდეს. რაც შეეხება ტკიპების დიდ რაოდენობას, ეს მიცვალებულების თბილ სეზონზე დაკრძალვის დასტურად წარმოგვიდგება.

ცხეთის სამაროვნის მასალებს, რომლებიც თავისი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, დაემატა პალინოლოგიური კვლევის მონაცემებიც, რაც შემდგომი კვლევებისა და დასკვნებისათვის მნიშვნელოვანი საფუძველია და აისახება სამაროვნის მასალების სრული პუბლიკაციისას.

ამგვარად, პალინოლოგიური კვლევა არქეოლოგებს დაგვეხმარა იმის გარკვევაში თუ წლის რომელ სეზონზე მოხდა სამაროვანზე მიცვალებულის დაკრძალვა, რომ მიცვალებულის ჩასასვენებლად გამოყენებული იყო ხის კონსტრუქცია და გადასაფარებლად თუ სამოსად - სელი, ხოლო მიცვალებულისათვის აღაპის სახით ჩატანებული იყო დოქით ღვინო.

ილუსტრაციები:



ტაბ. 1 – ცხეთის სამაროვანი. სამარხი №8 (2016 წ)




ტაბ. 2 – ცხეთის სამაროვანი. სამარხი №6 (2017) წ




სურ. 1. ცხეთის სამაროვანი, სამარხი № 8. სამარხის დოქის ნიმუშში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის მარცვლები: 1. განუსაზღვრელი; 2, 3. ჩვეულებრივი ვაზი (Vitis vinifera); 4. ვარდკაჭაჭა (Cichorium); 5. მურყანი (Alnus)




სურ. 2. ცხეთის სამაროვანი, სამარხი № 8. დოქის ნიმუშებში აღმოჩენილი წყალმცენარეების ნაშთები: 1. წყალმცენარე სპიროგირას (Spirogyra) ნაშთი, 2, 3. ფსევდოშიზეას (Pseudoschizeae) ნაშთი; 4,5,6. განუსაზღვრელი წყალმცენარეების ნაშთები.




სურ.3.ცხეთისსამაროვანი.სამარხი№8.დოქისნიმუშშიაღმოჩენილიარაპალინოლოგიური ტიპის პალინომორფები (NPP): 1. ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები; 2, 3. სახამებლის მარცვლები; 4. ფიტოლიტები.




სურ. 2. ცხეთის სამაროვანი, სამარხი № 8. დოქის ნიმუშებში აღმოჩენილი წყალმცენარეების ნაშთები: 1. წყალმცენარე სპიროგირას (Spirogyra) ნაშთი, 2, 3. ფსევდოშიზეას (Pseudoschizeae) ნაშთი; 4,5,6. განუსაზღვრელი წყალმცენარეების ნაშთები.




სურ. 5. ცხეთის სამაროვანი. სამარხი № 6. თიხის დოქის ნიმუშში აღმოჩენილი მცენარეთა მტვრის მარცვლები: 1, 2 - ფიჭვი (Pinus); 3 - რცხილა (Carpinus); 4 - კაკალი (Juglans regia), 5, 6 - გვიმრის სპორები (Polypodiaceae); 8-14 - ჩვეულებრივი ვაზის მტვერი (Vitis vinifera); 15 - ბალბა (Malva); 16, 17 - ღიღილო (Centaurea); 7, 18, 19, 20 - განუსაზღვრელი მტვრის მარცვლები.




სურ. 6. ცხეთის სამაროვანი. სამარხი № 6. თიხის დოქის ნიმუშში აღმოჩენილი არაპალინოლოგიური ტიპის პალინომორფები (NPP): 1, 2 – სელის ქსოვილის ბოჭკოები; 3. წყალმცენარე ფსევდოშიზეას ნაშთი; 4, 5, 6 - სახამებლის ნაშთები.

**ლიტერატურა:**


ვახუშტი 1941. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით). თბილისი.

ბერძენიშვილი დ., ბანძელაძე ი., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ. 1983. ლეჩხუმი. თბილისი.

ლეთოდიანი დ. 2003. ძიებანი. თბილისი.

სახაროვა ლ. 1967. ანტიკური ხანის სამარხები. ჟურნ. ,,საბჭოთა ხელოვნება'', # 9. თბილისი.

სახაროვა ლ. 1976. ლეჩხუმის 1970-71 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. მაცნე (ისტორიის სერია), # 3. თბილისი. გვ. 96-104.

† სახაროვა ლ., სულავა ნ. 2014. ცხეთის ნასახლარი (ლეჩხუმის 1970-71 წწ. Aრქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები), ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები I. თბილისი. გვ. 67-86.

სულავა ნ. 1996. მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში. თბილისი.

სულავა ნ., აღაპიშვილი თ., კოპალიანი ნ., ქორიძე ი., პატარიძე მ., ბაქრაძე ი., ჩაგელიშვილი რ., მამარდაშვილი გ. 2012. ცაგერის ისტორიული მუზეუმი. ალბომი. თბილისი.

სულავა Nნ. 2003. ლეჩხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის ყალიბის შესახებ. ძიებანი, # 10, თბილისი. გვ. 31-37.

სულავა ნ., კოპალიანი ნ. 2012. ცაგერის ისტორიული მუზეუმის ახალი ექსპონატი. ლეჩხუმი (ცაგერისAადგილობრივი გაზეთი). # 7 (14).

სულავა ნ. 2013. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა ლეჩხუმიდან – ბრინჯაოს ხარი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია # 4 (49-B). თბილისი. გვ. 62-67.

სულავა ნ., ესვანჯია ი. 2016. ცხეთის სამაროვნის სამარხთა განლაგების რეკონსტრუქცია. ძიებანი, # 23.

Beug H.-J. 2004. Leitfagen den Pollenbestimmung für Mitteleuropa and Angrenzende Gebiete. Verlag Dr.Friedrich Pteil, Munchen.

Chichinadze M., Kvavadze E. 2013. Pollen and non-pollen palynomorphs in organic residue from the hoard of ancient Vani (western Georgia). J. Archaeol. Sci. 40. pp. 2237–2253.

Chichinadze M., Kvavadze E. 2014. The palynological studies of the materials obtained in 2009 from the cultural layers and burials of the Classical period at the Nokalakevi site. In: Paul, Everill (Ed.), Archaeological Excavations 2001-2010 Anglo-Georgian Expedition to Nokalakevi 2001-2010, Nokalakevi-Tsikhegoji-Archaeopolos. BAR International Series 2612. Oxford, Archaeopress. pp.

111–120.

Chichinadze M., Kvavadze E., Kacharava D., Akhvlediani D., Kvirkvelia G. 2012. Palynological characteristics of organic remains of Burial No 22 from the site of ancient Settlement Vani. Proceedings of Natural and Prehistoric Section. Georgian National Museum 4. pp. 95–108.

Kvavadze E., 2006. The use of fossilized honey for paleoecological reconstruction: a palynological study of archeological material from Georgia. Paleontol. J. 40 (5). pp. 595–603.

Kvavadze E. 2008. Non pollen Palynomorphs as an important object for solution of archaeological problems. In: Maritan M., Miola A. (Eds.), Proceedings of 3-th International Workshop on Quaternary Non-pollen Palynomorphs. Padova. pp. 34–37.

Kvavadze E., Chichinadze M., Martkoplishvili I. 2010. The Pollen Production and yeld in vineyard of Kakheti according to the results of pollen monitoring. Proceedings of 33rd World Congress of Vine and Wine 8th General Assembly of the OIV. pp. 20-25.

Kvavadze E. 2016. Palynological Study of Organic Remains from the Ananauri Kurgan. Ananauri Big Kurgan, Tbilisi, pp. 156–192.

Kvavadze, E. 2018. Das organishe Material aus dem Kurgan Nr.3 from Ananauri. In: L.Giemsch und S. Hansen. Gold &Wein, Georgiens alteste Schätze. Archeologische Museum. Nunnerich-Asmus Verlag et Media. Frankfurt. pp. 190–195.

Kvavadze E., Davadze M. 2014. The results of palynological researches of the content of the vessel from Pichvnari Necropolis (Grave №339). In: Iberia-Colchis, №10. Georgian National Museum Press. Tbilisi. pp. 111–117 (in Georgian).

Kvavadze E., Martkoplishvili I. 2018. The significance of pollen and non-pollen palynomorphs in archaeological material for human paleodiet reconstruction. In: Batmaz, A., Bedianashvili, G., Michalewicz, A., Robinson, A. (Eds.), Context and Connection: Essays on the Archaeology of the Ancient Near East in Honour of Antonio Sagona. 978-90-429-3403-0. pp. 749–767.

Kvavadze E., Gambashidze I., Mindiashvili G., Gogochuri G. 2007. The first find in southern Georgia of fossil honey from the Bronze Age, based on palynological data. Veg. Hist. Archaeobotany 16. 399–404.

Moore P.D., Webb J.A., Collinson M.E. 1991. Pollen Analysis. Blackwell Scientific Publications. Oxford.

Piperno D.R. 2006. Phytoliths: A Comprehensive Guide for Archaeologists and Paleoecologists. Alta Mira Press. New York.

Reille M. 1992. Pollen Et Spores D'europe Et D'afrique Du Nord. Laboratoire de botanique historique et palynologie, Marseille, France.

Reille M. 1995. Pollen Et Spores D'europe Et D'afrique Du Nord.Supplement 1. Laboratoire de

botanique historique et palynologie. Marseille, France.

Reille M., 1998. Pollen Et Spores D'europe Et D'afrique Du Nord. Supplement 2. Laboratoire de botanique historique et palynologie. Marseille, France.

Richter H., Grosser D., Heinz I., Gasson P. 2004. Iawa list of microscopic features for softwood indentification by an iawa committee. Int. Ass. Wood Anatom. Nat. Herbarium Nederland, Leiden, The Netherland, Iawa J. 25 (1), 1–70.

Sulava N. 2001a. Letschchumi – eine bedeutendste frühe Metallurgie-Region in der Kolchis. GEORGIEN, „Schätzeausdem Land des goldenenVlies". Bochum. 186-187.

Sulava N.2001b. Gussform. GEORGIEN, „Schätzeausdem Land des goldenenVlies". Bochum. 375.

Sulava N. 2008. On a small mould discovered in mountainous Colchis. Ancient mining in Turkey and the Eastern Mediterranean (AMITEM) - U. Jalcin (Ed.). Ankara. 299-305

Toohey P. 2010. Death and Burial in the Ancient World:The Oxford Encyclopedia of Ancient Greece and Roma, vol. 1 University Press, Oxford.

van Geel B. 1998. In: van Hoeve M.L., Henndrikse M. (Eds.), A Study of Non-pollen Objects in Pollen Slides (The Types as Described by Dr Bas Van Geel and Colleagues). Utrecht.

## გონიო-აფსაროსის ციხის შესახებ არსებული ახალი ლათინური წარწერები და ოსმალური საარქივო ცნობები

## New Latin inscriptions and Ottoman archival documentation on the fort of Gonio-Apsarus

**ემზარ კახიძე**

*სსიპ აჭარის  მუზეუმი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მმართველი, პროფესორი*

**ქემალ იბრაჰიმზადე**

*არტაანის უნივერსიტეტის ნატიფ ხელოვნებათა დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი*

**Emzar Kakhidze**

*LEPL Ajara Museum, Head of Batumi Archaeological Museum, Professor*

**Kemal Ibrahimzade**

*Head of the Fine arts Department of the ardahad University, PhD*

**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.11

**აბსტრაქტი:** აფსაროსში რომაული გარნიზონის შესახებ სხვა წყაროებთან ერთად ეპიგრაფიკული ძეგლებიც იუწყებიან: აბელას და ფაიუმს საკუთრივ გონიოს ახალი წარწერები დაემატა, რომლებიც იქ მდგარ სხვადასხვა სამხედრო დანაყოფზე მოგვითხრობს.

ოსმალური ხანიდან შემონახული ახალი საარქივო ცნობები უფრო მეტად 1547 წ შემდეგ აშენებულ მეჩეთში მომუშავე პერსონალის თანამდებობებზე დანიშვნასა და მათი ანაზღაურების შესახებ საუბრობს.

**საკვანძო სიტყვები:** რომაელები, კოჰორტა, ოსმალები, მეჩეთი, გასამრჯელო

**Abstract:** Epigraphical evidence, among other sources, tell about the Roman garrison in Apsarus: new finds from Gonio itself have been added to Abella and Fayum inscriptions, which tell us about the various military units stationed there.

The new archival documents preserved since the Ottoman period mostly talk on the remuneration and appointment of the staff in the Gonio mosque built after 1547.

**Key words:** Romans, cohort, Ottomans, mosque, salaries

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობებიდან ყველაზე მეტად გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრე გამოირჩევა, რომელიც მდებარეობს თანამედროვე გონიოში, ბათუმთან ახლოს. ის სამი იმპერიის: რომის, ბიზანტიისა და ოსმალეთის სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესებს ემსახურებოდა რეგიონში.

ბოლოდროინდელი კვლევებით, ის, შესაძლებელია, რომაელების ყურადღების ქვეშ ჯერ კიდევ ნერონამდე მოხვედრილიყო (Karasiewicz-Szczypiorski, 2016: 53-63; Karasiewicz-Szczypiorski, Mamuladze, 2019: 63-76), ხოლო ახ.წ. I ს-ის 70-იანი წწ-დან უკვე კავკასიის თავდაცვითი ხაზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია და იქ რომაული დამხმარე ნაწილები - cohors II Claudiana, I SAGI, C•COH(ors) AVR(elius) C(ivium).•R(romanorum), Coh(ortis)∞(milliariae) და, შესაძლებელია, Legio X Fretensis-ის ვექსილაცია მსახურობდა ვიდრე ახ.წ. IV ს-მდე (შპაიდელი, 1985: 134-140; მამულაძე, ხალვაში, ასლანიშვილი, 2000: 91–95; ხალვაში, კახიძე, 2004: 147-149; ასლანიშვილი, 2005: 129-130; ხალვაში, ასლანიშვილი, 2014: 336-343; Мамуладзе, Халваши, Асланишвили, 2002: 33-39; Speidel, 1986: 657-660; Kakhidze, 2007: 176-185; 2008: 303-332; Khalvashi, Aslanishvili, Kakhidze, 2018: 553-558; Karasiewicz-Szczypiorski, Mamuladze, Aslanischvili, Daszkiewicz, 2018: 485-526).

სამწუხაროდ, მრავალრიცხოვანი ბერძნულ-ლათინურენოვანი წყაროები ამ სამხედრო შენაერთებზე არ საუბრობენ, სამაგიეროდ გვაქვს ეპიგრაფიკული ძეგლები აბელადან, პაპირუსი ფაიუმიდან (Ельницкий, 1938: 310-311; Speidel, 1986: 657-659) და ამ ბოლო პერიოდის მონაპოვრები საკუთრივ გონიოდანაც: შტამპიანი აგურები, რომლისგანაც ერთგან იკითხება SAGI უკუღმა და რიცხვითი ნიშანი I, რომელიც მიუთითებს მშვილდოსნების კოჰორტაზე - Sagittarius/Sagittariorum (ტაბ. I/1), მეორეგან კი CO(H) რიცხვითი ნიშანი II (ტაბ. I/2)[1]. ბრინჯაოს ჭრაქზე დატანილი C•COH(ors) AVR(elius) C(ivium).•R(romanorum) უნდა იყოს რომაელი მოქალაქეების ავრელიუსის სახელობის [დამხმარე] კოჰორტა (ტაბ. II).

სულ ახლახანს მილებზე აღმოჩენილი ∞(milliariae) და X დამღები გვაფიქრებინებს, რომ აფსაროსში წყლის სისტემის ასაშენებლად Legio X Fretensis-ის საინჟინრო ძალები მუშაობდნენ. არაა გამორიცხული, რომ X შეიძლება რომელიმე სახელოსნოს დამღაც იყოს (Karasiewicz-Szczypiorski, Mamuladze, Aslanischvili, Daszkiewicz, 2018: 489).

რომაელების წასვლის შემდეგ, ახ.წ. VI ს პირველ მესამედში ციხეში ბიზანტიელები დაბრუნდნენ და აქ, XII ს-ის დასაწყისამდე, დავით აღმაშენებლის ე.წ. ხუფათის ლაშქრობამდე (ქართლის ცხოვრება, 1955: 333) გამაგრდნენ. თუმცა, ქართველებისთვის ეს და, ზოგადად, ზღვისპირა პუნქტები არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ საყრდენს, ამიტომ ოსმალების გამოჩენამდე გონიო თითქმის არ ფიგურირებს წყაროებში (დაწვ.იხ.

1. არის მეორე აგურიც - (C)OH რიცხვითი ნიშანი II. სავარაუდოდ, ორივე ნივთზე კლავდიუსის სახელობის კოჰორტაა აღბეჭდილი, რომელიც ფაიუმის წარწერაშია ნახსენები (იხ. Speidel, 1986: 658-659; Мамуладзе, Халваши, Асланишвили, 2002: 35, рис. 2; Karasiewicz-Szczypiorski, Mamuladze, Aslanishvili, Daszkiewicz, 2018: 501-502).

მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2008: 405-418; 2012: 237-243). ასევე მწირია ამ პერიოდის შესაბამისი ნივთიერი მასალაც (ხალვაში, 2002: 135, 139; კახიძე, მამულაძე, 2004: 45, 62-64; Khalvashi, Kakhidze, 2014: 191-192).

რაც შეეხებათ ოსმალებს, ისინი ციხეში ტრაპიზონის სანჯაყბეგის მუსტაფა ფაშას, ბაიკლ მეჰმედ ფაშას შვილის დროს (1545-1549 წწ) გამაგრდნენ, საფუძვლიანად შეაკეთეს და გაამაგრეს (Aydin, 1998: 258). სხვათა შორის, ამას უნდა გულისხმობდეს ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის ცნობები 1547 წ გონიოს ოსმალთა მიერ აგების შესახებ (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973: 814; ბერი ეგნატაშვილი, 1959: 423)[2].

ერთი საუკუნის შემდეგ, ევლია ჩელების მოგზაურობის პერიოდში, 1647 წ ოსმალებმა ციხის კედლების შეაკეთების პარალერულად მეჩეთის რეკონსტრუქციაც წამოიწყეს (ევლია ჩელები, 1971: 95-98). არაა გამორიცხული, ეს კაზაკების შემოტევების გამო მომხდარიყო, რომლებიც ამ ციხეს მრავალჯერ დაესხნენ თავს, ქონება წაიღეს, მოაოხრეს და დაანგრიეს (იხ. ევლია ჩელები, 1971: 323; ტივაძე, 1971: 76-83).

ევლია ამ მეჩეთს ციხე-სიმაგრის კარიბჭესთან ათავსებს და მას ბაიაზიდ ჰანი ველის მეჩეთს უწოდებს (Günümüz Türkçesi, 2005: 118-119). ქვის მეჩეთებიდან აჭარაში გონიოსი უძველესია, ზოგადად კი კავკასიაში მსგავსი კონსტრუქციები მონღოლების შემოსევის შემდეგ ჩნდება (Милорадович, 1963: 66).

სწორედ ბოლო წლებში თურქეთის სახელმწიფო არქივების ოსმალურ არქივში აღმოჩნდა ხუთი დოკუმენტი (ტაბ. III-V), რომლებიც უშუალოდ ამ მეჩეთს უკავშირდება და შეიცავს მოკლე ინფორმაციას აქ მომუშავე პერსონალის, დადგენილებების, დანიშვნებისა და ხელფასების შესახებ[3].

ამ დადგენილების ნაწილი სულთნის, ზოგიც სასულიერო ფონდის თუ ადგილობრივი ყადის კანცელარიებშია შედგენილი. ირკვევა, რომ გონიოს ციხეში მდებარე მეჩეთში 1749 წლიდან 1832 წლამდე მიმდინარეობდა ღვთისმსახურება. თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ მეჩეთი 1647 წელს გარემონტდა, შეიძლება ითქვას, რომ ის ამის შემდეგ 185 წლის განმავლობაში ფუნქციონირება, ხოლო რემონტამდე გაცილებით ადრე უნდა დაეწყო ფუნქციონირება, სადღაც 1547 წ-ის მომდევნო ხანაში.

ამ მეჩეთში მსახურობდნენ მოლები, მოეძინები და დროგამოშვებით ფონდიდან მიმაგრებული იმამები. ეს ცხადყოფს, რომ მას მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდა, რადგან მსგავს მცირე ზომის ოსმალურ მეჩეთს, როგორც წესი, ერთდროულად მოლა და მოეძინი არ ემსახურებოდნენ.

ცხადია, რომ გონიო-აფსაროსი თავისი ფუნქციონირების თითქმის 18-საუკუნოვანი

2. ამ პერიოდის ვითარების შესახებ უფრო დაწვ. იხ.: მამულაძე, კახიძე, 2009: 167-171; Мамуладзе, Кахидзе, 2008: 146-153.

3. საარქივო კოდები: COA.C_MF_00152_07572_001;COA.C.EV_00600-30295-001;COA.C_MF_00065_03204_001; COA.C_EV_00314_15965_001;HAT_01586_00064_001_01.

ისტორიის მანძილზე, ძირითადად, მილიტარისტულ, სამხედრო-სტრატეგიულ მიზნებზე იყო ორიენტირებული, თუმცა მიუხედავად იმისა ის უცხოური ზეგავლენის, აკულტურიზაციის მნიშვნელოვანი კერა იყო რეგიონში. ბოლო დროს ჩვენ დავიწყეთ რომაული გავლენების შესწავლა ჭოროხის ქვემო დინებაში განლაგებულ სხვადასხვა პუნქტში, ვფიქრობთ, ოსმალური ზეგავლენა კიდევ უფრო ფართო არეალს მოიცავდა, რაც შესაბამისი პერიოდის მკვლევარების შტუდიების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად უნდა იქცეს.

ტაბ. I





2

ტაბ. 2





ტაბ. III





ტაბ. IV






HAT. 1586

**მითითებული ლიტერატურა:**

1. ასლანიშვილი ლ. რომაული აგური და კრამიტი აფსაროსიდან. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები VIII (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), 2005: 127-132.

2. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959.

3. ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, ნაკვ. I. თურქულიდან თარგმნა კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, თბილისი, 1971.

4. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

5. კახიძე ა., მამულაძე შ. სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. გონიო-აფსაროსი IV, 2004: 4-108.

6. მამულაძე შ., კახიძე ე. გონიოს ციხე განვითარებულ და გვიან შუასაუკუნეებში. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული 6, 2009: 167-173.

7. მამულაძე შ., კახიძე ე., ხალვაში მ. გონიო-აფსაროსი ბიზანტიურ ხანაში (წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის მიხედვით). ბიზანტიოლოგია საქართველოში 2. 2007 წლის 26-28 ოქტომბრის ბათუმი-ტრაპიზონის საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2008: 405-418.

8. მამულაძე შ., კახიძე ე., ხალვაში მ. გონიო-აფსაროსი ადრებიზანტიურ ხანაში. საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები. ეძღვნება კიაზო (კონსტანტინე) ფიცხელაურის 80 წლის იუბილეს, თბილისი, 2012: 237-253.

9. მამულაძე შ., ხალვაში მ., ასლანიშვილი ლ. აფსაროსის რომაული გარნიზონები. კავკასიის მაცნე 2, 2000: 91–95.

10. ტივაძე ე. კაზაკების მიერ გონიოს ციხის აღება და ქართველებთან მათი ურთიერთობის შესახებ. მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია) 1, 1971: 76-83.

11. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955.

12. შპაიდელი მ. კავკასიის საზღვარი: II ს გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფაზისში. სსსრ მეცნ. აკად. მაცნე, ისტ., არქ., ეთნოგრაფ. და ხელოვნების ისტ. სერია 1, 1985: 134-140.

13. ხალვაში მ. გონიო-აფსაროსის შიდა ციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. გონიო-აფსაროსი III, 2002: 134-141.

14. ხალვაში მ., ასლანიშვილი, ლ. ფლავიუს არიანე და აფსაროსის რომაული გარნიზონები. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენციის ჰუმანიტარული

მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში 2 მასალები, 2014: 336-343.

15. ხალვაში მ., კახიძე ე. აფსაროსი ახ.წ. IV-V სს-ში. ძიებანი 13-14, 2004: 147-150.

16. Aydin D. Erzrum Beylerbeyiliği ve Teşkilati, Kuruluş ve Genişleme Devri (1535-1566 yy). Ankara, 1998.

17. Günümüz Türkçesi ile Evliya Çelebi Seyahatnamesi 2, Cilt 1, Kitap 2, Seyit Ali Kahraman, Yücel Dağlı (haz.), Istanbul, 2005.

18. Kakhidze E. Apsarus. Eirene: Studia Graeca et Latina (Archaeologica) XLIII, 2007: 176-185.

19. Kakhidze E. Apsaros: a Roman fort in southwestern Georgia. Meetings of Cultures in the Black Sea Region: Between Conflict and Coexistence, Black Sea Studies 8, 2008: 303-332.

20. Karasiewicz-Szczypiorski R., Kakhidze E. Gonio (Apsarus) in Adjara – Excavations of Roman fort. First Polish-Georgian archaeological mission. Pro Georgia 25, 2015: 179-198.

21. Karasiewicz-Szczypiorski R. Apsaros. Early headquarters building (principia). New localization?. Pro Georgia: Journal of Kartvelological Studies 26, 2016: 53-63.

22. Karasiewicz-Szczypiorski R., Mamuladze S., Aslanischvili L., Daszkiewicz M. Ceramic building material from the Roman forts on the Cholchis coast: archaeological data. Polish Archaeology in the Mediterranean 27.1, 2018: 485-526.

23. Karasiewicz-Szczypiorski R., Mamuladze S., Early fortifications at the Apsaros fort (Gonio, Georgia). New discoveries. Pro Georgia 29, 2019: 63-76.

24. Khalvashi M., Aslanishvili L., Kakhidze E. Garrisons on the edge of Imperium Romanum. Proceedings of International Conference Ancient Black Sea 12 held to the Odessa State University, 2018: 553-558.

25. Khalvashi M., Kakhidze E. Concerning to the relationships between eastern Black Sea area and outside world in the Roman and early Byzantine periods. Phasis: Greek and Roman Studies 17, 2014: 189-196.

26. Speidel M.P. The Caucasian frontier: second century garrisons at Apsarus, Petra and Phasis. Studien zu den Militärgrenzen Roms 3, 1986: 657-660.

27. Ельницкий Л.А. Из исторической географии древней Колхиды. Вестник древней истории 2, 1938: 307-320.

28. Мамуладзе Ш., Кахидзе Э. Гонийская крепость во времена развитого и позднего Средневековья. Историко-филологические изыскания, т. 4, Санкт Петербург/Батуми, 2008: 146-155.

29. Мамуладзе Ш., Халваши М., Асланишвили Л. Римские гарнизоны Апсара. Вестник древней истории 1, 2002: 33-39.

30. Милорадович О.Д. Средневековые мечети городища Верхний Джулата. Материалы и исследования по археологии СССР 114, 1963: 66-86.

# არქეოლოგიური გათხრები ქვემო ვაშლოვანში (ხულოს მუნიციპალიტეტი)
# Archaeological excavations in The Vashlovani village (Khulo Municipality)


**კახაბერ ქამადაძე**

*არქეოლოგიის აკადემიური დოქტორი,*

*ბსუ. ასისტენტ-პროფესორი*

*აჭარის კულტურული მემკვიდრეობის*

*დაცვის სააგენტო. მეცნიერ-თანამშრომელი*

**ირინე ვარშალომიძე**

*ისტორიის აკადემიური დოქტორი*

*ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტი. მეცნიერ-თანამშრომელი*

*სსიპ -აჭარის მუზეუმის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი.*

*მეცნიერ-თანამშრომელი*

**Kakhaber Kamadadze**

*PhD of Archaeology*

*Batumi Shota Rustaveli State University. Asist. Professor*

*Cultural Heritage Preservation Agency of Ajara. Researcher*

**Irine Varshalomidze,**

*PhD of History*

*LEPL Ajara Museum, Batumi archaeological Museum. Researcher*

*Niko Berdzenishvili Institute. Researcher*



**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.12



**აბსტრაქტი:** სოფელი ვაშლოვანი მდიდარია ისტორიული წარსულით. მის ტერიტო-რიაზე მრავლად ფიქსირდება ქრისტიანული ხანის ტოპონიმები თუ არქეოლოგიური მასალები. 2021-2022 წლებში შუა საუკუნეების ერთ-ერთი ნაეკლესიარის შესწავლის მიზნით აქ არქეოლოგიური ექსპედიცია განხორციელდა. ექსპედიციამ შეისწავლა სოფლის თავში, ძინძეღელეს მარჯვენა ნაპირზე მდებარე ნაეკლესიარის ნაშთი და ეკლესიის ასაგებად მოწყობილი ცოკოლი. გაირკვა, რომ ეკლესია თავის დროზე დარბაზული, ერთნავიანი ნაგებობა ყოფილა (ზომები: სიგრძე-12 მ, სიგანე-10 მ). ეკლესიის დასავლეთით გამოვლინდა დარღვეული სამარხები და მცირე რაოდენობით არქეოლოგიური მასალები: ქვევრები, დერგები, ქოთნები, დოქები, კეცები და მოჭიქული კერამიკის ნატეხები, ასევე ვერცხლის მონეტები.

ნაეკლესიარი არქეოლოგიური არტეფაქტებისა და ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით XIII-XV სს-ით შეიძლება დათარიღდეს.

**საკვანძო სიტყვები:** ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ვაშლოვანი, ექსპედიცია, ნაეკლესიარი, არტეფაქტები

**Abstract:** Vashlovani village is rich of the historical past. Toponyms of the Christian period and archeological materials are often dicovered in its territory. In 2021-2022, an archaeological expedition was carried out to study one of the churches of the Middle Ages. The expedition studied the remains of the church located at the head of the village, on the right bank of the Dzindzegele. The church was once a one-nave building with a hall (dimensions: length-12 m, width-10 m). To the west of the church, disturbed burials and a small amount of archeological materials were discovered: pitchers, dergs, pots, jugs, bowls and fragments of glazed pottery, as well as silver coins.

According to archeological artifacts and numismatic materials, the church can be dated to XIII-XV centuries.

**Keywords:** Khulo municipality, Vashlovani village, expedition, church, artifacts

სოფელი ვაშლოვანი საკმაოდ მდიდარია ისტორიული წარსულით[1]. მის ტერიტო-რიაზე მრავლად ფიქსირდება ქრისტიანული ხანის ტოპონიმები თუ არქეოლოგიური მასალები. სწორედ ამ სოფელშია აღმოჩენილი აჭარის ტერიტორიაზე ერთადერთი ქვის სარკოფაგი, რომელიც სოფლის მაცხოვრებლებს ,,ნახუცარი“-ის უბანში უპოვიათ [იხ. Мгеладзе...,2006; ჩიტაია, 1940: 1-10; 2000: 323-332]. სარკოფაგი აკად. გ. ჩიტაიას ინიციატივით 1938 წელს ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადაუტანიათ (ამჟამად სსიპ აჭარის მუზეუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი) სადაც დღემდე ინახება (მუზეუმის ეთნოგრაფიული ექსპოზიცია. საინვენტარო N აჭმ.42). მკლევარი სარკოფაგს ზოგადად X-XIV სს-ით ათარიღებს [იხ. ჩიტაია, 1940: 1-10]. როგორც ცნობილია, სარკოფაგთა უმრავლესობა ქრისტიანული ხანის ძეგლებს წარმოადგენენ [ვრცლ. იხ. ბერძენიშვილი, 2006: 15-30; ჯაფარიძე, 1972: 124-136; ნადირაძე, 2001: 150-156].

ამავე სოფელში გ. ჩიტაიას დაფიქსირებული აქვს ,,ნამარნევის“ და ,,ციხისძირის უბნები“. ხოლო ,,ნახუცარში“, სარკოფაგის აღმოჩენის ადგილთან ახლოს ეკლესიის ნანგრევები [იხ. ჩიტაია, 1940: 1-10].

სოფლის ტერიტორიაზე პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია 2021-2022 წლებში

1. სოფელს სახელი ვაშლოვანი 1948 წლიდან დაერქვა, მანამდე კი ცნობილი იყო ალმეს სახელწოდებით. სოფელი ალმე მოხსენიებულია XVI საუკუნის 60-იან წლების ოსმალთა მიერ აჭარის აღწერის დოკუმენტშიც [იხ. შაშიკაძე, მახარაძე, 2011:17].

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით განხორციელდა[2]. ექსპედიციის მიზანს შუა საუკუნეების ერთ-ერთი ნაეკლესიარის შესწავლა წარმოადგენდა.

აღნიშნული ნაეკლესიარი მდებარეობს სოფლის თავში ზღვის დონიდან 994 მ სიმაღლეზე, (GPS მონაცემები: N 410 38.680'; E 0420 17.551'), ძინძეღელეს მარჯვენა ნაპირზე (ტაბ.II/1-2). ამ ადგილს ადგილობრივი მოსახლეობა ,,ნასაყდრალს"/,,საყდარს" უწოდებს. მათი ინფორმაციით წინაპრების გადმოცემით, აქ თავის დროზე მოზრდილი ეკლესია მდგარა, რომელიც ოსმალთა შემოსევების შემდეგ განადგურებულა და ადგილის სახელწოდება- ,,ნასაყდრალი" ამის შემდეგ გაჩენილა. ,,ნასაყდრალის" ტერიტორიაზე სხვადასხვა წლებში მიწის სამუშაოების დროს პოულობდნენ ქვევრების, დოქების, ქოთნების, მოჭიქული ჯამების ნატეხებსა თუ სხვა სახის არტეფაქტებს და ძვლოვან მასალას. ვიზუალური დათვალიერების შედეგად ძეგლის ტერიტორიაზე თითქმის არაფერი ჩანდა. მრავალწლიანი ნარგავებისა და ეკალ-ბარდის გამო რთული იყო ნაეკლესიარის კონტურების გარჩევა. შეინიშნებოდა მხოლოდ უსისტემოდ მიმობნეული ქვები. ამიტომაც ძეგლის არსებობის დასადასტურებლად 2021 წელს სადაზვერვო-საკონტროლო თხრილების გავლება გადაწყდა. სამუშაოების დაწყებისას პირველ რიგში გაიკაფა ძეგლის ტერიტორიაზე არსებული ხეები, ეკალ-ბარდი და ბუჩქნარი. ტერიტორიის მოსუფთავებისას ზედაპირულად ჰუმუსოვან ფენაში გამოვლინდა სხვადასხვა ტიპის ჭურჭლის უსახური ნატეხები, მათ შორის შედარებით კარგად იყო დაცული ქვევრის პირები. ძეგლის შიდა სივრცეში თავის დროზე ადგილობრივებს კერმიკული ნაწარმისა და ძვლოვანი მასალის აღმოჩენის შემდეგ ,,არქეოლოგიური სამუშაოები" უწარმოებიათ, ამიტომ კულტურული ფენა ძალზედ დაზიანებული დაგხვდა. ერთკვირიანმა სადაზვერვო- საკონტროლო სამუშაოებმა გამოავლინა ნაგებობის ნაშთები, რომელიც დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მის შიდა სივრცეში კი დაფიქსირდა უსისტემოდ მიმობნეული კლდის ფლეთილი ქვები (ტაბ.III/1). ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩადგმული იყო ქვევრი. იგი ძლიერ იყო დეფორმირებული მცენარეთა ფესვების გამო. ქვევრის პრეპარაციისას აღმოჩნდა რამოდენიმე ვერცხლის მონეტა და დოქის ყური. ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთით გაივლო 1 მ სიგანისა და 3 მ სიგრძის თხრილი. მასში თანამედროვე ზედაპირიდან 60 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა უინვენტარო სამარხი. მიცვალებული დაკრძალული იყო ქრისტიანული წესით.

ნაგებობის საძირკვლის კონტურების გამოსაკვეთად, მისი ზომის, მასშტაბისა და გეგმის განსასაზღვრად ექსპედიცია 2022 წელს განახლდა[3]. ამჯერად შესასწავლი ფართობი გაფართოვდა დასავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა სამხრეთ-აღმოსავლეთისა და

---

2. ექსპედიცია შედგებოდა შემდეგი წევრებისაგან: კ. ქამადაძე (ხელმძღვანელი); თორნიკე მამისეიშვილი (არქეოლოგი), გ. დუმბაძე (მხატვარ-არქიტეტორი).

3. ექსპედიციის წევრები იყვნენ: კ. ქამადაძე (ხელმძღვანელი), გ. დუმბაძე (მხატვარ-არქიტექტორი).

ჩრდილოეთის მიმართულებით. გარდა ამისა, სამარხების არსებობის დასადასტურებლად სამუშაოები ვაწარმოეთ ნაეკლესიარის დასავლეთით და სამხრეთით.

ორ კვირიანმა სამუშაოებმა გამოავლინა ეკლესიის ასაგებად მომზადებული ცოკოლი, რომელიც, ბუნებრივი კლდის ლოდებისა და ასევე კლდის ფლეთილი ქვებისაგან შედგება (ტაბ.III/2). სამწუხაროდ ძეგლი ძლიერაა დაზიანებული. სამუშაოების წარმოების პროცესში არ მოგვყოლია ერთი დამუშავებული ქვაც კი, რომელიც ძეგლის არქიტექტონიკაზე გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნიდა. როგორც გათხრების შედეგად, გაირკვა ეკლესიის ასაგებად ცოკოლი საგანგებოდ გაუკეთებიათ. მასზე აგებული ეკლესია კი სხვადასხვა მიზეზების გამო ასევე სხვადასხვა პერიოდში განადგურებულა. იგი დღეისათვის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. ადგილობრივთა მონათხრობით, როგორც ზემოთ აღინიშნა უკვე ნანგრევებად ქცეულ ძეგლზე ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აღმოუჩენიათ ქვევრის ნატეხები და ტერიტორიის ,,უკეთ“ შესწავლის მიზნით ,,არქეოლოგიური გათხრები“ უწარმოებიათ. აღსანიშნავია, ისიც, რომ ამ ტერიტორიას ადრე საყანე ფართობად იყენებდნენ და კარტოფილის მოსავალი მოჰყავდათ. მიწის დამუშავების პროცესში გამოვლენილი ქვებისაგან ადგილს ასუფთავებდნენ და სხვა თავისუფალ სივრცეში ალაგებდნენ (ეს პრაქტიკა დღემდეა შემორჩენილი მაღალმთიან აჭარაში, სათიბ-საძოვარის ფართობებზე კრეფენ მიმობნეულ ქვებს და ერთ ადგილას აგროვებენ). სამუშაოების წარმოებისას საგულდაგულოდ დავათვალიერეთ მიმდებარე ტერიტორია, რომელსაც დღემდე სათიბ-საძოვრად გამოიყენება, თუმცა უშედეგოდ. მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ მრავლადაა სხვადასხვა ზომის ქვები, დამუშავებული ქვები არ მოგვყოლია. დავადასტურეთ, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ნაეკლესიარის მსგავსი კერამიკა თავის დროზე აქაც აღმოუჩენიათ.

დღემდე მოღწეული ნაშთებიდან ნაეკლესიარის ზომების გარკვევა და მასზე წარმოდგენის შექმნა მეტნაკლებად მაინცაა შესაძლებელი. იგი დარბაზული, ერთნავიანი ნაგებობა უნდა ყოფილიყო (ტაბ.I/1-2). სავარაუდოდ მისი ზომები იყო: სიგრძე-12 მ, სიგანე-10 მ. შესასვლელი დასავლეთის მხრიდან უნდა ჰქონოდა. გადახურული ყოფილა ორქანობა სახურავით. შედარებით კარგადაა მოღწეული ცოკოლის ჩრდილოეთი ნაწილი. რაც შეეხება დასავლეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეს აქ მხოლოდ ნაწილობრივაა შემორჩენილი.

ეკლესიის დასავლეთით გამოვლინდა 4 დარღვეული სამარხიც (ტაბ.IV/1-2). ყველა მათგანი უინვენტარო იყო. ღარიბული. მიცვალებულები დაკრძალულნი არიან ქრისტიანული წესით. სამარხების სამხრეთით აღმოჩნდა ქვევრიც. (ქვევრი მთლიანად იყო დაცული, ამიტომ სამუშაოების დასრულების შემდეგ ამოვიღეთ და გადმოვიტანეთ გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის ფონდში).

ნაეკლესიარის ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ მონაკვეთებში მცირე რაოდენობით გამოვლინდა არქეოლოგიური მასალები. მათგან აღსანიშნავია: ქვევრების,

დერგების, ქოთნების, დოქების, კეცების და მოჭიქული კერამიკის ნატეხები, ასევე ვერცხლის მონეტები და ბეჭედი (ტაბ.V). გვხვდება რამოდენიმე ერთეული ისრისპირიც. აღმოჩენილ მასალებს მრავლად მოეპოვებათ პარალელები როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლებზე. განსაკურებით ინტერესს იწვევს ვერცხლის მონეტების აღმოჩენა (ტაბ.V/13-16).

ექსპედიციის მუშაობისას აღმოჩნდა 4 ვერცხლის მონეტა, 3 ცუდათაა დაცული, მათგან ერთი მეტროლოგიური და ფაქტურული მონაცემების მიხედვით (წარწერები არ იკითხება) შეიძლება გიორგი VII (1389-1407 წწ) და აჰმედ ჯელაირის (1382-1412 წწ) ერთად მოჭრილი მონეტა იყოს(?) (ტაბ.V/14). 2 - XIV-XV სს დაკნინებული ფული (?) (ტაბ.V/15/16). კარგად შენახული კი ტრაპიზონის ასპრის ქართული მინაბაძია, მოჭრილია ტრაპიზონის იმპერატორის იოანე II (1280-1297 წწ) ასპრის მიხედვით (ტაბ.V/13). მონეტა გახვრეტილია (წონაში დაკლების მიზნით, რაც ამ სამონეტო ჯგუფისათვის იყო დამახასიათებელი), წ 2 გრ. ზ. 20 მმ

შუბლი: ფეხზე მდგომი წმინდა ევგენიოსის სქემატური გამოსახულება პირდაპირ, მას თავზე შარავანდედი ადგას და წმინდანის სამოსი აცვია. მარჯვენა ხელში ჯვარი უპყრია, მარცხენა-დოინჯშემოყრილი აქვს. ბერძნული ზედწერილი: O-Γ-E-N-I-0 შემორჩენილია წერტილოვანი რკალის ფრაგმენტი.

ზურგი: კეისრის გამოსახულება მთელი ტანით პირდაპირ, თავზე სამრკალიანი გვირგვინი ადგას, რომლის აქეთ და იქით საკიდრებია დაშვებული. კეისარი შემოსილია გრძელი და განიერი სამოსით. ჰორიზონტალურად გაწვდილ მარცხენა ხელში ჯვრიანი სფერო უპყრია, ნახევარრკალისებურად მოხრილ მარჯვენა ხელში – მოკლებუნიანი ლაბარუმი. მარჯვენა ზედა კუთხეში ღვთაების მაკურთხებელი ხელია, ამავე მხარეს ქვემოთ – სოლომონის ბეჭედი. ბერძნული ზედწერილი: I-O-K (სარკისებურად)-O(იოანე კომნენოსი). გამოსახულება და წარწერაც დამახინჯებულია.

XIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში შემოდის და ფართოდ მიმოიქცევა ტრაპიზონის ასპრები. ტრაპიზონის იმპერიას და საქართველოს საერთო პოლიტიკური ინტერესები ჰქონდათ. ტრაპიზონის იმპერია ხელსაყრელ ადგილას მდებარეობდა. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა წინა აზიის ვაჭრობაში. შესაბამისად მათი მონეტებიც ინტერლოკალურ საფასეებად იქცა. დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში ძირითადად ბრუნავდა იოანე I (1235-38 წწ.), მანუელ I (1238-63 წწ.) და იოანე II (1280-97 წწ.) ასპრები. მათი მინაბაძები, იგივე კირმანეული თეთრი, სამეცნიერო ლიტერატურაში ორი საუკუნეა ცნობილი. მათ გენეზისზე, იურიდიულ ბუნებაზე, სამონეტო ჯგუფებზე მსჯელობა ჩვენი ნაშრომის მიზანი არ არის. დადგენილია რომ ისინი იჭრებოდა და მიმოქცევაში იყო XIII საუკუნის ბოლოდან XVI საუკუნემდე [აბრამიშვილი, 1984; პატარიძე,2020: 83-98].

ტრაპიზონის ასპრის ქართული მინაბაძები აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს

შემდეგ პუნქტებში; კოპიტნარი, ტობანიერიში, სოხუმში, სოფ. პატარა ჯიხაიშში, ქუთაისში, ჭიათურის შემოგარენში, ვანის რაიონის სოფ. შუამთის მახლობლად, თერჯოლის რაიონის სოფ. ზედა საზანოში, ხონში, მარტვილის რაიონის სოფ. ნოჯიხევში [აბრამიშვილი, 1984]. კირმანეული თეთრი აღმოჩნდა 1954 წელს ქობულეთის რაიონის სოფ. ციხისძირშიც (XIII-XV სს.), რომელიც შეიძინა მოსკოვის ისტორიულმა მუზეუმმა [აბრამიშვილი,1984: 112-148]. კირმანეული თეთრი 2016 წელს გამოვლინდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავში, ნაეკლესიარის გათხრებისას [ვარშალომიძე, ტაკიძე, 2016: 266-269]. რამდენიმე ინახება ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში. ისინი შემთხვევითაა ნაპოვნი ქ. ქობულეთში ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ [ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021: 366-369].

ვაშლოვანის ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მონეტებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ტრაპიზონის ასპრის ქართული მინაბაძის გავრცელების რუკაზე გაჩნდა ახალი ლოკაცია-ზემო აჭარა. ნუმიზმატიკური მასალის გამოვლენა საკვლევ პუნქტში კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ შუა საუკუნეებში სამონეტო მეურნეობა განვითარებულია მაღალმთიან აჭარაშიც, სადაც უკვე დადასტურებულია უცხოური საფასეების (ბიზანტიური, მონღოლური) მიმოქცევა [ვარშალომიძე, 2012:143-145; ვარშალომიძე, 2016: 87-90; ვარშალომიძე, სურმანიძე, 2023].

ამგვარად, 2021-2022 წლებში ქვემო ვაშლოვანის ტერიტორიაზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გამოავლინა ნაეკლესიარის ნაშთი, რომელიც, არქეოლოგიური არტეფაქტებისა და ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით XIII-XV სს-ით შეიძლება დათარიღდეს. არაა გამორიცხული, რომ აქ ეკლესიის გარდა სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობაც ყოფილიყო. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ტოპონიმი ციხისძირი, რომელიც ძეგლთან ახლოს სოფლის ცენტრში (თანამედროვე სკოლასთან) ფიქსირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ძველად სწორედ ნასაყდრალთან ახლოს ჩაივლიდა გზა, რომელიც ზღვისპირეთიდან მაღალმთიანი აჭარისაკენ მოემართებოდა. მონეტების გამოვლენაც აღნიშნული გზის ფუნქციონირებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

**ლიტერატურა:**


1. **აბრამიშვილი**, 1984:- აბრამიშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრებისა და დასავლურ ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი, თბილისი, 1984

2. **ვარშალომიძე**, 2012: - ვარშალომიძე ი., XIII საუკუნის ანონიმური ყაანური სოფელ ფურტიოდან// აჭარა წარსული და თანამედროვეობა (2012 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები), ბათუმი 2012

3. **ვარშალომიძე**, 2016: - ვარშალომიძე ი., ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ნუმიზმატიკური საგანძური (კატალოგი), ბათუმი 2016

4. **ვარშალომიძე**, 2016: - ვარშალომიძე ი., ილხანთა მონეტა სხალთიდან// სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები, VI(I), ბათუმი 2016

5. **ვარშალომიძე**, ტაკიძე, 2016: - ვარშალომიძე ი. ტაკიძე რ., კირმანეული თეთრი სოფელ აჭყვისთავიდან// სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები VI, ბათუმი 2016

6. **ვარშალომიძე**, ძნელაძე, 2021: - ვარშალომიძე ი, ძნელაძე ნ., ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი, ბათუმი, 2021

7. **ვარშალომიძე**, სურმანიძე, 2023 : - ვარშალომიძე ი., სურმანიძე ნ., ბიზანტიური მონეტა სოფელ დარჩიძეებიდან (ხულოს მუნიციპალიტეტი)// ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები IX , ბათუმი 2023 (იბეჭდება)

8. **პატარიძე**, 2020: - პატარიძე მ., სვანეთის ნუმიზმატიკური საგანძური, თბილისი 2020

9. **ქამადაძე**…,2021: - ქამადაძე კ. მამისეიშვილი თ., 2021 წელს ხულოს მუნიციპალი-ტეტის სოფ. ქვემო ვაშლოვანის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. ბათუმი 2021

10. **ქამადაძე**, 2022: - ქამადაძე კ., 2022 წელს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ვაშლოვანის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში ბათუმი 2022

11. **ჩიტაია**, 1840: - ჩიტაია გ., ქვის კუბო ქვემო-ალმედან// აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე VIII, 1-10, თბილისი

12. **ჩიტაია**, 2000: - ჩიტაია გ., ქვის კუბო ქვემო ალმედან// შრომები, II, 323-332, თბილისი

13. **ბერძენიშვილი**, 2006: - ბერძენიშვილი ი., აფხაზეთის ადრე შუასაუკუნეთა ხანის სამაროვნები და სამარხთა ძირითადი ტიპები// ამირანი, XVI, 15-30

14. **ნადირაძე**, 2001: - ნადირაძე ე., საქართველოს მემორიალური კულტურა, 150–156, თბილისი

15. **ჯაფარიძე**, 1972: - ჯაფარიძე ვ., სოფელ ბალიჭის სარკოფაგი ქართული ასომთავრული წარწერით// მაცნე 1972, 2, 124-136

16. **შაშიკაძე**, მახარაძე, 2011 : - შაშიკაძე ზ., მახარაძე მ., აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, თბილისი

17. **Мгеладзе**, 2006: - Мгеладзе Н. Тунадзе Т., Каменный гроб из села Вашловани (Алме)// Археология, этнология и фольклористика Кавказа - Международная научная конференция. Батуми

**ტაბულების აღწერილობა:**

I. სურ. 1-2. ეკლესიის გეგმა და ჭრილი

II. სურ. 1-2. ეკლესიის მდებარეობა

III. ნაეკლესიარის ნაშთები. სურ 1. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან; სურ.2. ხედი დასავლეთიდან

IV. სურ.1-2. სამარხები. ნაეკლესიარის დასავლეთი მხარე

V. არქეოლოგიური არტეფაქტები

**I**




**1**



**2**

II



1



2

III



1



2

IV



1



2

# V



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16

# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედში (სინდიეთი) 2022 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები

# The results of the archaeological excavations carried out in 2022 in Kedkedi village of Khelvachauri Municipality (Sindieti)


**თამარ შალიკაძე**

*სსიპ აჭარის მუზეუმის სამეცნიერო და საგამომცემლო საქმის კურატორი,*

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.*

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული პედაგოგი)*

**იზოლდა დუმბაძე**

*აჭარის მუზეუმის, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ექსპოზიციის*

*სამსახურის უფროსი. არქეოლოგიის აკადემიური დოქტორი.*

**Tamar Shalikadze**

*LEPL Ajara Museum, PhD in History*

**Izolda Dumbadze**

*LEPL Ajara Museum,*

*Batumi Archaeological Museum*

*PhD in Archaeology*



**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.13



აბსტრაქტი: აჭარის მუზეუმის, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ექსპედიციის წევრები: თამარ შალიკაძე, ემზარ კახიძე, იზოლდა დუმბაძე, არჩილ მალაყმაძე, ნუგზარ აფაქიძე), 2022 წელს კვლევითი სამუშაოები სოფელ სინდიეთში აჭარის კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს დაფინანსებით განხორციელდა. ძირითადი სამუშაოები წარმოებდა წინა წელს გამო-ვლენილი მარნის სამხრეთით მიკვლეული ქვის ყორისა და მოზრდილი წყობის დაზუსტების მიზნით. გაიწმინდა საშუალო ქვებისაგან ნაშენი ოთხკუთხა ფორმის ავზი, რომელიც დაწურული წვენის მოსაკავებლად ყოფილა გამართული, ე.წ. ისარნა. იგი თავის დროზე კირქვით ყოფილა შელესილი. რამდენიმე დღიანი სამუშაოების შედეგად გამოჩნდა ქვითკირით ნაშენი, კარგად დაცული საწნახელიც. როგორც ცნობილია, საწნახელი ყურძნის დაწურვასთან და ღვინის დაყენებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ პირველ ინვენტარს წარმოადგენს. საქართველოში ქვითკირით ნაგები საწნახლები X-XI საუკუნიდან ჩნდება, რაც მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განსაკუთრებულ დაწინაურებაზე მეტყველებს. აჭარაში ისინი მრავლადაა დაფიქსირებული მაჭახლის ხეობაში, ქედისა და შუახევის მუნიც-ის სოფლებში და სხვ. თვით

საწნახლისა და ავზის ტერიტორიაზე ჩნდება სხვადასხვა დოქისა და ჯამების ფრაგმენტები. მარანი წინასწარეულად განვითარებული თუ გვიანი შუასაუკუნეებით უნდა დათარიღდეს. თუმცა  ვიდრე არ დასრულდება კომპლექსის ბოლომდე შესწავლა თარიღზე საუბარი ნაადრევად გვეჩვენება. წინ საინტერესო სიახლეები გველის.

**საკვანძო სიტყვა:** სინდიეთი - ხელვაჩაური, მარანი, ქვევრი, საწნახელი.

Abstract: Ajara Museum – Batumi Archaeological Museum  has carried out an archaeological expedition in village Sindieti (team members: Tamar Shalikadze, Emzar Kakhidze, Izolda Dumbadze, Archil Malakmadze, Nugzar Aphakidze). The research was financially supported by Cultural Heritage Protection Agency of Ajara.  Primary research was done to scrutinize a dry stone wall and a quite large structure found on the southern part of the cellar, which was discovered the previous year. A square-shaped tank built of medium stones, which was held up to hold the pressed juice so called Isarna, was cleaned. It was once plastered with limestone. As a result, after several days of work, a well-preserved winepress also appeared. As it is known, winepress is one of the first items of equipment related to pressing grapes and making wine. Winepresses built with mortared stone appeared in Georgia from the 10th-11th centuries, which indicates the special advancement of the field of viticulture and winemaking. In Ajara, they are discovered in large numbers in the Machakheli valley, in the villages of Kedi and Shuakhevi municipalities and so on. Fragments of various jugs and jars appear in the territory of the winepress and the tank itself. The cellar should be dated to the early or late Middle Ages. However, until the complete study of the complex is completed, it seems premature to talk about the date. Interesting news await us.

**Key words:** Sindieti - Khelvachauri, cellar, qvevri, press.

სოფელი სინდიეთი მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაჭახლის თემში, მდინარე მაჭახლისწყლის ხეობაში.  გასულ სეზონზე  არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ბორცვოვან - ტერასული ტიპის მარანი, რომლის ცენტრალურ ტერიტორიაზე გაიწმინდა სამ რიგად ჩალაგებული  თორმეტი ქვევრი (სურ.1).

აჭარის მუზეუმის, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ექსპედიციის წევრები: თამარ შალიკაძე, ემზარ კახიძე, იზოლდა დუმბაძე, არჩილ მალაყმაძე, ნუგზარ აფაქიძე), კვლევითი სამუშაოები სოფელ ქედქედში (სინდიეთი) მიმდინარე წლის ოქტომბრის  თვეში განახლდა აჭარის კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს დაფინანსებით.  ძირითადი სამუშაოები წარმოებდა მარანის სამხრეთის

მიმართულებით, წინა წელს გამოვლენილი ქვის ყორისა და მოზრდილი წყობის დაზუსტების მიზნით, ამიტომაც თავდაპირველი სამუშაოები შესასწავლი ტერიტორიის გაწმენდით სამუშაოებს დაეთმო. შემდეგ აიგეგმა NW სექტორის I და II კვადრატები (კვადრატის ზომები: 4X4 სმ), სადაც მიმდინარეობდა ძირითადი სამუშაოები. პარალელურად დავიწყეთ მარნის ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილი ქვევრების გაწმენდა. NW სექტორის I -კვადრატში დაახლოებით 15 სმ სისქის ჰუმუსოვანი ნაყარის აღების შემდეგ გამოჩნდა დასავლეთ მხარეს, მკვრივ ქანში ამიკვეთილი წრიული ფორმის ავზისებური ჩაღრმავება, რომელსაც ძირთან თითქოს საგანგებოდ გამოყვანილი, 24 სმ. ის სიგრძისა და 7 სმ. სიფართის ღარი აქვს დატანილი. აქვე, ალაგ-ალაგ დაფიქსირდა კირქვის ნაშთები. 50 სმ - ის მიწის ფენის მოშორების შემდეგ გამოჩნდა ქვის წყობის დეტალები, რომელიც მიემართება სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით. ჩანს, რომ ეს მოზრდილი ქვები ყორის გაგრძელებაა. აღმოსავლეთის მხარე მორღვეულია, ჩამოშლილია ქვების დიდი ნაწილი.

საყურადღებოა, რომ დასავლეთი კედელი წარმოადგენს ერთიან ქვის მონოლითს. მისი ზომებია : h 40 სმ, სიგრძე 90 სმ. 40 სმ. სიღმიდან უკვე ჩნდება 40 სმ სიფართის ე. წ. თარო, რომელიც ირგვლივ შემოუყვება გამოვლენილ კედლებს. მათი ზედაპირი კირქვით შელესილ, მოსწორებულია. თანდათან იკვეთებოდა შედარებით ვიწრო, ბრტყელი ქვებისაგან ნაშენი ოთხკუთხა ფორმის ავზი, რომელიც დაწურული წვენის მოსაკავებლად ყოფილა გამართული, ე.წ. ისარნა. აღმოსავლეთის კედელი თითქმის მთლიანად მოშლილია, გადარჩენილია ოთხკუთხა ფორმის ქვების ერთი რიგი, რომელსაც ფსკერზე, ცენტრალურ ნაწილში 5 სმ- ის დიამეტრის ღარი აქვს დატანილი, ქვებზე და ფსკერზე, ზოგან შემორჩენილია 0, 3 თუ 0,5 სმ. სისქის კირვისა და წვრილი ქვიშნარის კვალი, როგორც ჩანს, ავზის კედლები და ძირი თავის დროზე კირქვით ყოფილა შელესილი (სურ.2). მისი ზომებია: h 45 სმ, სიგრძე 80 სმ. ავზი მთლიანად შელესილი კირქვით, გამსაკუთრებით კარგადაა კირქვისა და რუხი ფერის წმინდა ქვიშის ნარევის ნაშთები შემორჩენილი კედლებსა და ძირზე. საბოლოოდ გამოჩნდა, რომ ავზს ჰქონია 40 სმ-ის სიმაღლის კედელი, რომლის დასავლეთი მხარე მიდგმულია წრიული ფორმის ავზთან, საიდანც ასევე ხდებოდა წვენის გადმოღვრა. აქვე კედლის ჩრდილოეთ კუთხეში გამოყვანილია ვიწრო ჩაღმავება, რაც ღარის შთაბეჭდილებას ქმნის. შესაძლოა ზემოთ აღწერილი წრიული ფორმის ავზი ადრე გამოიყენებოდა, რომელიც მომდევნო ეტაპისათვის გააუქმეს და მიადგეს ოთხკუთხა ავზის ზედა დასავლეთი კედელი. საინტერესოა, რომ, აქვე NW სექტორის I კვადრატში აქა-იქ ჩნდება სხვადასხვა ჭურჭლის პირ-ყელისა თუ ყურის უსახური ფრაგმენტები. კვლავ ყურადღებას იქცევს სამხრეთით, NW სექტორის II კვადრატისკენ მიმართული მოზრდილი ქვის წყობები, რომელიც ალაგ-ალაგ მოშლილია. მათგან 35 სმ. სიღრმეზე დასავლეთით, გამოჩნდა სწორკუთხა ფორმის ქვის წყობის ნაშთები მათზეც შეინიშნება კირქვის შელესილობის ფრაგმენტები, მსგავსი სიტუაცია გაგრძელდა

ჩრდილოეთ მონაკვეთზეც, რომელიც 1, 30 სმ. სიგრძეზე გრძელდება ქმნის კუთხეს მიემართება დასავლეთით და ასევე კუთხით უერთდება სახრეთ ნაწილს. საბოლოოდ შეიკრა მართკუთხა ფორმის ნაგებობა - საწნახელი. როგორც თავიდან გამოჩნდა საწნახლის დასავლეთი ნაწილი საგანგებოდ ყოფილა გამაგრებული, რასაც ვერ ვიტყვით აღმოსავლეთ კედელზე, ქვის წყობის ნაწილი ჩამოშლილია (სურ.3). საინტერესო სურათი ჩანს სამხრეთ კედელთან, რომლის გარეთაც ფიქსირდება სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიმართული მოზრდილი კედლის წყობა და კვლავ გაუთხრელ ფართობში შედის. ვფიქრობთ საცხოვრებელი სახლის სათავსოს კედლის ნაშთებთან გვაქვს საქმე, რომელზეც ყოფილა მიდგმული საწნახელი (მათი შესწავლა ამ სეზონზე ვერ მოვახერხეთ). რაც შეეხება საწნახელის შიდა სივრცეს აღსანიშნავია რომ 1,80 სმ სიგრძეზე დატანილი აქვს ჩაღრმავება, რომელიც ჩრდილოეთ კედლისკენ მიემართება გამჭოლი ღარით სრულდება, საიდანაც წვენი პირდაპირ ავზში მიედინებოდა. 3 სმ-ის კირქვის სისქის ნაშთები მიუთითებს, რომ საწნახელი მთლიანად კირქვითაა შელესილი. მისი ზომებია: სიგრძე 3,15 სმ; სიგანე , სიგანე 1,30 სმ, სიღრმე 90 სმ. (სურ. 3) რაც შეეხება საწნახლის წინა ტერიტორიას ყურადღებას იქცევს საწნახლის კედლებიდან ჩამოშლილი მოზრდილი ქვების ფრაგმენტები და წრიული ფორმის ჯერჯერობით გაურკვეველი დანიშნულების ერთმანეთზე შედგმული წრიული ფორმის ქვები (უნდა ავღნიშნოთ, რომ მონაკვეთში ვერ მოვასწარით წინა წელს გამოვლენილი ქვევრების დონეზე დასვლ) აქვეა სხვადასხვა დოქისა და ჯამების ფრაგმენტები. საინტერესოა ქვის ნივთი, რომელიც საწნახელის გადმოსაღვრელი ღარის დასაგმანი შეიძლება იყოს. საწნახლის ზომებიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს დიდი წარმადობის საწნახელთან, სადაც ერთდროულად შესაძლებელი იქნებოდა 3 ტონამდე ყურძნის დაწურვა. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ მევენახეობა-მეღვინეობის დარგს ხეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა **[კახიძე, 1974; თოფურია, 1984]**.

უნდა აღინიშნოს, რომ საწნახელი ყურძნის დაწურვასთან და ღვინის დაყენებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ პირველ ინვენტარს წარმოადგენს. ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ყურძნის დაწურვის მრავალი პრიმიტიული ხერხია დამოწმებული ტყავზე დაწურვა, გოდორში, პურის საზელ, ვარცლზე, ტომრებში და სხვ. რაც შეხება საწნახელს, იგი სამი სახისაა: 1. ხის; 2. კლდეში ნაკვეთი და 3. ქვითკირით ნაგები. პირველი ორი სახეობა გაცილებით არქაულია. აჭარაში ხის საწნახლები ჩვენამდე არაა მოღწეული, ხოლო რაც შეეხება კლდეში ნაკვეთ საწნახლებს, ისინი მრავლადაა აჭარის ტერიტორიაზე. ისინი ფიქსირებულია სოფ. ზენითში, ზუნდაგაში, ორცვაში, კორომხეთში, აქუცაში, მერისში და ა.შ. მათგან უძველე-სია ზენითის საწნახელი, რომელიც ძვ.წ. IV-III სს თარიდება. შედარებით ახალია ქვითკირით ნაგები საწნახლის ტიპი. საქართველოში ქვითკირით ნაგები საწნახლები X-XI საუკუნიდან ჩნდება, რაც მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განსაკუთრებულ დაწინაურებაზე მეტყველებს. აჭარაში ისინი მრავლადაა დაფიქსირებული მაჭახლის ხეობაში, ქედისა და შუახევის მუნიც-

ის სოფლებში და სხვ **[კახიძე..,2018; ფრუიძე, 1974, 2018; ჯორჯაძე, 1976]**

მივიჩნევთ, რომ სოფელ სინდიეთში ახლად გამოვლენილი მარანი და ქვითკირის საწნახელი წინასწარეულად შუასაუკუნეებით უნდა დათარიღდეს. თუმცა ვიდრე არ დასრულდება კომპლექსის ბოლომდე შესწავლა თარიღზე საუბარი ნაადრევად გვეჩვენება. წინ საინტერესო სიახლეები გველის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1.თოფურია ნ. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1984.

2.კახიძე ნ. მაჭახლის ხეობა, ბათუმი. 1974.

3.კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, ბათ. 2018.

5. ფრუიძე ლ. მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, თბ., 1974.

6. ფრუიძე ლ. საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორია, წიგნი მესამე, თბ., 2018.

7. ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესება ხელმძღვანელობისათვის კახური ღვინის მაყენებლობისა, ტფილისი. 1976.

# I





II



სურ. 2

III





სურ. 3

**კერამიკული სასმისების გენეზისი საქართველოს**
**არქეოლოგირი მასალების მიხედვით**
**Genesis of ceramic cups according to the archaeological materials discovered in Georgia**

**მარიამ იზორია**
*ა(ა)იპ ქართული ტაძარ-მონასტრების აღმშენებლობის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და სბ-ს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის კვლევითი ლაბორატორიის დირექტორი, არქეოლოგიური მიმართულების დოქტორანტი*
**მაია იზორია**
*თბილისის სამხატვრო აკადემია, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი*
**Mariam Izoria**
*Director of the research laboratory at the Georgia Church-Monastery Cultural Heritage Study and S.B. International Charitable Found, PhD student in the field of archaeology*
**Maia Izoria**
*Tbilisi Academy of Arts . PhD in Art History, Professor*
**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.14

**აბსტრაქტი:** კერამიკული სასმისები საქართველოს არქეოლოგიური მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მათი ფორმისა თუ დეკორის გენეზისი თიხის ისტორიული მასალებისა და ტექნიკური ხერხების ინოვაციურად გამოყენების ასპექტებს მოიცავს. გენეზისის პროცესი განიხილება კერამიკის ტექნოლოგიურ პროგრესთან მიმართებაშიც, რომლის განხორციელება შეუძლებელია ადგილობრივი რესურსების გარეშე. ამ ამოცანათა რიგში დგას სასმისების მხატვრულ-სემანტიკური და უტილიტარული დანიშნულების შეძლებისდაგვარად წარმოჩენა.

აღნიშნული საკითხების კვლევისას გამოიყოფა ნიმუშების ის ტიპი, რომლის მხატვრულ ფორმაში პირდაპირაა გადმოტანილი წინარეხანის არქეოლოგიურ მასალაში შემონახული ტრადიციული სქემები. ასევე განკერძოებით დგას გარემომცველი პირობების ზემოქმედებით წარმოქმნილი სასმისების ჯგუფი, რომელშიც ძველი მოტივები ადგილობრივ ნიადაგზეა იმპროვიზებული და წმინდა წყლის მხატვრულ შემოქმედებას წარმოადგენს. თუმცა ყველა შემთხვევაში სხვადასხვა ეპოქის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში კერამიკული სასმისების ფორმასა და დეკორში თავს იჩენს კულტურათა დიალოგი, რასაც მათ ვიზუალურ სახეში კოსმოპოლიტიზმის ელემენტი შემოაქვს.

ამიტომ დიდ მნიშვნელობას იძენს სასმისების ადგილობრივი ნიმუშების შედარებითი

ანალიზი ახლო და შორეულ მსოფლიო პარალელებთან, რომელიც წარმოდგენილია კულტურათა ურთიერთგავლენების არეალში მოქცეული ახლო აღმოსავლეთის, მცირე აზიის, შავი და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების, სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის ნიმუშებით. შედარებითი ანალიზის პროცესში ვლინდება ადგილობრივ და პარალელურ მასალას შორის არსებული კავშირები ფორმის, დეკორის მოტივებისა და ტექნიკური ხერხების მსგავსების მხრივ. აგრეთვე ნათელი ხდება კერამიკულ მასალებსა და ტექნოლოგიებში ასახული ინოვაციების საერთო საფუძველი.

**საკვანძო სიტყვები:** თიხა, სასმისი, გენეზისი, არქეოლოგია, საქართველო

**Abstract:** Archaeological heritage is one of the most important values of Georgian culture, the main component of which are ceramic bowls. The process of genesis of their shape or decor includes the innovative use of historical materials and technical aspects of decoration. The role of the process of genesis is also important in relation to the technical-technological progress in the field of Ceramics, which makes it impossible without the use of local resources. Among these tasks, it is worth presenting the artistic, semantic and utilitarian purpose of the bowls.

In the course of the study of these issues, a type of samples is distinguished, in which based on the archeological heritage, the local artistic tradition continues in a peculiar way. Identity is evident in it. In this process, a dialogue of cultures emerges, which is expressed in striving towards the progressive tendencies of that time.

Therefore, acquires great importanceinternational cooperation, for which ceramic bowls excavated on the territory of Georgia will be coordinated with the parallel material of the world, which fairly well represented in the museums of our country. A comparative analysis will be carried out with parallels of the near and far world, represented by samples from the countries of the Middle East, Anatolia, the Black and Mediterranean, the South and North Caucasus, which are in the zone of intercultural interaction. The comparative analysis process will reveal the links between local and parallel material in terms of similarity of shapes, decor motifs and techniques.

**Key words:** clay, cup, genesis, archeology, Georgian

საქართველოს არქეოლოგიურ მემკვიდრეობაში კერამიკული სასმისების არაერთი სახეობაა შემორჩენილი. მათი ფორმისა და დეკორის გენეზისი უპირველესად განპირობებულია ადაპტაციის პროცესით, რომელიც ამა თუ იმ ეპოქის ისტორიულ-სოციალურ და მსოფლმხედველობრივ ცვლილებებს უკავშირდება. ეს პროცესი აგრეთვე მოიცავს ტექნიკური

ხერხების ინოვაციურად გამოყენების ასპექტებს და განიხილება კერამიკის ტექნოლოგიურ პროგრესთან მიმართებაში, რომლის განხორციელება შეუძლებელია თიხის ადგილობრივი რესურსების გარეშე. სასმისების ფორმისა და დეკორის გენეზისი აგრეთვე ინსპირირებულია ცალკეული ეპოქის სტილის, მხატვრულ-სემანტიკური გააზრებისა და ფუნქციის მნიშვნელობიდან გამომდინარე. დაკვირვება ცხადყოფს, რომ სასმისების ვიზუალურ სახეში არც თუ იშვიათად თავისებურად აირეკლება მსოფლიოს წამყვანი კულტურული ელემენტები, რის საფუძველზეც ისინი ხშირად მის ლოკალურ ვარიანტებად აღიქმებიან. თუმცა ყოველი ეპოქის სიახლეებით ტრანსფორმირებულ ნაკეთობებში უპირატესად თავს იჩენს ადგილობრივი მემკვიდრეობითობის გარკვეული ტრადიცია და ამ გზით შენარჩუნებული თიხის სასმისების იდენტობა.

აღნიშნული საკითხების კვლევისას გამოიყოფა ნიმუშების ის ჯგუფი, რომლის მხატვრულ ფორმაში პირდაპირაა გადმოტანილი წინარეხანის არქეოლოგიურ მასალაში დამკვიდრებული სქემები. განკერძოებით დგას გარემომცველი პირობების ზემოქმედებით წარმოქმნილი სასმისების მეორე ჯგუფი, რომელშიც ძველი მოტივები ადგილობრივ ნიადაგზეა იმპროვიზებული და წმინდა წყლის მხატვრულ შემოქმედებას წარმოადგენს. თუმცა როგორც შევნიშნეთ, სხვადასხვა ეპოქის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში ნებისმიერი ტიპის კერამიკული სასმისის ფორმასა და დეკორში თავს იჩენს კულტურათა დიალოგი, რასაც მის ვიზუალურ სახეში კოსმოპოლიტიზმის ელემენტი შემოაქვს.

საქართველოს ტერიტორიაზე კერამიკული სასმისების გავრცელება ენეოლითის ხანიდან იწყება და ყოველ მომდევნო ეპოქაში ახალ-ახალი სახეობებით მდიდრდება. მათი გენეზისის პროცესის წარმოსაჩენად მოვიხმობთ სასმისების იმ ტიპებს, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლეს და უკანასკნელ ხანებამდე მოაღწიეს. პირველრიგში ეს არის ენეოლითის ხანაში აღმოცენებული სხვადასხვა სიღრმის ჯამები, რომლის ნახევარსფერული თუ ნახევრად ცილინდრული, ან ნახევრად კონუსური ფორმა ყველაზე მეტად იჩენს მდგრადობას და იმდროინდელ მსოფლიოში (მცირე აზია, მესოპოტამია, ეგვიპტე) ფართოდაა გავრცელებული. ამავე დროს ჯამისა თუ თასის ტიპის სასმისები ერთმანეთისგან განსხვავებული ბრტყელი ძირებით (განიერი-ვიწრო, ქუსლიანი-უქუსლო, ფეხიანი-უფეხო) და პირის მოყვანილობით (სწორი, გადმოზნექილი) გვევლინება. ამ ეტაპზე წითელკეცა ჯამის ზედაპირს დეკორის გარეშე ტოვებენ. ალბათ იმიტომ, რომ თვალსაჩინო გახადონ უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული მისი სოლარული ფორმა. დასავლურ-ამიერკავკასიური ნეოლით-ენეოლითური კულტურის წრეში შემავალი კერამიკული ძეგლები და მათ შორის ჯამებიც ლოკალურ ჯგუფებად ერთიანდებიან {ნებიერიძე, 1992:226}, რაშიც უცხო ინოვაციური იმპულსები უპირატესად თავს იჩენს წინააზიის ადრეული კულტურებისთვის დამახასიათებელი ბზენარევი თიხის გამოყენებით. ეს კავშირები აგრეთვე ვლინდება

ჯამების ტექნიკური შესრულებისას მათი ტლანქად ნაძერწი კეცის შიდაპირზე აღბეჭდილი ტილოს ხამი ქსოვილის, ან ჭილოფის კვალით. ასეთი ანაბეჭდები როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს ნეოლითური სადგომების თიხის ნიმუშებსაც შეენიშნებათ, რაც დასტურია იმისა, რომ კერამიკული ნაკეთობების ხელით ძერწვისას ორივე რეგიონი იმდროინდელ მსოფლიოში გავრცელებულ ტექნიკას მიმართავს. დაბალი ტემპერატურის გამო ჯამები, რომელიც ზოგ შემთხვევაში სამფეხაზე დგას (ილ. 1), ჯერ კიდევ ცუდადაა გამომწვარი, მოვარდისფრო-მონაცრისფრო-მოყვითალო ტონალობისაა და საგრძნობლად სქელი კეცი აქვს. მათი არასაკმარისად განლექილი თიხა ადგილობრივი წარმომავლობისაა. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს ნაკეთობების თიხის სტრუქტურა ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი კირნარევი შემადგენლობისაა და გასამჭლევებლად ქვიშიანი კვარცის და ქარსის მინარევები ურევია.

აღმოსავლურ-კავკასიური ნეოლით-ენეოლითური კულტურის წრეში შემავალი აღმოსავლეთ საქართველოს კერამიკა სხვაგვარი იერით გამოირჩევა. ამ რეგიონში გენეზისის პროცესის წარმოსაჩენად საინტერესო სურათს იძლევა ღვინის ჭურჭელიც, რომელსაც სასმისები ფუნქციურად უკავშირდება. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შულავერ-შომუთეფეს კულტურის საზღვრებში {ჯაფარიძე,1976:53}, ხრამის დიდი გორის ნამოსახლარზე, ძვ. წ. VI ათასწლეულის ფენაში აღმოჩენილი ქვევრის ტიპის თიხის დერგი. მისი ბრტყელ ფუძეზე აღმართული უყელო კვერცხისებური ფორმა, ისევე როგორც ჯამები ჯერ კიდევ ტლანქადაა ამოყვანილი. ფართოდ გაშლილი პირის ორივე მხარე კი, რელიეფურად დაძერწილი ყურძნის მტევნის მოტივითაა მორთული, რითიც ნაძერწობით გაფორმებულ ენეოლითის თიხის ჭურჭელს ეხმიანება და ღვინოსთან დაკავშირებულ ფუნქციასაც ავლენს. შიდა ქართლში, ქარელის რაიონში, ბერიკლდეების ნამოსახლარზე მიკვლეული ქვევრისებური თიხის დერგის (ძვ. წ. IV ათასწლ.) ფორმა უკვე საკმაოდ სიმეტრიულია, რაც აქ აღმოჩენილ ჯამების მოყვანილობასაც ახასიათებს. ორივე სახეობა ნამზადია კარგად განლექილი ბზენარევი თიხისაგან, რომელშიც შერეულია გასამჭლევებელი ნივთიერებები, ხოლო მოვარდისფრო სქელი კეცის ზედაპირი გაპრიალებამდეა მიყვანილი. სიონის ძეგლების რიგში შემავალი ჭურჭლის იგივე სახეობები (ძვ. წ. V ათასწლ. ბოლო და ძვ. წ. IV ათასწლ. I ნახ), უფრო ხშირად თხელკედლიანია და ინტერესს იწვევს სხვადასხვაგვარად გამჭვარტლული პრიალა, ან მოგლუვებული ზედაპირით. ამით გარკვეულწილად ემსგავსება მტკვარ-არაქსის კულტურის თიხის ნაწარმს და სიახლოვეს პოულობს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, თელუთას (არარატის ველი). ალიკემეკ-თეფესი და ლეილა-თეფესის (აზერბაიჯანი), აგრეთვე ჩრდილო ობეიდის ძეგლებთან.

მომდევნო, ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურაში სასმისების ახალი სახეობები ტექნიკურ-ტექნოლოგიური ინოვაციებითაც იპყრობს ყურადღებას. უზარმაზარ

ტერიტორიაზე (ჩრდ. კავკასია, ჩრდ-დას. ირანი, აღმ. ანატოლია) განფენილი კულტურის ცალკეულ რეგიონში, მათ შორის საქართველოში მოპოვებულ ყველა ტიპის კერამიკას გარკვეული ლოკალური თვისებები გააჩნია. ამ დროს შექმნილი ჯამ-ფიალის, სამფეხა სასმისის, ზიარჭურჭლის თუ ღვინის ჭურჭლის - დოქის, ყურიანი ტოლჩის, ქვევრისებური დერგის სრულფასოვნად გამომწვარი ფორმები საკმაოდ დახვეწილია. კარგად განლექილი თიხით ნაძერწი მათი ვარდისფერსარჩულიანი კეცი უმეტესწილად შავლეგაა და გულდასმით გაპრიალებული, იშვიათად წერნაქითაც იხატება. სამოსახლო-სამაროვნების კომპლექსებში მიკვლეული წითელკეცა კერამიკაც ძლიერადაა გაპრიალებული. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ორი, ან სამი იდენტური სასმისის შეერთებით შექმნილი ზიარჭურჭლის ორიგინალური ფორმა. ფიქრობენ, რომ სხვა სასმისებისგან განსხვავებული კომპოზიცია ზიარჭურჭლის მნიშვნელოვანმა საკრალურმა დატვირთვამ განაპირობა. ზოგი მეცნიერის (ვ. ბარდაველიძე, გ.გობეჯიშვილი, ი.კიკვიძე, გ.ფხაკაძე) მოსაზრებით, ზიარჭურჭელი საკულტო დღესასწაულებზე შეწირული წმინდა სითხის „ზედაშეს" შესასმელად იყო განკუთვნილი და სარიტუალო მარნის ფუნქციას ასრულებდა.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტიპის სასმისის გამოჩენას მცირე აზიასა და ეგეოსურ სამყაროს უკავშირებენ. მახლობელ აღმოსავლეთში იგი ჯერ კიდევ ნეოლითიდანაა ცნობილი (ბ.კუფტინი, ო.ჯაფარიძე, გ.გობეჯიშვილი). კავკასიაში შემოსვლის დღიდან კი, რეგიონალურ თავისებურებებს იძენს {გობეჯიშვილი, 1980:75}. ჩვენში ზიარჭურჭლის უძველესი ნიმუში, მუცლით გადაბმული სასმისების წყვილი (H-6,7სმ), თრიალეთის ბეშთაშენის ციხე-სიმაგრის მტკვარ-არაქსული კულტურის ფენაშია აღმოჩენილი (ილ. 2). ზიარჭურჭლის შემადგენელი ბრტყელძირა სასმისები ერთმანეთის ანალოგიაა, მათ ოდნავ გამოყვანილი ყელი, მსუბუქად გაშლილი პირი და ნახევრადმრგვალი საერთო ყური აქვს. იგი თიხატკეპნილ სარიტუალო მოედანზე სხვა ნაკეთობებთან ერთად იპოვნეს , რაც უნდა ადასტურებდეს ზიარჭურჭლის საკრალური დანიშნულების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას. მის კიდევ ერთ ვარიანტს წარმოგვიდგენს ბედენის პლატოზე, ე.წ გადაჭრილი გორის N5 ყორღანის, სოციალურად დაწინაურებული პირის აკლდამაში მიკვლეული წყვილი სასმისის ნიმუში (H-10სმ). იგი წინარეხანის პროტოტიპების თავისებური იმპროვიზაციაა, რომლის კომპოზიცია იგივე რჩება, იცვლება მხოლოდ ცალკეული ელემენტი. პირველ რიგში ეს ითქმის სასმისების ფორმაზე, რომელიც კოჭობისებურად მრგვალ მოყვანილობას ღებულობს და ჰორიზონტალური სახელურით უკავშირდება ერთმანეთს. სასმისების მყარ აღნაგობასა და წონასწორობას ბრტყელი სადგამი და მკვეთრად პროფილირებული პირით დაგვირგვინებული ცილინდრული ყელი განსაზღვრავს. მხარზე შემოყოლე-ბული რელიეფური კოპების ორი რიგი კი, ზიარჭურჭლის ამ ნიმუშს განსაკუთრებულ გამომსახველობას სძენს. განხილულ ძეგლებთან ახლოს დგას ჩრდილო კავკასიასა (ველიკენტის კატაკომბა) და ქვედა

ვოლგისპირეთის (კალინოვსკის N2 ყორღანი) სამარხეში მოპოვებული სასმისები .

ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახ.-ში ჭურჭლის ეს სახეობა თითქმის პარალელურად ჩნდება კოლხეთის დაბლობზე - ფიჩორის გორა-ნამოსახლარში (გალის რ-ნი), სადაც ორსასმისიანი ზიარჭურჭლის ფრაგმენტი (H-6,5სმ) საკულტო დანიშნულების სათავსში აღმოჩნდა. ყურადღებას იქცევს ამ ნიმუშის ძლიერ გაპრიალებული თხელკედლიანი კეცის ნახევარშებოლვით მიღებული მუქი წაბლისფერი ზედაპირი. კანელურებით შემკული ორსასმისიანი ზიარჭურჭელი ვერტიკალურად მიძერწილი ყურით დასტურდება დღვაბას სამაროვნის N 2 კოლექტიურ ორმო-სამარხშიც (ხობის რ-ნი) . დაკვირვება ცხადყოფს, რომ ზიარჭურჭლის შემკობისას სასმისების ფორმის გამოსაკვეთად უპირატესად დეკორის მარტივ ელემენტებს; შვერილებს, კოპებს, ან ნაკაწრი ხაზებით გამოყვანილ ასტრალური იდეის მატარებელ გეომეტრიულ გამოსახულებებს მიმართავენ. მტკვარ-არაქსის კულტურის წამყვან ელემენტს, აგრარული შინაარსის მზიური სიმბოლოს, სპირალის ვარიაციებს კი {Урушад-зе,1988:32-33} ძირითადად საღვინე ჭურჭელზე იყენებენ. ამის არაჩვეულებრივი ნიმუშია თრიალეთში სოფ. გუნიაში (ოზნი) მოპოვებული ბრტყელძირა და ფართოპირა წითელკეცა ქვევრისებური ჭურჭელი (H-1მ), რომელსაც კალთები სიმეტრიულად ეშვება და რომლის გამომსახველობას მხარზე დაძერწილი სათვალისებური სპირალი იწვევს.

სასმისების ახალი ვარიანტები ახალი შემოქმედებითი ძალით იქმნება ძვ.წ. III ათასწლ. II ნახ-დან აღმოცენებულ თრიალეთის კულტურაში (აღმ. და სამხრ. საქ.). ამ პერიოდის არტეფაქტების მხატვრული სახე ძველაღმოსავლურ სამყაროს აირეკლავს და ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის კულტურათა გენეტიკურ ურთიერთკავშირსაც ასახავს. სანიმუშოდ მოვიყვანთ ბედენური პერიოდის შავკრიალა სამფეხა ჯამებს, რომელთა პლასტიკური გადაწყვეტა ადრეული სამფეხა სასმისების ერთგვარ გენეზისს წარმოგვიდგენს. ზემოთქმულის საბუთად ასევე გამოდგება თრიალეთის ეპოქის ბედენის საფეხურის წაღვლის სამაროვანზე (სამარხი N100 კენოტაფი) მოპოვებული შავკრიალა ზიარჭურ-ჭელი, რომელიც ასევე ადრეულ პროტოტიპებზე აგებული იმპროვიზაციაა (ილ.3). პირსა და კორპუსზე დაძერწილი საერთო სახელურის პლასტიკური ელემენტი არა მარტო ამთლიანებს ზიარჭურჭლის კომპოზიციას, არამედ მის შემადგენელ კოჭობისებურ სასმისებს დამოუკიდებელი კომპონენტის ხასიათსაც ანიჭებს. თრიალეთის ბრწყინვალე ყორღანულ ხანაში ჩნდება წერნაქით მოხატული ჯამები, რომელიც წინამორბედი და თანადროული ადგილობრივი კერამიკისთვის დამახასიათებელი შევრონების მოტივითა და ტალღისებური ხაზებითაა გაფორმებული. სპილოსძვლისფერ ფონზე ყავისფერი ნახატის და მუქ - წითელზე შავი ფერის კომბინაციებით მიღწეული მხატვრული ეფექტები გენეტიკურ ხედვაზე დამყარებულ გარეგანი იმპულსების (სავარაუდოდ, წინააზიურის) გარდასახვა-გადამუშავებაზე უნდა მიგვითითებდეს .

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის აღმოსავლურ-ქართული კერამიკული სასმისებიც

(თრელი, სამთავრო, ნარეკვავი, ხოვლე, ხირსა, მელიღელე I, II და სხვა) ტექნიკურ-ტექნოლოგიური სიახლეებით ეხმიანება ეპოქალურ პროცესებს. სამეთუნეო მორგვზე ანუ სწრაფმბრუნავ ჩარხზე ამოყვანილი ღრმა ჯამების, თასების, კათხების, ზიარჭურჭლის, ზოომორფული სასმისების თანაბარი სისქის კედლებიდან გამომდინარე ნაკეთობათა ფორმა უფრო სწორი, სიმეტრიული ხდება (ილ.4-5). წინამორბედი ნიმუშებისგან განსხვავებით ისინი ნაკლებად ბზინვარე ლითონისებური ფაქტურით ხასიათდება, რასაც შავად გამოწვის (შებოლვის) შემდეგ ცვილით დაფარვისა და ქსოვილით (თექა, ან შალი) გაპრიალება-მოგლუვების მეთოდი იძლევა. ფართოდ ვრცელდება არა მარტო შავად, არამედ რუხად და წაბლისფრად ანუ ნახევრად შებოლვის წესით გამომწვარი მარტივად გაფორმებული სასმისები. მათ ზედაპირზე დატანილი ნაირსახოვანი გეომეტრიული ორნამენტი შტამპით დაწნეხვის ხერხით, გრავირება-ამოტვიფრით, აგრეთვე ამოკაწვრით, ჩარხზე ტრიალით მიღებული ღარებით, ნაჭდევებით და შედარებით იშვიათად ნაძერწობის ტექნიკით სრულდება. ორნამენტის ზემოდან გაპრიალება, ან პირიქით, გაუპრიალებლად დატოვება და ირგვლივ არსებული სიბრტყის გაპრიალება სასმისის მხატვრულ სახეში დამატებითი ეფექტის გაჩენას იწვევს.

ძვ.წ. VII-VI ს.ს-დან იგივე ფორმებს იმეორებენ წითელი წერნაქით დაფერილი წითელკეცა სასმისებიც (ხოვლე), რასაც ურარტული სამყაროს გავლენას მიაწერენ. ასეთი ტექნოლოგიით შესრულებული ნაკეთობებიდან ცალკე აღნიშვნის ღირსია თრიალეთსა და სამთავროს სამაროვანში მოპოვებული მინიატურული ქვევრები ანუ სასმისად გამოყენებული ქვევრის მოდელები. მათი საღვინე დანიშნულება ეჭვს არ იწვევს, რადგან ძვ.წ. VI ს-დან კლასიკური ფორმის ქვევრის არსებობა (მახვილი ძირის გარეშე) მრავალი აღმოჩენითაა საქართველოში დადასტურებული {ბოხოჩაძე,1963:126}.

სასმისების მრავალფეროვნების მიუხედავად, მათი ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმები ერთი მხრივ, უცვლელად განაგრძობს არსებობას. მაგალითად, კოჭობის ფორმის ორსასმისიანი (დმანისის რ-ი, სოფ. განთიადის ადრერკინის ორწყლების სამარხი) და ორსასმისმიანი (2 ერთეული) თუ სამსასმისიანი (თრელის სამაროვანი, N16 ყორღანი, ძვ.წ. VIII-VIIს.ს.)ზიარჭურჭლისნიმუშებიწინამორბედვარიანტებსდიდადარშორდება.იმავდროულად, ფიქსირდება განსხვავებული ტიპის ზიარჭურჭლის შემოქმედებითად შესრულება... ასეთია კახეთში, მელიღელე 1-ის სამლოცველოში მიკვლეული მრავალსასმისიანი მარანი და სადუღას N 2 ყორღანში აღმოჩენილი სამარხეული სამყელა ჭურჭლის უიშვიათესი ნიმუში, რომლის კორპუსსა და ყელთა ძირებზე სამკუთხედების სიმბოლური დეკორია ამოტვიფრული. ორივე სასმისი თავისი გამორჩეული სტრუქტურისა და მხატვრული ელემენტების საფუძველზე, თვალნათლიც წარმოაჩენს ნაკეთობის საკულტო-სარიტუალო ფუნქციის მნიშვნელოვანებას. საფიქრალია, ამას უნდა გამოეწვია ჭურჭლის მხრებზე სასმისების რაოდენობის გაზრდა და

ორიგინალური ტექტონიკური ფორმით შეკავშირება. ძვ. წ. XIV-XIII ს.ს. - VIII-VII ს.ს. რწმენა-წარმოდ-გენებთან დაკავშირებული იდეის ზეგავლენით ფიალის პირზე დაძერწილი ვერძის, ან მოზვრის თავ-კისრის სკულპტურული ელემენტით გაფორმებული ანტიკური პატერების მსგავსი სასმისები ჩნდება (თრელის სამაროვანი, სამაჩაბლო (ილ.7)). ასევე აღმოჩენილია ახლო აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელი სადღესასწაულო რიტონის მსგავსი ზოომორფული სასმისის სახესხვაობა (თრელის, ბრილის სამაროვნები), რომელიც თიხის უტილიტარული ფორმისა და მცირე პლასტიკის სინთეზირებით იქმნება (ილ.8-9). ყოველი სასმისი ფაქტობრივად ქანდაკებაა და სამსხვერპლო ცხოველის (ვერძის, ცხვრის, ხარის, ხარ-ირმის) იკონოგრაფიულად ჩამოყალიბებულ პოზას ასახავს. როგორც ჩანს, ფიგურის სხეული სწრაფმბრუნავი მორგვითაა ამოყვანილი. მისი შებერილი მუცელი და ზურგზე დატანილი ყელი სითხის ჩასხმის საშუალებას იძლევა და დოქის მოყვანილობას ღებულობს. ყელის პირთან "მიბმული" ცხოველის აპრეხილი კუდის რკალი კი ხელითაა გამოძერწილი და სახელურის ფუნქციას ასრულებს. ხელით ამოყვანილი ჩანს ფიგურის ირიბად აწეული კისერი და ხახადაღებული თავი, რომელიც ჩაიდნის პრინციპით უკავშირდება სხეულს. ამიტომ ჭურჭლის ოდნავი გადმოქანებისას სითხე შიგთავსიდან მოხერხებულად გადმოდის. ცხოველის განზე დაბჯენილი ფეხების წყალობით ჭურჭელი დასადგმელადაც მყარია. მისი რქების პლასტიკა, თვალების აღმნიშვნელი მცირე ბურცობები, ზოგან სხეულზე პირობითად დატანილი ღარები, რომელიც ბეწვის ფაქტურას იძლევა, ნაკეთობის დეკორატიულ ხასიათს განსაზღვრავს. ნაყოფიერებასთნ დაკავშირებული სამსხვერპლო ცხოველების განმასახიერებელი სასმისების ფუნქცია უთუოდ სარიტუალო უნდა ყოფილიყო და ისევე როგორც ზიარჭურჭელი სავარაუდოდ, შთაგონებული იქნებოდა შეწირული წმინდა სითხის, ალბათ უფრო ღვინის „ზედაშეს" შესასმელად {სურგულაძე, 1993:199-201}.

განხილული სასმისების მაღალი პროფესიონალური დონით შესრულებას ალბათ, უზრუნველჰყოფს ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი თიხის რთული ტექნოლოგიური დამუშავებაც: მისი გაცრა და წვრილფრაქციულ მასად გადაქცევა, პლასტიკურობისა და ცეცხლგამძლეობის გასაძლიერებლად სხვადასხვა თიხების შერევა, ზედმეტი მინარევებისგან თიხის შემადგენლობის გაწმენდა, ან პირიქით სხვადასხვა პროპორციით (I:I; I:II) ახალი მინარევი ტერიგენული მასალის დამატება. ტექნოლოგიური პროცესებისადმი ინტერესს ადასტურებს ძვ.წ. XI-IX ს.ს-ებით დათარიღებული ყვითელი და მწვანე ჭიქურის ზოლებით დაფარული, ანდა შიდა და გარე პირზე გამჭვირვალე ჭიქურით მომინანქრებული ქუსლმაღალი, ცალყურა სასმისებიც (თრიალეთი - მარალინ-დერესის სამაროვანი , მცხეთა-სამთავროს ორმო-სამარხი, დიღმის გორა-სამარხი). წერნაქის ქვედა ფენაზე გადასხმული გამჭვირვალე ჭიქური ამ ნიმუშებზე დაბზარული (დაბჟღალული) სახითაა მოღწეული. ამგვარი დაზიანება არახელსაყრელ პირობებში მოხვედრილ ზურიანი შემადგენლობის ე.წ. რბილ მინანქარს

ახასიათებს. იმ დროისთვის ჭიქურის ტექნოლოგიას რომ კარგად ფლობდნენ ამის თქმის უფლებას გვაძლევს თრიალეთის კულტურის გორა-სამარხებში და მელი-ღელე 1-ის შეწირულ საგანთა რიგში გამძლე ჭიქურით დაფარული ქაშანურის თითო-ოროლა ფრაგმენტის აღმოჩენა.

დასავლურ-ქართული კერა აღმოსავლურ-ქართული თიხის სასმისების სახეობებს მცირეოდენი ინტერპრეტაციით იმეორებს. სწრაფმბრუნავ მორგვზე ამოყვანილი კერამიკული ფორმები შავიდან მოყავისფრომდე მერყევი ზედაპირის ფერადოვნებით კოლხეთის დაბლობზეც ფართოდ ვრცელდება. ყველაზე ტიპურია მახვილი, ან მომრგვალებული ძირის კონუსური მოყვანილობის სასმისები, რომელსაც სხეულის ზედა ნაწილზე მრგვალი ყურის რკალი აქვს მიძერწილი (ხელვაჩაური, მახვილაური, ძვ. წ. VII ს.). ბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხეთის ნივთიერ მასალაში ასევე გვხვდება ზიარჭურჭლის რამდენიმე ნიმუში. ყულევის ნამოსახლარის (ხობის რ-ნი) ყავისფრად გამომწვარი ოდნავ დაზიანებული ზიარჭურჭელი ზემოთ განხილულ თრელის სამაროვნის ნიმუშის მსგავსად სამი იდენტური სასმისისგან შედგება (H-6,5 სმ). ისინი ერთმანეთს წრიულად უკავშირდებიან მუცელში გაკეთებული ხვრელის საშუალებით. მხრებში ფართოდ გაშლილი კვერცხისებური ფორმის სასმისებს გამოყვანილი ვიწრო ძირი, პროფილირებული დაბალი ყელი და დაწახნაგებული ბაკოთი დაგვირგვინებული მსუბუქად გაშლილი პირი გააჩნია. სამივეს მხარზე დაძერწილი აქვს მრგვალხვრელიანი პატარა ყური თავზე მცირე წანაზარდით, ხოლო ძირზე ყოველ მათგანს ამოღარული ხაზები შემოსდევს. იშვიათია კოლხური სასმისის სახეობა (ილ.11,10), რომელსაც სითხის შესასმელად მილისებური ცხვირი (ჩაიდანივით) უკეთდება. ყულევის ნამოსახლარის ნიმუში ქოთნისებური მოყვანილობის ბრტყელძირა ტერაკოტის სასმისია დაბალი ყელით და ვერტიკალურად მიძერწილი ორი მრგვალხვრელიანი ყურით, რომელთა შორის მილისებური ცხვირია „მიბმული“. შავად გამომწვარი იგივე სახეობის სასმისი ერგეტაშიც (ზუგდიდის რ-ნი, N1 სამაროვანი-ნააკარდამუ, N1 კოლექტიური ორმო-სამარხი) აღმოჩნდა. განხილულ ნიმუშთან შედარებით მას უფრო დამჯდარი პროპორციები და მსუბუქად შებერილი მუცელი აქვს. სწორი პირისგან ყელი ოდნავ შესამჩნევად გამოეყოფა. მრგვალხვრელიანი ყურები და მილისებური ცხვირი მხრების გასწვროვ უკეთდება. ურეკის სამაროვანზე (ოზურგეთის რ-ნი) მოპოვებული სასმისი კიდევ უფრო დამჯდარი პროპორციებისაა. ამიტომ ნაკეთობა დაბლდება და კასრისმაგვარ მოყვანილობას იძენს. შესაბამისად მილისებური ცხვირი საკმაოდ ქვემოთაა სხეულზე მიძერწილი. ვარაუდობენ, რომ მილის ფორმის ცხვირიანი სასმისების წარმომავლობა ეგვიპტისა და შუამდინარეთის ცივილიზაციებს უკავშირდება. ყულევსა და ერგეტაში ყურადღებას ასევე იქცევს მილისებური ცხვირით წარმოდგენილი ჯამებიც (ძვ.წ. II ათასწლ. შუახანებიდან ძვ. წ. VII ს-მდე), რომელსაც ალბათ, იგივე დანიშნულება უნდა ჰქონოდა ანუ რიტუალებში წმ. სითხის შესასმელად გამოიყენებოდა.

ანტიკური ხანის კერამიკული სასმისების საოცარი სიმრავლის მიუხედავად თვალნათლივ

ჩანს წინამორბედი ეპოქების ტექნიკურ-ტექნოლოგიური მიღწევების და მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების სხვადასხვა ასპექტით გამოყენება (ილ.12). მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ორივე ქართული კერა, ბერძნული სამყაროს, ურარტუსა და აქემენიდური ირანის კულტურათა გავლენასაც განიცდის.

სასმისების გენეზისის პროცესის საკვლევ ობიექტებად დასაწყისშივე განისაზღვრა მხატვრული ნიშნის მქონე არტეფაქტები, რომლებიც როგორც გარკვეული ესთეტიკური კატეგორიის მატარებელი ნიმუშები მემკვიდრეობითობისა და ტრადიციის მომცველად განიხილება და ხანგრძლივი დროის მანძილზე მომავალი ტენდენციების ინსპირაციის წყაროდ გვევლინება. ასეთია ჯამ-ფიალა, კონუსური, ან ცილინდრული სასმისები, მაღალფეხიანი თასები, კათხები და სხვა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ფიგურული ზიარჭურჭლის (ფიჭვნარი, ძვ.წ. Vს.) იშვიათი ნიმუში (ილ.13), რომელიც მაღალყელიან სასმისს წარმოადგენს. მისი კორპუსი გადმოცემულია ქვევრის მსგავსი ოთხი ბრტყელძირიანი კვერცხისებური ფორმით, რომლის მოყვანილობა სიმბოლურად მკერდთან ასოცირდება და დიდი დედის კულტის სემანტიკურ ველში ექცევა {კახიძე....2017:87) როგორც ჩანს, ინოვაციური ექსპერიმენტებისთვის საუკეთესოდ მიაჩნდათ ჯამის მარტივი სოლარული ფორმა, რომელიც ადვილად ექვემდებარება პროპორციების ცვალებადობას, კედლების ამაღლება-დადაბლებას, პირის და ქუსლის იმპროვიზებას, ზედაპირის სისტემურად დეკორირებას. ამის დამადასტურებელი მრავალი მაგალითი გვაქვს. თუნდაც ავიღოთ გორაძირის ნამოსახლარში (ძვ. წ. V-IV ს.ს.) ნაპოვნი ჯამის ფრაგმენტის ორიგინალური გადაწყვეტა. ჭურჭლის ფსკერზე მიმაგრებული მცირე ზომის სფერული კოჭობი მხარზე დასმული 3-3 კოპით ჯამის განუყოფელი სკულპტურული ელემენტი ხდება და საინტერესო ვარიაციას წარმოგვიდგენს, რომლის ზუსტი ანალოგი ჯერჯერობით არ იძებნება.

შუა საუკუნეებშიც სწორედ ჯამის ფორმა ხდება მძლავრი შემოქმედებითი მუხტის მომზიდველი. ჯამები თავისი მოხატულობით წამყვან ადგილს იკავებენ იმდროინდელი საქართველოს კერამიკულ ცენტრებში: თბილისსა და დმანისში, რუსთავსა და უჯარმაში, გუდარეხსა თუ სხვა გეოგრაფიულ პუნქტებში. ტექნოლოგიის, მოხატვის ხერხების და დეკორის სახეების მიხედვით ჯამები ორ ქრონოლოგიურ ჯგუფს ქმნიან: გარდამავალი ხანის IX-X საუკუნეების და განვითარებული ხანის XI-XIII საუკენეების. ისინი სხვადასხვაგვარად იხატებიან თეთრი წერნაქით, გამჭვირვალე ან ფერადი-გამჭვირვალე ჭიქურებით, ჭიქურქვედებით, ანდა მეტალის მარილებით. ჯამების მოხატვის ხაზოვან-ფერწერული სტილის თავისებურებებით (პირობითობა, სქემატიზმი, მოქნილი ნახატი, ზომიერი ფერადოვნება) ჩვენი ოსტატების ნახელავები გამორჩეულია ბიზანტიურ კულტურათა წრეში შემავალი ქვეყნების ამავე სახის ნაკეთობებისაგან.

შუა საუკუნეები ზიარჭურჭლის სახეობასაც აცოცხლებს. ჟინვალის ნაქალაქარზე

აღმოჩენილი სამსასმისიანი საგნის (XIIIს.) სტრუქტურა გარკვეულწილად უახლოვდება ამავე ტიპის წინამორბედ ნიმუშებს, განსაკუთრებით მელიღელე I-ის მარანს. თუმცა უფრო მეტ სიახლოვეს ეთნოგრაფიული მარნების რთულ წყობასთან პოულობს. ჟინვალის მარანზე მუცლის ხვრელით შეერთებული მცირე ზომის ორი სასმისი ჭურჭლის შებერილ არეზეა მიძერწილი, ხოლო მესამე სასმისი საპირისპირო მხრიდან ებმის სადგამს. ცალკეული მეცნიერი (ვ. ბარდაველიძე, გ .ჩიტაია, ლ. ბოჭორიშვილი, გ. რჩეულიშვილი) მარანს ნაყოფიერებასთან, ბუნების განახლებასთან, საქორწილო რიტუალთან აკავშირებს, რაც მისი არქაული იდეის საპირწონეა და დღესასწაულების დროს ცოცხლდება მრავალსასმისიანი ე.წ. ჭინჭილებიანი მარნით ღვინის რიტუალური შესმით.

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმის სასმისების დიდმა ნაწილმა მოაღწია, რადგან უპირატესად საღვინე ჭურჭლის კომპლექსში შემავალი საგნებია და აქტუალობას დღემდე არ კარგავს. XVIII ს-დან ხალხური ხელოვნება მემკვიდრე ხდება იმ მრავალათასწლოვანი მონაპოვარისა, რომელმაც ქართული კერამიკის სახე „გამოძერწა“. ხალხური ოსტატები არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით ქმნიან ღვინის მოჭიქურებულ ჭურჭელს და მათ შორის სასმისებს ძირითადად საოჯახო მეთუნეობის კერებში. საქართველოს ყველა მხარეში მდებარე კერამიკული ცენტრები ერთმანეთისგან განსხვავებულ ტექნოლოგიას მიმართავენ. ამიტომ მათ პროდუქციას ანალოგი არ მოეპოვება.

პროფესიონალური კერამიკის არსებობის შეწყვეტაში დიდი როლი ითამაშა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქვეყნის მტრულმა გარემოცვამ, განუწყვეტელმა ომებმა და საბოლოოდ, რუსეთის იმპერიის პერიფერიად გადაქცევამ. ამ ხნის მანძილზე ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროცესების გარკვეული ცოდნა დაიკარგა და მხოლოდ გასული საუკუნის შუახანებში მოხერხდა მათი აღდგენა.

ხალხურმა კერამიკამ ბუნებრივად გააგრძელა მრავალსახოვანი თიხის სასმისების - ჯამების, ფიალების, ქვევრის მოდელების, ორკოლისა და ჭინჭილის სახელით ცნობილი მცირე ზომის დოქების (ილ.14), მარნის პრინციპით გადაწყვეტილი სასმისების - ორჭინჭილას, სამჭინჭილას. ყლუპ-ყლუპა ჭინჭილას, მრავალსასმისიანი ზიარჭურჭლის დამზადების ტრადიცია. სამეთუნეო ცენტრებში აქტიურად კეთდება როგორც ტერაკორტის, ასევე მოჭიქურებული, ან მოწერნაქებული სასმისების ნიმუშები (ილ,15). განსაკუთრებული პარადულობით გამორჩეულია სანადიმე ჯამ-ფიალები. ამ პერიოდისთვის ჭიქური დაბალდნობადი თიხისა და მალღობლების შერევით კეთდება, ძირითადად გავრცელებულია რძისფერი-თეთრი, გამჭვირვალე და ფერადი-გამჭვირვალე ჭიქურებით მოხატვა. ამავე დროს რძისფერი-თეთრი ჭიქურის მინანქარზე ზემოდან მეტალის მარილებით ორნამენტული ნახატი დაიტანება. უფრო ხშირად მოხატვისას სპილენძის მარილებს იყენებენ. საგანგებოდ უნდა შევეხოთ სადღესასწაულო ღვინის სასმისს-მარანს (ილ. 16). მისი კომპოზიცია მუცლით

გადაბმული და წრიულ მილზე დასმული ქვევრისებური სასმისებით იგება, რომლის ცენტრშიც სითხის შესასმელად განკუთვნილი ზოომორფული სკულპტურის ფორმის სატუჩეა აღმართული. ასეთი ზიარჭურჭელი  გავრცელებულია ქართლ-კახეთსა და იმერეთში.

ფართო ქრონოლოგიურ ჭრილში განხილულმა კერამიკულმა სასმისებმა აჩვენა, რომ თანამედროვე  ეპოქამდე მან განვითარების რამდენიმე საფეხური გაიარა. ამ რთულ და ხანგრძლივ გზაზე თიხის სასმისების ფორმები და დეკორის ელემენტები საოცარ მდგრადობას იჩენს და მკვეთრი გარდატეხის დროსაც წინარე ხანების მონაპოვართან გენეტიკურ კავშირს ინარჩუნებს. ამავე დროს ახალ-ახალი  ორიგინალური იმპროვიზაციებით ამდიდრებს სასმისების სახეობებს, რისი წყალობითაც  ქართული თიხის სასმისი ჩვენი კულტურის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად გვევლინება.

**ლიტერატურა**


1. ბოხოჩაძე ა., მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბილისი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1963.

2. გობეჯიშვილი გ. ბედენის გორასამარხების კულტურა თბ. 1980

3. დედაბრიშვილი შ., რუსიშვილი რ. სადუღას ველის შუა ბრინჯაოს ხანის N2 გორასამარხი -კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები , ტ. VI, თბ, გვ 56-68

4. ც.კაკაბაძე, შროშული კერამიკა, თბ., 1982.

5. კახიძე ა.,სურმანიძე ნ.,ნაგერვაძე მ. აჭარა ენეოლით-ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში, ბათუმი, 2016.

6. კახიძე ა., ფარტენაძე თ., აჭარა ადრეანტიკურ ხანაში, ბათუმი, 2017

7. ლორთქიფანიძე ო., ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისი, 2002.

8. მიწიშვილი მ. მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX-XIII ს.ს., თბილისი, ხელოვნება, 1969, გვ.19, 39

9. მუსხელიშვილი დ., ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ.1978.

10. ნებიერიძე ლ. ნეოლითი, წიგნში: საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1992.

11. სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი, 1993.

12. ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VIII ს.ს.), თბილისი, 1973.

13. ფხაკაძე გ., ადრებრინჯაოს ხანის ზიარჭურჭლის დანიშნულებისაა და გავრცელების შესახებ. ჟურნ., ძიებანი N9, 2002.

14. ჯაფარიძე ო., ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, თბილისი, 1976.

15. ჯიბლაძე ლ., მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური არტეფაქტები კოლხეთის დაბლობიდან და მათი ურთიერთმიმართების საკითხები ეთნოგრაფიულ მონაცემებთან, ჟურნ.ამირანი XXV, 2014.

16. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941. 12.

17. Нариманашвили Г. К., Керамика Картли, V-I в. в. до нашей зры, Тбилиси, Мецниереба, 1991.

18. Урушадзе Н., Древнегрузинское пластическое искусство. Тб., Хеловнеба. 1988

**ილუსტრაციების ანოტაცია**

1. სამფეხა სასმისი, თიხა, ქობულეთი, ისპანი, ტორფქვეშა ნამოსახლარი, ძვ,წ, IV ათასწლ, ბოლო - III 1 ნახ.

2. ზიარჭურჭელი, თიხა, ბეშთაშენი,ძვ,წ, IV ათასწლ, ბოლო - III 1 ნახ.

3. სასმისები, შავკრიალა კერამიკა, ძვ,წ, III ათასწლ. II ნახ. ბედენის კულტურა

4. კათხა, შავკრიალა კერამიკა, მარტყოფი, III ათასწლ. II ნახ.

5. კათხა, შავკრიალა კერამიკა, ქვემო ქართლი, ძვ,წ, III ათასწლ. II ნახ.

6. ზიარჭურჭელი, თიხა, ყულევის ნამოსახლარი, ძვ. წ. II ათასწლ.ბოლო

7.ფიალა ზომირფუ;ლი დეტალით, შავკრიალა კერამიკა, სამაჩაბლო, ძვ. წ. XIV-XIII ს.ს.

8. ზომირფუ;ლი სასმისები, შავკრიალა კერამიკა, თრელის სამაროვანი, ძვ.წ. IX - VII ს.ს.

9. ზომირფუ;ლი სასმისი, თიხა ნახევრადშებოლვა თრელის სამაროვანი, ძვ.წ. IX-VII ს.ს.

10. სასმისი მილისებური ცხვირით, ტერაკოტა, ყულევის ნამოსახლარი, ძვ. წ. II ათასწლ. ბოლო.

11. სასმისი მილისებური ცხვირით, შავკრიალა კერამიკა, ერგეტა, ძვ. წ. II ათასწლ.ბოლო

12. ორტუჩა სასმისი, ტერაკოტა, კახეთი, ძვ.წ. II-I ს.ს.

13. ფიგურული ზიარჭურჭელი, თიხა, ფიჭვნარი, ძვ.წ. Vს.

14. ჭინჭილები, თიხა, ჭიქური, ხალხური კერამიკა

15. ფიალები, ტერაკოტა, ფერადი და თეთრი ჭიქური, მარილი, ხალხური კერამიკა

16. მარნები, ტერაკოტა, ფერადი ჭიქური, შავკრიალა. ხალხური კერამიკა.



ილ. 1



ილ. 2




ილ. 3



ილ. 4



ილ. 5



ილ. 6



ილ. 7



ილ. 8



ილ. 9



ილ. 10



ილ. 11



ილ. 12







ილ. 13

ილ. 15




ილ. 14

## ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში: წყავროკაში, დაგვაში, კვირიკეში, ხუცუბანში 2022 წელს ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციის შედეგები

## The results of the scientific research and excavations held in Kobuleti Municipality villages:Tsk avroka,Dagva,Kvirike,Khutsubani in 2022


**რუსუდან კობრავა**

*სსიპ აჭარის მუზეუმი, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის*

*მუზეუმის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი*

**Rusudan Kobrava**

*LEPL Ajara museum, Khariton Akhvlediani State Museum,*

*head of history department*



**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.15



**აბსტრაქტი**: 2022 წლის 20-22 ივლისს ჩატარდა ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ისტორიის მიმართულების თანამშრომელთა სამეცნიერო ექსპედიცია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში: წყავროკა, დაგვა, კვირიკე, ხუცუბანი.

ექსპედიციის მიზანი იყო აღნიშნულ სოფლებში ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება (დოკუმენტები, ფოლკლორი, ტოპონიმები, ფოტოები,ნივთები), მოსახლეობაში გასვლა და მათგან საინტერესო ისტორიების ჩაწერა. ფოტოგადაღებები-ძველი სახლების, საყოფაცხოვრებო და საკულტო ნაგებობების,დამსახურებული პიროვნებების, ტრადიციების.მუზეუმის ფონდის შევსება ახალი ექსპონატებით.

ექსპედიციის წევრები შევხვდით აღნიშნული სოფლების გამგებლებს, ღვაწლმოსილ ადამიანებს. ჩავიწერეთ მათგან ინფორმაციები სოფლებისა და გვარების ისტორიების, მუჰაჯირობის, სოფლებში დაგვასა და კვირიკეში ბერძენთა ჩამოსახლების,რელიგიური დაწესებულებების,ადგილობრივი ტრადიციებისა და სამზარეულოს შესახებ.მოვიპოვეთ სამუზეუმო მნიშვნელობის ექსპონატები-19 ეთნოგრაფიული ნივთი. მოხდა ყველა ლოკაციის, ექსპონატისა და რესპოდენტის ფოტო და ვიდეოგადაღება.



**საკვანძო სიტყვები:** მეფუტკრეობა, სახალხო მკურნალი, საცეხველი, გონიო, ეჩო, საჩეჩელი, ქართულ- ბერძნული საზოგადოება, საყდარი, თეთროსანი.



**Abstract:** Scientific Expedition of Staff in Khariton Akhvlediani Museum was held in 20-22 July, 2022, in Kobuleti Municipality Villages: Tskhavroka, Dagva, Kvirike, Khutsubani.

The goal of expedition was to collect historical and ethnographic materials (documents, folk-lore,

toponyms, photos, things), seeing population and recording interesting histories from them. Photo-shooting of old houses, every-day and iconic buildings, honored persons, traditions; Filling museum fund with new exhibits.

The members of expedition met with chairmen and respected people of mentioned villages. We have recorded information from them about villages and surnames, histories, emigration in ottoman empire, settlement of Greek people in Villages Dagva and Kvirike. We have obtained museum exhibits – 19 ethnographic units. Photo and video shooting of all locations, exhibits and respondents was carried.

**Key words:** Beekeeping, folk healer, Gonio, Sachecheli, Georgian-Greek society, Tetrosani.

**2022 წლის 20-22 ივლისს** ხარიტონ ახვლედიანის სახელობის ისტორიის მიმართულების თანამშრომლები სამეცნიერო ექსპედიციაში ვიმყოფებოდით ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში: წყავროკაში, დაგვაში, კვირიკეში, ხუცუბანში.პირველად ჩავედით სოფელ წყავროკაში, სადაც შევხვდით მეფუტკრეს, ფერმერს გია რომანაძეს და სახალხო მკურნალს ავთანდილ რომანაძეს.

**მეფუტკრეობა** - სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და მეტად მნიშვნელოვანი დარგია. ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ მეფუტკრეობას ქართველები ოდითგანვე მისდევდნენ.ქართველიტომებიშინაურმეფუტკრეობასძველიწელთაღრიცხვისIVსაუკუნიდან იცნობდნენ.ძველთაგანვე მეფუტკრეობა კარგად ყოფილა განვითარებული კახეთში, სვანეთში, გურიაში და საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.საქართველოს კომპლექსურმა კლიმატურმა მახასიათებლებმა და ფლორის ბიომრავალფეროვნებამ ფუტკრის სახეობების ევოლუცია განაპირობა და შედეგად მას განსაკუთრებული მახასიათებლები შესძინა, რამაც საბოლოო ჯამში, ქართული ფუტკრის ჯიშები სხვა ფუტკრის სახეობებისაგან განსხვავებით უნიკალურად აქცია. მეფუტკრეობა წარმომქმნელია სპეციფიკური პროდუქტებისა, როგორიცაა: თაფლი, ცვილი, ფუტკრის რძე,ფუტკრის შხამი, დინდგელი (პროპოლისი), ჭეო (ყვავილის მტვერი) და სხვა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ფუტკარს სასოფლო-სამეურნეო ენტომოფილური კულტურების ჯვარედინად დამტვერვის საქმეში (ანდღულაძე,ფრანგიშვილი.1982:5-6). მეფუტკრეობის პროდუქტებს ყოფაში ყოველთვის ფართო გამოყენება ჰქონდა. თაფლი არა მარტო საჭმელი პროდუქტი იყო და ტკბილი სასმელი მზადდებოდა,არამედ მას დანარჩენ პროდუქტებთან დიდი გამოყენება ჰქონდა ხალხურ მედიცინაში,რაც თანამედროვე მეცნიერული მედიცინის მონაცემებითაც დასტურდება.თაფლს და სანთელს სავაჭრო დანიშნულებითაც იყენებდნენ.(კახიძე.1974:55).ქართული თაფლი დღესაც ცნობილია მსოფლიოში და სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულ მეფუტკრეთა საერთაშორისო კონგრესზე მოწყობილ გამოფენაზე ქართული ფუტკარი სამჯერ დაჯილდოვდა ოქროს დიდი მედლით

(სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები.ტ.II.2009:333).

წერილობითი წყაროების, ლიტერატურისა და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით საქართველოში დადგენილია მეფუტკრეობის განვითარების სამივე ძირითადი ფორმა (ტყიური, ნახევრად შინაური და შინაური მეფუტკრეობა). ეს ფორმები ტრადიციულად ნიშანდობლივია აჭარის მეფუტკრეობაში. მეფუტკრეობას აჭარის სამეურნეო ყოფაშიც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა. ქობულეთში მეფუტკრეობით განსაკუთრებით ზემო ხინოს დასახლება გამოირჩეოდა. აქ განვითარებული იყო მეფუტკრეობის ნახევრად ტყიური ფორმა,რომელიც მდგომარეობს ფუტკრის სკების,როგოების მაღალი წაბლის ხეებზე განლაგებაში. ეს პრაქტიკა დღეს დავიწყებას მიეცა (დიასამიძე.2019:138). ადამიანმა დაიწყო სკების თავის საცხოვრებელთან ახლოს მოწყობა.

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცულია მეფუტკრეობის ინვენ-ტარი, რომლის დამზადება ხალხის საუკუნოვან ცოდნა-გამოცდილებასთან არის დაკავშირებული. მეფუტკრეობის ინვენტარის დამზადება ცოდნის გარდა მოითხოვს უპირველესად ფუტკრის ბუნების, გარემო ბუნებრივი პირობების და კლიმატის ცოდნასაც, რასაც უხამებენ მეფუტკრეობის ინვენტარს.

დღეისათვის მეფუტკრეობაში აქტუალურად ინერგება სიახლეები. ამის მაგალითია ექსპედიციიდან ჩამოტანილი მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ახალი ინვენტარი. სოფელ წყავროკაში მცხოვრებმა, ფერმერმა და მეფუტკრემ გია რომანაძემ მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა ნივთები: მეფუტკრის სპეციალური კომბინიზონი ქუდით თეთრი ფერის. თავის დიამეტრი 35x35სმ. სიგრძე 80 სმ. მასალა ქსოვილი, ბადე, (სურ.1). მეფუტ-კრის პირბადე, ყავისფერი, თავის ადგილი აქვს თეთრი ფერის ბადე, ზომა: თავის დიამეტრი 35X35 სმ,სიგრძე 48 სმ. (სურ.2), მეფუტკრის ხელთათმანები თეთრი ფერის. ქსოვილი. ზომა 12 X47 სმ. (სურ.3), „ნუკლეუსი“ - პლასტმასის ყუთი ლურჯი ფერის. მართკუთხა ფორმის (დედა ფუტკრის გასანაყოფიერებელი). ზომა 19X14 სმ.(სურ.4), ხელოვნური ფიჭა 4 ცალი. ზომა 29X49 სმ. (სურ.5), დანადგართან სამუშაო ხალათი. ლურჯი ფერის.ქსოვილი. ზომა 50X103 (სურ.6). უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ექსპონატები მუზეუმს არ აქვს და შემდგომში შეიძლება გამოვიყენოთ ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შესაქმნელად.

შევხვდით ცნობილ სახალხო მკურნალს ავთანდილ რომანაძეს, რომელიც ამზადებს სპეციალურ „რომანაძის მალამოს“. სახალხო მკურნალობა,რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, დღესაც აქტუალურია,მიუხედავად იმისა,რომ XXI საუკუნეში მედიცინამ და ფარმაციამ დიდ მიღწევებს მიაღწია.

საკაცობრიო სამედიცინო აზროვნების განვითარების ისტორიაში საყურადღებო როლი შეასრულა კოლხეთის მეფის ასულმა მედეამ. საქართველოში ადრეკლასობრივი ურთიერთობის პირველ საუკუნეებში ჩამოყალიბდა მკურნალის, ექიმის პროფესია, რაც

აისახა უძველეს წერილობით ძეგლებსა და არქეოლოგიურ მასალებში (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.II. 2009:528). ხშირმა ომებმა დიდი ზიანი მიაყენა ამ დარგს. განადგურდა ან გატაცებული იქნა სამედიცინო ხელნაწერები.ამ მხრივ ყველაზე მეტად აჭარა დაზარალდა. თუმცა აჭარაში აღმოჩენილია ადამიანთა განვითარების თითქმის ყველა საფეხურისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური მასალები,რომლებიც მიგვანიშნებენ ამა თუ იმ დაავადების გავრცელების, კვების თავისებურებებსა და სხვათა შესახებ.

ყველაზე ძველი თიხის ჭურჭელი, რომელიც წამლის დასამზადებლად გამოიყენებოდა და ფიჭვნარის „ნამჭედურის" ნამოსახლარზე აღმოაჩინეს,მიეკუთვნება ძვ.წ. XVI –XVს.ს. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები.ტ.I.2007:361)

ავთანდილ რომანაძისაგან ჩავიწერეთ ინფორმაცია მალამოს მომზადებისა და გამოყენების შესახებ.მან მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა „რომანაძის მალამოს"ერთი ფლაკონი ინსტრუქციით (სურ.7). ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია ხალხური წამლების რეცეპტები, რომლებიც ჩაწერილია სხვადასხვა კუთხეებში სამეცნიერო ექსპედიციების შედეგად.ქობულეთის ექსპედიციის დროს მოპოვებული რეცეპტიც და მალამოც შეემატება მათ რიცხვს.

21 ივლისს ჩავედით სოფელ დაგვაში. დაგვა არის ისტორიული სოფელი, სადაც ქართველი და ბერძენი მოსახლეობა წლების განმავლობაში ერთად და მეგობრულად ცხოვრობს. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრების შემდეგ ამ ორ ქვეყანას შორის დაიდო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ადგილობრივ მოსახლეობას შეეძლო ოსმალეთში გადასახლება 1879 წლის თებერვლიდან 1882 წლის თებერვლამდე. თუმცა დრო კიდევ უფრო გახანგრძლივდა.ეს პროცესი ისტორიაში მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი (დიასამიძე.2019:138).მუჰაჯირობის მსხვერპლი გახდა დაგვის მოსახლეობა. ადგილობრივი მცხოვრების ბეჟან გოლომანიძის ინფორმაციით,მარტო გოლომანიძეთა გვარის 40 ოჯახი გადასახლდა ოსმალეთში.მუჰაჯირებად წავიდნენ სხვა გვარის წარმომადგენლებიც. 1881 წლიდან სოფელში დასახლდნენ თურქეთიდან ჩამოსული ბერძნები.(აჭმ. 23644. ხ.ფ. 2154).

დაგვის ცენტრში დაგას ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მარიამის მიძინების ტაძარი. ტაძარი 1903 წელს ხის მასალისაგან, ხოლო 1908 წელს ქვისაგან აშენდა. გასული საუკუნის 30-იან წლებში მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით მთლიანად იქნა დანგრეული. 1989 წელს ნიკოლოზ ცაცანიდის თაოსნობით ტაძარს გაუკეთდა რეკონსტრუქცია და მიაშენეს სამრეკლო. სიძველით გამორჩეულია 2 ხატი: იოანე ნათლისმცემლისა და მიქაელ მთავარანგელოზის. რეპრესიების დროს ხატები ეკლესიებიდან დაიკარგა, მაგრამ ტაძრის აღდგენის შემდეგ 1992 წელს ქსენია პაპანდოპულომ აღნიშნული ხატები ტაძარს გადასცა. ტაძრის მრევლი ყოველწლიურად აღნიშნავს მარიამობის დღესასწაულს (ლეკვეიშვილი.2001:65). განსხვავებული ინფორმაციაა მოცემული მაია ჭიჭილეიშვილის ნაშრომში, რომელიც ეკლესიის

აშენების თარიღად 1906 წელს ასახელებს. ასევე აღნიშნავს, რომ დაგვას სალოცავს ახასიათებს საქართველოში აგებული ბერძნული ტაძრების თავისებურებანი (ჭიჭილეიშვილი.2019:100)

ბერძნებმა დაგვაში დაგვიტოვეს უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. ერთ-ერთია კულტურის ცენტრი. მისი არქიტექტურა მიმსგავსებულია ბერძნული სტილის შენობებს კოლონადებითა და ჩუქურთმებით. 11 წელი შენდებოდა კულტურის სახლის შენობა. მშენებლობა 1953 წელს რუსმა ინჟინერმა დაიწყო, თუმცა ის მალევე ჩამოაშორეს პროექტს. მშენებლობის გაგრძელება ბერძენმა ინჟინერმა გადაიბარა, რომელმაც ნაწილობრივ შეცვალა პროექტი. ასე გაჩნდა შენობის ფასადზე ბერძნული აკროპოლისის ელემენტები (ინტერნეტმასალა https://feedc.com/post/282021). კულტურის ცენტრი ამჟამად უფუნქციოდაა და საჭიროებს რესტავრაციას.

სოფელში ფუნქციონირებს ქართულ-ბერძული საზოგადოება. რომელიც ემსახურება ქართველ და ბერძენ ხალხს შორის ორსაუკუნოვანი თანაცხოვრების განმტკიცებას. საზოგადოების თავმჯდომარეა ვახტანგ კაკალაძე. მან მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა ბერძნული ცეკვის „სირტაკის“ წითელი ფერის საცეკვაო ფორმა (სურ.8), რომელიც მიეკუთვნება XX საუკუნის 70-იან წლებს. აღნიშნული ფორმით სარგებლობდნენ როგორც ადგილობრივი ბერძნები, ასევე ქართველები.ასეთი სამოსი მუზეუმს არ ჰქონდა, ამიტომ საუკეთესო შენაძენია.

შევხვდით სოფელ ზედა დაგვის უხუცესებს ბეჟან და შაქრო გოლომანიძეებს,რომელთაგანაც ჩავიწერეთ საინტერესო ისტორიები მუჰაჯირობისა და სოფელში ბერძნების ჩამოსახლების შესახებ.მათ მუზეუმს საჩუქრად გადმოსცეს სხვადასხვა ნივთები:თხილამური ხის. ოვალური ფორმის. ზომა 27X 37 სმ. (სურ.9). დამზადებულია 1900 წლამდე ვინმე გოლომანიძის მიერ.თხილამური იდენტურია ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული 15 წყვილი თხილამურისა, რომლებიც შემოსულია აჭარის რეგიონებში ჩატარებული სამეცნერო ექსპედიციების შედეგად, ხოლო მე- 2 თხილამური არის რეზინის. მრგვალი. ზომა 30x40 სმ. (სურ.10).დამზადებული 1987 წელს თევრათ გოლომანიძის მიერ.უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფორმის თხილამური ერთადერთია მუზეუმში და განსხვავებულია.

ზოგადად **თხილამური**-თოვლზე გადასაადგილებელი სასიარულო ანდა სასრიალო მოწყობილობაა. გავრცელებული იყო საქართველოს მთისწინეთსა და მაღალმთიანეთში. ქართული ხალხური თხილამურები სხვადასხვა მოყვანილობისა იყო (გირკალისებრი, მრგვალი, ელიფსური, ოვალურჭვინტიანი) და დამზადების ტექნიკითაც განსხვავდებოდა. აჭარაში ძირითადად ოვალური ფორმის თხილამური იყო გავრცელებული. მზადდებოდა ახალგაზრდა ხის, წყავის, შქერის ტკეჩისაგან, რომელსაც გაახურებდნენ, სასურველ ფორმაზე მოღუნავდნენ და შეკრავდნენ.. გამოყენების წინ კი თხის ქონით გაპოხავდნენ, რათა თოვლი არ მიეკრო (ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი.2019:249.).

ექსპედიციის შედეგად მოვიპოვეთ საწნახელის გულის ამოსახვეწი ეჩო (სურ.11). ზომა 7x17 სმ, XIX ს. 80 - იანი წლების, რომელიც რომელიც ასევე იდენტურია ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული ეჩოსი. გადმოგვცა სოფელ ზედა დაგვაში მცხოვრებმა მამუკა გოლომანიძემ. პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე თვლის, რომ მევენახეობა-მეღვინეობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის როგორც ზღვის,ისე დაბალი დასახლების ზონაში კარგად იყო განვითარებული (დიასამიძე.2019:265). სავარაუდოდ, დაგავშიც გავრცელებული იქნებოდა მევენახეობა და ეცოდინებოდათ ღვინის დაყენება, რისთვისაც გამოიყენებოდა ხის საწნახლები.

**ეჩო**-ხის დასამუშავებელი იარაღი, ძირითადად უხეშად დამუშავებული, გამოქოფიტებული ჭურჭლის თუ სხვათა გასათლელად და საბოლოო სახის მისაცემად გამოიყენებოდა. გავრცელებული იყო სხვადასხვა ფორმისა და შესაბამისად სხვადასხვა ფუნქციის ეჩოები (ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი.2019:199.).

ქობულეთის ექსპედიციიდან მუზეუმში ჩამოვიტანეთ ჰორიზონტალური ფორმის საჩეჩელი XIX ს.ზომა 17x54 სმ. (სურ.12), რომელიც იდენტურია მუზეუმში დაცული 2 ჰორიზონტალური საჩეჩელისა.მუზეუმში ასევე დაცულია 7 ცალი ვერტიკალური საჩეჩელი, რომლებიც ძირითადად ზემო აჭარაში ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციიდანაა ჩამოტანილი.

**საჩეჩელი**-მატყლის გასაჩეჩი ხის მოწყობილობაა,რომელშიც ფოლადის წვერწამახვილებული მავთულები - კბილები იყო ჩამაგრებული ორ რიგად და თანაბარი დაშორებით. საჩეჩელი წიფლისაგან ან თელისაგან მზადდებოდა. ქვევითა საყრდენი ფიცარი საჩეჩელის ფეხი იყო. დანარჩენი ორი ფიცარი-გვერდები კი საჩეჩლის ფეხზე სამკუთხრდად მაგრდებოდა. მჩეჩავები დასხდებოდნენ,გამართულ ფეხებს შორის საჩეჩელს ჩაიდგამდნენ, მუჭა-მუჭად მატყლს აიღებდნენ და ორივე ხელით გაჩეჩავ-დნენ-„დაჩიჩავდნენ" (ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. აჭარა.2019:477). აჭარაში სამკუთხა ფორმის საჩეჩელთან ერთად გავრცელებული იყო ჰორიზონტალური ტიპის საჩეჩელიც.

მამუკა გოლომანიძემ მუზემს ასევე საჩუქრად გადმოსცა რკინის გონიო (სურ.13).ზომა 19x48 სმ. რკინის გონიო მუზეუმში არ არის დაცული. ამდენად მუზეუმისათვის ერთადერთი და საინტერესო ექსპონატია.

**გონიო**-კუთხის სისწორის საზომი ხის ზედაპირზე კუთხეების გამოსაყვანი ხელსაწყოა. ერთგვარი შაბლონი,რომლის მეშვეობითაც ხისა და ხითხუროობაში მართი კუთხე გამოჰყავდათ. აჭარაში ხისა და რკინის, ასევე სხვადასხვა ფორმისა და სახის გონიო იყო გავრცელებული (ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი. 2019:143).

შემდეგ გადავინაცვლეთ სოფელ კვირიკეში, რომელიც ასევე გამოირჩეოდა ბერძნების დასახლებით. ვესაუბრეთ სოფლის უხუცესებს ივანე ჯინჭარაძეს,ოთარ მჟავანაძეს და სოფლის

მკვიდრ ბერძენ მოქალაქეს მიშა ფუტურიდის.

მოვინახულეთ სოფლის ცენტრში მდგომი ორსართულიანი ხის მეჩეთი, რომელიც არჰაველი ლაზი ოსტატების მიერ 1865-1866 წლებშია აგებული. სხვა ახლის სახესხვაობას წარმოადგენს. შიდა სივრცის გვირგვინისებური გადახურვა კი უძველესი ქართული საცხოვრებელი სახლის, „დარბაზის" ტრადიციებიდან მომდინარეობს.მეჩეთის ცალკეული ელემენტების (კარი, ბოძები, აივნის მოაჯირები, მიმბარი და სხვა) შემკულობაში გამოყენებული ორნამენტული ჩუქურთმა შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის, ხალხური საცხოვრებელი სახლებისა და ხეზე კვეთილობის ნიმუშებში ჰპოვებს ანალოგებს (ჭიჭილეიშვილი 2019:103, ბარამიძე. 2010:17). ამავე სოფელში მცხოვრები ისტორიკოსი ივანე ჯინჭარაძე ჯამეს აშენების თარიღს არ მიიჩნევს სწორად და ამტკიცებს, რომ ჯამე აშენებულია უფრო გვიან ქრისტიანული ეკლესიის ფუნდამენტზე (ექსპედიციის მასალები. აჭმ. 23644. ხ.ფ.2154).

ვეწვიეთ კვირიკეს წმინდა გიორგის სახელობის ტაძარს, რომელიც განეკუთვნება XIII საუკუნეს. ქართველთა მიერ იყო აშენებული, ოსმალეთის იმპერიის 300 წლიანი ბატონობის ხანაში საძირკვლის დონემდე დაუნგრევიათ. მოგვიანებით მის საძირკველზე ხის პატარა ეკლესია აუშენებიათ. XIX ს. 80-იან წლების დასაწყისში ეროვნებით ბერძენ ხრისტო იოსიფიდის საკუთარი სახსრებით ძველი ეკლესიის საძირკველზე ახალი ქვის ეკლესია აუშენებია და შესაბამისი რელიგიური ატრიბუტებით მოურთავს. საბჭოთა პერიოდში ეკლესიას ფუნქციონერება შეუწყვეტია. 1994 წელს ეკლესია აღადგინეს და დაიწყო ფუნქციონირება, მრევლის მიღება. ამ ტაძრის შესახებ გვესაუბრა აქაური მცხოვრები მიშა ფუტურიდი, რომელიც პატრონობს და ზრუნავს ამ ეკლესიაზე (ექსპედიციის მასალები. აჭმ. 23644. ხ.ფ. 2154).

22 ივლისს ჩავედით სოფელ ხუცუბანში.ხუცუბანი ისტორიული სოფელია. 1878 წლის 18 იანვარს რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს სოფლის ტერიტორიაზე გაიმართა ბრძოლა რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების ჯარებს შორის.შევხვდით სოფლის ღვაწლმოსილ ადამიანებს. მათგან ჩავიწერეთ საინტერესო ინფორმაცია სოფლის ისტორიის, იქ არსებული საკულტო დანიშნულების ძეგლებისა და ქობულეთური სამზარეულოს შესახებ. მოვინახულეთ სოფელ ქვედა სამებაში, სასაფლაოსთან ახლოს მდგარი ეკლესიის ნანგრევები. შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთ - დასავლეთი კედლების კუთხე, დასავლეთი და ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტები. ნანგრევები აღწერა ხელოვ-ნებათმცოდნეობის დოქტორმა მაია ჭიჭილეიშვილმა. მისი ინფორმაციით, ეკლესია წარმოადგენდა მცირე ერთნავიან სამლოცველოს შესასვლელით დასავლეთის მხრიდან.ნაგებია უსწორმასწორო ფორმის ქვებით დუღაბის ფენაზე. კედლის წყობის ხასიათით მე-13 საუკუნის შემდგომ პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს (ჭიჭილეიშვილი.2019:93).ადგილობრივი მცხოვრების, ისტორიკოსის რევაზ ბასილაძის ინფორმაციით, საყდარი აშენებულია სოფელ სამების შემაღლებულ

ადგილას და არის დამაკავშირებელი სხვა სოფლების. აქ დარეკილი ზარი ესმოდა სოფლებს: დაგვას, ზოზოყვათს, ციხისძირს, კვირიკეს, ხუცუბანს, სოფ. ქობულეთს, გვარას, გელაურას. საყდარის ტერიტორიის ფუნდამენტში ამ ადგილის გასუფთავების დროს ნაპოვნია ქართული ფული. მონეტებზე ვაზის ფოთოლი და ვაზი იყო გამოსახული. ეს იმის მანიშნებელია, რომ საყდარი არის იმ პერიოდის, როცა საქართველოში ვაზი და მეღვინეობა იყო განვითარებული. საყდარი გოგიტიძეების საგვარეულო მიწაზეა აშენებული (ექსპედიციის მასალები. აჭმ. 23644. ხ.ფ. 2154). სალოცავი მეცნიერულად ჯერ-ჯერობით არ არის შესწავლილი.

შემდეგ გავედით სოფელში და მოვინახულეთ ხუცუბნის თაღოვანი ხიდი მდინარე კინტრიშზე, რომელიც აშენებულია 1924 წელს იტალიელი არქიტექტორის ავგუსტუ ვერცის მიერ. მას დახმარებას უწევდა მატვედი (მათე) ლაზარიდი სოფელ ახალშენიდან. ხიდი ორთაღოვანია. აგებულია ბაზალტის კვადრებით ცემენტის ხსნარზე. განლაგებულია რთული ფორმის რელიეფზე, ხიდის სიმაღლე წყლის დონიდან 9.3 მეტრია, სიგანე 4.35 მ. 2013 წელს ხიდს ჩაუტარდა სარეკონსტრუქციო - სარეაბილიტაციო სამუშაოები.(ექსპედიციის მასალები. აჭმ. 23644. ხ.ფ. 2154).

ბოლოს ვეწვიეთ ხუცუბნის თეთროსნის ძველი ტაძრის ნანგრევებს და მის მიმდებარედ მდებარე თეთროსანის წმინდა გიორგის ეკლესიას.საყდრის წინამძროლის მამა სერგი გოგოლისაგან ჩავიწერეთ ინფორმაცია თეთროსანის ეკლესიის ისტორიის და დღევანდელი საქმიანობის შესახებ. თეთროსანი ხინოწმინდის საეპისკოპოსოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი კულტურული ცენტრი იყო.თეთროსნის ძველი ტაძარი V-VI საუკუნეებს მიეკუთვნებოდა,ნაგები იყო რიყისა დათლილი ქვებით. თუმცა ამ ტაძრისგან მხოლოდ მცირე ნაშთია შემორჩენილი. თეთროსანი სხვა საკულტო ცენტრებთან ერთად, ქართული მწიგნობრობის განვითარების ერთ-ერთ უძველეს და უმნიშვნელოვანეს ადგილად ითვლება. აქ დიდი სამწერლო, შემოქმედებითი, მხატვრული და მთარგმნელობითი საქმიანობაც იყო გაჩარებული. XVI საუკუნეში გადაუწერიათ „დავითნი“, რომელიც ამჟამად კორნელი კეკელიძის სახელობის ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. „დავითნი“ ჰქვია ბიბლიის ნაწილს, ლექს-საგალობლების კრებულს, რომელთაც ებრაელთა მეფეს,შემდგომში წმინდანად გამოცხადებულ დავითს მიაწერენ (სურმანიძე.2007:35). თეთროსანი თავდგირიძრთა სალოცავსა და საძვალეს წარმოადგენდა. XVIII ს. 60-იან წლებში ქობულეთის მიტაცების შემდეგ, თეთროსნის განთქმული ღვთისმშობლის ხატი აკეთის მაცხოვრის ეკლესიაში გადაასვენეს. თვით ტაძარი 1859 წლამდე მოქმედებდა (ჭიჭილეიშვილი.2019:102).

ადრეული ეკლესიის ნანგრევების გვერდით XX-ს-ის 90- იან წლებში ახალი ეკლესია აშენდა, რომელიც ბაზილიკური ტიპის ნაგებობას წარმოადგენს. ეკლესიაში შავნაბა-დელი ბერები მოღვაწეობენ.თეთროსანის ეკლესიის ეზოში ფუნქციონირებს პურის საცხობი,რომელიც გაიხსნა 2019 წელს. პურის საფუარს ამზადებენ ყურძნის მაჭრისაგან, რომელსაც შეაზელენ

მჭადის ფქვილს. შემდეგ დააყენებენ და გამოაშრობენ. პურს ზელენ გაცეხვილი ხორბალით. მეორე დღეს აცხობენ. დღეში აცხობენ 300-400 პურს და ახდენენ მის რეალიზაციას (ექსპედიციის მასალები. აჭმ. 23644. ხ.ფ. 2154).

ამრიგად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყავროკაში, დაგვაში, კვირიკეში და ხუცუბანში ჩატარებული ექსპედიციის შედეგად შეგროვდა 19 ექსპონატი, გაკეთდა მნიშვნელოვანი ჩანაწერები სოფლებისა და გვარების ისტორიის, მუჰაჯირობის, ამ სოფლებში არსებული საკულტო და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ადგილობრივი ტრადიციებისა და სამზარეულოს შესახებ. მუზეუმი შეივსო ახალი ექსპონატებით. მათ შესახებ პერიოდულად მომზადდება პუბლიკაციები.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1.ანდღულაძე დ, ფრანგიშვილი ვ. მეფუტკრეობა. თბ. 1982

2.ბარამიძე რ. მუსლიმური საკულტო ძეგლები ბათუმში. ბათ. 2010

3.დიასამიძე ზ.ქობულეთის მუნიციპალიტეტის ისტორია V საუკუნიდან XX ს. 20-იან წლებამდე.ბათ. 2019

4.ინტერნეტმასალა https://feedc.com/post/282021

5. ინტერნეტმასალა https://geobeekeepers.ge/index.php?m=177

6.კახიძე ნ. მაჭახლის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი). ბათ. 1974

7.ლეკვეიშვილი ს.მოქმედი მართლმადიდებლური ტაძრები აჭარაში. ბათ. 2001

8.სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები.ტ.I.ბათ.2007

9.სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.II . ბათ. 2009

10.ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი.აჭარა 2019

11.სურმანიძე რ. თეთროსანი.ბათ.2007

12.ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყავროკაში, დაგვაში , კვირიკეში, ხუცუბანში 2022 წ.20-22 ივლისს ჩატარებული ექსპედიციის მასალები. აჭმ. 23644. ხ.ფ. 2154

13.ჭიჭილეიშვილი მ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.(ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი. შრომები,ბათ.2019)



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13

## მიცვალებულის დაკრძალვისა და გლოვის ტრადიციები

(გალის რაიონის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

## Burial and mourning rituals

**(Based on ethnographic materials of Gali district)**

**ნინო ხარჩილავა**

*სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი,*

*სასწავლო პროცესებს მართვის დეპარტამენტის უფროსი*

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი*

**Nino Kharchilava**

*LEPL – Batumi Art Teaching University, Head of Teaching Process*

*Management Department, Doctoral/PhD*

**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.15

**აბსტრაქტი:** ნაშრომში გალის რაიონის ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით შესწავლილია დაკრძალვისა და გლოვის წეს-ჩვეულებები. ადამიანის გარდაცვალება საზოგადოებისთვის მნიშნელოვან მომენტს წარმოადგენს, რადგან იგი ოჯახთან, მის წევრებთან არის დაკავშირებული. ამასთან გარდაცვლილის მიმართ ზნეობრიობის გარდა, ოჯახის წევრთა უფლება-მოვალეობასა და ვალდებულებებსაც გულისხმობდა. ერთხელ ჩამოყალიბებული დაკრძალვისა და გლოვის წეს-ჩვეულებები, ეთნიკური ტრადიციებიდან გამომდინარე თაობიდან თაობას გადაეცემოდა, თუმცა, საუკუნეთა მანძილზე, დროთა ვითარებაში ცვლილებებსაც განიცდიდა. გალის რაიონის ეთნოგრაფიულმა ყოფამ ბოლო დრომდე მეტნაკლებად შემოინახა ძველი წეს-ჩვეულებები. ზოგი რიტუალი ინარჩუნებს ადრინდელ სახეს და თითქმის უცვლელად არის შემორჩენილი, მიუხედავდ იმისა, რომ ბევრ მათგანს ქრისტიანული მოძღვრება კრძალავს. გალის რაიონში მოპოვებული წეს-ჩვეულებები მთლიანად ემთხვევა ქართველი ერის მატერიალური და სულიერი კულტურის მონაცემებს და ამავე დროს ლოკალური თავისებურებების შემცველიცაა.

მიცვალებულის დაკრძალვისა და გლოვის წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული რიტუალები ერთ-ერთი უძველესია მსოფლიო რელიგიურ სისტემებში. თემის წყარო-თმცოდნეობის საფუძველს ძირითადად ეთნოგრაფიული მონაცემები წარმოადგენს, რომლებიც ავტორის მიერ XX საუკუნის 90-იანი წლების შემდგომ გალის რაიონშია მო-პოვებული. ეს მასალები შეჯერებულია ისტორიულ წყაროების მონაცემებთან. საკით-ხთან დაკავშირებით პრობლებაზე მუშაობისას დავეყრდენით XVII საუკუნის კათო-ლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის, ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის, XX სა-უკუნის ცნობილი ისტორიკოსის სერგი

მაკალათიას, ეთნოგრაფ თედო სახოკიას და სხვა მეცნიერთა ეთნოგრაფიული მონაცემებს. ეთნოგრაფიული მასალების ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვიმსჯელოთ სიკვდილის მიზეზებზე, გარდაცვლილისა და სა-ზოგადოების დამოკიდებულებაზე, სიცოცხლის არსზე და ოჯახურ ურთიერთობებზე. ანალიზთან ერთად ნაშრომში პირადი საველე მასალების, დაკვირვებებისა და ანალიზის საფუძველზე გამოტანილია დასკვნები.

**საკვანძო სიტყვები:** ეთნოგრაფიული გალი, დაკრძალვის და გლოვის ტრადიციები.

**Abstract:** The paper represents burial and mourning customs studied based on ethnographic materials of Gali district. The death of a person is a significant occasion for society as it refers to the family and its members. Moreover, besides ethical responsibilities, it also included the duties and obligations of the family members. Due to moral traditions, once-established burial and mourning rituals have passed through the generations over centuries. However, they have gradually changed. The ethnographic life of Gali district has preserved old customs. Some traditions are almost originally kept up to now, even though most of them are prohibited by the Christian religion. Customs found in Gali district completely coincide with the data of material and spiritual culture of the Georgian nation, at the same time containing some local peculiarities.

Burial and mourning rituals are one of the most ancient rituals in the world's religious systems. The sources for this paper mainly are ethnographic data obtained by the author after the 30s of the XX century in Gali district. These materials are discussed together with historical sources. While studying the issue, we relayed ethnographic materials by French traveler Jean Chardin, a prominent historian in the XX century Sergi Makalatia, Ethnographer Tedo Sakhokia and other scientists. The analysis of ethnographic materials allows us to discuss the reasons for death, the attitude toward the dead and society, the essence of life and family relationship. Along with the analysis, the conclusions are drawn based on fieldwork materials, observations and analysis. Represented materials about burial and mourning rituals are not complete and thorough, however, they are new materials referring to the not studied issue in this region.

**Key word:** Ethnographic Gali, Burial and mourning rituals.

მიცვალებულის დაკრძალვასა და გლოვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ტრადიციული ყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც განსაკუთრებული კონსერვატიულობით ხასიათდება. ამ რიგის წესსა და რიტუალში მიცვალებული ოჯახთან, მის წევრებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, რაც ოჯახის წევრთა უფლება-მოვალეობასა

და ვალდებულებებსაც გულისხმობდა. ერთხელ ჩამოყალიბებული დაკრძალვისა და გლოვის წეს-ჩვეულებები, ეთნიკური ტრადიციებიდან გამომდინარე თაობიდან თაობას გადაეცემოდა, თუმცა, საუკუნეთა მანძილზე, დროთა ვითარებაში ცვლილებებსაც განიცდიდა. გალის რაიონის ეთნოგრაფიულმა ყოფამ ბოლო დრომდე მეტნაკლებად შემოინახა ძველი წეს-ჩვეულებები. ზოგი რიტუალი ინარჩუნებს ადრინდელ სახეს და თითქმის უცვლელად არის შემორჩენილი, მიუხედავდ იმისა, რომ ბევრ მათგანს ქრისტიანული მოძღვრება კრძალავს. გალის რაიონში მოპოვებული წეს-ჩვეულებები მთლიანად ემთხვევა ქართველი ერის მატერიალური და სულიერი კულტურის მონაცემებს და ამავე დროს ლოკალური თავისებურებების შემცველიცაა.

საკვლევი თემის წყაროთმცოდნეობის საფუძველს ძირითადად ეთნოგრაფიული მონაცემები წარმოადგენს, რომლებიც ავტორის მიერ გალის რაიონში წლების მანძილზე იკრიბებოდა. ჩვენთვის ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომი პერიოდი მოიცავს იმ მასალებს, რომლებიც გალის მცხოვრებთა მეხსიერებამ ბოლო დრომდე შემოინახა.

გარდაცვალება ტრაგიკულ მომენტად აღიქმებოდა, თუმცა მაშინვე იწყებოდა ერთგვარი თადარიგი, რომელიც მთელი რიგი სხვადასხვა სახის საკითხების გათვალისწინებას გულისხმობდა. ამ საკითხების მოგვარებაში ოჯახთან ერთად ჭირისუფალიც იყო ჩართული.

მომაკვდავთან ოჯახის წევრები და რამდენიმე ადამიანი რჩებოდა, მომაკვდავ ადამიანს ანთებულ სანთელს ხელში ჩაუდებდნენ და კარ-ფანჯრებს აღებდნენ, რომ მიცვალებულის სული სახლიდან დაუბრკოლებლად უნდა გასულიყო. გარდაცვლილის ოჯახში მარწკინალი - გამპატიოსნებელი მოდიოდა, რომლის ფუნქციას ოჯახის წევრი ან მეზობელი ასრულებდა. მარწკინალი თვალს უხუჭავდა, ყბას აუკრავდა, ფეხებს (ტერფი) შეუკრავდა, ტანსაცმელს ჩააცმევდა, მოაწესრიგებდა, მარჯვენა ხელს გულზე დაუწყობდნენ და აუცილებლად ხელში ფულს ჩაუდებენ (დღეს ფულთან ერთად ზოგჯერ ჯვარიც ფიქსირდება) და მისაღები ოთახის (ზალა) შუაგულში დაასვენებდნენ - თავით აღმოსავლეთით. ამის შემდეგ ოჯახის წევრი ქალები კივილს, ხოლო მამაკაცები ხმამაღალ მოთქმას იწყებდნენ. ქალები მწუხარების ნიშნად სახესაც იკაწრავდნენ, ხელებს თავში იცემდნენ. კივილის ხმაზე მეზობლად მცხოვრები ნათესავები და მეზობლები მათთან მირბოდნენ.

მიცვალებულის დატირება, რთული სახის ქცევებს ითვალისწინებდა, რომელიც შესრულების წესის მიხედვით სხვადასხვანაირია და ფორმის, შინაარსის თვალსაზრისითაც მეტნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. გარდაცვლილის დატირების რამდენიმე სახეს განასხვავებენ: თვალუა - დათვლით, ზარით, ხმით, ძახილით, ქვითინით, მოთქმით ტირილი და სხვა. ყველაზე უფრო ცნობილი და გავრცელებული იყო ხმით ტირილი. ხმით მოტირალი ყოველ დატირებაში ახალ-ახალ ტექსტს ქმნის იმპროვიზაციულად. ეს ტექსტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, რამდენადაც სხვადასხვა პიროვნებებს ეძღვნება. თვალუა - მიცვალებულის ნათესავი, არა ხმით მოტირალი ქალისგან სრულდებოდა. თვალუა უცრემლოდ

დატირებაა, რომელიც ზოგადქართული მოვლენაა (მაკალათია, 1984:197; ხმით ნატირლები, 2002:10). ზარს მოტირალთაგან შემდგარი გუნდი უსიტყვოდ გალობდა და მხოლოდ ისმოდა: ,,ვაი, ვაი.“ ზარი გუნდურ შესრულებას გულისხმობს (სახოკია, 1956:123; ხი-ზანიშვილი,1940:5). გუნდური მოთქმით - ზარით მიცვალებულის დატირება გავრცე-ლებული იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც (გიორგაძე, 1987:46, წულაძე, 1971:210).

ადამიანის გარდაცვალებისა და ოჯახის მიერ შეცხადების შემდეგ, ოჯახის უფროსი გამოყოფდა პიროვნებას - **მაგინაფალს**, იგივე შემტყობინებელს, რომელსაც შორს მცხოვრები ნათესავებისთვის უბედური ამბის და დაკრძალვის თარიღის შეტყობინება ევალებოდა. მაგინაფალს მიჰქონდა გარდაცვლილის რაიმე ნივთი ნიშნისათვის. პირველად მიდიოდა ვისთვისაც უნდა შეეტყობინებინა, იმის ახლო მეზობელთან, ეტყოდა ვინ გარდაიცვალა, ამის შემდეგ მეზობელთან ერთად მიადგებოდა ნათესავის ჭიშკარს ვისთვისაც უნდა ეცნობინებინათ კონკრეტული ადამიანის გარდაცვალება. მასპინძელი ყველაფერს ხვდებოდა და ჭიშკართან სწრაფად მიდიოდა, რომ გაეგო ვინ გარდაიცვალა. მიცვალებულის ნაქონი ნივთი, რომელიც მაგინაფალს ეჭირა ხელში, დაახლოებით მაინც კარნახობდა ახლობლებს, თუ ვინ იყო გარდაცვლილი. იგი გაგებისთანავე იწყებდა მიტანილ ნიშანზე ხმამაღალ კივილსა და ტირილს, რომ იქ მცხოვრებ ნათესავებს სამძიმარი გამოეხატათ. მაგინაფალი დაკრძალვის დღეს შეატყობინებდა მათ და უკან ბრუნდებოდა. მაგინაფალს არ გაუშვებდნენ იმ ოჯახში, სადაც არ შეიცხადებდნენ.

ძველად, ვინც არ უნდა ყოფილიყო მიცვალებული, მამაკაცი თუ ქალი, მაინც მის სახელზე ცხენს გარდაცვალების დღესვე შავ სატინას გადააფარებდნენ და ეზოში გამოსაჩენ ადგილას დააყენებდნენ. თუ მამაკაცი იყო გარდაცვლილი, მამაკაცის უნაგირს, ხოლო თუ ქალი იყო გარდაცვლილი, ქალის უნაგირს დაადგამდნენ. დღეს მამაკაცის გარდაცვალებისას ეზოში მის კუთვნილ მანქანას შავ ნაჭერს გაუკეთებენ (გარდაცვლილის გადიდებულ სურათს დადებენ) და გასვენების დღეს სასაფლაომდე გაჰყავთ.

დაკრძალვის დღეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ხალხი იყრიდა თავს გარდაცვლილის სახლში. ნათესავები **მოზარუებთან** - მოზარეებთან ერთად მოდიოდნენ. პირველ რიგში ქალები იდგნენ, ქალს, რომელიც კივილით შემოდიოდა, თან ახლდა ორი ქალი, თავი რომ არ დაეზიანებინა. შემდეგ მწკრივში მამაკაცები იდგენენ.

ოჯახი დასაფლავების შემდეგ წლის (ზოგჯერ რამდენიმე წელი) განმავლობაში ნიშანს გამართავდნენ და გეკულა (ისეთი დღე, როდესაც, ხალხის წარმოდგენით, შენალოცი ჭრის) დღეებში ტიროდნენ. ნიშანზე ტირილს კათოლიკე მისიონრებიც ადასტურებდნენ სამეგრელოში (ლამბერტი 1991:59-66; შარდენი,1975:201).

გალის რაიონში ძველად სასაფლაოები გამართული ყოფილა ეკლესიების ტერიტორიაზე (სახოკია, 1896), მაგრამ XVIII-XIX საუკუნეებში ოჯახის უხუცესებს თავიანთ საკარმიდამო

ადგილზე ასაფლავებდნენ. საკარმიდამო ტერიტორიაზე დღესაც ფიქსირდება ოჯახის წევრის დასაფლავება.

მიცვალებულს გასვენების წინა ღამე დაბანდნენ. ყველაფერს ახალ ჩააცმევდნენ და კუბოში ჩაასვენებდნენ. კუბოში ჩაულაგებდნენ სხვადასხვა ნივთებს. გასვენების დროს ტახტს, რომელზედაც ესვენა გადააბრუნებდნენ. ოთახიდან გაყვანის დროს, დაკეტავენ იმ ოთახის კარს, სადაც მიცვალებული ესვენა და ფეხების მხრიდან კუბოს დაკეტილ კარზე სამჯერ კარს მიარტყამენ.

გასვენებამდე მიცვალებულის დატირებას - **გილანგარა** ეწოდებოდა. მიცვალე-ბულის გასვენების დღეს ფაშატურში - **ფანჩატურში** დაასვენებენ. ეს არის ეზოში გამართული დიდი ფართობის გადახურული ნაგებობა (ერთჯერადი) რომლის მარჯვენა კუთხის სიღრმეში მიცვალებული ასვენია. მიცვალებულის **ჭკუდ**-თან - კუბოსთან ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები ორ მწკრივად სტატუსისა და უფროს-უმცროსობის მიხედვით ისხდნენ. პირველ რიგში თავთან დედა, დები, ფეხთან მეუღლე, მეორე რიგში კი ახლობელი ნათესავები (მამიდა, დეიდა, ბიცოლა, რძლები და სხვ.) სხდებოდნენ. ჭირისუფალი მამაკაცები ფაშატურის მარცხენა მხარეს შესასვლელთან ფეხზე იდგენენ. ისინიც უფროს-უმცროსობის და სტატუსის მიხედვით: მამა, შვილები, ძმები და შემდეგ სანათესაო. კუბოს თავთან პატარა მაგიდაზე ტკბილეულობას, პურს, ჭიქით ღვინოს და არაყს დგამდნენ, სადაც მთელი დღის განმავლობაში სანთელი, ხშირად კელაპტარი ენთო. ტირილში მისული შედის ამ ნაგებობაში, ჩერდება მიცვალებულის წინ და თავს დაუკრავს, მერე შეტრიალდება მარცხნივ და მიდის მამაკაცებთან, ხელს ჩამოართმევს და ეტყვის **მეწყინ** - მეწყინა, რასაც ჭირისუფალი პასუხობს **საწყენ ვარღოლამდას** - საწყენი არ დაგემართოს.

**ონგარ**-ში - სატირალში დაკრძალვის დღეს მომტირალთა ნაკადის მოწესრიგება ევალება ორი კაცისაგან (ხშირად ქალი და კაცი) შემდგარი **მიმანგარაფალს** - ესაა ადამიანი, რომელსაც გასვენების დღეს გამოყოფს ჭირისუფალი. **მიმანგარაფალი** სტუმარ-მოტირალთა ჯგუფს ჭიშკართან ხვდებოდნენ. თმაგაშლილ ქალებს აქეთ-იქით ამოუდგებოდნენ და სატირლად მიჰყავდათ. ისინი ყურადღებას აქცევდნენ, რომ ქალებს მწუხარების დასამტკიცებლად, რაიმე ზედმეტი არ მოემოქმედებინათ. ყვავილებს გამოართმევდნენ. რესპოდენტების თქმით ეს ყვავილები ქაღალდისგან იყო გამზადებული, რომელსაც ,,ვენოკს“ ეძახდნენ. დროთა განმავლობაში ,,ვენოკი“ ცოცხალმა ყვავილებმა შეცვალა. ნათლიას ტირილში მოზარუესთან ერთად აუცილე-ბლად უნდა მოეტანა შავად მორთული კელანტარი - კელაპტარი. ეს **კელაპტარი** მიცვალებულის თავთან მდგარ მაგიდაზე მთელი დღის განმავლობაში უნდა დაენთოთ.

როგორც ძველად ისე ახლაც ფაშატურში მიცვალებულის დატირება ჭირისუფალს გარდაცვლილის პატივისცემად მიაჩნდა, რადგან შორიდან მოსულ ჭირისუფალს საშუალება ჰქონდა ახლოს ყოფილიყო და პატივი ეცა მიცვალებულისთვის. ძველად თუ ჭირისუფალი

ფიქრობდა სახლში ვერ დაეტეოდა ბევრი მოსული ჭირისუფალი. დღეს, გალის რაიონში კონფლიქტის შედეგად ოჯახები გადამწვარია და ოჯახი ვალდებულია გამართოს ფაშატური, რომ თავისი მიცვალებული პატივისცემით დაიტიროს.

მიცვალებულის გამოსამშვიდობებელი პირველი სიტყვა ოჯახის უფროსს ან გვარის უფროსს ეკუთვის, ხოლო მის შემდეგ ვინც ისურვებს ყველას.

სამარის გამჭრელს **მესაფლე** - მესაფლავე ჰქვია. მესაფლავეებს ოჯახის უფროსი დილას ადრე აფრთხილებდა, რომელიც ახლობელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ერთი აუცილებლად მოგვარე. მესაფლავეები კენტი უნდა ყოფილიყვნენ (ხშირად სამი ფიქსირდება). შემდგომ ეს მესაფლავეები მიცვალებულისთვის განკუთვნილ მიცვალებულის მოსახსნიებელი სუფრის საპატივცემლო პიროვნებები იყვნენ და მათ სადღეგრძელოს აუცილებლად ცალკე იტყოდნენ. სასაფლაოზე მესაფლავეებს საგვარეულოს ტერიტორიაზე უკვე მომზადებული ჰქონდათ საფლავი. სამარესთან ჭირისუფლები მიცვალებულს უკანასკნელად ეთხოვებოდნენ. შემდეგ კუბოს სამარეში უშვებდნენ.

სასაფლაოდან დაბრუნების შემდეგ სახლში ქელეხი იმართებოდა. სასაფლაოდან მობრუნებულ სტუმრებს ეზოში ღვინონარევი წყლით ხელს დააბანინებდნენ.

მიცვალებულის დაკრძალვის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი გალის რაიონში არის **ონგარიშ სუფრა** - ჭირის სუფრა. ქელეხი ყოველდღე იმართებოდა, განსაკუთრებით შორიდან მოსული სტუმრებისთვის. გასვენების დღეს ქელეხი გასვენებამდე შუა დღისით იწყებოდა, ვინც მოვიდოდა მათ სუფრასთან იწვევდნენ. შორიდან მოსულ ხალხს უკან დღის სინათლით დაბრუნების საშუალებას აძლევდნენ. ქელეხის დამთავრებისთანავე დაიწყებოდა მიცვალებულის დატირება. ოთახიდან ან ფაშატურიდან, სადაც მიცვალებული ესვენა, ყველას გამოიყვანდნენ მიცვალებულს ეზოში გამოასვენებდნენ, იქვე ემშვიდობებოდნენ. ყველა ვინც მიდის პანაშვიდზე ან გასვენებაში აუცილებლად მიიპატიჟებდნენ სუფრაზე. თავი კაცი რომელსაც აბარია ეს თანამდებობა ტირილში მობრძანებულთ ეუბნება **ჭირქას გეგლუკუნათ** - ჭიქა წავაქციოთ, რაც ნიშნავს იმას, რომ ტირილში მოსულმა ქალმა თუ კაცმა აუცილებლად სუფრასთან დაჯდეს და ერთი ჭიქა წაუქციოს მიცვალებულის სახელზე. ახლა ხშირად ხდება, რომ ამ სუფრაზე თუ დიდხანს არ დარჩება ბოდიშს მოიხდის შევა იქ სადაც სუფრაა (შეფაში) გაშლილი და პურის ნატეხს ღვინით სავსე წიქაში დაასველებს ან პირიქით პურის ნატეხზე ღვინოს დაასხამს და იტყვის **ღორონთ განათლას** - ღმერთმა გაანათლოს, ამით გამოხატავს მიცვალებულის პატივიცემას, მიუხედავად იმისა რომ სუფრაზე არ ჯდება. სანამ მიცვალებული სახლში იყო, ჭირისუფლებისთვის საკვები რიგის მიხედვით მეზობლად მცხოვრებ ნათესავებს და მეზობლებს მიჰქონდათ. მეზობლები და ახლო ნათესავები ოჯახს ყველანაირად ეხმარებოდნენ. დღემდე არსებობს **სადილიშ მინოღალა** - სადილის შეტანა. ეს იყო გარდაცვლილის ოჯახში მეზობლებისგან მიცვალებულის გასვენებამდე ჭირისუფალისთვის

სადილი მიტანის წესი.

დასაფლავების მესამე დღეს **კილეშ განწყუმ** - მკლავის გახსნა ეწოდებოდა, რომელიც ჭირისუფლისათვის სახსნილო საკვების მიღების ნებართვას იძლეოდა. ამ დღეს იხვსა და ქათამს დაკლავდნენ, რომ სუფრაზე ხორციანი საკვები დაედგათ. იხვის დაკვლვა აუცილებელი იყო, რომელსაც მიცვალებულისთვის განკუთვნილ ტაბაკზე - მაგიდაზე დადებდნენ. რესპოდენტთა გადმოცემით იხვი ქვეწარმავალს მიირთმევს და ამით მიცვალებულთან სამარეში ქვეწარმავლებს არ მიუშვებს. იხვის თავს და ფეხებს სასაფლაოზე წაიღებდნენ და დამარხავდნენ. ოჯახში მთელი წლის განმავლობაში რაც საკვები კეთდებოდა, პატარა მაგიდაზე იდგმებოდა, სანთელი ინთებოდა, იქიდან აღებულ კერძს ბავშვებს აჭმევდნენ.

**ჟარნეჩს** - ორმოცს, გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს აწყობდნენ. ამ დღეს ნათესავ-მოკეთეები და აუცილებლად მესაფლავეები მოდიოდნენ. მოწვეული სტუმრები ოჯახში ჯერ ნიშანზე იტირებდნენ და მერე ოჯახის წევრებთან ერთად სასაფლაოზე გავიდოდნენ და იქაც დაიტირებდნენ. **კილეშ განწყუმ** - მკლავის გახსნისა და **ჟარნეჩს** - ორმოცის და **წანაშდუდ** - წლისთავის დღეს ოჯახის წევრები და ნათესავები სასაფლაოს თეთრ მიტკალს გადააფარებდნენ და მიცვალებულს ისე იტირებდნენ.

მიცვალებულის მოსახსენიებელ სუფრაზე ხორცი აუცილებელი იყო, ამიტომ ჭირისუფლები საკლავს (ხარი, ცხვარი) კლავდნენ. დაკლული ცხოველის ტყავი და ფეხი აუცილებლად მიცვალებულისთვის განკუთვნილი მაგიდის ქვეშ ელაგა, რომელსაც მერე უკანა ეზოში დამარხავდნენ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მიცვალებულის სახელზე გამართულ ნიშანზე, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ელაგა ტახტზე, როგორც ცოცხალ ადამიანს, ისე დაიტირებდნენ. ასევე, თუ ნათესავი, რომელიც გარკვეული მიზეზის გამო ვერ დაესწრო გასვენებას, ის აუცილებლად მოგვიანებით მივიდოდა ოჯახში, ნიშანზე იტირებდა და შემდეგ ოჯახის წევრებთან ერთად სასაფლაოზე გავიდოდა.

მიცვალებულის წლისთავის შემდეგ მამაკაცები წვერს იპარსავდნენ და თმას იჭრიდნენ. ამას არჩეული პიროვნება აკეთებდა, რასაც თუმაშ მიკოცუთამა - თმის მოგდება ანუ თმის შეჭრა ეწოდებოდა. რჩეული რამდენიმე ადგილას მოაჭრიდა თმას მგლოვიარეს, იმ დღიდან იგი მისი ჩაფილი - მოგებული ხდებოდა. თუ მგლოვიარეს თმას მოაჭრიდა დიდა (დედა) - ჩაფილი, და - ჩაფილი, მუმა (მამა) - ჩაფილი, ჯიმა (ძმა) - ჩაფილი, სქუა (შვილი) - ჩაფილი ხდებოდა.

გარდა ამისა ოჯახს თავისი მიცვალებულისთვის საეკლესიო სულის კურთხევის დღეებში, საკვები მიჰქონდათ ეკლესიაში და აკურთხებდნენ (მაკალათია, 1941:286).

მაგრამ ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თანდათანობით წეს-ჩვეულებები, რომელიც გლოვასა და დაკრძალვასთან იყო დაკავშირებული დროთა განმავლობაში იცვლებოდა.

სამგლოვიარო სამოსი ოჯახში იკერებოდა, რომელსაც **უჩაშ ჭკირუა** - შავის გაჭრა ეწოდებოდა. ოჯახის წევრები ძაძების შეკერვის შემდეგ ნარჩენი შავი ქსოვილის ნაჭრებით სახლის აივნის ძელებს და სახლთან ახლო მდგომ ხეებს გლოვის ნიშნად მორთავდნენ (შავიანიძე, 2015:168-168). დღეს გალის რაიონში ადამიანის გარდაცვალებისას კივილისა და ხმამაღალი მოთქმით ტირილის ტრადიცია ნელ-ნელა ქრება, მაგრამ ახალგაზრდის გარდაცვალებისას ჭირისუფლის მიერ ხმამაღლა დატირების შემთხვევები ხშირია. მიუხედავად ამისა, ამ ტრადიციის შესუსტების პროცესი მაინც იგრძნობა.

ძველად ნათესავებს და მოკეთეებს თუ **მაგინაფალის** - შემტყობინებელის დახმარებით გარდაცვალებისა და დაკრძალვის დღეს სიტყვიერად ატყობინებდნენ. XX საუკუნის მეორე ნახევარში კი მიცვალებულის ეზოში იდგა მაგიდა, სადაც იდო წერილი როდის იყო გასვენება. შემდგომ კი იბეჭდებოდა წერილი, სადაც ეწერა გარდაიცვალა ესა და ეს პიროვნება, პანაშვიდის და დაკრძალვის დრო და ეს წერილი ნათესავებთან (ეს წერილი განკუთვნილი იყო შორეული ნათესავებისთვის) მაგინაფალს მიჰქონდა.

**ჭკუდს** - კუბოს მიცვალებულისთვის ხშირ შემთხვევაში გარდაცვლილის ნათლია ან რომელიმე ახლო ნათესავი ამზადებინებდა საკუთარი ხარჯით, რომელსაც დაკრძალვის წინა ღამეს მოიტანდნენ, რადგან დღისით მოტანა არ შეიძლებოდა.

ტირილში **გინაფორალი** - გადასაფარავი მოჰქონდათ, რომელიც ფულადი სახის იყო. დღევანდელ ყოფაში მხოლოდ ფულადი შესაწირის არსებობა ფიქსირდება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ შესაძლოა რომელიმე ნათესავი ან მეზობელი ქელეხის სუფრისთვის ოჯახს ღვინით ან სხვა პროდუქტით დახმარებოდა. დაკრძალვის დღეს რომელიმე ოთახში ორ ადამიანს დასვამდნენ **ფარაშ მაჭარალს** - ფულის ჩამწერებს და სატირლად მისულთაგან სიაში შეიყვანდნენ თანხის მითითებით (ბახია-ოქრუაშვილი, 2021:194). ეს შეწევნა ერთგვარ ვალად ითვლებოდა.

ქელეხის სუფრა დღესაც სამარხვოა. ადამიანის გარდაცვალების დღიდან, მიცვალებულის ოჯახში ყველა საქმეს საჯიმალოს - სამმოს წევრები აკეთებენ. სამოხიოს წევრები ერთმანეთს ჭირსა და ლხინში უდგანან გვერდში (ჭითანავა, ხორავა და სხვ. 2021:402-406). მეზობელი მამაკაცები რიგის მიხედვით, საღამოს ჭირისუფალთან ერთად ივახშმებდნენ და შემდეგ მიცვალებულს ღამეს უთევდნენ. ოჯახის უფროსი პირველივე დღეს ერთ მამაკაცს ყველაფრის ყურადღების მიქცევას ანდობდნენ და მის გარეშე ვერავინ ვერაფერს გადაწყვეტდა. ამავე დროს სამეზობლოს ოჯახებს რიგის მიხედვით დაკრძალვის დღემდე გამზადებული საკვები მოჰქონდათ, არა მარტო ოჯახის წევრებისთვის, არამედ იქ მყოფი ნათესავებისთვისაც.

ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ოჯახი ან ოჯახის ახლო ნათესავი პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს თხოვდა დაეწერა სამგლოვიარო ლექსი. ლექსი მიცვალებულის ღირსების წარმოსაჩენად იქმნებოდა. ამ ლექსს გასვენების დღეს რამდენიმეჯერ წაიკითხავდნენ

ჩონგურის თანხლებით. ბოლოს ოთახიდან ან ფაშატურიდან გამოსვენების დროს ამზობდნენ. ლექსის წაკითხვის დროს არ ტიროდნენ, ყველა უსმენდა. ამ წეს **ჩონგურიშ მოცუნაფა** - ჩონგურის მოყვანა ეწოდებოდა და მიცვალებულის პატივისცემის გამოსახატავად ოჯახი ან ოჯახის ახლობელი შეუკვეთდა.

მეზობლებიდან, ვინც კერვა იცოდა, ის ჭირისუფლებს **ონწერალის** - შესასურდის შეკერვაში ეხმარებოდა. ონწერალი, ოჯახის წევრების (როგორც ქალებისათვის, ისე მამაკაცებისთვის) და ახლო ნათესავებისთვის მიცვალებულის ოჯახში იკერებოდა. შეკერვამდე იკითხავდნენ ვინ იგლოვებდა. ოჯახი, ვისაც შავს შეუკერავდა, ის ვალდებული იყო მთელი წლის განმავლობაში ეგლოვა. ვინც შავს არ შეიკერავდა ის თალხს იცვამდა.

ქელეხს, როგორც ძველად ისე ახლაც წინა ეზოში გადახურულ შეფაში - სეფაში აწყობდნენ. შორიდან მოსულ სტუმრებს ქელეხით დაკრძალვამდე უმასპინძლდებოდნენ, რადგან მიცვალებულის სახლიდან გამოსვენების შემდგომ სასაფლაოზე ვერ მიდიოდნენ.

ძველად სასაფლაო, როგროც ზემოთაც აღინიშნა, ჩვეულებრივ ყველა სოფელში ეკლესიის ეზოში იყო, მაგრამ მოსახლეობის ცვალებადობასთან დაკავშირებით გალის რაიონის ყველა სოფელში სასაფლაოს ტერიტორია ეკლესიის შორიახლოს, გარეთ გაიტანეს და დღეს საგვარეულო სასაფლაოს წარმოადგენს.

ეთნოგრაფიული მასალების ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვიმსჯელოთ სიკვდილის მიზეზებზე, გარდაცვლილისა და საზოგადოების დამოკიდებულებაზე, სიცოცხლის არსზე და ოჯახურ ურთიერთობებზე. ანალიზთან ერთად ნაშრომში პირადი საველე მასალების, დაკვირვებებისა და ანალიზის საფუძველზე გამოტანილია დასკვნები. ბუნებრივია წარმოდგენილი მასალები მიცვალებულის დაკრძალვისა და გლოვის წესების შესახებ არაა სრული და ამომწურავი, მაგრამ ინტერესშემცველელია იმით, რომ შევეცადეთ მიმოქცევაში შემოგვეტანა ამ რაიონში შეუსწავლელ პრობლემასთან დაკავშირებული ახალი მასალები.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბახია-ოქრუაშვილი ს., ეთნოგრაფიული მონაცემები სამურზაყანოდან, კრ: აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, ისტორია, კულტურის ძეგლები, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2021;

2. გიორგაძე დ., დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 1987;

3. დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, იტალიურიდან თარგმნა ალექსანდრე ჭყონიამ, თბ., 1991;

4. მაკალათია ს., საქართველოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941;

5. მაკალათია ს., ხევსურეთი, თბ., 1984;

6. სახოკია თ., „სამურზაყანო", ჟურნალი „მოამბე", 1896;

7. სახოკია თ., მიცვალებულის კულტი სამეგრლოში, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956;

8. შავიანიძე დ., სამეგრელო (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბ., 2015;

9. შარდენის მოგზაურობა, ფრანგულიდან თარგმნა, გამოიკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლი0შვილმა, თბ., 1975;

10. ჭითანავა დ., ხორავა ბ., ციმინტია ქ., შენგელია ი., სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა, თბ., 2021;

11. ხმით ნატირლები, კრებული შეადგინა ნ. აზიკურმა, თბ., 2002;

12. ხიზანიშვილი (ურბნელი) ნ., ფშავ-ხევსურეთი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940;

13.წულაძე ა., მიცვალებულის კულტი გურიაში, ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1971.

# ოსმალთა ბატონობის გავლენა აჭარაზე

აჭარის მუზეუმის, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში

დაცული მასალების მიხედვით

**Ottoman influence on Ajara**

according to the materials preserved in the Khariton Akhvledian

Museum of Adjara


**ქეთევან დეკანაძე**

*სსიპ აჭარის მუზეუმი, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის*

*მეცნიერ-მუშაკი; ბსუ დოქტორანტი, ისტორიის უფროსი მასწავლებელი.*

**Ketevan Dekanadze**

*LEPL Ajara Museum, Khriton Akhvlediani State Museum,*

*PhD student*



**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.17



**აბსტრაქტი:** საქართველო თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის, მასზე გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზებისა და მდიდარი ბუნებრივი რესურსის გამო, ყოველთვის ექცეოდა სხვადასხვა დამპყრობელთა ინტერესებში.

საქართველო ვერც ოსმალთა აგრესიას გადაურჩა. ქართველი ერი არც ერთ მტკაველ მიწას უბრძოლველად არ თმობდა, მაგრამ მტრის სიმრავლემ, ფეოდალთა სეპარატიზმა განაპირობა მათი დამარცხება. მრავალსაუკუნოვანმა ბატონობამ ცხადია, თავისი კვალი დაამჩნია და გავლენა იქონია აჭარის ყოფასა და კულტურაზე.

ამ პროცესებს კარგად წარმოაჩენს აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული მასალა. სწორედ ამიტომაცაა ჩვენთვის საყურადღებო ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში არსებული აჭარული სამოსი, რომელიც ნათლად ცხადყოფს ამ პერიოდში მიმდინარე პროცესებსა და შედეგებს. აღსანიშნავია, რომ ამ დროის აჭარული სამოსი ზევრად მრავალფეროვანია.

მიუხედავად ჩვენი ქვეყნის ურთულესი ისტორიული პირობებისა, აჭარამ თავისი განვითარების მანძილზე შეძლო საკუთარი ტრადიციების, მხატვრული ინდივიდუალობისა და ზოგად-ქართული იერის შენარჩუნება, თუმცა უცხო ქვეყნის გავლენა აშკარაა.

ცხადია, ოსმალთა გავლენა ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე გაცილებით ფართოა, თუმცა ის ცალკე კვლევა-ძიების საგანია.



**საკვანძო სიტყვები:** იაზმა, ჩადრი, ფესი თეფელუღი, დუვალი და ვალა, ჩათხი, თორი,

ჩათაკა, ელეგი, ფეშტემალი, ზუბუნ-ფარაგა, იჩლუღი, სიხმა, ჩაქურა, ყაბალახი, იახა.

**Abstract:** Doe to its favorable geographical location, important trade routes passing through it, and rich natural resources, Georgia has always been in the interests of various conquerors.

Georgia did not escape the aggression of the Ottomans. The Georgian nation did not give up any painful land without a fight, but the abundance of the enemy and the separatism of the feudal lords led to their defeat. Centuries-old domination obviously left its mark and influenced the life and culture of Adjara.

These processes are represented by the diverse ethnographic material preserved in the Khariton Akhvlediani Museum of Adjara. That is why the Adjarian clothes in the Khariton Akhvlediani Museum are of particular interest to us, which clearly demonstrate the processes and results of this period. It should be noted that the Adjarian clothes of this time are very diverse.

Despite the most difficult historical conditions of our country, Adjara managed to preserve its traditions, artistic individuality and general Georgian look throughout its development, although the influence of foreign countries is obvious.

Obviously, the influence of the Ottomans on various spheres of life is much wider, although it is the subject of a separate study.

**Key words:** Yazma, Chadri, Fes Tefelugh, Duval and Vala, Chatkh, Tori, Chataka, Eleg, Feshtemal, Zubun-Faraga, Ichlughi, Sikhma, Chakura, Kabalakh, Yakha.

ქართული ეროვნული სამოსი ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც პრაქტიკული დანიშნულების გარდა უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სოცილურ და ქონებრივ მდგომარეობას, მეურნეობრივ საქმიანობას. ტანსაცმელში ასახულია ყველა კუთხის ისტორიული ბედის თავისებურება.

ეროვნული სამოსი საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და ამავე დროს სერიოზულ ცვლილებებს განიცდიდა, როგორც ბუნებრივი განვითარების საფუძველზე, ისე მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის შედეგად. ქართულ ეროვნულ ჩაცმულობაში თავისი ადგილი უჭირავს აჭარულ ტანსაცმელს, რომელიც გახლავთ ქართული სამოსის ადგილობრივი სახეობა და მასში კარგადაა ასახული კუთხის ისტორიული ბედის თავისებურება. ოსმალთა თითქმის სამ საუკუნოვანმა ბატონობამ გარკვეული კვალი დააჩნია აჭარის კულტურისა და ყოფის თითქმის ყველა სფეროს: ტანისამოსს, ტრადიციებს, საკვებს, ეტიმოლოგიას, არქიტექტურას.... მიუხედავად ჩვენი ქვეყნის ურთულესი ისტორიული პირობებისა ამ კუთხემ თავისი განვითარების მანძილზე შეძლო საკუთარი ტრადიციების, მხატვრული ინდივიდუალობისა

და ზოგად-ქართული იერის შენარჩუნება, თუმცა უცხო ქვეყნის გავლენა აშკარაა.

აჭარული ჩაცმულობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ქართველი და უცხოელი მეცნიერების, მკვლევრებისა და მოგზაურების ნაშრომებში.

საყურადღებოა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით 1935-36 წლებში შეკრებილი მასალები. აჭარაში მოპოვებულმა [**1933 წ. ექსპედიცია**] ახალმა ეთნოგრაფიულმა ცნობებმა საფუძველი ჩაუყარა შემდგომი ყოფისა და კულტურის კვლევის განვითარებას.

აჭარაში ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობის შესახებ ინფორმაცია ასევე გვხვდება XIX საუკუნის მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებში. მათგან აღსანიშნავია: დ.ბაქრაძის «არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭრაში», გ. ყაზბეგის «სამი თვე თურქეთის საქართველოში», თ. სახოკიას «მოგზაურობანი», ჟ. მურიეს «ბათუმი და ჭოროხის აუზი», ზ. ჭიჭინაძის, ა. ფრანკელის და სხვათა ნაშრომებში.

აჭარული ჩაცმულობის შესახებ საყურადღებო ცნობებია თავმოყრილი ჯ. ნოღაიდელის ნაშრომში-„ეთნოგრაფიული ნაშრომი აჭარელთა ყოფა ცხოვრებიდან" აჭარელთა ყოფის ადათ-წესების აღწერისას ავტორი იძლევა საქორწილო თავსაბურავის ელემენტებისა და მასთან დაკავსირებულ წეს-ჩვეულებათა დახასიათებას [**ნოღაიდელი, 1955: 15**]. აჭარული სამოსი ეთნოგრაფიულად შეისწავლა - „ ხალხური ტანსაცმელი აჭარაში" ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა იზოლდა სამსონიამ [**სამსონია, 2005:10**].

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული აჭარული სამოსი საყურადღებოა ჩვენთვის იმ თავლსაზრისით, რომ იგი ოსმალთა ბატონობის დროინდელია და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ოსმალთა გავლენის შედეგებსა თუ მასშტაბურობაზე. თუმცა აქვე აღსანიშნია ტანისამოსის ის სახეები, რომლებიც იმ დროს იყო გავრცელებული, თუმცა მუზეუმში არ გვხვდება. ასეთებია: **ჩათხი:** ქალის პირბადე. იგი აჭარაში მაჰმადიანური რელიგიის გავრცელების პარალელურად შემოვიდა [**სამსონია, 2009:418; ვარშალომიძე, 1986:125; ჯავახიშვილი, 1962:18**]. **ელეგი:** თურქული სიტყვაა, ელეგი უსახელო საზაფხულო ქალის წელზევითა სამოსი იყო. **იჩლუღი:** თურქული სიტყვაა და შიგნით ჩასაცმელ სამოსს ნიშნავს. იგი შეძლებული ქალის ცასაცმელი იყო [**ნოღაიდელი,1935: 323**]. **იახა:** თურქული ენიდან შემოსული ჩანს და ნიშნავს „საყელოს" - გადმოკეცილ საყელოს. იახა ზუბუნის საყელოს ერქვა (ზუბუნი-ჩოხის შიგნით ჩასაცმელი ზედატანია). ფეხსაცმლიდან აღსანიშნავია ფოთინი. **ფოთინი:** ყვითელი ტყავისგან იკერებოდა. ფოთინი ფრანგულისიტყვაა და ნიშნავს ყელიან ფეხსაცმელს. შემოსულია თურქულში, თურქულიდან კი აჭარაში გავრცელდა [**სამსონია, 2009:419**].

ოსმალთა ბატონობის დროს გვხვდება ქალის ტანისამოსის შემდეგი სახეები: თავსაბურავის ელემენტებიდან: ლეჩაქი, თავსაკრავი, თორი, თავსაჭირა, რომელთაც შემდეგში დაემატათ უცხოური სახელწოდებების ელემენტები: ფესი და თეფელუღი, დუვალი და ვალა.

წამოსასხამის ტიპის სამოსელია ჩადრი ანუ ჩარჩაბი. თავსაბურავის უცხო ელემენტების შემოჭრამ ხმარებიდან ვერ განდევნა ადგილობრივი თავსაბურავი. იგი ადგილობრივის გვერდით არსებობდა **[სამსონია, 2009:417, სახოკია, გვათუა, 1970: 136, მახარაძე, 2017:67]**.

თავსაბურავებიდან აღსანიშნავია **იაზმა**. ის ლეჩაქის ქვეშ მოსახვევი თავსაბურავია. იაზმას ქალბატონები სახლში იხურავდნენ. მუზეუმში ინახება ვარდისფერი ფერის იაზმა, დოლბანდით, [აჭმ. 1789, ეთნოგრაფიის განყოფილება, ინახება სკივრი N4.]. მასზე აღინიშნება ფოთლების, ყვავლებისა და ნახევარმთვარის გამოსახულებები. მცენარეული ორნამენტი დამახასიათებელია ადგილობრივებისთვის, ხოლო ნახევარმთვარის გამოსახულება კი არის გავლენა უცხო ქვეყნისა. აღნიშნული ექსპონატი მუზეუმში 1929 წელს შემოვიდა (**სურ.11**).

ოსმალთა ბატონობის დროიდან გავრცელდა ქალის თავსაბურავი, წამოსასხამი - **ჩადრი ანუ ჩარჩაბი**. იგი სპარსული წარმოშობის სიტყვაა და მუსლიმან ქალთა თავსაბურავს, ზეწარს ნიშნავს,რომელიცქალის სახესა და სხეულს ფარავდა. ჩადრს ლეჩაქზე ზემოდან იხურავდნენ ისე, რომ ქალებს მხოლოდ თვალები უჩანდათ. იგი დანიშნული ან გათხოვილი ქალის სამოსის ძირითად ელემენტს წარმოადგენდა. იკერებოდა ხელით **[სახოკია, 1950: 192-193]**. მუზეუმში ინახება (აჭმ. 19383/3, ეთნოგრაფიის განყოფილება, აქტიN28) აბრეშუმის ქსოვილის, ზოლებიანი ჩადრი. შემოსულია 1967 წელს, მოქალაქის ნ.დ. ბეჟანიძის მიერ (მახინჯაური). შედგება ორი ნაწილისგან. ინახება მუზეუმის ძირითად საცავში, ამჟამად ექსპოზიციაშია (**სურ.8**).

**ფეჩე:** ქალის პირსაბურავი, ბადისებურად ნაქსოვი. ჩადრთან ერთად იყო სატარებელი და მიზნად ისახავდა ქალის სახის დაფარვას. გავრცელდა მაჰმადიანობასთნ ერთად. მუზემში ინახება ფეჩე, თავზე საბნევით (აჭმ. 11310/2, ეთნოგრაფიული მუზეუმი), შავი ფერის, ბადისებურად ნაქსოვი, მუზეუმში შემუსულია 1946 წელს, 35 მანეთადაა შეძენილი, ამჟამად ექსპოზიციაშია (**სურ:7**).

**დუვალი და ვალა:** ორივე ქალის საქორწინო თავსაბურავია. ძირითადად იყო თეთრი ან წითელი ფერის [სამსონია, 2009:419]. მუზეუმში ინახება (აჭმ. ეთნოგრაფიული განყოფილება), თეთრი ფერის თავსაბურავი, რომელსაც ერთ მხარეს გაწყობილი აქვს სხვადასხვა სადღესასწაულო ლითონის აქსესუარები. (**სურ.9, 10**).

**ფესი:** ქალისა და მამაკაცის თავსაბურავი.მკვლევარები ზ.ჭიჭინაძე და თ. სახოკია აღნიშნავდნენ, რომ ოსმალთა პერიოდში აჭარაში ლეჩაქის მაგიერ შემოიღეს ფესი, ნიშნად მაჰმადიანობისა. **ფესი თეფელუღი:** თეფე თურქული სიტყვაა და მწვერვალს, ბორცვს ნიშნავს. ფესი თეფელუღი ლეჩაქის შიგნით სახმარი ნახევარსფეროს ფორმის ქუდი, რომელსაც მხოლოდ გათხოვილი ქალი ატარებდა. ზ.ჭიჭინაძის აზრით 1810-1820 წლბში ოსმალებს სურდათ აჭარელ ქალებში შემოეტანათ სხვადასხვანაირი ტანსაცმელი, მაგრამ მათი განძრახვა ვერ განხორციელდა. ერთხანს ქალები ფესის ტარებ ასაც შეაჩვიეს, მაგრამ ეს პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა. XIX საუკუნის 60 - იანი წლებისათვის აჭარელმა ქალებმა იუარეს ფესის

ტარება ჩადრქვეშ და მას აღარ ატარებდნენ [**ჭიჭინაძე, 1913:118**]. ფესმა ვერ შეძლო ხმარებიდან გაედევნა ქართული თავსაბურავი - ლეჩაქი.

**თორი:** ადგილობრივია, იგი ლეჩაქის სამაგრი იყო, თუმცა აღინიშნება უცხო ქვეყნის გავლენა. მუზეუმში ინახება 1971 წელს შემოსული (აჭმ. 19850/2, ეთნოგრაფიის განყოფილება,) მუქი ლურჯი თორი, მრგვალი ფორმის, ლენტით. ხულოს რიყეთისა და დიოკნისის სოფლების საბჭოში მუზეუმის ექსპედიიც დროს შეგროვებული მასალებიდან. გაწყობილია წვრილი ქვების ქართული ორნამენტებით, ფერადი ციმციმებითა და ნახევარმთვარით. სწორედ ამ უკანასკვნელ ორნამენტებში იგრძნობა ოსმალთ გავლენა (**სურ.14, 15**).

**ჩათაკა:** ქალის ზედა სამოსია. სიტყვა თურქული ენიდან შემოვიდა და ქურთუკს ნიშნავს. ჩათაკა 2 ნაწილისგან შედგება - წინა კალთისა და უკანა ერთი ქანისაგან. მას პატარა და მაღალი საყელო ჰქონდა. ჩათაკამ ისე მოიკიდა ფეხი, რომ სიხმა მთლიანად გამოდევნა ყოფიდან. [**ვარშალომიძე,1986: სამსონია, 2005: 201; მახარაძე,2017:65**] მუზეუმში ინახება (აჭმ.1610, ეთნოგრაფიის განყოფილება) 1933 წელს , 32 მანეთად ნაყიდი ჩათაკა. მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის ადგილობრივი, მასზე ორნამენტები მცენარეული ხასიათისაა. იგი ინახება ძირითად საცავში. ამჯერად ექსოზიციაშია (**სურ. 16**).

**ფეშტემალი (წინსაფარი):** თურქულ-სპარსულიდანაა შემოტანილი და წინსაფარს ნიშნავს. ქალის ტანსაცმლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. იგი წელიწადის ყველა დროის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა. მის გარეშე სახლიდან გასვლა ქალისთვის თითქმის სირცხვილად ითვლებოდა. იგი შინნაქსოვი უხეში ძაფისაგან იქსოვებოდა. მზადდებოდა სადედოფლო ფეშტემალებიც, რომელიც გამოირჩეოდა ხარისხითა და სილამაზით. მუზეუმში ინახება (აჭმ. 7674/2, ეთნოგრაფიის განყოფილება) აბრეშუმის, შავი ფერის, ნაკეცებით. ფერადი ძაფებით ნაქსოვი ბაღების სარტყელით. შეძენილია 1976 წელს, მერი ქათამაძისგან (სოფელი ჭვანა). (**სურ.12**)

აჭარის გეოგრაფიულ სინამდვილეში სამი ტიპის კაბა არსებობდა: ზუბუნ-ფარაგა, დატეხილი კაბა, ფორკა კაბა. ქვედა კაბას უფრო ფართო გამოყენება ჰქონდა ვიდრე მთლიან კაბას.

**ზუბუნ-ფარაგა:** ზუბუნი თურქული წარმოშობის სიტყვაა და ქურთუკს ნიშნავს. აჭარელი ქალის ჩაცმულობის ძველი ელემენტია. [**გვათუა,1970:232; შალიკავა, 2010: 356; ჩოფიკაშვილი,1964:243; ბეზარაშვილი,1974:124; სამსონია, 2005:48**]. ზუბუნ-ფარაგა სადა, მთლიანი ბოლომდე გახსნილი ქალის კაბის სახეობა იყო აჭარაში. მისი შეკერვა-ქონა ყველას არ შეეძლო. ზუბუნ-ფარაგა დატეხილმა კაბამ მთლიანად შეცვალა. მუზეუმში დაცული ეს ექსპონატი (აჭმ. N 1611, ეთნოგრაფიის განყოფილება,) ვარდისფერია. წელში ნაოჭდაყრილი, წინ გახსნილი. გეომეტრიულ ორნამენტებში კარგადაა წარმოდგენილი ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები. შემოსულია ხულოს რაიონი სოფელი ღორჯომიდან, 1933 წელს

(**სურ.4**)

აჭარელი ქალის ზედატანის ჩაცმულობაში ერთ-ერთი წამყვანი იყო სიხმა, რომელიც განსაკუთრებული გემოვნებითა და სიფაქიზით გამოირჩევა. მისი ორი სახეობა დასტურდება: გულამოჭრილი და გულდახურული. სიხმა ორნამენტებით გამოირჩეოდა. გვხვდება შემოქმედებითი მიდგომის ზევრი ვარიანტი. აღსანიშნავია, რომ სიხმა აჭარაში უცხო გარემოდან შემოიჭრა და ის არ არის ადგილობრივი. თუმცა მან განიცადა ცვლილებები ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისად. ეს გამოიხატება ქართული სამოსისათვის დამახასიათებელ წელზე გაწყობილ საგულე ნაწილის ქართული ორნამენტებით შემკობაში. მორთულობაში დომინირებს გეომეტრიული, ზოომორფული სახეებისა და მოტივების ნაირგვარობა. გვხვდება ჯვარი, რომელიც ძველი ქართული ორნამენტია და წინარექრისტიანული ხანიდან მომდინარეობს. სწორედ ჯვარი განასხვავებს აჭარელი ქალის სიხმას, სხვა ქალის სამოსისაგან. ფერებს კი არჩევდნენ ასაკისა და გემოვნების მიხედვით [**ციციშვილი,1964: 211; ჩოფიკაშვილი, 1964: 187; ვარშალომიძე, 1986:218; მახარაძე, 2017: 64**]. მუზეუმში არსებული აღნიშნული ექსპონატი (N 21814/2, ეთნოგრაფიის განყოფილება, აქტი N30 ) შემოსულია 60 მანეთად, მოქალაქის ჟუჟუნა ხილაძისაგან, სოფელი ნაღვარევიდან. არის შავი ფერის წელსზედა ჩასაცმელი სარჩულით. გულისპირი და სამაჯურები მოქარგულია ფერადი ძაფებით. მასზე კარგადაა ასახული ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები. წელზე გაწყობილ საგულე ნაწილში დომინირებს გეომეტრიული, ზოომორფული სახეებისა და მოტივების ნაირგვარობა. გვხვდება ჯვარიც. სიხმა ამჟამად ექსპოზიციაშია (**სურ.2**).

**ხელთემენა:** იგი მზითვის ერთ ერთი-მთავარი ნივთი იყო. მას აჭარელი პატარძლები უფროსებთან მისალმების დროს ხელზე იფარებდნენ ნიშნად პატივისცემისა და სტუმართმოყვარეობისა. მუზეუმში დაცულია ხელთემენა (აჭმ.911/3, ეთნოგრაფიის განყოფილება, აქტი N 7), შემოსულია 1980წ, ს.მ. ჭაღალიძისგან. (შუახევი სოფ. ინწკირვეთი). გახლავთ აბრეშუმის ქსოვილის, ყვითელი, მართკუთხა ფორმის ქვებით გაწყობილი, ბოლოვდება ფოჩებით. მასზეც აღინიშნება მონეტები და მთვარისებრი ორნამენტები. ინახება მუზეუმის ძირითად საცავში, ამჟამად ექსპოზიციაშია (**სურ.1**).

ჩაცმულობის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი იყო **სამკაულები**. ქალბატონები ძირითადად იკეთებდნენ საყურეს, ბეჭედს, სამაჯურს, ქამარს, ჯილჯილს (ყელსაბამი), კორდომს (ქალისსამკერდე სამკაული). ადგილობრივი ნაწარმი გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტებით იყო გაფორმებული. ჩამოთვლილ აქსესუარებში იგრძობა ოსმალთა გავლენა. მათზე გამოსახული ნახევარმთვარე და მსგავსი ტიპის ფორმები სწორედ ამ პერიოდის გავლენას უკავშირდება. ხშირად შემოჰქონდათ მზა თურქეთიდან.

მუზეუმში ინახება **გულსაკიდი ძეწკვზე**, სპილენძის, (აჭმ.20150/1, ეთნოგრაფიის განყოფილება, აქტი N 6), შემოსულია 1976 წელს, ხასან იუსუფის ძე ფუტკარაძისგან, შუახევის

რაიონი სოფელი დღვანი. ძეწკვზე ასხმულია მრგვალი და თხელი მონეტები, ფილიგრიმებულია წეთელი ფერის ქვებით. ამ ფორმით ჩანს გავლენა სამკაულებზეც (**სურ.6**).

ასევე აღსანიშნავია მუზეუმში დაცული **ლითონის ჩაჩო** (აჭმ.19322/2, ეთნოგრაფიის განყოფილება, აქტი N 18), იგი გახლავთ ქალის ტავის მორტულობის სამკაული, მრგვალი, ჯამისებური, რელიეფური, წრიული და ხვეული ორნამენტებით. ცენტრში ამობურცული კოპით. შემოსულია 1968 წელს მოქალაქის ქ.ა. შერვაშიძისაგან (ბათუმი), (**სურ.5**).

ამრიგად, ოსმალთა ბატონობის პერიოდში აჭარაში ქართველი ქალის ჩაცმულობამ განიცადაუცხოქვეყნისგავლენა, თუმცამოხერხდაეროვნულისამოსისათვის დამახასიათებელი ნიშნების შენარჩუნება.

მამაკაცის („საკაცო") ტანსაცმელი ქალის სამოსელთან შედარებით ერთფეროვნებით გამოირჩევა,გავლენაც შედარებით ნაკლებია. ტანსაცმელში შედიოდა: შარვალ-ახალუხი, ჩოხა, ქამარი, ფესი-პატარა ქუდი, ტყავის ქალამანი, შალის წინდები და სხვა..თუმცა მამაკაცის სამოსშიც შეიმჩნევა ოსმალთა ბატონობის გავლენა. დ. ბაქრაძე თვის ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში" ამბობს: „ბათუმს ბლომად ეტანებიან ჩურუქსუელები, აჭარლები და ლაზები. მათ ყველას ერთნაირად აცვია. მათ ტანსაცმელს შეადგენს თურქული თავსახვევი ანუ ჩალმა, მოკლე კურტაკი, ადგილობრივი მაუდის ვიწრო შარვალი და ფართო სარტყელი, რომელიც წელზე აქვთ შემოხვეული" [**ბაქრაძე,1987:24**].

ასევე ოსმალთა ბატონობის დრო ვრცელდება ფესი- მამაკაცის კონუსის ფორმის მრგვალი და მყარი ქუდი, ზემოდან შავი ფერის ძაფებით შეკრული და გვერდზე გადმოშვებული ფუსკული ჰქონდა დამაგრებული.

**ყაბალახი:** მამაკაცის თავსაბურავი იყო. მას ძირითადად მატყლისგან ამზადებდნენ. ყაბალახს 3-5 ადლი ქსოვილი სჭირდებოდა. დიდი მოწონება ჰქონდა ოსმალური სკალატისაგან შეკერილ ყაბალახს. ამ სახის ქსოვილი თურქეთიდან შემოჰქონდათ. მუზეუმში ინახება (აჭმ.22348/4, ეთნოგრაფიის განყოფილება, აქტი N12), შემოსულია მოქალაქის ქათამაძისგან, 1983 წელს. თეთრი შალის ქსოვილისგანაა შეკერილი, შეკეცილი აქვს კიდეებიკანტით და ფოჩით (**სურ.13**).

მთისა და ბარის ტანსაცმელი ერთმანეთისგან განსხვავებული იყო. ბარის ზონაში გავრცელებული იყო ჩაქურა. იგი ჩოხის ზედატანს წარმოადგენდა და წელს ზემოთ ჩასაცმელი იყო. სამოსის ამ სახეობის სახელწოდება დაკავშირებულია ჩაქვთან, სადაც პირველად დაუწყიათ ჩაქურას კერვა. მას შეძლებული პირები ატარებდნენ.

აჭარული **ჩაქურა** მეტად თავისებური თარგისაა და მსგავსი სხვა ყოფაში არ გვხვდება. ჩაქურა არ არის ადგილობრივი იგი დამკვიდრებულია უცხო კულტურის გავლენით. თუმცა შეიცავს ქართული ჩოხისთვის დამახასიათებელ ელემენტებს. იგი განიცდის სხვა კულტურის გავლენას, კერძოდ მისი უბე ძლიერ განიერია, ტოტები კი ვიწრო. უბესთან წელამდე ჩადგმული

აქვს მართკუთხა ფორმის ნაჭერი, რომელიც უბეს აძლევს დიდრულეს.უბის ქვემო ნაწილი ოვალურია. შარვალს უკანა უბეზე გრძლად დაყოლებული აქვს ათი ხელის დადება დაკეცილი შალის ნაჭრები. შარვალს ჯიბეები არ აქვს, შარვალს მუხლთან სარაჯები აქვს დაკერებული [**ციციშვილი, 1964:289; სამსონია,1986:417, მახარაძე, 2017:68**]. მუზეუმში წარმოდგენილია ჩაქურა (აჭძ.1075/1, ეთნოგრაფიის განყოფილება, აქტი N1) წითელი ფერის კომპლექტი, მაუდის ქსოვილისგან დამზადებული. შემოვიდა 1947 წელს მიქელაძე მარიამისგან (ბათუმი), ამჟამად ექსპონატი ექსპოზიციაშია (**სურ.3**).

აჭარაში სამოსი მნიშვნელოვან ელემენტს შეადგენდა ფეხსამოსი და ფეხსაცმელი. გავრცელებული იყო: წინდა, (ჭრელი წინდების სახეებია-თევზიფხა, ციცისკუდი, ნუშისგული, კუჭიანი..), პაიჭი, კარაჭინი, ქალამანი, წუღა, ფოთინი, ჩილატანი,ზანკალი.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აჭარული სამოსი განვითარების თვალსაზრისით განიცდის უცხო ქვეყნის გავლენას და შეიცავს მთელ რიგ სპეციფიკურ ნიშნებს, თუმცა მიუხედავად ამ ცვლილებებისა იგი მაინც ინარჩუნებს ეროვნული კულტურისათვის დამახასიათებელ ძირითად იერსახეს.

დასკვნა: ქართული ეროვნული სამოსი საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და ამავე დროს სერიოზულ ცვლილებებს განიცდიდა, როგორც ბუნებრივი განვითარების საფუძველზე, ისე მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის შედეგად. გავლენა უცხო ქვეყნებისა კულტურის თითქმის ყველა სფეროზე აისახა. წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილებული იქნა აჭარულ სამოსზე. მის განვითარება-ცვლილებებსა და გავლენის შედეგებზე.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ სამოსზე, რომლებიც ოსმალთა ბატონობის დროს იქნა გავრცელებული და დაცულია აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში.

გავლენა ტანისამოსში აისახა სხვადასხვა სახით: ორნამენტებში, ეტიმოლოგიაში, დიზაინში.... ცხადია ეს ყოველივე ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის შედეგია. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა ქართველმა ერმა მაინც მოახერხა ეროვნული, ტრადიციული სამოსის შენარჩუნება.

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. ბატონიშვილი ვ., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941;

2. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბილისი 1987;

3. ბეზარაშვილი ც., ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი, 1974;

4. გვათუა ნ., ქართველ ქალთა ჩაცმულობა,თბილისი, 1970;

5. გვათუა ნ.,ჩაცმულობის ისტორიიდან (ქალის ქართული ჩაცმულობა XIX და XX სს დასაწყისი) თბილისი, 1967;

6. ვარშალომიძე ჯ., ხალხური დეკორატიული ქსოვილები და ნაქარგობა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა XIII) თბ.1986;

7. ზუტნერი ა., აჭარლები, თბ.2007 წ;

8. **მახარაძე შ.,** ტრადიციული სამოსი აჭარაში, მუზეუმის მაცნე IX, ბათუმი, 2017;

9. მური ჟ., ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი 1962;

10. ნოღაიდელი ჯ., ეთნოგრაფიული ნარკვევები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, 1935;

11. სამსონია ი., ტანსაცმელი და ჩაცმულობა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II) ბათუმი 2009;

12. სამსონია ი ., ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი 2005;

13. სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი 1985;

14. ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993;

15. ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი, აჭარა, ბათუმი 2019 წ;

16. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, თბილისი, 1995;

17. შალიკავა მ., უცხოელი მოგზაურები აჭარული ჩაცმულობის შესახებ, (აჭარის საარქივო სამმართველო), ბათუმი 2010;

18. ჩოფიკაშვილი ნ., ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს), თბ. 1964;

19. ციციშვილი ი., მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბ. 1964;

20. ჯავახიშვილი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. III-IV, თბ.1962;



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14



სურ. 15

# აჭარის მუზეუმებში დაცული „ლაზური“ ცულების კოლექცია

# A collection of “Laz” axes preserved at Ajara Museum


**ნუგზარ მგელაძე**

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის*

*სახელმწიფო უნივერსიტეტი. ისტორიის*

*აკადემიური დოქტორი. პროფესორი*

**თემურ ტუნაძე**

*აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო.*

*ტასუ-ს პროფესორი, ისტორიის აკადემიური დოქტორი*

**Nugzar Mgeladze**

*Batumi Shota Rustaveli State University.*

*PhD in History, Profesor*

**Temur Tunadze**

*Cultural Heritage Protection Agency of Ajara.*

*Profesor at St. Tbel Abuseridze Teaching University. PhD in History*



**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.18



**აბსტრაქტი:** ცული, როგორც სამეურნეო, საბრძოლო თუ საკრალური შინაარსის მქონე იარაღი უძველესი დროიდან დიდ როლს ასრულებდა ადამიანის ცხოვრებაში. სამხრეთ კავკასიაში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, მათ შორის დასავლეთ საქართველოს არეალი არქეოლოგიური ცულების ფართო მრავალფეროვნებით ხასიათდება, რასაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ხის ჯიშების სიმრავლე, მეტალურგიის მაღალი დონე და მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარება. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ცულის ფორმათა დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც შესაბამისი შრომა-საქმიანობის ფუნქციური დიფერენციაციის შედეგიცაა. ამასთანავე სახეზეა აქრეოლოგიური და ეთნოგრაფიული ცულების ფორმათა საინტერესო თანხვედრა. ამ საკითხის უფრო მეტ თვასაჩინოებას ემსახურება წარმოდგენილი სტატია, სადაც აჭარის მუზეუმში დაცული ცულების ორი ჯგუფია დახასიათებული. პირველ ჯგუფში ერთიანდება ცულები, რომელთა წინა ნიღრი ასწრებს უკანას, ანუ უკანა ნიღრი მაღლაა აწეული და ამასთანავე ცულის პირი მთლიანად შიგნითაა შემოსული; 2. მეორე ჯგუფში ერთიანდება ცულები მკვეთრად გამოხატული გრძელი სატარე ხვრელითა და ფართო პირით. ამ ჯგუფის ცულებს ასევე მკვეთრად გამოხატული ვიწრო წელი ახასიათებთ, რითაც ისინი განსხვავდებიან სხვა სახის ცულებისაგან.

**საკვანძო სიტყვები:** ცული, მუზეუმი, არქეოლოგია, ეთნოლოგია

**Abstract:** An axe as an agricultural, battle or ritual weapon played a significant role in human life from ancient times. In the south Caucasus, the south-east Black Sea coast, including the western part of Georgia, is distinguished with a broad variety of archaeological axes, which was significantly conditioned by a large number of wood species, high levels of metallurgy and development of various agricultural fields. In respect of ethnography, southwest Georgia is characterized by a great diversity of axe shapes, which is a result of the functional differentiation of relevant activities. Herewith, an interesting similarity between the archaeological and ethnographical axes' shapes is revealed. The presented article aims to clearly demonstrate this issue and provides the characteristics of two groups of axes represented in Adjara Museum. The first group includes the axes, a toe of which precedes a heel i.e. a heel is pulled up and also, an axe blade is completely pushed in; the second group consists of axes with a large and long eye and broad blade. The axes of this group are also characterized by a narrow cheek (middle part of an axe), which distinguishes them from other types of axes.

**Keywords:** Axe, museum, archaeology, ethnology

ცული ადამიანის შრომა-საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იარაღია, რომელიც ადამიანთან უძველესი დროიდან, კერძოდ პალეოლითის დროიდანვე იყო დაკავშირებული. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო და მრავლისმომცველი მასალებია თავმოყრილი [რამიშვილი, 1974; სახაროვა, 1988; ქორიძე, 1965; ჯაფარიძე, 1950; Крупнов, 1960; Микеладзе, 1990; მინდორაშვილი, 2021]. მსოფლიოს ხალხებში ცულთან დაკავშირებული მსგავსებები, ხანგრძლივი დაკვირვებისა და ემპირიული ცოდნა-გამოცდილების დაგროვებისა და განვითარების პარალელურად, ტექნოლოგიური პროგრესის შედეგიცაა, სადაც ოსტატისათვის ყველა სახის სიახლის აპრობაციის უპირველეს ამოცანას ნივთის ფორმისა და ფუნქციის ჰარმონიული თავსებადობა წარმოადგენდა.

სამხრეთ კავკასიაში საქართველო და მათ შორის სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ტყით მდიდარი რეგიონია და მატერიალურ კულტურაში ეს რესურსი საკმაოდ მრავალფეროვანი ნიმუშებითაა წარმოდგენილი, მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები და მასთან დაკავშირებული ხის ელემენტების მრავალფეროვნება, ხის სამეურნეო იარაღები, ხის ჭურჭლეულობა თუ სხვა სახის ტექნოლოგიები, რომლებშიც ხის ჯიშების ცოდნისა და დამუშავების მაღალი კულტურა ჩანს. ეს პირდაპირ კავშირშია ცულის კულტურასთან და ზოგადად, რკინის ინვენტართან. ამ კუთხით გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ცნობილია, როგორც უძველესი მეტალურგიული

კერა. ხისა და რკინის დამუშავებასთან დაკავშირებული ემპირიული ცოდნა-გამოცდილება აქაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იყო. ცულისა და მისი მსგავსი იარაღ-ინვენტარის მრავალფეროვნებაც ამაზე მიუთითებს. არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მასალებშიც ცულის ფორმათა მრავალგვარობას ვხვდებით, რაც ფუნქციური დიფერენციაციის მაღალ კულტურაზე მიუთითებს და ადასტურებს, რომ ფორმა-ფუნქციის თავსებადობა ცულთან დაკავშირებით სხვადასხვა ხასიათისა იყო. ამ კუთხით ძალიან საინტერსოა, მაგალითად, კოლხური ცულის ადგილობრივი წარმომავლობის საკითხი, რაც ნათელს ხდის კოლხეთის და არა მარტო ამ არეალის, მოსახლეობის დამოკიდებულებასა და მიგნებებს ცულის, როგორც სამეურნეო თუ საბრძლო იარაღის სრულყოფის თვალსაზრისით. ამასთანავე ლოგიკურია, რომ კოლხებმა და, საერთოდ, ქართულმა ემპირიულმა ცოდნა-გამოცდილებამ კოლხური კულტურის წიაღში ცულთან დაკავშირებით მიღწეული მიგნებები, მეტალურგიული მიღწევების პარალელურად, შემდგომშიც - რკინის ხანაშიც განავითარა. ამგვარ დაკვირვებებსა და მიგნებებს, ანუ სათანადო შრომა-საქმიანობათან მისადაგებული ცულის ახალი ფორმების შექმნას, ადამიანი მუდმივად ახორციელებდა, რაც ტრანსმისიის წესით ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომ პერიოდამდეც შემოინახა. თავის მხრივ, ეს გარემოება სამეურნეო კულტურის ტარდიციულობისა და მდგრადობის მაჩვენებელიცაა, რასაც ქართველი ხალხი უძველესი დროიდან უწყვეტად, შესაბამის ეკოლოგიურ გარემოსა და გეოგრაფიულ არეალში მისდევდა. ამ პროცესს უცხოური გავლენებიც ახლდა, მაგრამ, როგორც წესი, ყველა ინოვაციური ტექნოლოგიური ელემენტი მიმღები ხალხის მიერ ტრადიციული კულტურის წიაღში ადაპტირდებოდა და სახეცვლილი ანდა უცვლელი სახით მკვიდრდებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით საინტერესო დაკვირვებები არსებობს, რომელთა მიხედვითაც არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ცულის ფორმები ბევრ საკითხში ერთმანეთთან თანხვედრაშია და განვითარების უწყვეტობას ადასტურებს [რეხვიაშვილი, 1964:136,138; მგელაძე, ტუნაძე, 2007:52-38].

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ცულების გენეზისის, ასევე, ურთიერთმიმართების, ფორმისა და ფუნქციის თავსებადობისა და დინამიკის კვლევის თვალსაზრისით სამუზეუმო კოლექციებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მათში ცულების საინტერესო ფორმებია შემონახული. მოცემულ შემთხვევაში ყურადღება გვსურს შევაჩეროთ აჭარის მუზეუმში დაცული ცულების ერთ ნაწილზე, რომელსაც პირობითად „ლაზური ცულების კოლექცია" ვუწოდეთ.

ტერმინი „ლაზური ცული" სამეცნიერო ლიტერატურაში ახალია. მანამდე ამ სახის ცულებისმიმართგამოიყენებოდატერმინები:„ფრანცისკები",„წებელდურიცული",„ეგრისული ცული", „წვერებიანი ცული"[1]. ცულების სახელწოდებათა ამგვარი მრავალფეროვნების გამო

1. ამ საკითხთან დაკავშირებით არქეოლოგიურ ლიტერატურაში ვრცელი ბიბლიოგრაფია არსებობს.

სათაურში სიტყვა „ლაზური" ფრჩხილებში ჩავსვით იმ მოტივით, რომ ამ ცულის გენეზისის კვლევა სპეციალურ ანალიზს საჭიროებს [მინდორაშვილი, 2021:27. იხ. იქვე შესაბამისი ბიბლიოგრაფია]. ფაქტია, რომ ამგვარი ცულები ბოლო დრომდე ლაზურმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ შემოინახა და ამიტომაცაა, რომ არქეოლოგიურთან ერთად [კახიძე, ვიკერსი, მამულაძე, 2000:70-82; მამულაძე, ქამადაძე, 2017:302-322], ეთნოლოგიურ ლიტერატურაშიც მას „ლაზური" უწოდეს [კახიძე, 2010:12-17].

აჭარის მუზეუმში ცულების ფართო სახესხვაობებია დაცული, თუმცა აღნიშნულ კოლექციაში ცულები წინასწარი შერჩევითაა წარმოდგენილი, რის გამოც ისინი რამდენიმე საერთო ნიშნის მიხედვით გავაერთიანეთ: 1. ტარისა და ნიღრების ურთიერთმიმართება, სადაც უკანა ნიღრი წინასთან შედარებით მაღლაა და ცულის პირი მთლიანად შიგნითაა შეწეული; 2. სატარე ყუასა და პირთან მიმართებაში ცულის წელი მნიშვნელოვნად ვიწროა. ჩვენის აზრით, ამ სახის ნიშან-თვისებას „ლაზური" ცულების კვლევის შემდგომ ეტაპზე არსებითი მნიშვნელობა მიენიჭება, რამდენადაც ეს ნიშნები ცულის თვისობრივი მახასიათებლებიცაა და მის ფუნქციაში აისახება. მოცემული ნიშნების მიხედვით აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული „ლაზური" ცულების კოლექციაში ცულების ორი ჯგუფი შეიძლება გავმიჯნოთ: 1. პირველ ჯგუფში ერთიანდება ცულები, რომელთა წინა ნიღრი ასწრებს უკანას, ანუ უკანა ნიღრი მაღლაა აწეული და ამასთანავე ცულის პირი მთლიანად შიგნითაა შემოსული; 2. მეორე ჯგუფში ერთიანდება ცულები მკვეთრად გამოხატული გრძელი სატარე ხვრელითა და ფართო პირით. ამ ჯგუფის ცულებს ასევე მკვეთრად გამოხატული ვიწრო წელი ახასიათებთ, რითაც ისინი მკვეთრად განასხვავდებიან სხვა სახის ცულებისაგან.

ქვემოთ წარმოვადგენთ სპეციფიკური თვისებების მიხედვით გაერთიანებული ცულების აღწერილობას:

**I ჯგუფის ცულები.**

**ცული № I. საინვენტარო ნომერი: აჭმ. №20098/11.**

მუზეუმის საინვენტარო წიგნის ჩანაწერის მიხედვით ცული 1974 წელს ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში შ. გაბაიძის საცხოვრებელი სახლის საძირკვლის გათხრისას შემთხვევით იპოვეს.

ცული სწორი და სოლისებური აღნაგობისაა. სატარე და შუაწელი სიფართეში თითქმის ერთნაირი და სწორხაზოვანია. ცულის პირი ტანთან მიმართებაში დაახლოებით 90°-ს ქმნის და მთლიანად შიგნითაა შემოსული. ცულის შუბლის ხაზიც სწორია. ცულის სატარე მცირედ დეფორმირებულია – გვერდზე გადახრილი. ცული მთლიანობაში, მათ შორის,

---

მეტნაკლებად განზოგადებული სახით კი იხ.: მინდორაშვილი, 2021:24-28.



სატარე ხვრელიც, ჟანგისგან დაზიანებულია, რაც შესაძლოა პროპორციების აღქმას ართულებდეს, თუმცა სატარე ნახვრეტი ოვალური ფორმის ჩანს და ქვემოთკენ წაწვეტებულია. სამჭედლოში ცულის სატარე რკინის ფირფიტის მოღუნვა-შემოხვევის წესითაა დამზადებული. შესამჩნევია ყუის სისქე, რომელიც კვერის იმიტაციას ტოვებს. ცული სიმაღლეში 18 სმ-ია, ხოლო პირის სამუშაო ნაწილის სიგრძე 11 სმ. სატარე ხვრელის სიმაღლე 4 სმ-ია, ხოლო ცულის ყუის სისქე 1.5 სმ.

**ცული № II. საინვენტარო ნომერი: აჭმ. №21982.**

მუზეუმის საინვენტარო წიგნის ჩანაწერის მიხედვით ესაა „ცული სამკუთხა პირით და სამკუთხა სატარე ყუით". მუზეუმში შესულია 1982 წელს, სოფელ ერგედან მუზეუმის თანამშრომლის ნაზი ლორთქიფანიძის მიერ.

ცული სწორი ტანით ხასიათდება. შუბლის ხაზი ტართან მიმართებაში მახვილკუთხაა, რაც განაპირობებს იმას, რომ წინა ნიღრი შიგნითაა შემოწეული.



ცულის პირი მთლიანად შიგნითაა, ხოლო უკანა ნიღრი წინასთან შედარებით 3 სმ-ით მაღლაა. შესაბამისად დარტყმის დროს სამუშაო ზედაპირს პირველი წინა ნიღრი ხვდება. ცულის სატარე სიგრძით 4,2/3,5 სმ-ია. სატარეს შემდგომ ცულის წელი მკვეთრად ვიწროვდება და ყველაზე ვიწრო მონაკვეთში 2,5 სმ. უდრის. შემდგომ ცულის პირი მნიშვნელოვნად ფართოვდება, ხდება ასიმეტრიული და შიგნით შემოსული. ცულის სამუშაო ნაწილი 11,6 სმ-ს უტოლდება. სატარე ხვრელი წაკვეთილი კონუსისებურია, ქვემოთკენ ვიწროვდება და კუთხეები მომრგვალებული აქვს. ყუის თავი ბრტყელია, თუმცა მას მკვეთრად გამოკვეთილი ფორმა არ აქვს. იგი 0,6 სმ სისქისაა. სატარე სიმაღლეში 3,5 სმ-ია. მისი ზედა – ფართო ნაწილი 4 სმ, ხოლო ქვედა ნაწილი 2 სმ-ის ტოლია. ცული სიმაღლით 17,8 სმ-ია.

**ცული № III. საინვენტარო ნომერი: აჭმ. №23387/8.**

მუზეუმის საინვენტარო წიგნის მიხედვით ესაა „ნაჯახი, წერტილოვანი ნაჭდეებით". ცული 2007 წელს მუზეუმს ამავე მუზეუმის თანამშრომელმა ბიძინა აფხაზავამ გადასცა.

ცული წელში მოხრილია ტარისკენ. ცულს წელი – შუატანი არ აქვს გამოკვეთილი. სატარე ნახვრეტის შემდგომ ცული შუატანში მკვეთრად ვიწროვდება, შემდგომ ფართოვდება და სწორი ხაზით უკანა ნიღრს უკავშირდება. წინა მხრიდან თუ შევხედავთ ცული სოლისებურია და აშკარად ჩანს, რომ მისი პირი და სატარე სხვადასხვა მასალისაგანაა დამზადებული,



შესაძლოა მჭედელმა თავდაპირველადაც ასე გადაწყვიტა, ანდა ცული მეორადი ნაწილებისგან შეარემონტა და ამგვარი შედგენილი სახით ცულმა ჩვენამდე მოაღწია. ცულის ტანზე წერტილებისაგან შედგენილი წრიული ორნამენტია გამოსახული. ცული სიმაღლით 12,2 სმ-ია. სატარე სამკუთხა-ტრაპეციული ფორმისაა და კუთხეებმომრგვალებულია. სატარე ნახვრეტი სიმაღლით 3,5 სმ-ია. ზევითკენ 3, ხოლო ქვედა ნაწილში 1 სმ-ის ტოლია. ყუა ბრტყელია და გვერდებთან შედარებით სქელი - 0,8 სმ-ია. ყუა დაჩეჩქვილია, რაც მიუთითებს, რომ თავდაპირველად იგი შედარებთ უფრო სქელი იქნებოდა. ცულის პირი გორდაა. უკანა ნიღრი წინასთან შედარებით 0,5 სმ-ით მაღალია.

**ცული № IV. საინვენტარო ნომერი: აჭმ. №23586/2.**

მუზეუმში შემოსულია 2016 წელს მუზეუმის თანამშრომლის შოთა აბაშიძისაგან, შუახევის რაიონის სოფელ ქიძინიძეებიდან. საინვენტარო წიგნში გატარებულია, როგორ „ნაჯახი“.



ცული ძირითადად სწორი – შიგნით შემოწეული ტანისაა. შუბლის ხაზიც თითქმის სწორია, თუმცა სატარე ხვრელის ქვემოთ ერთგვარი ბურცობისებურად წინაა წაზნექილი. ამჯერად ძნელი სათქმელია მჭდელმა ამგვარი შაბლონით ცულს ეს ბლაგვი წანაზარდი რა მიზნით გაუკეთა. ცული სიმაღლით 16 სმ-ია. ყუა მცირედ გამოკვეთილი კონუსური ფორმისაა და სისქით 1,1 სმ-ია. სატარე ცულის ზომასთან შედარებით მასიურ შთაბეჭდილებას ტოვებს. გვერდხედით ცულის ყუა და პირი თითქმის თანაბარია. სატარეს ნახვრეტი 5 სმ. სიმაღლისაა. ზემოდან ქვემოთ კონუსურად შევიწროებული. ტარის სიფართე ზემოთ 2,5 სმ, ხოლო ქვედა მხარეს 1,5 სმ-ია. ცულის სატარე სიგრძით 5,5/4,5 სმ-ია. სამუშაო პირის ზომა ნიღრებს შორის 7,5 სმ-ია. ორივე ნიღრი ბლაგვია. პირი სწორი, თუმცა ნიღრებისკენ მომრგვალებულია. ცულის წელი – შუატანი გამოკვეთილი არაა. სატარე ხვრელის ქვემოთ, შიდა მხრიდან, მცირე ქუსლისებური წანაზარდი აქვს, რომლის ქვემოთ ცულის შიდატანი უკანა ნიღრს სწორხაზოვანად უერთდება. წინასთან შედარებით უკანა ნიღრი შიგნითაა და, ამასთანავე, 2,5 სმ-ით მაღლაა აწეული.

**ცული № V. საინვენტარო ნომერი: აჭმ. №21142.**

მუზეუმის სანვენტარო წიგნში აღნიშნულია, რომ ესა ნაჯახი. „კოლხურის” ფორმის,

ოვალური პირით. მუზეუმში შესულია 1977 წელს ხულოს ექსპედიციიდან.



ცული დახვეწილი პროპორციებით ხასიათდება. ყუა ტრაპეციულია, ზედა მხრიდან სისქით 0,9 სმ-ია და მცირედ დაჩეჩქვილია. სატარე ნახვრეტიც ტრაპეციისებურია და ზემოდან ქვემოთ ვიწროვდება. ზედა ნაწილში 2,4 სმ, ხოლო ქვედა ნაწილში 1,5 სმ-ია. სიმაღლე 3,3 სმ-ს უდრის. სატარეს კედლები ზომიერად სქელია, სიგრძითაც ერთნაირია და 3,5 სმ-ის ტოლია. სატარეს ქვემოთ წელი მკვეთრად ვიწროვდება, და სწორედ უკავშირდება უკანა ნიღრს, რომელიც შიგნითაა მოქცეული და წინა ნიღრთან შედარებით 1,5 სმ-ით მაღლაა აწეული. ცულის სამუშაო პირი ოდნავ ოვალურია. ნიღრებს შორის მანძილი, ანუ ცულის პირი 8 სმ-ის ტოლია. წინხედით ცული სოლისებურია და შესამჩნევად სიმეტრიულიცაა.

**ცული № VI. საინვენტარო ნომერი: აჭმ. №19675/17.**

მუზეუმის სანვენტარო წიგნში აღნიშნულია, რომ ესაა „ოთურა" ოვალური პირით, სქელი ტანით. მუზეუმში შესულია 1969 შუახევის ექსპედიციიდან.



ცულს მცირედ მოხრილი ტანი აქვს. შუბლის ხაზი სატარე ნახვრეტის ქვემოთ შიგნითაა შეწეული, ხოლო შემდგომ წინა ნიღრი ოდნავ წინაა წასული. უკანა ნიღრი უფრო შიგნითაა შეწეული და წინასთან შედარებით 1.5 სმ-ით მაღლაა. ყუა ბრტყელია და საგრძნობლად დაჩეჩქვილი, დეფორმირებული და გვერდზე გადაწეული. სატარე ნახვრეტი წაკვეთილ სამკუთხედს ჩამოგავს. სიმაღლე 3,5 სმ-ია. კუთხეები ოდნავ მომრგვალებულია. ცულის პირი მცირედ ოვალურია და 9 სმ-ის ტოლია. წინხედით ცული მკვეთრად გამოხატული სოლისებური ფორმისაა. ცული სიმაღლეში 14,5 სმ-ია.

**ცული № VII. საინვენტარო ნომერი: აჭმ. №2979/103.**

მუზეუმის სანვენტარო წიგნში აღნიშნულია, რომ ესაა „კოლხურის" ფორმის ნაჯახი, ოვალური პირით. მუზეუმში შესულია 1977 წლის ხულოს ექსპედიციიდან.



ცული გვერდხედით ასიმეტრიულია და შუაწელიდან შიგნით შეწეულია. წინხედით სოლისებური და შესამჩნევად პროპორციულია. ყუის სამივე გვერდი შედარებით სქელი და თანაბარია, რომელიც ქვემოთ თანდათან ვიწროვდება. სატარე

ნახვრეტი პროპორციის დაცვითაა გამოყვანილი და ტრაპეციისებურია, ზემოდან ქვემოთ ვიწროვდება. ზედა მხარეს 2,2 სმ, ხოლო ქვედა ნაწილში 1,5 სმ-ია. წინა ნიღრი მახვილკუთხაა. უკანა ნიღრი შეგნითაა შეწეული და წინასთან შედარებით  2 სმ-ით მაღლაა.

**ცული № VIII.  საინვენტარო ნომერი: აჭმ. დროებითი №227.**

დაცულია ექსპოზიციაში. მუზეუმის საინვენტარო ჩანაწერის მიხედვით ესა „ნაჯახი“, რომელიც მუზეუმში შემოსულია „ბათუმის სახელოსნოდან“, თუმცა ჩანაწერიდან



ვერ დასტურდება „ბათუმის სახელოსნოს“ შესახებ სხვა დამაზუსტებელი ინფორმაცია.

აღნიშნული ცულის ფორმა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ პირველი ჯგუფის ცულების საკმაოდ კარგი სახესხვაობაა. იგი ხასიათდება დახვეწილი პროპორციებითა და სიმეტრიულობით. ყუა სიგრძით 5,2/5,7 სმ-ია. ყუის სიმაღლე 4,3/4 სმ, ხოლო სისქეში 4,5 სმ-ია. ცულის სიმაღლე წინა ნიღრის ხაზზე 17,5 სმ-ია. ცულის პირი მთლიანად შიგნითაა. უკანა ნიღრი წინასთან შედარებით 4 სმ-ით მაღლაა.

**ცული № IX.   საინვენტარო ნომერი: აჭმ. №19852-4.**

მუზეუმის საინვენტარო წიგნის ჩანაწერის მიხედვით ესაა: „ცული „ოთურა“, კოლხური ცულის მსგავსი, წელში ოვალურად მოღუნული ოთხკუთხა პირით“. 1971 წელს მუზეუმში შესულია ხულოს ექსპედიციიდან. ჩვენის აზრით ჩანაწერში ცულის სახელწოდებად „ოთურა“



შეცდომითაა მითითებული.

ფორმა-მოყვანილობის თვალსაზრისით ცული ძალზე საინტერესო ეგზემპლარია. იგი მეორე ჯგუფის ცულებთან მსგავსებასაც ავლენს, თუმცა მათგან ზომებით განსხვავდება. ეს ცული შესაძლოა პირველ და მეორე ჯგუფის ცულებს შორის ერთგვარ გარდამავალ ფორმადაც მივიჩნიოთ. ცულის სატარე ხვრელის სიგრძე 5,5,/5,7 სმ-ია. წელის სიფართე 3,5 სმ-ია. სამუშაო პირის საგრძე 11 სმ. ცულის სიმაღლე 22 სმ-ია. აქვს კარგად, პროპორციების დაცვით გამოყვანილი სატარე ხვრელი: სიმაღლე – 5 სმ, სიფართე ზედა ნაწილში – 2.5 სმ, ქვედა ნაწილში, სადაც ტარი ოვალურად წვრილდება 2 სმ-ია. ცულს ზოგადად მოხრილი იერი აქვს. ოვალურია ცულის შუბლის ხაზიც. უკანა ნიღრი წინასთან შედარებით 5,5 სმ-ით აწეულია, რაც ცულის მოხრილ ფორმას უფრო თვალშისაცემს ხდის.

## II ჯგუფის ცულები.

### ცული № X. საინვენტარო ნომერი: აჭმ. №20049/23.

მუზეუმის საინვენტარო ჩანაწერის მიხედვით ცულს „ლაზურა" ჰქვია. მუზეუმში შესულია 1973 წლის ხელვაჩაურის ექსპედიციიდან.



ამ ჯგუფის ცულებს სხვა ცულებისაგან მკვეთრად გამოკვეთილი გრძელი სატარე ხვრელი ახასიათებთ. ყუა ბრტყელია. სატარეს ზედა ნაწილის, იგივე ყუას სიგრძე 12 სმ-ია, ხოლო ქვედა ნაწილი 10,7 სმ-ია. საკუთრივ ნახვრეტი ცილინდრულია, ანუ წინა მხარე უფრო დიდია და ტარის დაგება ცულის წამოცმით ხდება, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია ეთნოგრაფიული, მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო ორივე ჯგუფის ცულებისათვის. შესაბამისად სატარე ნახვრეტის სიმაღლე 4 სმ-იდან იწყება და 3,6 სმ-ს აღწევს. ტარი განივკვეთში კონუსური ფორმისაა და კუთხეებმომრგვალებულია. ცულის სიმაღლე 13,2, სმ-ია. წინა და უკანა ნიღრები ყუასთან მიმართებაში თანაბარ დონეზეა, ნიღრებს შორის მანძილი 15,2 სმ-ია, ცულის პირი ოდნავ მომრგვალებულია. ცულის წელის სიგანე 5,8 სმ, ხოლო სიმაღლე 2 სმ-ია.

### ცული № XI. საინვენტარო ნომერი: აჭმ. №20049/28.

მუზეუმის საინვენტარო ჩანაწერის მიხედვით ცულის ამ ვარიანტსაც „ლაზურა" ჰქვია და ბრტყელი პირით ხასიათდება. მუზეუმში შესულია 1973 წლის ხელვაჩაურის ექსპედიციიდან.



ცულის ეს ვარიანტი მეორე ჯგუფის ცულების მსგავსია და ფორმა-მოყვანილობითაც ანალოგიურია. მცირე სახის სხვაობა მხოლოდ ზომებშია. ნიღრებს შორის მანძილი 16,5 სმ-ია. სიმაღლე 14 სმ-ი, წელის სიფართე კი – 5,3 სმ-ია. სატარე ნახვრეტის სიმაღლე 4,3 სმ-იდან იწყება და 3,3 სმ-ს აღწევს. ტარი განივკვეთში კონუსური ფორმისაა და კუთხეებმომრგვალებულია. სატარეს ქვედა ნაწილი გახეთქილია. ამ ცულის უკანა ნიღრი წინასთან შედარებით 1,3 სმ-ით მაღალია.

### ცული № XII. საინვენტარო ნომერი: აჭმ. №130.2.

ცულის ეს ვარიანტიც მეორე ჯგუფის ცულების ანალოგიური ფორმა-მოყვანილობისაა. იგი შუა წელში გადატეხილა და შემდგომ შეუდუღებიათ, თუმცა არასწორად. ამდენად ცული დეფორმირებულია. ეს ართულებს ზომის სიზუსტის დადგენას. ცულის სიმაღლე



დაახლოებით 16 სმ. იქნებოდა. წელის სიფართე 5-5,5 სმ-ს ფარგლებშია. ნიღრებს შორის მანძილი 16,5 სმ-ია. ცული ორნამენტირებულია, რომელიც წერტილოვანი ჭდეებითაა მიღებული. ესაა ერთმანეთის პარალელურად მწკრივში დალაგებული ოთხკუთხა წერტილები, რომელთა შორის ზიგზაგური ხაზებია, ასევე, წერტილებით შედგენილი.

**ცული № XIII. საინვენტარო ნომერი: აჭმ.დრ. №130-1**

ეს ცული მეორე ჯგუფის ცულებს შორის საინტერესოა იმით, რომ ტარის მიმართ მისი



ნიღრები თანაბრადაა დაშორებული, ანუ ცულის პირი და ტარი ერთმანეთის სიმეტრიულია. სატარე ხვრელის სიგრძე 11,5 სმ-ია. სამუშაო პირის სიფართე 16,5 სმ. ცულის საერთო სიმაღლე მის შუა ნაწილში 14,2 სმ-ია. შუაწელი 6 სმ. სიფართისაა, ანუ ცულის ყუისა და პირის შემაერთებელი შუაწელი მნიშვნელოვნად ვიწროა, ვიდრე ცულის თავად პირი და ყუა. ეს გარემოება ამ სახის ცულებისათვის დამახასიათებელია.

**ცული № XIV. საინვენტარო ნომერი: აჭმ. №19974/29.**

მუზეუმის საინვენტარო ჩანაწერის მიხედვით ესაა ცული „ოთურა" ოთხკუთხა გრძელი ყუით. მუზეუმში შესულია 1973 წლის ქედის ექსპედიციიდან. ჩვენის აზრით ჩანაწერში



აღნიშნული ცულის სახელწოდებად „ოთარას" მითითება შეცდმითაა გაკეთებული.

ცული მეორე ჯგუფის ცულებისათვის დამახასიათებელ ყველა ძირითად ნიშანს ატარებს. ცულის სატარე ხვრელის სიგრძე 11,5 სმ-ია, სამუშაო პირის სიფართე 14,5 სმ-ია, სიმაღლე 14,5 სმ-ი, ხოლო შუაწელი 5 სმ-ი სიფართისაა, ანუ ცულის ყუისა და პირის შემაერთებელი შუაწელი ამ ვარიანტშიც მნიშვნელოვნად ვიწროა. ცულის ყუა შუა ნაწილში ჩაზნექილია, რაც სამუშაო პროცესის შედეგი უნდა იყოს.

**ცული № XV. საინვენტარო ნომერი: აჭმ. №1841.**

დაცულია ექსპოზიციაში. მუზეუმის საინვენტარო ჩანაწერში მითითებულია, რომ ესაა „ნაჯახი „რუსულა" ხის ტარით. ბათუმის სახელოსნოდან". მუზეუმში შემოსულია 1929 წელს. ჩვენის აზრით ჩანაწერში აღნიშნული ცულის დასახელება „რუსულა" შეცდომითაა

მითითებული.



აღნიშნული ცული კარგი ნახელავია, იგრძნობა დახვეწილი ფორმა, პროპორცულობა და სიმეტრია. იგი მეორე ჯგუფის ცულებისათის დამახასიათებელ ყველა ძირითად ნიშანს ატარებს. ამ შემთხვევაშიც უკანა ნიღრი წინასთან შედარებით მაღალია

**ცული № XVI. საინვენტარო ნომერი: აჭმ. №1840.**

ცული დაცულია ექსპოზიციაში. მუზეუმის საინვენტარო ჩანაწერში მითითებულია, რომ ესაა „ნაჯახი „ოთურა", პირი ოვალური, ხის ტარით". მუზეუმში შემოსულია 1929 წელს ბათუმის სახელოსნოდან. არც ამ შემთხვევაში ჩანს „ბათუმის სახელოსნოს" შესახებ სხვა ინფორმაცია. ამ შემთხვევაშიც ცულის სახელი „ოთურა" შეცდომითაა ჩანაწერში გაკეთებული.



ცულის ეს ვარიანტი მეორე ჯგუფის ცულებს შორის გამორჩეულია, რამდენადაც მისი პირი და წინა ნიღრი მეორე ჯგუფის სხვა ცულებისაგან მკვეთრად განსხვავდება. ცულის ამ ვარიანტს გორდა პირი და მახვილი, წინწაწეული წინა ნიღრი ახასიათებს. წინა ნიღრი ერთგვარი საძგერებელი იარაღის ასოციაციას ტოვებს, თუმცა ამგვარი ფუნქციის შესახებ დაზუსტებით რამის თქმა რთულია.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. კახიძე, ვიკერსი, მამულაძე, 2000: ა. კახიძე, მ. ვიკერსი, შ. მამულაძე. ადრე შუა საუკუნეების სამარხები ფიჭვნარიდან. – ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, ტ.I, ბათუმი.

2. კახიძე, 2010: ნ. კახიძე. სახელოსნო იარაღ-ხელსაწყოები და მათი კლასიფიკაცია (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, ტ. III, ბათუმი.

3. მამულაძე, ქამადაძე, 2017: შ. მამულაძე, კ. ქამადაძე. 2014 წელს სოფ. სიმონეთში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი) წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. – აჭარა: წარსული და ტანამედროვეობა, ტ. III, ბათუმი.

4. მგელაძე, ტუნაძე, 2007: ნ. მგელაძე, თ. ტუნაძე. საინტერესო აღმოჩენა გუბაზეულის ხეობაში (ზოტის კოლხური ცული). – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, V, ბათუმი.

5. მინდორაშვილი, 2021: დ. მინდორაშვილი. არქეოლოგიური გათხრები პეტრა-ციხისძირში, ბათუმი.

6. რამიშვილი, 1974: ალ. რამიშვილი. კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტრიისათვის, თბილისი.

7. რეხვიაშვილი, 1948: ნ. რეხვიაშვილი. ქართული ცული. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV-B, თბილისი.

8. რეხვიაშვილი, 1964: ნ. რეხვიაშვილი. ქართული ხალხური მეტალურგია, თბილისი.

9. სახაროვა, 1988: ლ. სახაროვა. კიდევ ერთხელ კოლხური ცულების ტიპოლოგიის შესახებ. – ძიებანი, I, თბილისი.

10. ქორიძე, 1965: დ. ქორიძე. კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბილისი.

11. ჯაფარიძე, 1950: ო. ჯაფარიძე. კოლხური ცული. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI-B, თბილისი.

12. Крупнов, 1960: Е. И. Крупнов. Древняя история Северного Кавказа, Москва.

13. Микеладзе, 1990: Т. К. Микеладзе. К археологии Колхиды, Тбилиси.

# სიმბოლო - ნიშანთა სემანტიკა აჭარის ეთნოკულტურაში (ჯვარი)

# Semantics of symbols and signs in the ethno culture of Ajara (cross)


**თამილა ლომთათიძე**

*სსიპ აჭარის მუზეუმი,*

*ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, ისტორიის დოქტორი*

**Tamila Lomtatidze**

*LEPL Ajara Museum,*

*Batumi Archaeological Museum, PhD in History*



**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.22



**აბსტრაქტი:** უძველესი ადამიანის აზროვნების წესი უაღრესად სიმბოლურია. არქაული ადამიანის მსოფლაღქმა აერთიანებს სიმბოლურ აზროვნებასა და სიმბოლურ ქმედებას, რომელიც შემონახულია მითორიტუალურ სისტემაში და სიმბოლოს ხატოვან სახე-ნიშანს, რომელიც დაფიქსირებულია მატერიალურ კულტურაში. სიმბოლოში კოდიფიცირებულია უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია ადამიანების საკრალური წარსულიდან. კოლექტიურ მეხსიერებაში დალექილი ეს ცოდნა სწორედ სიმბოლოს მეშვეობით გადაეცამა თაობიდან თაობას. ამგვარად, სიმბოლო-ნიშნის მეშვეობით ხდება გარკვეული აზრის მქონე შინაარსის გადაცემა, სიმბოლოს სემანტიკის კვლევა კი, სწორედ ამ შინაარსის გახსნაში გვეხარება.

ყველაზე ხატოვნად ადამიანების სიმბოლური აზროვნება აისახება მატერიალურ კულტრაში, ხელოვნების ტრადიციული დარგების ნიმუშებში, დაწყებული ინტერიერის დეკორიდან, ტანსაცმლის ორნამენტით დასრულებული. ამავე დროს, სიმბოლო-ნიშანთა სემანტიკის კვლევა არამატერიალური კულტურის მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემის დასმისა და გადაჭრის საშუალებას იძლევა, რადგან სიმბოლო ასახავს ადამიანების მსოფმხედველობის გენეზისისა და ტრანსფორმაციის პროცესებს და თუ შევძლებთ ამ სიმბოლური ნიშნების წაკითხვას, ჩვენთვის გასაგები გახდება ამა თუ იმ წეს-ჩვეულების არსი, რიტუალის დანიშნულება.

ნიშანი თავისთავად არ არის სიმბოლო. სიმბოლოდ ნიშანი იქცევა მაშინ, როცა ეძლევა გარკვეული აზრი, განსაკუთრებული საკრალური მნიშვნელობა. ასეთი განსაკუთრებული საკრალურობით გამოირჩევა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ასტრალური სიმბოლო ჯვარი. იგი, როგორც ნიშანი-სიმბოლო, კარგადაა ცნობილი ქრისტიანული იკონოგრაფიიდან, მაგრამ ქართველთა მითორიტუალურ ცნობიერებაში შემონახულია ამ სიმბოლოს ქრისტიანული კონტექსტისგან განსხვავებული სემანტიკა. სტატიაში, აჭარის ეთნოგრაფიული ყოფის მაგალითზე, მიმოხილულია ჯვრის სიმბოლური გააზრების სხვადასხვა ასპექტი,

მითორიტუალურ მოდელებში ჯვრის სიმბოლური დატვირთვა.

**საკვანძო სიტყვები:** სიმბოლო, რიტუალი, ჯვარი, ეთნოკულტურა

**Abstract:** The ancient way of thinking is symbolic. The archaic human worldview combines symbolic thinking and symbolic action, preserved in the mytho-ritual system, and the iconic face of the symbol, fixed in material culture. The symbol encodes the most important information from the sacred past of people. This knowledge, stored in the collective memory, was passed from generation to generation through a symbol. Therefore, a content with a certain meaning is transmitted through a symbol-sign, and the study of the semantics of a symbol is aimed at revealing this content.

The symbolic thinking of people is most clearly reflected in material culture, in samples of traditional branches of art, from the interior to clothing decorations. At the same time, the study of the semantics of symbols and signs makes it possible to pose and solve many important problems of spiritual culture.

A sign becomes a symbol when it is given a special sacred meaning. One of the most common astral symbol is the cross. It, as a sign-symbol, is well known from Christian iconography, but in the mythological and ritual consciousness of Georgians, the semantics of this symbol differs from the Christian context. In the article, on the example of the ethno-culture of Adjara, various aspects of the symbolic understanding of the cross in mythological and ritual models are considered.

**Keywords:** Symbol, ritual, cross, ethnoculture

სიმბოლო კულტურის მნიშვნელოვანი ელემენტია. მასში კოდიფიცირებულია უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია ადამიანების საკრალური წარსულიდან, კოლექტიურ მეხსიერებაში დალექილი ცოდნა, რომელიც სწორედ სიმბოლოს მეშვეობით გადაეცემა თაობიდან თაობას. ე.ი. სიმბოლო-ნიშნის მეშვეობით ხდება გარკვეული აზრის მქონე შინაარსის გადაცემა, სიმბოლოს სემანტიკის კვლევა კი, სწორედ ამ შინაარსის გახსნაში გვეხარება.

უძველესი არქეოლოგიური მონაპოვრებიდან მოყოლებული არტეფაქტების უდიდესი ნაწილი ატარებს გარკვეულ ორნამენტულ ნიშნებს, მაგრამ ნიშანი თავისთავად არ არის სიმბოლო. სიმბოლოდ ნიშანი იქცევა მაშინ, როცა ეძლევა გარკვეული აზრი, განსაკუთრებული საკრალური მნიშვნელობა. ასეთი განსაკუთრებული საკრალურობით გამოირჩევა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ასტრალური სიმბოლო ჯვარი. გარდა არქეოლოგიური მასალისა, ჯვარსა და მის სტილიზებულ სახესხვაობებს დიდი ადგილი უკავიათ საცხოვრებლის ექსტერიერისა და ინტერიერის დეკორში. ხშირად გვხვდება ჯვრის გამოსახულებები და

ჯვრის პრინციპზე აგებული კომპოზიციები საცხოვრებლის ზღურბლის თავზე, ჭერზე, სვეტების, აივნისა და ბუხრის დეკორში, ავეჯისა და აკვნის შემკულობაში, სამეურნეო ნაგებობების ორნამენტში. ასე, რომ ჯვარი მატერიალურ კულტურაში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული გრაფიკული გამოსახულებაა. იგი, როგორც ნიშანი-სიმბოლო, კარგადაა ცნობილი ქრისტიანული იკონოგრაფიიდან, მაგრამ ქართველთა მითორიტუალურ ცნობიერებაში შემონახულია ამ სიმბოლოს ქრისტიანული კონტექსტისგან განსხვავებული სემანტიკა - იგი გამოსახავს სამყაროს ოთხ მხარეს, მზის ოთხ მდგომარეობას ცარგვალზე. დროთა განმავლობაში სწორმხრებიანი ჯვრის გამოსახულებამ ევოლუცია განიცადა და მივიღეთ მისი სტილიზებული გამოსახულებები - ბოლოებშეხრილი ჯვარი, ბორჯღალა, რომლებიც მზის ბრუნვას, ტრიალს გამოსახავენ (ი.სურგულაძე, 1986).

აჭარის ეთნოკულტურაში ჯვარსახოვანი ელემენტები, ჯვარი და მისი სტილიზებული სახესხვაობები მრავლად გვხვდება ქვაზე კვეთილობაში: თანაბარმკლავებიანი ჯვარი ქვის კუბოს ხუფზე ქვემო ალმედან (ჩიტაია, 1940:5), მოძრავი ჯვრის გამოსახულება - ბორჯღალი ბუხრის შემკულობაში და სხვ.; ხის ნაკეთობათა ორნამენტში: სახლის ჭერზე სოფელ დიდაჭარაში, სახლის კარზე სოფელ სტეფანაშვილებში, სახლის სვეტზე ქოსოფელში, ღორჯომის, ვერნების, ფუშრუკაულის, ახალდაბის, ჭვანას, ჭახათის ჯამეების შემკულობაში (ვარშალომიძე, 2010:81-86); ქალის ტანსაცმელზე, წელზე შესარტყმელ თორ-ქამრებზე, ფეშტემლებზე, ნაქსოვ წინდებსა და ხელთათმანებზე (სამსონია, 2005). ყოფაში, ასევე, ფართოდ გამოიყენებოდა ჯვრისგამოსახულებიანი თაჯები (ხეზე საკუთრების გამომხატველი ნიშანი), ასკილის ტოტებისაგან დამზადებული „სათვალიო" ჯვრები, სხვადასხვა სახის ჯვრით შემკული კერამიკული ნაწარმი, აკვნები, სკივრები და სხვ.

მართალია, ყველაზე ხატოვნად ადამიანების სიმბოლური აზროვნება აისახება მატერიალურ კულტურაში, ხელოვნების ტრადიციული დარგების ნიმუშებში, დაწყებული ინტერიერის დეკორიდან, ტანსაცმლის ორნამენტით დასრულებული, მაგრამ სიმბოლო–ნიშანთა სემანტიკის კვლევა არამატერიალური კულტურის მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემის დასმისა და გადაჭრის საშუალებასაც იძლევა, რადგან სიმბოლო ასახავს ადამიანების მსოფმხედველობის გენეზისისა და ტრანსფორმაციის პროცესებს და თუ შევძლებთ არამატერიალურ კულტურაში შემონახული სიმბოლური ნიშნების წაკითხვას, ჩვენთვის გასაგები გახდება ამა თუ იმ წეს-ჩვეულების არსი, რიტუალის დანიშნულება. ეს განსაკუთრებითმნიშვნელოვანიაჭარისეთნოგრაფიულყოფაშიშემონახულიწეს-ჩვეულებების კვლევისას, რადგან აქ, ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, ტრადიციებმა ძლიერი ტრანსფორმაცია განიცადეს და მათი არქაული ფორმების აღდგენისა და მათი მითოსური შინაარსის გააზრებისათვის სახე-სიმბოლოებს ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ.

არქაული ადამიანის მსოფლაღქმა არქეოლოგიურ არტეფაქტებსა და მატერიალურ

კულტურაში ხატოვანი სახე-ნიშნის მეშვეობითაა დაფიქსირებული, ხოლო არამატერიალურ კულტურაში – სიმბოლურ ქმედებებში გამოხატული სიმბოლური აზროვნებით. ჩვენ შევეცდებით, აჭარის ეთნოკულტურის მაგალითზე, მიმოვიხილოთ მითორიტუალურ მოდელებში კაცობრიობის ერთ–ერთი უძველესი სახე–სიმბოლოს – ჯვრის სიმბოლური დატვირთვა.

დღეს ჯვარი ქრისტიანული რწმენის სიმბოლოდაა აღქმული. ჯერ კიდევ თედო სახოკია გაუკვირვებია ჯვრების სიმრავლეს აჭარელი გლეხკაცის ყანაში, რადგან არ მოელოდა ამას მუსლიმურ აჭარაში: „წარსულის მოგონებითა და ოცნებით გატაცებულმა სერზე ერთ სიმინდის ყანაში ტლანქად გაკეთებულ და მიწაში ჩარჭობილ ჯვარს მოვკარი თვალი, მხარ-ნახევრის სიმაღლისას, სწორედ ისეთს, როგორც თითქმის ყოველ ყანებში შეხვდება ხოლმე ადამიანი გურია-სამეგრელოში. საქართველოს ამ კუთხეებში ასეთი ჯვრები, როგორც ვიცით, ითვლება მფარველად მკვდრის ქონება-კარმიდამოსი მზაკვართა და მავნე სულთაგან. ამ საქრისტიანო მხარეში ადამიანს თვალი შეჩვეული აქვს და ასეთი ჯვრები არ აკვირვებს. მაგრამ აჭარაში, სადაც საუკუნე-ნახევარია, რაც ქრისტეს სჯული და ჯვარი მაჰმადიანობამ აღმოფხვრა, ჯვრის ნახვამ დიახ გაგვაოცა და ცნობისმოყვარეობა აღგვიძრა. პირველად ჩემს თვალს არც კი ვუჯერებდი - ხომ არა ვცდები-მეთქი, და იუნუსას ვკითხე: რა დგას ყანაში-მეთქი? ჯვარია ბატონოვო, მიპასუხა და თანაც ამიხსნა მისი დანიშნულება: მოგეხსენებათ, ყანის მტერი ნამეტნურად ჩხიკვია: როცა ამას დაარჭობენ, სოფლიერი (გლეხი) ჩხიკვს ეტყვის: "თუ ამის მადლი გწამს, სიმინდს არ შემიჭამო!.." (სახოკია, 1950:215-216). ამგვარად, თედო სახოკიაც ჯვარს ქრისტიანულ სიმბოლოდ განიხილავს, მაგრამ იგი, როგორც საკრალური ნიშანი თავდაპირველად კოსმოგონიური შინაარსის იყო და ისე, როგორც მსოფლიო მითოლოგიურ აზროვნებაში, ქართველი ხალხის მითოლოგიურ-კოსმოგონიურ სისტემაშიც ჯვარი მზის არქაულ მსოფლხატადაა მიჩნეული. თავისი სტრუქტურით ჯვარი განზოგადებული კოსმოგონიური ნიშანია და წარმოადგენს მზის ოთხ მდგომარეობას ცაზე, მის ციკლურობასა და ბრუნვას

აჭარაში დაფიქსირებულია ორნამენტით შემკული სარიტუალო პურის არსებობა, რომელიც ჯვარსახოვანი ნაჭრელებით იყო შემკული, რადგან დემურზე - ყალიბზე, რომელშიც პური ცხვებოდა, ამოტვიფრული იყო ტოლმკლავა ჯვრები. ამგვარ ყალიბსა და მასში გამომცხვარ პურს საკულტო-სარიტუალო დანიშნულებით იყენებდნენ მუსლიმური რიტუალების, მათ შორის ბაირამობის დროსაც, მიუხედავად იმისა, რომ ისლამი ამას კრძალავდა, რადგან ჯვარი ამ შემთხვევაში ქრისტიანული რელიგიისათვის ნიშანდობლივ სახედ კი არა მამაპაპისეულ, წარმართული რწმენიდან გამოყოლილ სიმბოლოდ აღიქმებოდა და აჭარაში მაჰმადიანურ გარემოცვაში მცხოვრები ქართველი კაცისათვის ტრადიციული კულტურის გაგრძელებას წარმოადგენდა (ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი, 2018:159)

ჯვრის სწორედ ამგვარი, წინარექრისტიანული სიმბოლური გააზრება ჩანს აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დაფიქსირებულ დადეგობის დღესასწაულშიც. დადეგობა 1 სექტემბერს იმართებოდა. დადეგობა ღამეს ყანაში სიმინდს „შებეჭდენ" - სიმინდის ფურცლებს სანთლით ერთმანეთს მიაწებებდნენ, რომ ავსულებს ჭირნახულის ბარაქა არ გამოელიათ. ოჯახის დიასახლისი ბავშვებსაც ყურის ძირში სანთლის ჯვარს მიაწებებდა, რომ ეშმაკებს არ ევნოთ. სახლის შესასვლელშიც სანთლის ჯვარს მიაკრავდნენ, ხალხის რწმენით, სანთლის ჯვრით „შებეჭდილ" სახლში ავი სულები - ქაჯები ვერ შევიდოდნენ. როგორც დღესასწაულის შემორჩენილი ფრაგმენტებიდან ჩანს, სანთლის ჯვარს დამცავი ფუნქცია ენიჭებოდა და მისი დანიშნულება იყო მოსავლისა და ოჯახის დაცვა ავი სულებისაგან. არქაული ტრადიციით, სიმბოლო-ნიშანთა დასმა საგნებზე ხდებოდა გარკვეული წესით, გარკვეული კონცეფციის შესაბამისად, რომლის თანახმადაც საგანზე გამოსახული საკრალური ნიშანი მიუთითებდა ამ საგნის რომელიმე ღვთაებისადმი კუთვნილებაზე. ამ წესის თანახმად ჯვრის, როგორც მზის სიმბოლური გამოსახულების დასმა ნივთებზე ნიშნავდა, რომ ისინი მზის ნიშნით იყო აღბეჭდილი (ი.სურგულაძე, 1986:123). აპოთროპიული დანიშნულებით ჯვარს იყენებდნენ აზიის უძველესი კულტურის ხალხებში: შუმერებში, ასურელებში, ბაბილონელებში, სუბარელ-ალაროიდელ ტომებში. ისინი ამ მიზნით სახლის მისასვლელთან და თვით სახლში ჰკიდებდნენ ჯვარს (გ.ჩიტაია, 2000:171). ჯვარი დადეგობის ჩვენამდე მოღწეული ძირითადი ატრიბუტია. მისი, როგორც მზის სტილიზებული გამოსახულების, მზის კულტის მატერიალური გამოვლინების მონაწილეობა ამ რიტუალში ადასტურებს, რომ დადეგში მზის დამცავი ფუნქცია მზის სიმბოლოს - ჯვრის მეშვეობით ხორციელდება. სწორედ იგია დამცავი მაგიურ-აპოთროპიული ნიშანი, რომლითაც ავსულებისაგან იცავენ სახლ-კარს, ჭირნახულსა და ოჯახის წევრებს. ჯვრის საშუალებით ხდება სახლ-კარის, სამეურნეო ნაგებობების, მოსავლისა და ადამიანების „შებეჭდვა", რაც მიგვანიშნებს, რომ იგულისხმება მზის ბეჭდის, ნიშნის, დაღის დასმა. ჯვრით „შებეჭდილი" სახლ-კარი, ყანა, ადამიანები მზე-ღვთაების მიერაა ხელდასმული, ჩაკეტილი და მ.შ. დაცული.

ამგვარად, ჯვარი გვევლინება როგორც ბეჭედი, საბეჭდავი, რომელიც ავსულებისათვის მიუწვდომელს ხდის ადამიანებსა და ნივთებს. ჯვარი, როგორც დამცველი სიმბოლო-ნიშანი, გამოსახულია მცირეაზიურ და ეგეოსურ საბეჭდავებზე და მიჩნეულია, რომ მათაც აპოთროპიული მნიშვნელობა ჰქონდათ და ავი თვალისაგან დამცველის ფუნქცია ენიჭებოდათ (სურგულაძე, 1986:41). ჯვრის სხვადასხვაგვარი სტილიზებული გამოსახულებები საბეჭდავებზე ადასტურებენ მზის ამ სიმბოლოს საკრალურ მნიშვნელობას და ხაზს უსვამენ მის არქაულ სემანტიკას. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქართულმა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ შემოგვინახა უძველესი ტიპის საკეტი - აჭარული დათვა-ბოყვა, რომელიც, ანალოგიურია ბაბილონურ ბეჭედ-ცილინდრებზე გამოსახული მზე-ღვთაების

გასაღებებისა და ასახავს ქართველი და ძველი აღმოსავლეთის ხალხების შეხედულებებს ცის კარების გასაღების მფლობელი მზის ღვთაების შესახებ (ჩიტაია, 2000: 353-354). მზის სიმბოლოს - ჯვრის მეშვეობით სახლ-კარისა და ჭირახულის „შებეჭდვა", „დაკლიტვა" ადასტურებს კონცეფციას ამგვარი საკეტების აპოთროპიულ დანიშნულების შესახებ.

ჯვრის, როგორც მზის სიმბოლოს აპოთროპიული დანიშნულებით გამოყენება დადეგის რიტუალში ხსნის ჯვრისა და მისი სტილიზებული სახესხვაობების გამოსახვის დანიშნულებას აჭარის მატერიალურ კულტურაშიც. აქაც და რიტუალშიც ჯვარს ერთნაირი სიმბოლური გააზრება აქვს, რაც ადასტურებს იმას, რომ დეკორის გამოსახულებები გარკვეული აზრის მქონე ნიშნებს წარმოადგენენ. მათ აქვთ გარკვეული აზრობრივი დატვირთვა, რის გარკვევისათვისაც აუცილებელია ამ ნიშანთა გააზრება მითორიტუალურ მოდელში და მათი ფუნქციური დატვირთვის განსაზღვრა არქაული ადამიანის სიმბოლური აზროვნებისა და რიტუალური ქმედების მეშვეობით. მატერიალური კულტურაში აისახება სიმბოლოებად გარდაქმნილი გარესამყარო, ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების მრავალი ანარეკლი, რაც, ამავე დროს, მნიშვნელოვნად გვეხმარება ზოგიერთი რიტუალის მივიწყებული მითოსური შინაარსის გამოვლენაში.

ამგვარად, არქეოლოგიური მასალის დეკორში, მატერიალური კულტურის საგნების ორნამენტში სიმბოლო-ნიშნების სემანტიკური დატვირთვის ახსნა შესაძლებელი ხდება ეთნოკულტურაში შემონახული წეს-ჩვეულებების სიმბოლიზმის შესწავლით. ეთნოკულტურის ელემენტები: გრაფიკულად გამოსახული სიმბოლოები, შესატყვისი ტერმინოლოგია და ენობრივი მასალა, წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში დაცული მაგიურ-აპოთროპიული საშუალებები იძლევიან სიმბოლოებში კოდირებული ქართველთა არქაული რწმენა-წარმოდგენებისა და მითოლოგიურ-კოსმოგონიური წარმოდგენების მთლიანობაში გააზრების საშუალებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ჯ.ვარშალომიძე, ქრისტიანული მოტივები აჭარის ხალხურ დეკორატიულ ხელოვნებაში, ჯვარი, ჩვენი სულიერების ბალავარი, II, თბ., 2010

2. ი.სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005

3. თ.სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950

4. ი.სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი, 1986

5. ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი, აჭარა, ბათუმი, 2018

6. გ.ჩიტაია, ქვის კუბო ქვემო ალმედან, მოამბე, VIII, თბ., 1940

7. გ.ჩიტაია, შრომები, II, თბ., 2000

## მხატვრული ქარგვის ტრადიცია და ტექნიკა საქართველოში

## Traditions and technique of artistic embroidery in Georgia

**იზოლდა მელიქიშვილი**

*ხელოვნების სასახლის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე*

*ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი*

**Izolda Melikishvili**

*Palace of Arts Museum of the History of Georgian Culture*

*Chairman of the Academic Council*

*doctor of art history, professor*

**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.19

**აბსტრაქტი:** მხატვრული ქარგვა საქართველოში ხელოვნებისა და ხელოსნობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სახეობაა. მისი დახვეწილი ნიმუშები ქვეყნის სხვადასხვა მუზეუმების კოლექციებშია წარმოდგენილი: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ხელოვნების მუზეუმი, ქართული თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის, ხალხური და დეკორატიული – გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი. ნაქარგობის ეს ნიმუშები ნათლად ასახავს მხატვრული ქარგვის წარმოშობისა და განვითარების გზას საქართველოში, მის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, მნიშვნელობას ქვეყნის კულტურის ისტორიის შესასწავლად.

საქართველოში ქარგვა ძირითადად ქალთა ხელობად ითვლებოდა. მისი ფლობა თითქმის ყველა ქალისთვის სავალდებულო იყო. ქარგვის ცენტრები კი ძირითადად ეკლესია–მონასტრებსა და თავად–აზნაურთა სასხლეებთან იყო განთავსებული.

ამასთან დაკავშირებით ნაქარგობის შესწავლამ აჩვენა, რომ მისი შექმნის პროცესს განსაზღვრავდა მთელი რიგი ფაქტორები: ქსოვილი (სელი, აბრეშუმი, ბამბა, ხავერდი); ფერი განსაზღვრულია კანონიკური ფერის სიმბოლოებით; მისი დანიშნულება (ყოველდღიურ,ი საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის, ან საეკლესიო მსახურებისთვის) და სხვა;

ქარგვის დაწყების პროცესი უპირველეს ყოვლისა უკავშირდება „ქარგას“. ეს არის ორმაგი რგოლის ან ოთხკუთხა ჩარჩოს ფორმის საქარგავი დაზგა, რომელზეც იჭიმება უკვე სახე დატანილი ქსოვილი და შემდეგ იწყება ქარგვა.

ნაქარგობა იქმნებოდა სხვადასხვა მასალით როგორიცაა: აბრეშუმის, ბამბის, შალის ძაფი, ოქრომკედი და ვერცხლმკედი. ყველა ეს მასალა კონკრეტული ხერხის გამოყენებნებას მოითხოვს, რომელსაც უზადოდ ფლობდნენ ჩვენი წინაპრები.

ქარგვის მრავალფეროვან ხერხთა არსებობა ასევე მრვასახოვან ნაქარგობას იძლევა და ამითაა მდიდარი ქართული მხატვრული ქარგულობა.

მასალა, რომელიც საქრთველოს არაერთ მუზეუმშია დაცული გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ქართული მხატვრული ქარგულობა მრავასაუკუნოვან ისტორიას მოითვლის. საგანძური რომელიც ხელსაქმის ხელოვანმა ქალბატონებმა დაგვიტოვეს მნიშვნელოვანია თანამედროვე ოსტატთათათვისაც ახალი იდეებისა და ინოვაციების განვითარების თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** ნაქარგი, ქალთა ხელსაქმე, ქსოვილი, მუზეუმი.

**Abstract:** Artistic embroidery is one of the most interesting types of arts and crafts in Georgia. Its exquisite samples are presented in the collections of various museums of the country: the National Museum of Georgia, the Museum of Arts, the Museum of Georgian Theatre, Music, Cinema and Choreography, Folk and Decorative and Applied Arts. These embroidery patterns clearly reflect the origin and development of artistic embroidery in Georgia, its centuries-old history, and its importance for studying the history of the country's culture.

In Georgia, embroidery was mainly considered a women's craft. Its possession was mandatory for almost every woman. Embroidery centers were mainly located near the churches-monasteries and at the palaces of the nobility.

In this regard, the study of embroidery showed that the process of its creation was determined by a number of factors: fabric (linen, silk, cotton, velvet); Color is defined by canonical color symbols; its purpose (for household, household needs or for church services), etc.;

The process of starting embroidery is primarily associated with the «hoop». It is an embroidery machine in the form of a double ring or a square frame, on which an already lined fabric is stretched and then embroidery begins.

Embroidery was carried out with different materials: silk, cotton, woolen threads, gold and silver and silver threads. All these materials require certain techniques, which our ancestors impeccably mastered.

The presence of various embroidery techniques also gives versatility to embroidery, and Georgian artistic embroidery is rich in this.

The material preserved in many museums in Georgia allows us to say that Georgian artistic embroidery has a long history. The treasure that the Handicraft ladies left us is important for modern masters in terms of developing new ideas and innovations.

**Key words:** Embroidery, women's craft, fabric, museum

მხატვრული ქარგვა საქართველოში ხელოვნებისა და ხელოსნობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სახეობაა. მისი დახვეწილი ნიმუშები წარმოდგენილია ქვეყნის სხვადასხვა მუზეუმების კოლექციებში: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ქართული თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის, ხალხური და დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი. ხელოვნების ეს ნაწარმოებები ნათლად ასახავს მხატვრული კერვის წარმოშობისა და განვითარების გზას საქართველოში, მის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, მნიშვნელობას ქვეყნის კულტურის ისტორიის შესასწავლად. ასახავს იმ მნიშვნელოვან ცვლილებებისა და სიახლეებს, რომელიც დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ამ მიმართულებაში ვითარდება.

საქართველოში ქარგვა ძირითადად ქალთა ხელობად ითვლებოდა. მისი ფლობა თითქმის ყველა ქალისთვის სავალდებულო იყო. ქალის ხელით იქარგებოდა სახლისა და ოჯახის წევრებისთვის ყველა საჭირო ნივთი. ამას მოწმობს წერილობითი წყაროების უამრავი მასალა. საეკლესიო დოკუმენტებში არსებული ცნობები მოწმობს, რომ მხატვრული ნაქარგების ნიმუშები იქმნებოდა საეკლესიო და სათავადაზნაურო სახელოსნოებში. შექმნის პროცესი, როგორც სსეკლესიო ისე საერო დანიშნულების ნივთების შექმნისას (ორივე შემთხვევაში) ზუსტად ერთნაირი იყო, მაგრამ შექმნის მიზანი ნაქარგობის გამოყენებით განისაზღვრებოდა. საეკლესიო ნივთების ქარგვა, რა თქმა უნდა, ღვთისმსახურებასთან იყო დაკავშირებული, ხოლო საერო ნაქარგობა ხალხის ყოფა-ცხოვრებასთან. ამასთან დაკავშირებით ნაქარგობის შესწავლამ აჩვენა, რომ მისი შექმნის პროცესს განსაზღვრავდა მთელი რიგი ფაქტორები: ქსოვილი (სელი, აბრეშუმი, ბამბა, ხავერდი); ფერი განსაზღვრულია კანონიკური ფერის სიმბოლოებით; გამოყენების თვალსაზრისით (ყოველდღიურ,ი საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის, ან საეკლესიო მსახურებისთვის); ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა (მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო დამკვეთის მატერიალური შესაძლებლობები და გემოვნება. მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქართული მხატვრული განვითარების პროცეზე საქართველოს ურთიერთობამ მეზობელ ქვეყნებთან: მაგალითად, XVI-XVII საუკუნეებში ქსოვილები ძირითადად შემოდიოდა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, შემდეგ კი მე-18-19 საუკუნეებში ევროპიდან და რუსეთიდან. ხანდახან იმავე ქვეყნებიდან შემოჰქონდათ მზა, დაქარგული ტანსაცმელი. ეს ქსოვილები გარკვეულ გავლენას ახდენდნენ ნაქარგი სახეების განვითარებასა და სიახლეების წარმოშობაზე.

ქარგვის დაწყების პროცესი უპირველეს ყოვლისა უკავშირდება **ქარგას (ილ. 2 )**, ეს არის ორმაგი რგოლის ან ოთხკუთხა ჩარჩოს ფორმის საქარგავი დაზგა, რომელზეც იჭიმება უკვე სახე დატანილი ქსოვილი და შემდეგ იწყება ქარგვა. ესახეების ანუ გამოსახულების დატანა ქსოვილზე პროცესი ორი გზით ხორციელდებოდაა. ერთი, როდესაც სურათი ან კომპოზიცია პირდაპირ ქსოვილზე იყო გამოყვანილი მელნით (ზასმით) ან ფანქრით. მეორე - თხელ ტყავზე

ან ქაღალდზე დააჰქონდათ ნახატი, ის იჩხვლიტებოდა კონტურზე, მას დააფენდნენ ქსოვილზე, რომელზეც უნდა მოიქარგოს და ზედ გადაატარებდნენ ნაცრიან ტომსიკას, რომელიც ტოვებს კვალს კონტურზე დ შემდეგ ნახატს დააფიქსირებენ ქსოვილზე. დაზასმული ნახატზე გაატარებდნენ გვირისტს, რომელიც ერთდროულად აფიქსირებდა ე.წ. მუშა ტილოს ძირითად ქსოვილზე. (ამ შემთხვევაში ნემსი გადიოდა ორივე ქსოვილში), რითაც ფიქსირდებოდა კონტურის ხაზი და ამავდროულად ზრდდა ნაქარგის სიმტკიცეს.

აბრეშუმით, ბამბისა და შალის ძაფით ქარგვის დროს ძირითადი და წამყვანი რა თქმა უნდა არის ფერადი ძაფი, რომლისთვისაც მქარგავს სპეციალური **ე.წ. მრავალკოჭა ძაფის სახვევი ჰქონდათ.(ილ.3)**

ნემსისა და ძაფის პარალელურად ხელოსნები ქარგვის პროცესში იყენებდნენ **დუფითილას** ანუ რკინის მაქოებს, რომელზეც ოქროსა და ვერცხლის თმა (სირმა) და ოქრომკედი ან ვერცხლმკედი იყო დახვეული. **(ილ 4)**

საინტერესოა, როგორ მუშავდებოდა მზა ნაქარგი, ქარგვის პროცესის ბოლო ეტაპზე, ნაქარგის სიმკვრივის მისაღწევად, ოსტატი ნაქარგს ზურგის მხრიდან ამუშავებს, ტკიცავს, სპეციალური გაპრიალებული ჯოხით **ან ღორის ეშვით (ილ. 5, 6)** ამას ეწოდებოდა (ილ. ამ პროცესით სპრიალესა და ბრწყინვას იძენდა ოქროს ან ვერცხლის თმა და ოქრომკედი ან ვერცხლმკედი.

ქარგვის პროცესისი შესწავლისას მასალის გამოყენებისა და ტექნიკის თვალსაზრისით გამოიყო რამოდენიმე ხერხი და საშუალება. **„ორმხრივი სითვით“** ქარგვის დროს ( როდესაც ძაფიანი ნემსი გადის ქსოვილში და ორი მხრიდან იქარგება გამოსახულება) უპირატესობა ენიჭება რა თქმა უნდა აბრეშუმმის ძაფს **(ილ. 7)**. ტექსტურაზე დაფუძნებული აბრეშუმის ძაფი სხვადასხვა ეფექტს იძლევა. აბრეშუმის შლილი (დაუგრეხავი) ძაფის გამოყენების შემთხვევაში მიიღება ატლასის ბზინვარება და ასეთ ნაქარგს „ატლასური“ ეწოდება. გრეხილი აბრეშუმის ძაფით ქარგვისას გრეხილში სინათლისა და ჩრდილის თამაში ნაქარგს რელიეფურ გამომსახველობას ანიჭებს და ნაჭედის (ჭედურობის) ეფექტს იძლევა

საქარგავი მასალისა და ტექნიკის მიხედვით გამოირჩევა ოქროსა და ვერცხლის ძაფებით (ან ოქრომკედითა და ვერცხლმკედით) ქარგვა. ამ მასალას უძველესი დროიდან ამზადებდნენ იუველირები. ოქროს ან ვერცხლის უწვრილესი მავთულით უძველესი დროიდან ამ მასალით ოსტატები ამზადებდნენ ფილიგრანს ჭვირულ ნაკეთობებს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ეს ოქრომჭედლები იყვნენ ოსტატები ოქროსა და ვერცხლის ძაფებისა ასევე ოქრომკედისა და ვერცხლმკედის დამზადებაში.

ამის დასტურია იუველირის სამუშაო იარაღი **„ადიდა“** რომელიც დღემდე აუცილებელ სამუშაო იარაღს წარმოადგენს იუველირთათვის. **(ილ 8)**

«ადიდა» - ლითონის ფირფიტა სხვადასხვა ზომის მრავალრიცხოვანი ნახვრეტებით

რომელშიც გადის ოქროს ან ვერცხლის მავთული, რომელიც ბოლო ყველაზე წვრილ ნასვრეტში გამოტარების ადიდვის შემდეგ უკვე არის ოქროს ან ვერცხლის თმა. ამ თმის სპეციალურ ხელსაწყოში **ე.წ. ლილვებში** გატრებისას მიიღება ე.წ. სხეპლა , რომელიც მიჯრით გადაეხვევა აბრეშუმის ძაფს. ეს გადახვევა ისე მჭიდროა, რომ აბრეშუმის ძაფი შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს **(ილ. 9)**

იმ შემთხვევაში, როდესაც აბრეშუმის ძაფზე მიჯრით გადახვეულია ვერცხლის სხეპლა **(ილ. 10)** მივიღებთ ვერცხლმკედს, ხოლო ოქროს სხეპლის გადახვევისას ოქრომკედს. აქედან გამომდინარე რადგან ძველ ქართულში ზოგადად ძაფს მკედი ეწოდება, ამიტომ ამ ორი მასალის ერთობლიობა განაპირობებს მის სახელწოდებას.

ქართული ქარგვის ტექნიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ფერთა გამა, რომელიც ოქროსა და ვერცხლის ძაფებზე იყო დაფუძნებული, ხოლო სხეულის შიშველი ნაწილებისა და ფერადი აქცენტებისათვის აბრეშუმთან შეგრეხილ ვერცხლმკედით იქარგებოდა. ამ მასალას „ზეზი“ ეწოდებოდა. **(ილ. 11)** აღსანიშნავია, რომ ეს ტექნიკა მხატვრულ ქარგვაში მხოლოდ ქართულ ნაქარგობაშია დაფიქსირებული. განსხვავებით ბერძნულ, რუსულ და ევროპული ნაქარგობისაგან, სადაც ფერადი აქცენტებისთვის ოქროსფერისა და ვერცხლისფერის ჩამაგრება ხდებოდა ფერადი აბრეშუმის ძაფით ე.წ. ხილული ბმულადებით.

ქართულ ნაქარგობაში პოპულარული იყო სპირალურად გრეხილი სპილენძის ან ვერცხლის მავთულით - „კლანჭურების“ ასევე ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვებისა და ფერადი ლითონების გამოიყენება. ეს სამშვენისები ფიქსირდებოდა სხვადასხვა გზით (ბრჭყალებში, სადა თვალბუდეში, წკირზე დასმა)

სამშვენისებად გამოიყენებოდა ასევე ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ფირფიტები რომლებიც განსხვავდებოდა ერთმანეთისგან ზომით. აქედან გამომდინარე სხვადასხვა სახელწოდით მოიხსენიებდნენ: **„პეტალები“** - მოზრდილი ზომის ლითონის ფირფიტები, **„ფიფიინები“** - პატარა ზომის ფირფიტები და **„კილიტები** (ე.წ. „ბლიოსტკები“)“ - ძალიან პატარა, ლითონის მრგვალი ფირფიტები შუაში ჩასამაგრებელი ნასვრეთით. **(ილ. 12. 13)**

ოქრომკედისა და ვერცხლმკედის დასახვევად სპეციალურ ხის ან უმეტესად შემთხვევასი ძვლის ფირფიტებს იყენებდნენ. **(ილ 14)**

ქარგვის დროს ხელოსანი, მასალის შესაბამისად, გარკვეულ პრინციპებს იცავს. ძაფიანი ნემსი ქარგვისას ვერტიკალურად გადის ქსოვილში და ჰორიზონტალურად გადაადგილდება, ქმნის ტაქნიკურ სახხეებს, რომელიც კონკრეტული სახელწოდებებითაა ცნობილი ნაქარგობის ტექნიკაში: რომელიც იძლევა სახეებს: „ირიბული“, „გვირისტული“, „კალმური“, „ყაისნაღური“, „ჯვრული“, „კილოური“. « და სხვა.

ამ ხერხებით იქმნება დეკორატიული ელემენტები და სურათები. ნაკერობის განსხვავებული სახეების მიღებას სამი ძირითადი პრინციპი შეესაბამება:

I ნემსის სწორხაზოვანი მოძრაობა წინ და უკან („გვირისტული“) **(ილ. 15)**

II მოძრაობა ზიგზაგად ან ,ნაკერი კუთხით („წიწვური“, „ტეხური“, „თევზიფხური“ **(ილ. 16)**

III მართკუთხა ფორმები, რომბის სახით („რომბული“) **(ილ. 17)**

ნაქარგის მხატვრულ გამომსახველობა: მოძრაობის განცდა, შინაგანი დინამიკა, რელიეფურობა ეფუძნება ხაზის მოძრაობის პრინციპს. ეს შეიძლება შევადაროთ ხაზის მოძრაობას გრაფიკაში, ქვაზე კვეთის კონტურს რელიეფურ ქანდაკებაში, ტიხრული მინანქრში ტიხარის ხაზს და ჭედურობაში მოცულობითობის ეფექტის მიღწევის საშუალებებს. მაშასადამე, ქარგვაში გამოყენებულ ყველა მეთოდს აქვს კონკრეტული დანიშნულება, მაგალითად, პერსონაჟის მოძრაობის ეფექტის გადმოცემა, ოსტატი იყენებს **„ტეხურს“** (ილ. 18) ეს არის მოძრავი ხაზი და სიბრტყეზე განლაგებულია როგორც ვერტიკალურად, ასევე ჰორიზონტალურად. მო ძრაობის ეფექტს გადმოსცემს ტანსაცმლის დრაპირებით, რომელიც ორი სხვადასხვა ტექნიკური ხერხის შეპირისპირებით მიიღება. კონტურის ხაზი, რომელიც ასრულებს გამოსახულების ფორმას, ნაქარგია **«კილოური» (ილ. 19)** ტექნიკით. თითქმის ყველა შემთხვევაში კილოუერითაა ნაქარგი წარწერები, რომელიც ნაქარგობაზე გვხვდება (ეს არის კანონიკური, თუ საქტიტორო ანუ ვოტივური.) **„კალათურის“- (იგივე ლასტური)** ტექნიკას, ოსტატი იყენებს სიბრტყობრიობის, გაშლილი ფონის გადმოსაცემად. ქარგვაში ფორმისა და მოცულობის გადმოსაცემად ოსტატი ერთმანეთს უპირისპირებს ორ-სამ ტექნიკურ ხერხს. **(ილ. 20)**

თითოეული ეს ტექნიკური ხერხი შეიძლება შვადაროთ მხატვრის ფუნჯის მოძრაობას, რის საშუალებითაც ის გამოსახველობასა და მოცულობითობას ანიჭბს გამოსახულებას.

ფერთა გამისა და ზოგადად ფეწრადოვნების მინიჭებას ოსტატი აბრეშუმის ძაფის დამაგრების ორი გზით ახერხებს: ე.წ. «ხილული» და «შეფარვითი“ ბმულადებით. პირველ შემთხვევაში ოქროს ან ვერცხლის ძაფებს ამაგრებენ აბრეშუმის ფერადი ძაფის ბმულადებით, ხოლო ფარული ბმულადებით ქარგვისას აბრეშუმის ძაფის ფერი შეესაბამება ვეცხლის ან ოქროს ფერს და შეუიარაღებელი თვალით ის ძნელადაა შესამჩნევი. ასეთი ხერხით ქარგვისას ნაქარგს ნაჭედის ეფექტს ანიჭებს და მას ჭედურობის ნიმუშთან აახლოებს.

ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენებით, ჩვენ ვიღებთ ნაქარგობის ორ ძირითად სახეობას:

1. ქარგვა ბრტყელი სითვით, როცა რელიეფი ითქმის არ არის და ნაქარგი ნაჭედის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ შემთხვევაში ოსტატი ძირითადად იყენებს ოქროსა და ვერცხლის თმას **(ილ.21 საბუხარები მე 18 ე ს)**

2. **რელიეფით ქარგვა,** როცა ოსტატი რელიეფის ეფექტის მიღწევას „ნაფენის“ საშუალებითა და ორი ან სამი ტექნიკუეი ხერხის ურთიერთშეპირისპირებით აღწევს. ამ შემთხვევაში, სამუშაო

ტილოსა და ქსოვილს შორის კეთდება ბამბის ძაფით ნაქარგი მიწარი (ნაფენი), რომელზეც შემდეგ ლაგდება ოქროს ან ვერცხლის თმა ან ოქრტომკედი და ვერცხლმკედი და ხდება მისი ჩამაგრება ბმულადებით. რელიეფურობის მინიჭების სურვილიდან გამომდინარე ოსტატს შეუძლია გამოიყენოს მსხვილი ძაფი, ბაწარი, მუყაო და ა,შ, ეს აძლიერებს შუქ - ჩრდილის ეფექტს და ზრდის ნაქარგების მოცულობას. **(ილ 22, 23 ილ.)**

საინტერესოა მასალის კიდევ ერთი სახეობა **გრეხილურით ქარგვა,** როდესაც ერთმანეთზეა გადაგრეხილი 2 ან 3 წვერი ვერცხლმკედი ან ოქრომკედი, რომელიც რელიეფური სითვის დროს გამოიყენება, და იქარება ნამგრი სითვის ტექნიკით. **(ილ. 24 , 25)**

აქვე აღსამნიშნავია ქარგვის კიდევ ერთი სახეობა ე.წ. „კვანძურა“ ნაქარგობა (იგივე „როკოკო“) რომრლიც შედარებით გვიან მე–19 ს–ის ბოლოს ჩნდება საქართველოში ევრო-პის გავლენით. **(ილ. 26)**

ასევე ევროპის გავლენა ჩანს, ნაქარგობის იმ ნიმუშებში, რომლებიც მინის წვრილი მძივითაა (ბისერი) ნაქარგი. ძირითადად ამ ტექნიკით საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებს ამკობდნენ **(ილ. 27. 28)**

ქართულ მხატვრულ ქარგვისთვის, რუსი და ევროპელი ოსტატებისგან განსხვავებით, დამახასიათებელია ფერადოვნება, ფერთა გამის სირბილე და არა სიჭრელე. უფრო თბილ, რბილ ფერებს იყენებენ, რაც ნაქარგს თავისებურ სიდიადეს ანიჭებს. მხატვრულ ქარგულობაში გამოყენებული ტექნიკის ტრადიცია და ფორმა განპირობებულია მისი კავშირით ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან - ძველი ქართულ კერამიკა, მონუმენტური ფერწერა, ჭედურობა, ტიხრული და ფერწერული მინანქარი. ტექნიკურ ხერხებსა და მის გამომსახველობაში ყველაზე მეტ სიახლოვეს ვხედავთ ტაძრის კედლებზე მხატვრობის ან **რელიეფური ქანდაკების** დეკორის სახით გამოსახული ქართული ორნამენტული სახეებთან. ეს გამოსახულებები, რომლებიც ძირითადად გეომეტრიული ფორმისაა, თითქმის ყოველთვის მეორდება ქართულ ნაქარგებში (სამკუთხედები, რომბები, ზიგზაგები). **(ილ 29. 30)**

და ბოლოს ყველა ქალბატონს, ვინც ხელსაქმით იყო გატაცებული აუცილებად ჰქონდა საკუთარი ხელთ გამშვენებული ე. წ. „ ყუთი ხაიათის“ ხელსაქმისათვის საჭირო ნივთების შესანახად. რომელსაც როგორც წესი მზითვში ატანდნენ ქალბატონს გათხოვებისას **(ილ. 31).**

ზემოთ განხილული მეთოდებისა და მასალის გამოყენებით შექმნილი ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების წარმომავლობისა და მათზე წარმოდგენილი წარწერების შესწავლისას, საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლინდა მრავალი სკოლა და სახელოსნო, რომლებიც განლაგებული იყო ეკლესია - მონასტრებსა და თავადაზნაურთა სასახლეებში.

ძველი ნაქარგობის ნიმუშების მრავალფეროვნებამ და მნიშვნელობამ გარკვეულ-წილად ხელი შეუწყო ნაქარგობის ამ თითქმის მივიწყებული ხელსაქმის აღორძინებას თანამედროვე

დროში. ტრადიციულად, მან ახალი ცხოვრება დაიწყო ეკლესია-მონასტრებისა და კერძო სახელოსნოებში.

ქართული მხატვრული ნაქარგობის ტრადიციის თანამედროვე ცხოვრებაში აღდგენა-აღორძინება მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო უწმინდწესისა და უნეტარესი ილია მეორის ლოცვა-კურთხევით. თანამედროვე ქარგვის ოსტატები ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს ქმნიან და არა უბრალო ხელოსნურ ნაწარმს. მათი შექმნისას ისინი ცდილობენ დაიცვან კანონიკური წესები, არა მხოლოდ შედგენის ან გაფორმებისას, არამედ შესრულების ხარისხის არჩევისასაც. მუზეუმებში დაცული ქართველი ოსტატების ნამუშევრები ერთადერთი საინტერესო ობიექტი არ არის. ამ ნამუშევრების „ცხოვრება" ასევე ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მხატვრული ნაქარგები ახალ სიცოცხლეს ანიჭებს თანამედროვე ოსტატების შემოქმედებას. შესაძლოა, გარკვეული სიახლეებით, ინტერპრეტაციით, მაგრამ ეს არ არის მოწყვეტილი ეროვნულ საფუძველს.

ეს ნაქარგები მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი ხელსაქმის ბრწყინვალე ნიმუშებისათვის ახალი სიცოცხლის მინიჭება, თანამედროვე ოსტატების ნამუშევრები ამშვენებს საქართველოს მუზეუმის ექსპოზიციებს. ისინი ნაქარგია ტრადიციული ორმხრივი და ნამგრი სითვის ტექნიკითა და მათ შესაქმნელად გამოყენებული მასალა ორიგინალთან ახლოსაა. ამის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში თანამედროვე ოსტატების მიერ შესრულებული ეროვნული სამოსი და მათი აქსესუარები.

**მამაკაცის კაბა (ყაბა) (ილ. 32)** ცრუ სახელოებით, გრძელი გარე ტანსაცმელი, რომელიც შექმნილია მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ფილმის პერსონაჟისთვის, რომელიც ტანსაცმლისა და ნაქარგობის ტრადიციულ ფორმას წარმოადგენს მის აჭრილობაში თარგში დაცულია ტრადიციული ფორმები, მაგრამ გაწყობასა და დატალებში შეტანილია ახალი ინოვაციური ფორმები.

საინტერესოა ისიც, რომ ამ სფეროში პროფესიონალი მხატვრები არიან ჩართულნი. ამის მაგალითია მხატვარი ს. ვირსალაძე, ქორეოგრაფიული ანსამბლების, თეატრისა და კინოს მრავალი კოსტიუმის ავტორი.

**ხევსური ქალის კოსტიუმი (ილ. 33)** გადასაღებ მოედანზე ე.წ. ტალავარი, რომელიც მოდერნიზებულია დიზაინერის მიერ, მაგრამ ნაქარგობა **(ჯვრულით ქარგვა) იმეორებს ტრადიციას (ილ. 34)**.

მოხსენებაში წარმოდგენილი ქარგვის ნიმუშები და მათი განხილვა გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ქართული მხატვრული ქარგვის ტექნიკის ხერხებზე, მათ გამოყენებაზე, ასევე ამ ტრადიციული ხელოვნების თანამედროვე ეპოქაში დანერგვის მნიშვნელობასა და პერსპექტივაზე.






საქარგავი დაზგა „ქარგა“



ოქრომკედისა და ვერცხლმკედის დასახვევი მაქოები „დუფითილა“



ვერცხლმკედითა და ოქრომკედით ნაქარგის გატკეცვა, გაჯანდრვის საშუალებები



ღორის ეშვი ნაქარგის გსატკეცად



აბრეშუმით ქარგვა ორმხრივი სითვისუფრა XVIII- XIX სს



საოქრომჭედლო ხელსაწყო ადიდა



ფერადი ლითონის ძაფის „სირმის“ გასაბრტყელებელი ლილვებიმასში გატარების შემდეგ ლითონის თმა გადაიქცევა სხეპლად




მკედზე გადახვეული ოქროს სხეპლა იძლევა ოქრომკედს, ვერცხლის სხეპლა ვერცხლმკედს




**ფერადი აქცენტებისთვის თავად ოსტატი ქმნის „ზეზს,“ვერცხლმკედისა და ფერადი ძაფის ერთმანეთთან შეგრეხით**



**ლითონის სამშვენისი ფირფიტები: „ფიფინები“ და „კილიტები“**





კილიტებით გაწყობილი ნაქარგი საქორწილო ჩათხი

ოქროსა და ვერცხლის ძაფის, ოქრომკედისა და ვერცხლმკედის სახვევი, ხისა და ძვლის ფირფიტები




ნამაგრი სითვის თექნიკური ხერხების ვარიანტები: 1. კილოური; 2. ტეხური ვერტიკალური; 3. ლიანდაგური; 4. გათვალული რომბული; 5. შუბისპირა: 6. ტეხური ჰორიზონტალური; 7. ბადისებრი; 8. ლიანდაგური ორმაგი: 9. კალათური




ნამაგრინსითვი: 1. ლიანდაგური; 2. კალათური და ლასტური; 3. კილოური




ნამაგრი სითვი: 1. ორმაგი ტეხური; 2. ნაკრტენით ნაქარგი; 3. წიწვური



კომპოზიცია „ხარება“ დეტალი დედოფალ მარიამის (XVII ს) სამოსის დრაპირებაში გამოყენებულია ტეხური და ლიანდაგური სითვი



საბუხარები 1710 წ. ბატონიშვილ ხვარამზეს ნაქარგი. წარწერა კილოურითაა ნაქარგი, არქიტექტურული ფონი ლასტურითა და კალათურით



ვახტანგ VI-ის დის თამარის მიერ ნაქარგი დიდი დაფარნა „ცაი“ კონტურები ნაქარგია კილოურით, მიწარი და ფოთლები კალათურით.ირგვლივ შემოსდევს ორმხრივი სითვით ნაქარგი დეკორი



საბუხარები XVIIIს. ნაქარგია „სიპით,“ ვერცხლის თმით (სირმა), ძალიან თხელი ნაფენითა და ნაჭედის შთაბეჭდილებას ტოვებს



საბუხარები, კომპოზიცია „ხარება“ XVIII ს. ნაქარგია რელიეფური სითვით მსხვილი ბაწრის ნაფენით



ქალის კაბის სარტყელი, გულისპირი და ყურთმაჯები XVIII-XIX სს. ნაქარგია ოქრომკედით, რელიეფური სითვითა და ზეზით



ქალისა და მამაკაცის ყაბალახები XIX ს. გრეხილურით ნაქარგი



ქალის ელეგი XVIII ს. გრეხილურით ნაქარგი



ქალის კაბის დეტალები XIX ს. ნაქარგი კვანძურა ნაქარგობით - ე.წ. „როკოკო“



მძიური ნაქარგობის ნიმუში დეკორატიული ბოთლი XIX ს. მინის ფერადი მძივით ნაქარგი



საბუხარები, კომპოზიცია „ხარება“ XVIII ს. ნაქარგია რელიეფური სითვით მსხვილი ბაწრის ნაფენით





არქიტექტურული რელიეფური დეკორი X- XI სს ლასტურისა და გრეხილურის პარალელები





არქიტექტურული რელიეფები IX- X სს. წიწვურისა და კალათურის პარალელები



ხელსაქმისათვის საჭირო ნივთების შესანახი - „ხაიათის ყუთი " XVIII ს.

# ბათუმის მეტყველების უახლესი ისტორიიდან

# language of our home town

**თალიკო ბერიძე**

*ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს*

*წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო*

*უნივერსიტეტის პროფესორი*

**Taliko Beridze**

*PhD in Philology, Professor of St. Tbel Abuserisdze*

*Teaching University of Georgian Patriarchate*

**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.20

**აბსტრაქტი:** ბათუმი ერთ-ერთი ულამაზესი და გამორჩეული ქალაქია მთელ შავი ზღვის რეგიონში თავისი უნიკალური ძველი და ახალი არქიტექტურული შენობებით. ეს არის თანამედროვე საქართველოს საუკეთესო მაგალითი. ჩვენ უნდა ვიამაყოთ ჩვენი ქალაქის მრავალფეროვანი კონტრასტებით ჩვენი რეგიონის სხვა ქალაქებთან, მაგრამ ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი საქებარი ყოველთვის დაკავშირებულია პასუხისმგებლობებთან. ბათუმელებს, მათ შორის მეც, ჩვენი ქალაქი, მაგრამ ძალიან ცოტას ესმით, რომ ბათუმის სიყვარული მხოლოდ მისი უნიკალურობის შესახებ საუბრებით არ განისაზღვრება. მთავარი თემაა ზრუნვა მის მომავალ განვითარებაზე. ვერ ავიცილებთ იმას, რომ ქალაქი დღითი დღე ლამაზდება, მაგრამ ზოგიერთი კომპონენტი მოითხოვს ჩვენი საზოგადოების (ბათუმელის თითოეული მოქალაქის) სიფხიზლეს და ვალდებულებას. ერთ-ერთი ასეთი კომპონენტია „ჩვენი ქალაქის ენა". ქუჩებში ყოველდღიურად ვხვდებით შენობებზე არასწორად დაწერილ წარწერებს. ჩვენ ვიცით, რომ მეტყველება, ზეპირი კომუნიკაცია ძნელად ცვალებადია, მათი გამოყენების შემდეგ პრაქტიკულად უცვლელი, როგორც ამბობენ, „არ შეიძლება დაიჭირო სიტყვა, რომელიც გაფრინდა", მაგრამ წერა ადვილია გადასინჯვა და შეცვლა კი ჩვენი ვალია დავიცვათ და გადავარჩინოთ ჩვენი ენა, რადგან ეს ქვეყნის თვითგამორკვევის წინაპირობაა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ენის გვერდით მუდმივად იყო პრობლემური ფორმები, რადგან ის ახალი წერა-კითხვის საფუძველია, მაგრამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განიცადა ქართული წიგნიერების უზარმაზარი ზრდა და მისი განვითარება, რამაც შემდეგ გადაჭრა ბევრი სადავო საკითხი, მაგრამ ამავე მიზეზით მრავალი არასწორი სტრუქტურა ჩამოყალიბდა. თუმცა ეს არის ყველა განვითარებადი ენის ბედი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული ეროვნების არსებობის მთავარი

მიზეზი არის „სამშობლო, ენა, სარწმუნოება“. ენის სიწმინდის დაცვა ნიშნავს საკუთარი თავის, ღირსების, სამშობლოს კულტურისა და მისი ისტორიის დაცვას. ენის შელახვა გაუნათლებლობისა და უკულტურობის მანიშნებელია. ჭეშმარიტად ბრძოლა თქვენი ენის უმანკოებისა და სიწმინდისთვის ერის სულიერი და ზნეობრივი აღდგენის წინაპირობაა. ჩვენი დიდი წინაპრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მშობლის ენის ტარებას, გახდნენ ქართული ენა უფრო მდიდარი, ძლიერი და ლამაზი. ამის შესახებ ხალხი წერდა. ესენი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და იაკობ გოგებაშვილი. მტრები ცდილობდნენ ჩვენი ენის გაძარცვას, მაგრამ „იბერების ენა“ ძლიერი და ურღვევი იყო. ქართველებმა იცოდნენ, რომ ენა ერისთვის პრიორიტეტული იყო.

**საკვანძო სიტყვები:** ბათუმი, ქართული ენა, სარწმუნოება.

**Absytact:** Batumi is one of the most beautiful and distinctive cities in whole black sea region with it's unique old and new architectural buildings. It's best example of modern Georgia.

We should be proud of our city's diverse contrasts upon other cities in our region, but we also must keep in mind that everything praiseworthy is always associated with responsibilities.

Citizens of Batumi including me love our city, but very little do realize that love of Batumi is not defined only by our chattering about it's uniqueness. Major subject is taking care of it's future development.

We can't avoid the fact that city becomes more beautiful day by day, but some components require wakefulness and obligation of our society(Batumi's every single citizen). One of such component is "Language of our city". In the streets everyday we encounter incorrectly written inscriptions on buildings. We know that speech, oral communication are hard to change, practically unchangeable after using them, as people say "You can't catch a word which flown away", but writing is easy to revise and change. It's our duty to defend and save our language because it's country's self-determination's precondition. You may say that, problematic forms were constantly right beside our language since it's new literacy's foundation, but in past few years incurred huge growth of Georgian literacy and it's development which afterwards solved many arguable issues, but by same cause many wrong structures got formed. However this is fate of every developing language, but we shouldn't forget that main reason of Georgian ethnicity's existing is "Motherland, Language, Faith". Defending purity of language means defending yourself, your honour, your motherland's culture's and it's history. Defacing of language is indication of illiteracy and lack of culture. Truly fighting for innocence and purity of your language is precondition of nation's spiritual and moral recovery.

Our great ancestors were giving big importance to carrying for parental language, becoming

Georgian language richer, more powerful and more beautiful. People wrote about this. They were: Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Vaja-Fshavela and Iakob Gogebashvili.

Enemies tried to ravage our language, but "language of Iberians" was powerful and unbreakable. Georgians knew that language was priority for nation.

**Key words:** Batumi, Georgian language, religion.

ბათუმი მთელი შავი ზღვის რეგიონში ერთ–ერთი ულამაზესი და გამორჩეული ქალაქია თავისი ძველი და ახალი არქიტექტურული შენობებით სხვა ქალაქებს შორის. იგი თანამედროვე საქართველოს საუკეთესო სახეა.

ჩვენი ქალაქის გამორჩეულობით აუცილებლად უნდა ვამაყობდეთ, თუმცა იმასაც უნდა ვიაზრებდეთ, რომ ყველაფერი საამაყო პასუხისმგებლობასთან ასოცირდება.

ბათუმელებს გვიყვარს ჩვენი ქალაქი, მაგრამ ცოტა თუ ვაცნობიერებთ, რომ ბათუმის სიყვარული მხოლოდ მასზე სიამაყით საუბარი როდია. მთავარი სწორედ მის მომავალსა და განვითარებაზე ზრუნვაა.

მართალია, ქალაქი ყოველდღე მშვენდება და ლამაზდება. ამის არ დანახვა არ შეიძლება, მაგრამ ბევრი კომპონენტი ჩვენი საზოგადოების (რიგითი ბათუმელის) სიფხიზლესა და დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ერთ–ერთი კომპონენტი, რომელიც ჩვენი ზრუნვის საგანი უნდა იყოს „ჩვენი ქალაქის ენაა". ყოველდღე გვხვდება ქუჩებში სხვადასხვა ობიექტებზე გაკეთებული არასწორი წარწერები. ვიცით, რომ ზეპირი მეტყველება ერთჟამიერია, ნათქვამის გასწორება ძნელია, როგორც ხალხს უთქვამს „გაფრენილ სიტყვას ვეღარ დაიჭერ", მაგრამ ნაწერის გასწორება ადვილადაა შესაძლებელი. ჩვენი ვალი, ხომ ენის დაცვა, შენახვაა, რადგან იგი ეროვნული თვითმყოფადობის წინაპირობაა.

მართალია, სადავო ფორმები ახალ სალიტერატურო ქართულს დამკვიდრებიდან დაჰყვა, თუმცა უკანასკნელი წლების განმავლობაში ქართული სამწერლობო ენის უჩვეულო ზრდამ და მისი განვითარებისათვის გარკვეულმა გზის ჩვენებამ მრავალი სადავო საკითხი გადაჭრა, მაგრამ ენის იმავე ზრდა-განვითარების გამო უმართებულო ფორმებიც წარმოიშვა. ეს ყველა ზრდადი ენის ხვედრია.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველი ერის არსებობის უმთავრესი პირობა „მამული, ენა, სარწმუნოებაა". ენა, მიწა-წყალთან და სარწმუნოებასთან ერთად, დედაბოძია ეროვნებისა. ენის სიწმინდის დაცვა ნიშნავს შენი ვინაობის, მეობის, ღირსების, შენი ერის კულტურისა და ისტორიის დაცვას.

ენის დამახინჯება, მოუვლელობა უწიგნურობის, უკულტურობის მანიშნებელია. მეტიც, ,,მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის" – გვაფრთხილებს დიდი ილია. კონსტანტინე

გამსახურდიას აზრით: ,,მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა სამშობლოსი“.

„რა ენა წახდეს...“– გრიგოლ ორბელიაბის ამ დამაფიქრებელი და ასევე გამაფრთხილებელი სიტყვების მიზანი და დანიშნულება კარგად გვესმის. უცხო და ზოგჯერ არასწორი სიტყვებით ენის დამძიმება დამახინჯებილი აზროვნების, დეფორმირებული ცნობიერრების გამოხატულებაა. სწორედ ბრძოლა ენის სიწმინდისათვის, ერის სულიერი გაჯანსაღების საწინდარია.

ჩვენი სასიქადულო წინაპრები მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მშობლიური ენისათვის ზრუნვას, ქართულის გამდიდრებას, გაღონიერებასა და გამშვენიერებას. ამის შესახებ წერდნენ : ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი.

ოდითგანვე განიცდიდა ჩვენი ტკბილხმოვანი ენა მტერთა შემოსევას, მაგრამ ენა „იბერთა“ უძლეველი და შეუვალი აღმოჩნდა. ქართველმა კარგად იცოდა, რომ ეროვნული თვითმყოფადობის ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა შობლიურ ენას ენიჭებოდა.

ადამიანები, რომლებიც ქართულში უცხო სიტყვებს დიდი გულმოდგინებით იყენებენ ალბათ ვერც ხვდებიან თუ რაოდენ დიდ ზიანს აყენებენ ჩვენს ენას, რომელიც თანდათან კარგავს უამრავ საკუთარ, მშობლიურ, ძირძველ ქართულ სიტყვებს. ასე იყო ძველედაც, რომლის წიაღშიც დროთა განმავლობაში ადგილი დაიმკვიდრა არაერთმა ბერძნულმა, არაბულმა, სპარსულმა და თურქულმა სიტყვებმა. მართალია, ნებისმიერი ენის სიტყვათა მარაგით შევსება ბუნებრივი პროცესია, მაგრამ ეს პროცესი ჯანსაღად მიმდინარეობს მაშინ თუკი ყოველი ახალი უცხო სიტყვა ენაში არარსებული სიტყვის ადგილს იკავებს, ამით სიცარიელე ივსება და ენაში ახალი მნიშვნელობა, აზრი შემოდის. სხვა შემთხვევაში უცხო ლექსიკური ერთეულები ენაში არსებულ ფარდ სიტყვებს აძევებენ, რაც ენის თანდათანობით გადაგვარებასა და კვდომას იწვევს. რადგან „ენა სულია ერისა“ – ამ პროცესს ერის სულთა ხდამდე მივყავართ.

ქართულ ენაში, საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ენებთან ურთიერთობის შედეგად, ბევრი სიტყვა შემოვიდა, დამკვიდრდა და იმდენად შეეთვის, რომ დღეს მათი უცხო წარმომავლობა აღარ იგრძნობა და უმრავლესობას ჩვენს ყოველდღიურ მეტყველებაში დიდი ადგილი უკავია. ეს პროცესი ახლაც გრძელდება.

ქართულ ენას დიდი პოტენციალი აქვს ლექსიკური მარაგისა. მას მხოლოდ დაცვა და გაფრთხილება სჭირდებ. ამიტომ უნდა ვიბრძოლოთ, რათა ენამ არ დაკარგოს თავისი უნიკალურობა და მომავალ თაობას უმდიდრესი სიტყვათა მარაგი შეუბღალავი გადავცეთ.

ჩვენს ქალაქში გვხდეგა სხვადასხვა ობიექტებზე არასწორი დაწერილობები: მაგ; ხალიჩების და ლეიბების მაღაზია; სილამაზის და ჯანმრთელობის პროდუქტები; ყვავილების

და დიზაინის ბუტიკი  და სხვა.

ნორმათა მიხედვით ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის გავრცობა ჩამონათვალში „და“ და „თუ“ კავშირების წინ მდგომ სახელებთან აუცილებელია.  უნდა იყოს ხალიჩებისა და ლეიბების; სილამაზისა და ჯანმრთელობის; ყვავილებისა და დიზაინის.

რუსული და რუსულის გზით შემოსულ სიტყვებში „ю“ უნდა გადმოიცეს, როგორც „იუ“ და არა „უ“  ამიტომ სწორი ფორმებია  „მანიკიურის ;  პედიკიურის“  და არა:  „ მანიკურის; პედიკურის“

ევროპული ენებიდან მომდინარე „ლა“ და „ლუ“ ჯგუფიანი სიტყვები, რომლებიც რუსულში „ лю”  და  „ля”   კომპლექსებს იძლევა, ქართულში უნდა გადმოიცს მხოლოდ „ლა“ და „ლუ“ ჯგუფით:

„აკუმულატორი“  და არა:  „ აკუმლიატორი“

უცხო ენიდან შემოსული სიტყვაა „კატლეტი“,  გამონაკლისია და  „ო“-თი არ იწერება. სწორია „კატლეტი“  და არა: „ კოტლეთი“.

უცხო ენიდან შემოსული სიტყვა „EURO“  ქართულად იწერება და იკითხება „ევრო“ და არა „ეურო“,  ასევე “AUTO”  იწერება  „ავტო“ და არა:  „აუტო:.

„მეტალოპლასტმასი“ ერთცნებიანი რთული სახელია ამიტომ ცალ-ცალკე ან დეფისით არ დაიწერება.

„ხილ-ბოსტნეული“ ორცნებიანი რთული სახელია . ნორმათა მიხედვით იწერება დეფისით.

გეოგრაფიული სახელია „THAILAND” “, ქართულად დაიწერება „ტაილანდი“ ადა არა: „თაილანდი“.

ამ და სხვა ტიპის შეცდომებს ვხვდებით  ჩვენს ქალაქში, მაგრამ ყოველთვის, როცა რამე არ მოგვწონს ვცდილობთ სხვას გადავაბრალოთ და თავი ვიმართლოთ. ჩემი აზრით, საზოგადოების მეტი აქტიურობა, მხარდაჭერა, თანადგომა და გაერთიანებაა საჭირო ბათუმის ღირსეული  წარსულის, აწმყოსა და მომავლის დამკვიდრებისათვის. სწორედ ჩემი გულისტკივილიც ამის გამოძახილია. ვთვლი, რომ ენის შემთხვევაში თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული მისი შენარჩუნება, განვითარება და მომავალი თაობისათვის უკეთესი თუ არა, უცვლელი ფორმით გადაცემა მაინც.

თითოეული  ბათუმელი  მოვალეა, რომ აქტიურად იყოს ჩართული ჩვენი ქალაქის წინსვლისა და განვითარების პროცესში.

„აღმოვაჩინოთ, აღმოვფხვრათ, რათა უკეთესად  წარმოვაჩინოთ ჩვენი  ბათუმი!“

# „ვეფხისტყაოსანი“ პარიზის სცენაზე
# The Knight in the Panther's Skin on Paris Stage

**მარიამ მარჯანიშვილი**

*ფილოლოგიის დოქტორი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ახალი ისტორიისა და განათლების განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი*

**Mariam Marjanishvili**

*Director of the research laboratory at the Georgian Church-monastery Cultural Heritage study and S.B. International Charitable Fund. PhD student in the field of archaeology*

**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.21

**აბსტრაქტი:** XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს საქართველოში „ვეფხისტყაო-სნის“ გამოცემა და დასურათება გიორგი ქართველიშვილმა ითავა. ხოლო ემიგრაციაში ამ გენიალურ ქმნილების პარიზის საბალეტო სცენაზე წარმოდგენის დაფინანსება მეცენატმა ემიგრანტმა ბერიძემ განახორციელა, რომლის შესახებაც საინტერესო მოგონებას გვაწვდის რეჯებ ჟორდანია თავის წიგნში „გავიზარდე ლევილში“: „დედაჩემს დაებადა აზრი, დაედგა ბალეტი მეთორმეტე საუკუნის დიდი ქართველი პოეტის - შოთა რუსთაველის პოემის - „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე. მისი წამოწყება წარმატებით დაგვირგვინდა.“

გადაიჭრა ფინანსური და პასუხისმგებლობის საკითხები. მთავარ მონაწილეებთან დაიდო კონტრაქტები. მალე ელისეის მინდვრების ერთ-ერთ დარბაზში რეპეტიციებიც დაიწყო. შეკრებები ყოველდღიურად დილის ათი საათიდან ოთხ საათამდე იმართებოდა. ბალეტის ხელმძღვანელი სერჟ ლიფარი, ყველაფერს ხელმძღვანელობდა და ქორეოგრაფიც თვითონ იყო. მოწვეულთა შორის იყო ნიკოლაი ევრეინოვი ცნობილი თეატრალური კრიტიკოსი და მსოფლიო სცენებზე დადგმული მრავალი პიესის ავტორი, რომელსაც შოთა რუსთაველის პოემის მიხედვით დადგმული ბალეტის სცენარის დაწერა დაევალა.

ევრეინოვმა სცენარში ჩართო ეპიზოდები რუსთაველისა და თამარ მეფის ცხოვრებიდან, რადგან პოეტმა თავისი ქმნილება ამ უკანასკნელს მიუძღვნა. ბალეტის დადგმაზე მოწვეულ იყვნენ ასევე რუსი მხატვრები ნატაშა გონჩაროვა და ლარიონოვი, რომელთაც დეკორაციები და კოსტიუმები შექმნეს.

ლიფარმა ქორეოგრაფიულ კონსულტანტად რუსული ბალეტის მხცოვანი მაესტრო მოიწვია, რომლის გასაოცარი გონების წყალობით განხორციელდა მოძრაობის, რიტმის გამოსახვის ცალკეული დეტალების წარმოდგენა.

ვინაიდან ბალეტი „შოთა რუსთაველი“ ახალი დადგმა იყო სცენაზე ლიფარს მოუხდა

ღრმად შეესწავლა ბალმონტისეული რუსულად ნათარგმნი პოემა და მხატვარ მიხაი ზიჩის მიერ დასურათებული ქართული ,,ვეფხისტყაოსანი“, რათა გაეთავისებია ყველა დეტალი თუ მიზანსცენები. ამიტომაც იყო, რომ ლიფარმა ბალეტში ქართველი მოცეკვავე პეტრიაშვილი მოიწვია, მისთვის ქართული ცეკვისათვის დამახასიათებელი საბალეტო პას გასაცნობად, რადგან დადგმაში ქართული დეტალის შეტანა აუცილებელი პროცესი იყო.

ბალეტზე მუშაობა არნახული ტემპით მიმდინარეობდა. სერჟ ლიფარმა ახალი შემოქმედებითი მეთოდი შემოიტანა. როგორც წესი, ქორეოგრაფი ჯერ მუსიკას ირჩევს, ან მუსიკა მისთვის სპეციალურად იწერება, რომლის მიხედვითაც იგი დგამს ცეკვებს. ბალეტ ,,შოთა რუსთაველში” კი ყველაფერი პირიქით მოხდა: ლიფარმა ჯერ ცეკვები დადგა, ხოლო კომპოზიტორებმა კი მუსიკა ქორეოგრაფის მიერ შემუშავებულ სქემაზე შექმნეს.

სამწლიანი რეპეტიციების შემდეგ 1946 წლის გაზაფხულზე მონტეკარლოს ოპერაში პრემიერა შედგა. პარიზის სცენაზე ბალეტის წარმოდგენა პრემიერის შემდეგ ოთხჯერ გაიმართა. მერე კი შოთა რუსთაველის პოემის მიხედვით დადგმული ბალეტი სცენიდან გაქრა და აღარასოდეს დაბრუნებულა. დღესაც არავინ იცის თუ რა ბედი ეწვია მუსიკას, დეკორაციებსა თუ კოსტიუმებს.

ახლისაკენ მისწრაფება ადამიანის წარმოსახვის პირველი მოთხოვნილებაა და საბოლოოდ, აშკარად გამოიკვეთა ის ჭეშმარიტება, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრანტებისა და საბალეტო დასისათვის შემოქმედებით ტკბობაზე უფრო დიდი სიამოვნება არ არსებობდა. მით უფრო, როცა საქმე ქართველებისათვის უძვირფასეს საგანძურს შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანს“ ეხებოდა.

**საკვანძო სიტყვები:** ,,ვეფხისტყაოსანი“, სერჟ ლიფარი, ბალეტი ,,შოთა რუსთაველი”, რეჯებ ჟორდანია, მონტეკარლოს ოპერა.

**Abstract:** In the 1880s, the publication and illustration of The Knight in the Panther’s Skin in Georgia was initiated by Giorgi Kartvelishvili. Meanwhile in emigration, staging of this genuine work on the Paris ballet stage was funded by the tycoon emigrant Beridze, about whom Rejeb Jordania gives an interesting memory in his book «I grew up in Leville»: “My mother had an idea, to stage a ballet based on the poem by the great Georgian poet of the twelfth century - Shota Rustaveli -The Knight in the Panther’s Skin. Her initiative was crowned with success”.

Finances and responsibilities were distributed and dealt with. Contracts with lead performers were signed. Soon, rehearsals started in one of the halls of the Elysian Fields. The meetings were held daily between 10 am and 4 pm. The head of the ballet, Serge Lifar, directed everything and was the choreographer himself. Among the guests was Nikolai Evreinov, a well-known theatrical critic and

author of numerous plays staged on world stages, who was commissioned to write a screenplay for a ballet based on the poem by Shota Rustaveli.

Evreinov included in the script episodes from the lives of Rustaveli and Queen Tamar, as the poet dedicated his work to the latter. Russian artists Natasha Goncharova and Larionov, who created the scenery and costumes, were also invited to the ballet.

Lifar invited the old maestro of Russian ballet as a choreographic consultant, thanks to whose amazing mind he was able to present the individual details of the movement, the rhythm.

Since the ballet «Shota Rustaveli» was a new staging, Lifar had to study in depth the Russian translation of the poem by Balmont as well as the Georgian The Knight in the Panther's Skin illustrated by the artist Mikhai Zich in order to grasp all the details. That is why Lifar invited Georgian dancer Petriashvili to the ballet to get acquainted with the ballet movements typical for Georgian dance, because including Georgian details in the performance was a necessary process.

Work on the ballet was going on at an unprecedented pace. Serge Lifar introduced a new creative method. Usually, the choreographer first chooses the music, or the music is written especially for him, according to which he stages the dances. In the ballet «Shota Rustaveli» everything happened the other way around: Lifar first staged the dances, and the composers created the music on the scheme developed by the choreographer.

After three years of rehearsals, it premiered at the Monte Carlo Opera in the spring of 1946. The ballet was performed on the Paris stage four times after the premiere. Then the ballet based on Shota Rustaveli's poem disappeared from the stage and never returned. Even today, no one knows what happened to the music, the scenery or the costumes.

Striving for something new is the first requirement of the human imagination, and finally, the truth became apparent that there was no greater pleasure for Georgian political emigrants and the ballet troupe than to enjoy creativity. Especially when it came to the most precious treasure for Georgians, Shota Rustaveli's The Knight in the Panther's Skin.

**Key words:** «The Leopard», Serge Lifar, «Shota Rustaveli» ballet, Regeb Jordan, Monte Carlo Opera.

XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს გიორგი ქართველიშვილმა სურათებიანი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა განიზრახა და კომისიაც მოქართულე პირებისაგან შედგა: „გიორგი ქართველიშვილი შეძლებული კაცი იყო. დიდი განათლების არ იყო, მაგრამ შოთას თაყვანისმცემელი დიდი იყო. მან გამოსცა დიდი სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ და ყურს მოკრავდა, თუ არა რომ შოთას ეს განძი ვინმემ გადათარგმნა უცხო ენაზე, ამ მთარგმნელის დიდ

პატივისცემას კისრულობდა. უცხო სტუმრებს, ინგლისელ მწერლებს და-ძმა უორდროპებს, ,,ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელებს დიდი ბანკეტი გაუმართა", - წერდა პოეტი დომინიკა ერისთავი[1] [ჩიხლაძე 1960:117].

ბუნებრივია, ასეთ უნიკალურ და გენიალურ ქმნილებაზე მუშაობა, რომელმაც ხელოვნების დიდ ტაძარში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ღრმა, ფუნდამენტალურ ცოდნას, დიდ ერუდიციას, სერიოზულ, გააზრებულ და ფაქიზ მიდგომას მოითხოვდა.

გიორგი ქართველიშვილმა, რომლის ხარჯით პოემის ახალი გამოცემა მზადდებოდა ისარგებლა საქართველოში ზიჩის ჩამოსვლით, რომელიც თბილისში იმყოფებოდა ლერმონტოვის პოემის ,,დემონის" ილუსტრაციების დასახატად.

,,ვეფხისტყაოსანის" დასურათებისათვის მას ქუთაისელმა ებრაელობამ თხოვნით მიმართა. უნგრელმა, მხატვარმა მიხაი ზიჩმა გაითვალისწინა თვისტომთა დიდი სურვილი და ჯერ ,,ვეფხისტყაოსანი", საქართველოს ისტორია, ყოფა-ცხოვრება შეისწავლა. მან პოემის გმირების დახატვის მიზნით ჯერ თბილისში უჩვენა პოემის ცალკეული, ცოცხალი სურათები. ხოლო 1882 წელს კი ზიჩმა ქუთაისშიც ,,სამეფო სახლის" ეზოში ორჯერ დადგა ცოცხალი სურათები, სადაც რუსთაველის სახე განასახიერა პოეტმა მამია გურიელმა, ხოლო ტარიელის გიორგი შერვაშიძემ, თინათინის კი ნინო წერეთელმა.

მხატვარი მიხაი ზიჩი ღრმად დარწმუნებული აღნიშნავდა:,,რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანი" დღემდე ერთგვარ ბიბლიას წარმოადგენდა ქართველთათვის, როგორც პოეტური და მორალური წყარო...

თუ ვინმე მათ (ქართველებს) სამსახურს გაუწევს ყოველთვის მზად არიან სიკეთით გადაუხადონ სამაგიერო, რითაც კი ძალა შესწევთ. თანაც ამას აკეთებენ უფაქიზესი მეგობრული გრძნობით".

ფასდაუდებელი წვლილი გაიღეს და-ძმა უორდროპებმა ,,ვეფხისტყაოსნის" ინგლისურ ენაზე თარგმნით. 1913 წელს სწორედ მათი საშუალებით გაეცნო ამ უნიკალურ ქმნილებას რუსი სიმბოლისტი პოეტი კონსტანტინე ბალმონტი. მან ,,ვეფხისტყაოსანს" ჯერ ,,სიყვარულის ცისარტყელა" უწოდა, ხოლო შემდეგ ,,ცისა და მიწის შემაერთებელი ცეცხლოვანი ხიდი." აქედან მოყოლებული შეუდგა ბალმონტი ქართული ენის შესწავლას. იგი პოემის სამყაროს უკეთ აღსაქმნელად თბილისში სამჯერ ჩამოვიდა.

საბოლოოდ, კონსტანტინე ბალმონტმა 1915-1917 წლებში დაასრულა ,,ვეფხისტყაოსნის" პოემის სრული თარგმანი, რომლის მცირე ნაწილი ჯერ მოსკოვში გამოქვეყნდა, ხოლო მთლიანად კი პოემა პარიზში გამოიცა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ ბალმონტს თარგმნისას კონსულტაციას უწევდნენ ნიკო მარი, ტიციან ტაბიძე და გიორგი ქართველიშვილი"[2]

1. ჩიხლაძე ნ., ,,დომენიკა ერისთავი" (განდეგილი), თბ.1960.

2. ბალმონტი კ., ,,ენციკლოპედია ,,თბილისი", თბ. 2002.

[ენციკლოპედია ,,თბილისი“ 2002:327].

,,ვეფხისტყაოსნის“ კვლევითა და მრავალ ენაზე თარგმნით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო უცხოეთში გადახვეწილი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დიდი ნაწილი, მაგრამ პოემის სცენაზე წარმოდგენა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მეთაურის ნოე ჟორდანიას, ეროვნებით რუსმა მეუღლემ ინა კორენევამ მოიფიქრა და ქართველ ემიგრაციას პარიზის თეატრის სცენაზე ,,ვეფხისტყაოსანის“ დადგმა შეთავაზა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესო მოგონებას გვაწვდის რეჯებ ჟორდანია თავის წიგნში ,,გავიზარდე ლევილში“: ,,დედაჩემს დაებადა აზრი, დაედგა ბალეტი მეთორმეტე საუკუნის დიდი ქართველი პოეტის - შოთა რუსთაველის პოემის - ,,ვეფხისტყაოსნის“ თემაზე. მისი წამოწყება წარმატებით დაგვირგვინდა, თუმცა შემდეგ ამ გრანდიოზული გეგმის განხორციელებაში დედაჩემის მთავარი როლი ყველამ მიივიწყა. დაიდგა სამაქტიანი და სამსაათიანი ბალეტი, რომელშიც მონაწილეობდა რამდენიმე ვარსკვლავი, ასამდე მსახიობი და დიდი სიმფონიური ორკესტრი; შეიქმნა დიდებული დეკორაცია, შეიკერა ბრწყინვალე კოსტიუმები, გაკეთდა გასაოცარი მიზანსცენა, მოიწვიეს საუკეთესო თანამედროვე კომპოზიტორები და ევროპის უდიდესი ბალეტმეისტერი - სერჟ ლიფარი”  [ჟორდანია 2004: 98][3].

ბუნებრივია, იდეის განხორციელება, უპირველესად დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. თუ საქართველოში ,,ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა და დასურათება გიორგი ქართველიშვილმა ითავა, ემიგრაციაშიც ამ გენიალურ ქმნილებას ისევ აღმოუჩნდა დიდი მეცენატი ემიგრანტი ზერიძე, რომელმაც პროექტის ოფიციალურ განხილვაზე ეტუალზე მდებარე მის დიდებულ სახლში გამართულ სადილზე ხელოვნების ბრწყინვალე ოსტატები მოიწვია. მათ შორის იყვნენ საკმაოდ გავლენიანი ბატონი, ცნობილი ემიგრანტი საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, რომელიც იმის საჩვენებლდა მოვიდა, რომ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობა ამ ეროვნული მემკვიდრეობისადმი დიდ ინტერესს იჩენდა.

,,ამ პერიოდის საბალეტო წრეებში, წამყვანი ადგილი ტრადიციულად რუს ემიგრანტებს ეკავათ. თავისი ოცნების განსახორციელებლად დედაჩემმაც ამ წრეს მიმართა. იგი თავის იდეას წლების მანძილზე ყველას უზიარებდა. მისი ოცნება მხოლოდ 1943 წელს განხორციელდა: ერთმა ქართველმა, გვარად ზერიძემ, რომელმაც ქონება შავ ბაზარზე ვაჭრობით დააგროვა, მოინდომა ბალეტის დამფინანსებელი გამხდარიყო“[4] [ჟორდანია 2004:100]

ზერიძე, როგორც მისი ასაკის მრავალი ქართველი, სამოციოდე წლის ფერხორციანი მელოტი კაცი იყო. იგი სადილზე მიწვეულ სტუმართა კამათში არ ერეოდა და ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა.

---

3. ჟორდანია რ., ,,გავიზარდე ლევილში“, თბ. 2004

4. იგივე გვ.100

ამ სადილზე თურმე წამოწყების ძირითადი შტრიხები გამოიკვეთა: გადაიჭრა ფინანსური პასუხისმგებლობის საკითხები. მთავარ მონაწილეებთან გაფორდა კონტრაქტები. მალე ელისეის მინდვრების ერთ-ერთ დარბაზში რეპეტიციებიც გაიმართა, რომელიც ყოველდღიურად დილის ათი საათიდან ოთხ საათამდე მიმდინარეობდა.

ბალეტის ხელმძღვანელად დანიშნული სერჟ ლიფარი ყველა გადაწყვეტილებას თვითონ ღებულობდა, თანამშრომლებსაც თავად ირჩევდა, ქორეოგრაფიც თვითონ იყო და ყველაფერს ხელმძღვანელობდა.

,,მოწვეულთა შორის იყო ნიკოლაი ევრეინოვი ცნობილი თეატრალური კრიტიკოსი და მსოფლიო სცენებზე დადგმული მრავალი პიესის ავტორი, ამიტომაც მას დაევალა შოთა რუსთაველის პოემის მიხედვით დადგმული ბალეტის სცენარის დაწერა. ევრეინოვმა სცენარში ჩართო ეპიზოდები რუსთაველისა და თამარ მეფის ცხოვრებიდან, რომელსაც პოეტმა თავისი ქმნილება მიუძღვნა. ბალეტის დადგმაზე მოწვეულ იყვნენ ასევე რუსი მხატვრები ნატაშა გონჩაროვა და ლარიონოვი, რომელთაც დეკორაციებისა და კოსტიუმების შექმნა დაევალათ. ბალეტის დადგმაში ასევე მონაწილეობდა არტურ ონეგერი და ქართველებისათვის კარგად ცნობილი რუსი კომპოზიტორი ალექსანდრე ჩერეპნინი, რომლის მამა თბილისის კონსერვატორიის რექტორი გახლდათ.

ორივე თავის ნაწამოებებში ხშირად იყენებდნენ ქართული ფოლკლორის ნიმუშებს“, - აღნიშნავდა თავის მოგონებაში რეჯებ ჟორდანია”[5] [ჟორდანია 2004:106-107].

ბალეტ ,,ვეფხისტყაოსნის“ სცენარში ლიფარმა ქორეოგრაფიულ კონსულტანტად რუსული ბალეტის მხცოვანი მაესტრო მოიწვია, რომლის გასაოცარი გონების წყალობით შექმნა მოძრაობის, რიტმის, გამოსახვის არა მხოლოდ ცალკეული დეტალები, არამედ მთელი მსვლელობა. საერთოდ, ცეკვის ნოტებზე გადატანა საოცრად რთული და მოუხერხებელი პროცესია, რომლის დროსაც ქორეოგრაფიული დადგმები თაობიდან თაობას მეხსიერებით გადაეცემა. ვინაიდან ბალეტი ,,შოთა რუსთაველი“ ახალი დადგმა იყო სცენაზე, ლიფარს ამიტომაც მოუხდა ღრმად შეესწავლა ბალმონტისეული რუსულად ნათარგმნი პოემა და მხატვარ მიხაი ზიჩის მიერ დასურათებული ქართული ,,ვეფხისტყაოსანი“, რათა გაეთავისებია ყველა დეტალი თუ მიზანსცენა. ლიფარმა ბალეტში ასევე საგანგებოდ მოიწვია ქართველი მოცეკვავე პეტრიაშვილი, რათა ქართული ცეკვისათვის დამახასიათებელ საბალეტო პას გაცნობოდა. ამასთან დადგმაში ქართული დეტალის შეტანა აუცილებელი პროცესიც იყო.

ლამაზი, შავგვრემანი, ათლეტური აღნაგობის სერჟ ლიფარი მოცეკვავეთა დიდ დასს ხელმძღვანელობდა და ქორეოგრაფიულ დადგმას მათთან ერთად ქმნიდა. მოცეკვავეთა დასში შედიოდნენ ისეთი ბრწყინვალე მოცეკვავეები, როგორებიც იყვნენ ჟანინ შარა, ოლგა აბაშიძე, ვლადიმირ სკურატოვი, მიშა რეზნიკოვი და სხვ.

---

5. ჟორდანია რ., ,,გავიზარდე ლევილში“, თბ. 2004

ამ მშვენიერ მოცეკვავეებს ლიფარი ისე იყენებდა, როგორც კინოში დუბლიორებს მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობების ნაცვლად. ასე რომ, ლიფარი მათი მეშვეობით დგამდა ცეკვებს, მაგრამ სპექტაკლზე, მხოლოდ ვარსკვლავები ცეკვავდნენ.

მოწვეულთა შორის გახლდათ ნიკოლა შტაინი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ლიფართან მუშაობდა, როგორც აკომპანიატორი, ორკესტრანტი, არანჟირისტი, მუსიკალური კონსულტანტი. ფორტეპიანოზე სწორედ ნიკოლა შტაინი უკრავდა, ხოლო მისი ასისტენტი ნოე ჟორდანიას უმცროსი შვილი რეჯებ ჟორდანია გახლდათ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მიწვეულ სადილზე თურმე ნიკოლა შტაინი ისე უზომოდ დამთვრალა, რომ გონება დაკარგული იატაკზე გაგორებულა. ამ ფაქტს დამფინანსებლის განრისხება გამოუწვევია: ,,თუნდაც გენიოსი იყოს, - არავითარ შემთხვევაში არ ვამუშავებ, აღშფოთდა ბერიძე, სხვა მოძებნეთ ვინმე“. იგი უნგრელმა კომპოზიტორმა ტიბორ ჰარსანმა შეცვალა, ხოლო ნიკოლა შტაინი კი ლიფარის უბრალო პიანისტ არანჟირისტად დარჩა“[6] [ჟორდანია 2004:106-107].

ბალეტზე მუშაობა არნახული ტემპით მიმდინარეობდა. სერჟ ლიფარმა ახალი შემოქმედებითი მეთოდი შემოიტანა. როგორც წესი, ქორეოგრაფი ჯერ მუსიკას ირჩევს, ან მუსიკა მისთვის სპეციალურად იწერება, რომლის მიხედვითაც იგი დგამს ცეკვებს. ბალეტ ,,შოთა რუსთაველში” კი ყველაფერი პირიქით მოხდა: ლიფარმა ჯერ ცეკვები დადგა, ხოლო კომპოზიტორებმა კი მუსიკა ქორეოგრაფის მიერ შემუშავებულ სქემაზე შექმნეს. ლიფარი პიანისტ-არანჟირისტ ნიკოლას საცეკვაო პას ცოცხალი და მხიარულ, სამ მეოთხედიან ტაქტში დაკვრას თხოვდა. ნიკოლაც იმპროვიზაციით დაუკრავდა, მაგრამ სერჟ ლიფარს იმპროვიზაცია ხან პირქუში ეჩვენებოდა და მოითხოვდა მის გაცოცხლებას. ასე ეპიზოდებად დაკრული იმპროვიზირებული მუსიკითა და რიტმით დგამდა ლიფარი საბალეტო ცეკვებს. ქორეოგრაფიული ნომრების დადგენის შემდეგ კი იქმნებოდა მუსიკალური ქარგა და იგი საბოლოოდ კომპოზიტორს გადაეცემოდა. მუსიკა კი ამ დროს მითითებული რიტმისა და ხანგრძლივობის მკაცრი დაცვით იწერებდა. თანაც ავტორს არც ქორეოგრაფიის ემოციური დატვირთვა უნდა დაეტოვებინა უყურადღებოდ. რეპეტიციები მთელი თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა.

,,მე, როგორც ასისტენტს ტაქტისა და რიტმის ჩაწერა მევალებოდა. ზოგჯერ ნიკოლას ფორტეპიანოსთან ვცვლიდი და ლიფარის მითითებით, იმპროვიზაციების შესრულება მიხდებოდა,“ - ასე იხსენებდა რეპეტიციებს რეჯებ ჟორდანია“[7] [ჟორდანია 2004:104].

საერთოდ, ქორეოგრაფიული დადგმა და მონტაჟი რამდენიმე თვის განმავლობაში კარგი ტემპით მიმდინარეობდა. 1944 წლის ზაფხულში, როცა საფრანგეთში მოკავშირეები შემოვიდა რეპეტიციები რამდენიმე ხნით შეწყდა.

6. ჟორდანია რ., ,,გავიზარდე ლევილში“, თბ. 2004
7. ჟორდანია რ., ,,გავიზარდე ლევილში“, თბ. 2004.

ქართველი ემიგრაცია ფარხმალს არ ყრიდა. მათვე თანაუგრძნობდა სერჟ ლიფარიც. რეპეტიციების შეწყვეტიდან წელიწადზე მეტი გავიდა და მან მიაგნო ახალი დაფინანსების წყაროს და ბალეტ ,,შოთა რუსთაველზე“ მუშაობა კვლავ განახლდა.

ზოგჯერ რეპეტიციები ბინაში იმართებოდა პიგალოს მოედანზე, ხანაც მოცეკვავე ლიუდმილა ჩერინასთან. საბოლოოდ სრულყოფილი რეპეტიცია ერთ პატარა თეატრში ჩატარდა, სადაც მსახიობები სცენაზე კოსტიუმებში გამოწყობილნი გამოვიდნენ.

დიდი ენთუზიაზმის მიუხედავად 6 თვის გასვლის შემდეგ რეპეტიციები კვლავ შეწყდა, მაგრამ ენთუზიაზმა საბოლოოდ თავისი გაიტანა და ერთი წლის შემდეგ ბალეტზე მუშაობა დამთავრდა. დეკორაციები და კოსტიუმები გამზადდა, მუსიკა დაიწერა და 1946 წლის გაზაფხულზე მონტეკარლოს ოპერაში პრემიერა შედგა.

პარიზის სცენაზე ბალეტის წარმოდგენა პრემიერის შემდეგ ოთხჯერ გაიმართა. მერე კი შოთა რუსთაველის პოემის მიხედვით დადგმული ბალეტი სცენიდან გაქრა და აღარასოდეს დაბრუნებულა. დღესაც არავინ იცის თუ რა ბედი ეწვია მუსიკას, დეკორაციებსა თუ კოსტიუმებს.

ამ ბალეტის პიანისტ-იმროვიზატორი რეჯებ ჟორდანია თავის მოგონებას შოთა რუსთაველის პოემის წარმოდგენაზე ასე ასრულებს: ,,ახლა საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა და კარგი იქნებოდა, რომ გამოჩენილიყო ბატონ ბერიძის მაგვარი ბალეტის მოტრფიალე ქართველი, რომელიც მეპაიეობას იკისრებდა და ბალეტ შოთა რუსთაველს დაახლოებით იმ სახით გააცოცხლებდა, როგორც იგი 1944 წელს ჩაიფიქრეს. იქნებ ლიბრეტო და ევრეინოვის სამონტაჟო ფურცელი, გონჩაროვასა და ლარიონოვის კოსტიუმებისა და დეკორაციების ესკიზები, შესაძლოა ონეგერის, ჩერეპნინისა და ჰარსენის დაწერილი მუსიკაც მოეძიებინა. მაშინ, როცა ნიჭიერი კომპოზიტორები არც ჩვენ გვაკლია, თუნცად გია ყანჩელი, მას ახალი მუსიკის დაწერაც შეუძლია...

ამასთან დღესდღეობით არაერთი ნიჭიერი ქორეოგრაფი მოღვაწეობს, რომელიც სიამოვნებით დადგამდა სამ აქტიან ბალეტს შოთა რუსთაველის პოემის თემაზე.

იმედი ვიქონიოთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს გამოჩნდება ვინმე, ვინც მოინდომებს და ბალეტის დადგმის საქმეს ბოლომდე მიიყვანს (როგორც დედაჩემმა ნახევარი საუკუნის წინ გააკეთა)”[8] [ჟორდანია 2004:111].

საბოლოოდ, აშკარად გამოიკვეთა ის ჭეშმარიტება, რომ ახლისაკენ მისწრაფება ადამიანის წარმოსახვის პირველი მოთხოვნილებაა და ქართული პოლიტიკური ემიგრანტებისა და საბალეტო დასისათვის მაშინ შემოქმედებით ტკბობაზე უფრო დიდი სიამოვნება არ არსებობდა. მით უფრო, როცა საქმე ქართველებისათვის უძვირფასეს საგანძურს შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანს“ ეხებოდა.

---

8. ჟორდანია რ., ,,გავიზარდე ლევილში“, თბ. 2004.

## სახვითი ხელოვნება როგორც ფილოსოფიის კატეგორია

## Fine Art as a Category of Philosophy

**ვაჟა კაკაბაძე**

*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ–გეოლოგი,*

*საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი,*

*ფაზისის აკადემიის წევრი, თვითნასწავლი მხატვარი.*

**Vazha Kakabadze**

*Doctor of Economics, Geological Engineer,*

*Corresponding Member of the Georgian Engineering Academy,*

*Member of Fazis Academy, Self-taught Artist.*

**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.21

**აბსტრაქტი:** ხელოვნება არ არის განყენებული საქმიანობა ის ფილოსოფიაა თავისი ტერმინოლოგიითა და შინაარსით, ფილოსოფოსების ერთმა ნაწილმა მასში დაინახა ორი განსხვავებული მიმართულება: 1. გრძნობად არსებული ფორმები, ფერები, ბგერები, და: 2. სულიერი ცხოვრების ამსახველი ელემენტები, რომელიც გახდა ფილოსოფიური მსჯელობის საგანი, გამოკვლევის ობიექტი და სახვითი ხელოვნების სხვადასხვა მიმდინარეობის შექმნის საფუძველი, მაგალითად ფილოსოფოსმა ჰ. სპენსერმა ჩამოაყა-ლიბა ხელოვნების თამაშიდან თეორია (ტერმინი) – „თამაშის" თეორია, რომელიც გარკვეულწილად ეხმიანება ფილოსოფოს კანტის ანტინომიების თეორიას, მაშასადამე ხელოვნება სულიერი ინფორმაციის წყაროა ანუ კავშირშია გონთან და ის ფილოსოფიაა, სადაც აშკარად ჩანს კავშირი ადამიანის ცნობიერსა და ქვეცნობიერს შორის - სწორედ ეს არის წარმოდგენილ სტატიაში დასაბუთებული.

**საკვანძო სიტყვები:** ფილოსოფია, სახვითი ხელოვნება, ჭვრეტის უნარი, ანტინომია, „თამაში", ალგორითმი.

**Abstract:** Art is not an abstractive activity, it is a philosophy with its own terminology and content, in which some philosophers have seen two directions: 1. Forms, colors, sounds existing as sensations and 2. Elements reflecting the spiritual life that became the subject of philosophical reasoning and the basis for the various directions of visual art. The philosopher H. Spencer, for instance, developed the theory (term) of "play" as the essence of culture, which to a certain extent echoed the philosopher Kant's theory of antinomies. Thus, art is a source of spiritual information, i.e. it is connected with thinking, and this is philosophy, Where the connection between a person's conscious and subconscious

is clearly visible – as we have reasoned in this article.

**Key words:** philosophy, visual art, ability to think, antinomy, “play”, algorithm.

The fine arts law - the “golden section” that is expressed mathematically in the following way: 1 to 7 and 3 to 5 equals 8, where 1 is the size of a person’s head and 7 is all other body parts, plays an important role in the link between the fine arts and philosophy and even science. Let us consider this to be the first definition of this link, because it is where mathematics, geometry and the basic principle of classical visual art intersect.

Unlike classical visual art, modernist art subordinates content to form and conveys reality in that way. In terms of content, there is no difference between classical and modernist art, so is the philosophical vision of approaching the world and this can be regarded as the second definition of the link with philosophy.

Let us ask the question: what then is the difference between classical and modernist art, and how do they relate to philosophy?

In classical art, the main thing is the “absolute”, the ideal is linked to the absolute, moreover, the creative process for the artist is a path to the “absolute” - these words belong to the Austrian art historian Hans Sedlmayr in his book “The Lost Center”. Classical art is characterized by multifunctionality, which is one of the hallmarks of art.

One part of art historians believes that modernist art denies the “absolute”, the “ideal”, the “content” and gives preference to form, although we would like to note that the form itself is the content which describes the internal structure of the form, for example: a circle describes the uniform distribution of the internal structure of a given form, while a pyramid indicates the hexagonal or irregular distribution of internal structures (molecules). However, in nature, there are round-shaped bodies in which the internal structure is not uniformly distributed, an example being the Earth, which consists of several round shapes - the Earth’s core, mantle and crust - and each of them has a different density. Such issues are well explained in a branch of science called crystallography. In addition, it should be noted that the round shape (borjgali) in symbolism denotes movement, and the pyramid denotes aspiration towards the sky, and movement is the main feature of Impressionism, one of the art movements.

Thus, from the above reasoning, the existence of both acceptance of concepts and rejection of the same concepts is clearly revealed, which leads to antinomy, i.e. acceptance - rejection, which in art (painting) creates entropy of form, or color, or content, and in this case the link between art, philosophy and science is revealed - this is the third definition of the link.

The English scholar Herbert Spencer formulated a theory of the origin of art from play. He used the concept of "lay", which was influenced to some extent by the philosophical and gnoseological idea of the philosopher Kant. Spencer defined play as a purely psychological act. In my view, human psychological action, especially in art, is the result of a confrontation (clash) between human consciousness and subconsciousness. This is well manifested in children's everyday play, when they consider drawing as fun or play, at which time the information surrounding children is transferred to paper. So we can say that art is a source of information, and this is confirmed by cryptograms on the Egyptian pyramids, paintings found in the Altamira Cave, folk songs, dances and so on. The philosopher Hegel called the transmission of information through images – "picture thinking" [Hegel, 1973]. In my opinion, this form of thinking, which Hegel called "picture thinking" and Spencer called "play", is inherent to man from birth, which he inherits on the basis of processing sensations, since all artistic paintings, except the depiction of nature, contain an image emotion, which stems from genetic memory.

Therefore, we may safely say that art, including painting, is a source of certain spiritual information about events that have occurred in the past and are expected in the future, that is, it is connected with thinking, which in content and form is a link between theology, science and philosophy, and at the same time is a means of aesthetic expression of the world seen by the artist - **this idea is the confirming factor of the first three definitions of the link between art and philosophy, that is, we have three determinants and one factor, which allows us to build an algorithm (gr., N1).**




**Gr. N1. Algorithm of philosophy of art.**

Art may be conventionally divided into two elements in terms of content. The elements of the first are forms, colors, sounds that exist as sensations that we see, feel and hear; the second are elements and facts of spiritual life that mask sensual feelings, for example: love, hatred, fear, envy, religiosity and so on.

A special role in art is played by color, each color has its own characteristic resonance, thus to some extent subject to the laws of physics, so the pictorial canvas significantly influences the viewer's thinking, because here the feelings of the artist and the viewer intersect. The artist's attitude towards the object or his mood is seen in the painting and thus the fate of the piece is shaped.

Color is not mute, it speaks, it is either beautiful, or sublime, or sad, or funny, or tragic, or comic, or dull or bright. When evaluating color, the question arises: what gives it emotionality? Or, does color

exist at all?

In Georgian speech cognition[1], color is associated with divine light, and indeed: while the Savior was praying on Mount Tabor, His disciples fell asleep. When they woke up, they saw that Jesus had changed color in front of them. The Transfiguration was so vivid, that the apostles could not look him in the eye. What color did Christ shine? This question has not yet been asked by anyone, and no one can answer it, although we can point out that if color had a philosophical, difference meaning before the birth of Christ, then after the birth of Christ it received a divine assignment as well [kakabadze, 2022:20].

Yet, what is the color? According to science, color is a qualitative subjective characteristic of electromagnetic radiation in the optical range; it is determined based on physiological origin of visual sensation and depends on a number of physical, physiological and psychological factors. However, the perception of color is determined by the individuality of the person, as well as the spectral composition, the surrounding light source in the contrast of color and brightness, as well as the objects that do not illuminate.

There are many factors to the color sensation and it is individual because the color sensation originates in the brain. The sensation of each color in a person is based on the sum of the primary colors or the lack of colors that the eye cannot perceive; these colors are blue, green, yellow, red, white, black and divine light (which the eye cannot perceive), but two of these colors - white and black - do not exist in the real world, therefore the question arises: are there any colors at all? Maybe it was created by God to make us feel different, and this difference depends not only on the adaptation of the eye and the affiliation of human culture, but also on the religious belief.

Every color has its spectrum, which in the human mind represents the continuous infinity of a given color. A continuous spectrum of colors can be seen on a diffraction grid. A good demonstration of the spectrum is the natural phenomenon of the rainbow. The first continuous spectrum was broken down in seven colors by Isaac Newton; this breakdown is random because it was done according to an elective system and was based on the principle of seven musical notes. As for the artists approach, they believe that color and hue can be obtained by mixing different colors of paints where red, blue and green colors dominate. According to natural philosophers, red, blue and green are not the main colors [kakabadze 2022:22; Potsverashvili, 2010].

Scientific research revealed that the spectrum of human visible light includes red, orange, yellow, green, blue, indigo, violet.  Human perceives the spectrum of these colors and their mixtures; this is the permissible range to which he/she is given the ability to perceive. The human eye cannot perceive the spectrum of short-wave colors; anyway, do people perceive colors or do they perceive what we call

1. Author's term

color? Current events in the universe are a continuous cycle with different speeds, i.e the blue color is characterized by a greater speed than green.

One of the first researches on the meaning of colors is Leon Batista Alberti's treatise "On Painting"- Published in 1450 [Zubov, 1983:5]. He formulated the principle of academic painting, singled out four main colors, noting that: red should be associated with fire, blue with air, green with water, and gray with earth [Batista, 1966:50]. Leonardo da Vinci agrees with this view, and adds two colors to Batista Alberti's four primary colors: white (to represent light) and black (to depict darkness). In Georgian speech cognition, which is clearly reflected in fresco painting, red has the meaning of blood; for example, in all religious works, wine is represented in red and is identified with the blood of Christ, and the red egg - with the Resurrection; green is associated with serenity, blue is used to paint the sky, and black is used to represent the underworld and funeral scenes.

In the thinking of modern art, the color acquired a different assignment: It became characteristic for it to capture impressions with the help of color, which was founded by Impressionism. After the Impressionist artistic manner, abstractionist artists, who tried to establish a joint connection between music, poetry and color and express them in spatial vision, gave the greatest importance to color. In my painting I try to give color a characteristic of a continuous cycle or speed of current events in the universe and this is the main starting point of my painting concept.

And, yet, what is the color? In my opinion, this is: an integral part of the world, which reflects the psychological attitude of a person towards the ongoing processes in the world [kakabadze 2022:34].

**Landscape - ability of man to contemplate the world or the nostalgia for returning to paradise**

Landscape - a genre of fine art, which reflects the spiritual desire of man to take a place in nature. Thematically, landscape painting is divided into several types, namely: landscapes that depict the real picture of nature - mountain, forest, city, sea and so on; landscapes, which depict a place invented or acceptable to the human soul, and landscape abstraction, which is expressed only in colors, where forms lose their meaning.

In painting, landscapes often form the backdrop for paintings, graphics, or other works of art. The first «patterns» of the landscape were created in the distant past, and its elements are reflected in the paintings of the culture of the ancient East, especially in the ancient Egypt and Pelasgian[2] wall culture or household items.

Landscape as a painting genre developed significantly in the works of Dutch artists, but it was limited to more landscape descriptions, and only the Impressionists were able to express its true soul, which is saturated with the shadows of the Garden of Eden and is close to the characteristic of

2. Pelasgians - pre-Georgian tribes that inhabited the territory of present-day Greece.

continuous cycle of events ongoing in the universe.

Tracing the evolution of landscape representation allows the discovery of diverse artistic styles, diverse worldviews, and diverse and shifting attitudes towards interactions with the outside world. Tracing the evolution of landscape representation allows the discovery of diverse artistic styles, diverse worldviews, and diverse and shifting attitudes towards interactions with the outside world.

And, yet, what is the landscape? In my opinion it is the desire of an artist to return to the tranquility of paradise [Kakabadze, 2022:22].

**Portrait - reading the spiritual mood of yourself and of others**

One of the basic types of the fine arts genre is portraiture, which is a depiction of an existing or invented human expression, explaining the spiritual nature of a this person, his/her psychology.

The starting point of psychology is the attitude of man towards the society, the processes ongoing in the society and the world, so painting approaches the basic principles of philosophy known as human cognitive behavior[3], with the artist trying not only to know the model, but also himself.

Anthropocentrism[4] is characteristic of portraits performed by almost every artist; at the same time, it is centralized on human feelings.

The term portraits or self-portrait is an artist's depiction, which is self- valued or from their own perspective of their style creating an artwork that displays subjective values that are usually personal. The personality can be seen visually from having a detailed observation of the artist's choice of colour, the material that is worked on, the material used, and especially the style, whether is detailed or spontaneous, they are all deliberate choices made by the artist to present to the public (audience). The personality could also be based on the specific genre which the artist presents dominantly, through their body of work. The scale is also important, as it shows a different visual representation to the audience granting different reactions.

For example: The artists Van Gogh, Frida Kahlo and Ben Quilty all play an important role in modern art challenging the traditions of art. All 3 artists are able to visually express their emotions

---

3. Cognitive psychology views the process of cognition as sequential stages of information processing, where each stage has its own unique function. It is based on a cognitive approach (perspective) and tries to answer the following questions:

- How is information received from the outside world?
- How does the human mind process and store the received information?
- How are problems solved and what effect does this information have on behavior?

4, Anthropocentrism - a religious view of man as a supreme being, created by God; he is the center and the ultimate goal of the universe.

and perspective on life onto a work of art. To convey personality and spirit of a person in an artwork, extensive use of symbolism are required. Symbolisms are the artist self-values that have a connection and importance to the message the artist are trying to convey. The line and brush work, as well as colour, scale, and composition all contribute in evoking emotion through a portrait

And, yet, what is a portrait? In my opinion, this is a psycho-analytical image of a subject or model created by an artist on a flat plane or an attempt to move it into a one-dimensional space [Kakabadze, 2022:23].

**Still life[5] – immortalization of the end or the formal expression of an object**

Still life - a genre of fine art, which depicts the transfer of the shapes of objects arranged in a given environment into the plane at the artist's discretion. In still life, the artist pays special attention to the arrangement of the shadows of the objects to be painted, and in this case the light and, therefore, the colors on the canvas are artificial. Thus, the artist tries to achieve the natural arrangement of the objects to be painted - based on their content. It is common when an artist paints household items and tries to express the existing social environment with this method.

Artists "marveled at the creative diversity of nature, her ability to form coloured shapes beyond the flights of human fancy" [Westermann, 2004:167], and found great delight in capturing these forms. The various types of still-lifes developed [Mahon, 1993-1994:17], including "banquet-pieces" which depicted tables arranged with food. Many painters specialised in this particular type of imagery, amongst them Laurens Craen whose Still life with imaginary view shows a typical compositional structure and formal elements of the 17th century Dutch banquet paintings.

And, yet, what is still life? In my opinion this is the immortalization of the objects to be painted, the value of which is estimated at a given time [Kakabadze, 2022:24].

**Conclusion:** For H. Spencer's "play": visual art affects us (touches us) almost physically, much more strongly than philosophy, and essentially says the same thing as philosophy, but in a more aesthetic form end the philosophy of art is distinguished from art criticism, which is concerned with the analysis and evaluation of particular works of art.

5. "Flemish still life painting can be classified into several categories. The still lifes are classified by objects or subject, organization of objects, and technique. The divisions are not all inclusive; many still life works could fall into more than one category. Sixteenth and seventeenth century Flemish still life painting can be classified into kitchen, banquet, breakfast, peasant interior, and fish scenes; floral, smoking, flora and fauna, pronk, and illusionist still lifes, the gamepiece, and the Vanita. The banquet scene displayed lavish dishes and place settings, crystal and silver; plentiful and sometimes exotic foods were pictured."

**References**


1. Hegel. Aesthetics, Volume I. Pub.: “Khelovneba», Tb., 1973. (in Georgian)

2. Kakabadze V. Catalog of paintings. Pub.: “Sveti”, Tb., 2021-2022 (in Georgian)

3. Leon Batista Alberti, On Painting, revised edition, 1966. (in English)

4. Mahon Dorothy., “A New Look at a Seventeenth-Century Dutch Still Life,” The Metropolitan Museum of Art Bulletin 51, no. 3 (Winter, 1993-1994): 17. (in English)

5. Potsverashvili D. Revisiting some issues of the philosophy of art. Pub.: Tb., Technical University, Tb., 2010. (in Georgian)

6. Sedlmayer Hans. The revolution of modern art. Tb., 2009. (in Georgian)

7. Westermann Mariet., The Art of the Dutch Republic 1585-1717, 2nd edition (London: Laurence King Publishing Ltd, 2004). (in English)

8. Zubov V. Alberti and the cultural heritage of the past. Masters of the past//western classical art M., 1983 p. 5-25. (in Georgian)

9. https://library.oapen.org/bitstream/id/98109fef-dd64-403b-8977-ac2af197c67b/978113878977_text.pdf

10. https://journals.openedition.org/etudesplatoniciennes/1121

## The Grotto in Inkerman – new archaeological site in the South-Western Crimea

## გროტ ინკერმანში ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური კერა ყირიმში

**Evelina Kravchenko**

*Institute of Archaeology of NAS of Ukraine, Kyiv, senior research fellow, PhD (candidat of history science in archaeology)*

**ეველინა კრავჩენკო**

*უკრაინის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, დოქტორანტი*

**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.24

**Abstract:** In 2012 the Inkerman expedition of the National Academy of Science of Ukraine examined the cave under Kalamita fortress near the ancient road, which was marked in scientific literature as modern. The excavation shows, that this cave is ancient and inhabited all of time of human history preliminary from the Late Paleolithic time. There are several rests of modern building in surface and ancient layers of Stone Age are in the cave. In Stone Age time this cave was a grotto.

**Key words:** cave, grotto, Crimea, Stone Age

**აბსტრაქტი: 2**012 წელს უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინკერმანის ექსპედიციამ გამოიკვლია გამოქვაბული კალამიტას ციხის ქვეშ უძველესი გზის მახლობლად, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში მონიშნული იყო, როგორც თანამედროვე. გათხრები აჩვენებს, რომ ეს გამოქვაბული უძველესია და დასახლებული იყო კაცობრიობის ისტორიის მთელი პერიოდის განმავლობაში, გვიან პალეოლითის დროიდან.

**საკვანძო სიტყვები:** მღვიმე, ყირიმი, ქვის ხანა

The newly discovered cave is located in the South-Western Crimea in Inkerman under the medieval fortress Kalamita in the upper part of the Monastyrs`ka rock (Fig.1). The Monastyrs`ka rock rises above the right bank of the Chernaya River, directly hanging over the upper reaches of the Sevastopol Bay and gently descending to the mouth of the river. The natural cave is located under the peak on the western side of the plateau, oriented towards the west-southwest. The rock is composed of limestone of the Sarmatian age, which is quite soft and therefore has been mined in this place since the Late Roman period. There are not many descriptions of the medieval time associated with Kalamita. And only one of them provides general information about the district of Calamita. Thus, Evliya Celebi speaks of large caves under the fortress (Knyha puteshestvyi Evlyy Cheleby, 1996: 79).

In Dubois de Montpert, the Monastery rock was sketched in such a way that there was no cave there (D. de Montpereux, Fr, 1839). The text provides only information about the huge quarries under the fortress. Apparently, these data completely misled the researchers of the 20th century, who almost all attributed to the cave a recent artificial origin, since de Montpere traveled around the Crimea long after the cessation of stone mining from the southern and western sides of the Monastery Rock. However, recently we had the opportunity to get acquainted with the descriptions of the Inkerman fortress made by E. Markov (Markov, 1872: 131), in which he also mentions a large cave near the road. Markov's descriptions date back to the time before the founding of St. Clement's Monastery on this site, respectively, it is worth thinking that de Montpere simply did not notice the gap in the cave canopy under the peak of the plateau. At the end of the 19th - beginning of the 20th centuries. on the southern and western sides of the rock, a monastery was established and built. Perhaps at that time the cave was used by monks for economic purposes, during the civil war the cave was credited with a shelter for the Chapaev division, in the 1930s the entire area under the rock was occupied by special factory No. 2 and the territory became a restricted area. This could be the only reason why the cave under Kalamita remained unknown to G.A.Bonch-Osmolovsky, who investigated all such sites in the area. Neither Yu.G.Kolosov, nor V.N.Gladilin, nor V.N.Bibikov have any information about her. A brief description of the cave as a natural grotto is given by N.P.Katsur (Katsur, 1963: 3-12) and V.F.Filippenko (Filipenko, 1997: 6). Thus, all of the above has become for us an exhaustive argument for conducting preliminary studies.

At the edge of the canopy, periodic collapses of the visor can be visually noted. Traces of the collapse are also visible at 15-20 m from the outside from the modern edge of the canopy. Under the East and South walls of the cave there are also powerful natural undisturbed landslides. The modern cave is oval in plan. On the North wall of the grotto, traces of a recent undercut and a niche from beams are visible. The remains of masonry at the entrance to the northwestern part, visible on the surface of the cave bottom, are connected with the same part of the cave. It is possible that these constructions are connected with the monastic premises or the factory No. 2. There are no archaeological finds in the recovered material. The top soil is a finely dispersed humus sandy loam with ash. At the time of the inspection, the cave was dry and well ventilated. The best lighting in the cave is at sunset, in the morning the cave is illuminated by light reflected from neighboring rocks. During the hottest time of the year (July-August), the temperature is moderate in the cave. The length of the cave from the modern edge of the canopy to the back wall is 20 m (Fig.2), the width along the central part is 17 m, the width at the entrance is 18.2 m. The height of the arch to the surface is 2.5 m at the entrance, 1.5 m at the back walls. The remnants of the rock are visible in plan on the opposite side of the road from the cave (Fig.3).

Remains of Late Pleistocene stratifications were noted along the edges of the cave walls. Closer to the entrance, in places where the collapse was removed, they were destroyed, apparently as a result of households of the 20th century. The remains of the Late Pleistocene layers are also visible at the rear eastern and southern walls in the crevices of the collapse. The excavation showed that a light pinkish sediment with crushed stone and no admixture of clay begins in this place of the cave at a depth of 0.25-0.30 m. The square was deepen to 1.6 m. Continuous collapse of the arch began below this mark,

which was not possible to excavate without increasing the area of the square. Credibly that this cave was a grotto in the Stone Age time.

Layer stratigraphy (Kravchenko, 2012):

1.A layer of modern dark ash humus sandy loamy soil with debris continues depth of 0.25 m. The archaeological material is represented by several fragments of medieval amphorae and jugs, the rim of a faience glazed plate, and scattered animal bones.

2. Below, at a depth of up to 0.6 m, there are deposits of loose late Pleistocene sediment of light pink color with interspersed limestone stones, identical in structure and color to its remains near the cave walls. A fragment of flint (prenucleus?) was found 0.15 m from the edge of the pit at a depth of 0.35 m in a layer of sediment. This layer contained no other finds. A several animal bones were also fined on the surface of this layer at a depth of 0.25-0.30 m.

3. Below 0.6 m, the sediment is a layered structure with limestone rubble. Crushed stone is porous with sharp protrusions; pits are filled with the same sediment. The soil differs in color - becoming lighter without a pinkish tint. Such soil continues to the entire excavated depth up to 1.6 m, i.e. to the level of collapse. Its filling is a large number of small and medium-sized fragments of bones of wild animals.

## Conclusion

The significance of this archaeological sites is even greater, since almost all such sites in the southwestern Crimea were completely explored and excavated in the last century using old methods and with old scientific and technical means. More accurate information about the dating and cultural affiliation of this archaeological site can be obtained in the course of further work.

**Bibliography:**


1. D. de Montpereux, Fr. 1839. Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses at les Abkhases, en Colchide, en Georgia, en Armenie at en Crimee. T. II. Paris: Librailie de gide, editeur des annals des voyages.

2. Filipenko, V.F. 1997. Kalamyta-Ynkerman: krepost y monastyr. Sevastopol

3. Katsur, N.P. 1963. Arkheolohichna karta Inkermanskoi dolyny. Arheologichni pam`yatky Ukraysns`koyi RSR. Kyiv, 13

4. Knyha puteshestvyi Evlyy Cheleby. 1996. Pokhody s tataramy y puteshestvyia po Krymu (1641—1667 hh.). Symferopol: Tavriya.

5. Kravchenko, E. 2012. Otchet o razvedkakh na pravom berehu r.Chernaia v hodu, Naukovyi arkhiv Instytutu arkheolohii Natsionalnoi akademii nauk Ukrainy, d. 2012

6. Markov, E. 1872. Ocherky Kryma. Kartynky krymskoi zhyzny, pryrody y ystoryy, S-Peterburg.




Figure 1. Western Crimea and sites on the region of survey: 1,2 – Uch Bash,

3 – Sakharnaya Golovka, 4 – Balaklavske, 5 – Kalamita




**Figure 2. Plan of cave with excavation square (2012).**



**Figure 3. The canopy of cave in Inkerman (Photo by Evelina Kravchenko, 2012).**

# კულტურული ტურიზმის ლოკაციის რესურსული პოტენციალი აჭარაში

# Resource potential of the cultural tourism localization in Ajara

**თემურ ზოიძე**

*ბათუმის საზღვაო აკადემია, ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი,*

*აჭარის ა.რ. ტურიზმის გიდების ასოციაციის დამფუძნებელი და*

*აჭარის ა.რ. ტურიზმის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი*

**Temur Zoidze**

*Batumi Maritime Academy, Doctor of business administration,*

*Founder of the Association of Tourism Guides of Ajara Autonomous republic,*

*Vice-president of tourism Federation of Ajara Autonomous republic*

**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.25

**აბსტრაქტი:** ტურიზმის და კერძოდ კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის განსაკუთრებულია აჭარის რეგიონი. ამ მხრივ ქ. ბათუმს გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსული პოტენციალი მუზეუმებისა და სხვა კულტურული ღირსშესანიშნაობების სახით. ბათუმში არსებული მუზეუმები მყარი გარანტიაა კულტურული ტურიზმის განვითარების კონკურენტუნარიანი ბაზის შესაქმნელად. გარდა მუზეუმებისა ქ. ბათუმს გააჩნია შემეცნებით ტურების ორგანიზების რესურსი როგორც ქალაქში ასევე მის ფარგლებს გარეთ. ერთ-ერთი ასეთ მარშრუტად შეიძლება გნვიხილოთ თამარის დასახლების მიმდებარედ არსებული ბათუმის ციხე. მნიშვნელოვანია ამ რესურსის ლოკალიზება კულტურული ტურიზმის ძირითად მარშრუტებში შესაყვანად.

განსაკუთრებულია აჭარის რეგიონში არსებული როგორც კერძო მუზეუმები, ასევე მუნიციპალიტეტების კულტურული ობიექტები. კულტურული ტურიზმის ლოკალიზების ადგილებზე მნიშვნელოვანია მოეწყოს ინფრასტრუქტურა: მისასვლელი გზები, განთავსების და კვების ობიექტები,სველი წერტილები. მიმზიდველი და საინტერესო უნდა გახდეს კულტურული ტურიზმის მარშრუტები-მუზეუმის გზა- მთიან აჭარაში. კულტურული ტურიზმის ბილიკებზე გასვლა მნიშვნელოვნად შეაფერხა 2020 წლის გაზაფხულზე კორონავირუსის გავრცელებამ. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულმა პანდემიამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველოში, როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე რეგიონულ დონეებზე ტურიზმის დარგი. ახლა პოსტპანდემიის პერიოდში კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობები გაიშალა კულტურული ტურიზმის რესურსული პოტენციის ახლებურად წარმოჩენისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** კულტურა, ტურიზმი, პანდემია, მუზეუმი, მარშრუტი.

**Abstract:** Adjara region is special for the development of tourism and cultural tourism in particular. In this regard St. Batumi has significant resource potential in the form of museums and other cultural attractions. Museums in Batumi are a solid guarantee for creating a competitive base for the development of cultural tourism. In addition to museums, St. Batumi has the resources to organize educational tours both in the city and outside of it. One of these routes can be considered the Batumi Castle located near Tamari settlement. It is important to localize this resource to include it in the main routes of cultural tourism.

Both private museums and municipal cultural facilities in the Adjara region are special. It is important to organize infrastructure in the places of cultural tourism localization: access roads, accommodation and catering facilities, bathrooms. Cultural tourism routes - museum road - in mountainous Adjara should become attractive and interesting. The spread of the coronavirus in the spring of 2020 significantly hampered the cultural tourism routes. The pandemic announced by the World Health Organization has brought new challenges to the field of tourism in Georgia, both at the national and regional levels. Now, in the post-pandemic period, even more opportunities have opened up to present the resource potential of cultural tourism in a new way.

**Keywords:** culture, tourism, pandemic, museum, route

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების პერსპექტივებისათვის კოვიდ - 19-მა უარყოფითი და ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა. ამ მხრივ განსაკუთრებულად მგძნობიარე აღმოჩნდა კულტურული ტურიზმის განვითარება. აჭარაში და კონკრეტულად ქ. ბათუმში დაიხურა მუზეუმები, საგამოფენო სივრცეები, ჩაიკეტა ტურისტული მარშრუტები აჭარის ყველა კულტურულ ობიექტზე. საბედნიეროდ დადგა პოსტ-პანდემიური პერიოდი და კიდევ უფრო გაიზარდა მოთხვნები კულტურული ტურიზმისა და საქალაქო მარშრუტების მიმართ. თანამედროვე ტურიზმს, როგორც ეკონომიკურ მოვლენას გააჩნია ინდუსტრიული ფორმა, რეალიზაციისათვის გამოდის ტურისტული პროდუქტი მომსახურების სახით, რომელიც არ შეიძლება დააგროვო, შეინახო ან მოახდინო მისი ტრანსპორტირება; კულტურული ტურიზმი ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და გამოდის, როგორც ახალი ეკონომიკური განვითარების წინაპირობა. ჩვენს რეგიონში ეკონომიკური შემოსავლის გადანაწილება განსაკუთრებულია, ვინაიდან ცალკეული დარგები სპეციალიზებული არიან ტურიზმზე; შეიძლება ითქვას კულტურული ტურიზმი წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის ზრდის, დასაქმების, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ერთ-ერთ

მსაზღვრელს. ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეფექტური საშუალებაა ბუნებისა და ადამიანის ურთიერთკავშირისათვის.

ბოლოს პერიოდში აჭარის რეგიონში დაწყებულმა აღმშენებლობამ ახალი მასშტაბები გამოკვეთა კულტურული ტურიზმის დარგის წარმატებული განვითარების საქმეში. პანდემიის შემდგომ პერიოდში დღის წესრიგში დადგა ახალი კულტურული ტურიზმის მშენებლობა. მოკლე პერიოდში წარმატებები მნიშვნელოვანია. ახლებური სახე შეიძინა მუზეუმების საქმიანობა,მუზეუმები და საგამოფენო სივრცეები მობრუნდა ტურისტის მიმართულებით და მზად არიან მათთან შეხვედრისათვის. ბათუმი ორჯერ გახდა ე.წ. ტურიზმის ოსკარის მფლობელი და მომავალ წელს მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოება გაიმართება ჩვენს ქალაქში. წარმატება და ცნობადობა იჩენს დიდ ინტერესს ჩვენი რეგიონის მიმართ და კიდევ უფრო იზრდება პასუხისმგებლობა.

კულტურულიტურიზმირეგიონშიწარმოდგენილიამატერიალურიდაარამატერიალური ფასეულბების სახით. მატერიალური ფასეულობები აერთიანებს არქიტექტურულ, ხელოვნების, სასოფლო, არქეოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, მონუმენტური ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებულ უძრავ ან მოძრავ ობიექტებს, დოკუმენტურ მასალებს, ასევე ბაღებს, პარკებს, ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები, ისტორიული დასახლებები, ისტორიულად ჩამოყალიბე-ბული გარემოს, დაკავშირებული ქვეყნის ისტორიასთან, განვითარებასთან, ფოლკლო-რთან, რწმენასა და ტრადიციებთან, ადრე ან ამჟამად არსებულ ცივილიზაციასთან; არამატერიალურ ფასეულობები :ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, ენის, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის, ჩათვლით, საშემსრულებლო ხელოვნება, ადათ-წესები, ჩვეულებები, ტრადიციულ ხელოვნებასთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ- ჩვევები, ასევე მათთან დაკავშირე-ბული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები, რომლებიც საზოგადოების, ჯგუფებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული პირების მიერ აღიარებულია მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად.

პროფესორი მარინა მეტრეველი მიიჩნევს რომ კულტურული ტურიზმი ეს არის მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების ერთობლიობა.

უდავოა, რომ აჭარა თავისი განუმეორებელი ლანდშაფტით, გეოგრაფიული მდებარეობით,ზღვისა და მთის შერწყმული უიშვიათესი ჰავით, ისტორიულ-არქიტექტურული და ბუნებრივი ძეგლებით, სტუმართმოყვარეობითა და ტრადიციებით განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო ყველა ეპოქაში ყველა სახელმწიფოსათვის და ოდითგანვე იზიდავდა უცხოელ მოგზაურებს.

მუზეუმი (ბერძ. μουσείο[ν] - მუზათა ტაძარი), როგორც წესი, საზოგადოების განვითარების სამსახურში მყოფი მუდმივი ინსტიტუტია და ღიაა ფართო საზოგადოებისთვის. მუზეუმი

შესწავლის, განათლების მიზნით ან ვიზუალური სიამოვნებისთვის იძენს, ინახავს, იკვლევს და გამოჰფენს ადამიანთა შემოქმედებისა და მათი გარემოს აღმწერ ფაქტებზე არსებულ მნიშვნელოვან მასალას. მუზეუმები გალერიებისგან განსხვავებით, როგორც წესი, ფინანსური მოგებისთვის არ არსებობენ. მუზეუმი შეიძლება იყოს სამთავრობო, არასამთავრობო ან არამომგებიანი, და ასევე კერძო ან საოჯახო. თანამედროვე მუზეუმები გარკვეულ ობიექტზე არიან კონცეტრირებული, და მათი უმრავლესობა შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთს ეკუთვნის ხოლმე, როგორიცაა: სახვითი ხელოვნება, არქეოლოგია, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, ისტორია, კულტურის ისტორია, მეცნიერება, ტექნოლოგია, ბუნებისმეტყველება. ამ კატეგორიებში შეიძლება უფრო სპეციალიზირებული მუზეუმები არსებობდეს, მაგ. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმები, ადგილობრივი ისტორიის,ტექნოლოგიის ისტორიის, სასოფლო-სამეურნეო ან გეოლოგიის მუზეუმები. მათში, როგორც წესი, არის გამოფენილი ან შენახული მოცემული სფეროს მნიშვნელოვანი ნიმუშები. ეს ნიმუშები კატეგორიზებულია და რეგისტრირებულია მუზეუმის კოლექციაში ნიმუშის ნომრით და მის წარმოშობასა და მნიშვნელობაზე დეტალური ჩანაწერი არსებობს. ღია-ცისქვეშა მუზეუმები აგროვებენ და თავიდან აგებენ ძველ შენობებს იმ დროისთვის შესაფერისი ბუნებრივი გარემოს შეხამებით. მაგალითისათვის ქემალ თურმანიძის კერძო მუზეუმი.

კულტურული ტურიზმის შემადგენელია არქეოლოგიური ტურიზმი, რომელსაც ზოგჯერ არქეოტურიზმით მოიხსენიებენ. ეს გახლავთ მოგზაურობა, რომელიც ფოკუსი-რებულია უძველესი ისტორიული ადგილების მონახულებაზე. ტურისტის/ვიზიტორის მთავარი მოტივაციაა წარსულის წვდომა და უძველესი ისტორიული კულტურებისადმი ინტერესი. არქეოლოგიური ტურიზმი შეიძლება მოიცავდეს ვიზიტს მუზეუმებში, ისტორიული დანიშნულების ადგილებში, არქეოლოგიურ პარკებში, და უფრო მეტიც, ტრადიციულ ეროვნულ ცეკვებსა თუ ფესტივალებზე დასწრებას და ა.შ. არქეოლოგიური ტურიზმი მსოფლიოში არ გახლავთ ტურიზმის ახალი სახე, იგი დღესდღეობით ძალზედ პოპულარული გახდა, ყოველწლიურად მრავალოი ტურისტი მოგზაურობს არქეოლოგიური ადგილების მოსანახულებლად, და ფაქტობრივად იგი გახდა შემოსავლიანი ბიზნესი. რისთვის გვჭირდება არქეოლოგიური ტურიზმი? აქ შეიძლება გამოვყოთ რამოდენიმე ფაქტორი: ინტერესი-წარსულის წვდომა, თავგადასავლები და აღმოჩენა, სახელმწიფო შემოსავლები-არქეოლოგიური ტურიზმი შემოსავლიანი ბიზნესია. ტუროპერატორები, სახელმწიფო, ადგილობრივი თემი იღებს ტურიზმიდან შემოსავლებს (შესვლის დროს დაწესებული თანხა და ა.შ) ტურიზმი ასევე ეხმარება ლოკალურ ბიზნეს (სასტუმროები, რესტორნები, სუვენირის მაღაზიები) და ქმნის უამრავ სამუშაო ადგილს.

აღიარება/ცნობადობა-პოპულარიზაცია, რეკლამირება არქეოლოგიური ადგილების, საზოგადოების ინფორმირებულობა იზიდავს გაცილებით მეტ ვიზიტორს/დამთვალიერებელს.

ღეგიონის განვითარება-ადგილობრივი თემის ჩართულობა არქეოლოგიური ადგილების სიცოცხლიუნარიანობის შენარჩუნებაში, რაც თავის მხრივ ადგილობრივი რეგიონის ეკონომიკურ აღმავლობას განაპირობებს. ტუროეპრატორები და ტურისტები-ტუროპერატორები (ფინანსურად) და ტურისტები (გამოცდილებას იღებენ) სარგებლობენ არქეოლოგიური ადგილების ვიზიტის დროს, კარგად დაგეგმილი ტური ზრდის ტურისტთა ინტერესს და ცნობიერებას. აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიური ტურიზმის განვითარებას თან ახლავს გარკვეული საფრთხეები, ეს შეიძლება იყოს: არქეოლოგიური ადგილების დაზიანება-ტურისტთა არაინფორმირებულობის შემთხვე-ვაში შესაძლებელია დათვალიერების დროს დაზიანდეს გარემო. ტურისტული დესტინაციის მზარდმა ინტერესმა, შესაძლოა ასევე გაზარდოს ვანდალური შემთხვევბი (ძარცვა), კარგი მენეჯმენტის შემთხვევაში წინასწარ უნდა იქნას მიღებული უსაფრთხოების ზომები. ბევრ ქვეყანას აქვს მკაცრი კანონი, მაგრამ ხშირ შემთვევაში მიუხედავად მკაცრი კანონისა ვანდალიზმის ფაქტები მაინც ფიქსირდება და აქ უკვე ტუროეპრატორების, ვიზიტორების ვალია მონიტორინგი აწარმოონ. სამიზნე ვიზიტროთა ჯგუფი სწორად არ არის შერჩეული-თემატურობა (მისი ინტერპრეტაცია). არქეოლოგიური ადგილები განხილულ უნდა იქნან, როგორც საერთო რესურსი–ჯერ ერთი, მას სარგებელი მოაქვს ყველასთვის (ზრდით) და მეორე, ყველას თავისი წვლილი შეაქვს ამ საერთო რესურსში. არქეოლოგიური ტურიზმის სახელმძღვანელო პრინციპები ასეთია: შევინაჩუნოთ და დავიცვათ არქეოლოგიური ძეგლი (არქეოლოგიური ადგილი უნდა პასუხობდეს ადეკუატურ ინფრასტრუქტურას და მზად იყოს ვიზიტორისათვის) არქეოლოგიური ადგილის მხარდაჭერის მცდელობა უარყოფითად არ უნდა ვიმოქმე-დოთ არქეოლოგიური ადგილის შენარჩუნებაზე . სამიზნე ჯგუფებმა უნდა მოინხულონ არქეოლგიური ადგილები მხარი უნდა დავუჭიროთ ადგილობრივი თემის ჩართულობას პროექტებში, რაც მიზნად ისახავს არექოლოგიური ადგილებისათვის ინვესტიციების მოზიდვას ან სხვა ღონისძიებებს. უნდა მივაწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია ვიზიტორს. არქეოლოგიური ადგილების ვიზიტის დროს ტურისტმა სასურველია იცოდეს შემდეგი სახის ინფორმაცია: მოსანახულებელი ადგილის კულტურული და ისტორიული ინფორმაციის ფლობა საბაზისო დონეზე. დადგენილი ქცევის წესები/ნორმების დაცვა ყურადიღოს ტუროპერატორის თუ გიდის მითითებები ყურადღება მიაქციოს მინიშნებებს. ტურისტს ეკრძალება: აცოცება, ჩამოჯდომა ან დგომა არქეოლოგიურ სტრუქტურებზე რაიმეს გადაადგილება, ის რაც ზედაპირიდან აიღე დააბრუნე იმავე ადგილზე (ნუ დაარღვევ წესებს) არასოდეს გადააბიჯო იმ ადგილებს, სადაც მიმდინარეობს გათხრები გაითვალისწინე ყოველი აკრძალვა ნუ დატოებ საკუთარ ნივთებს/ნუ დააბინძურებ გარემოს ვიზიტისას წააწყდებით თუ არა ვანდალურ გამოვლინებებს დაუყონებლივ აცნობეთ ამის შესახებ პასუხისმგებელ პირს, შესაძლოა მხოლოდ თქვენ ხართ ამ ფაქტის მომსწრე. ჩვენი აზრით, ყოველივე ზემოთაღნიშნული უფლება-მოვალეობანი, რომელიც მკაცრად უნდა

დაიცვას ტურისტმა არქეოლოგიური ძეგლების მონახულებისას ხელს შეუწყობს აჭარაში ლოკალიზებულ კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიან და გრძელვადიანი განვითარების გეგმას.

ტურიზმის განვითარების სტრატეგია ეყრდნობა ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიოში აღიარებულ პრინციპებს და აშკარა უპირატესობას ანიჭებს ბაზრის მოთხოვნის სტიმულირებას. ისეთი მაღალი ტურისტული და საკურორტო პოტენცი-ალის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, იკვეთება ტურიზმის პრიორიტეტულობის შემდეგი კრიტერიუმები:- ტურიზმის ექსპორტაბელურობის მაღალი დონე და აქედან გამომდინარე, ქვეყნის შემოსავლების ზრდაში მისი დიდი პოტენციალი;- მოსახლეობის დასაქმების მასშტაბური შესაძლებლობა;- რეგიონული ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების რეზერვების არსებობა (ამის შესაძლებლობას იძლევა ტურისტული პოტენციალის ბუნებრივ-გეოგრაფიული გაადგილება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;-ეკონომიკის სხვა დარგების (ტურიზმის მომიჯნავე დარგები) განვითარების სტიმულირება და სხვა. უკანასკნელ წლებში კი აღინიშნება შემოსულ უცხოელ ტურისტთა ზრდის მკვეთრი ტენდენცია, თანამედროვე პირობებში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის მიმართულებებია: შემომყვანი ტურიზმის ხელშეწყობა და სტიმულირება, შიდა ტურიზმის განვითარება, კომპეტენტური კადრების მომზადება და გადამზადება, ტურიზმის სახელმწიფო რეგულირება , საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი ჰარმონიზაცია , საქართველოს რეგიონების ტურისტული რესურსების პოპულარიზაცია, რეკლამირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის გზით და ა.შ. უდავოა, რომ საქართველოს ტურისტულ რეგიონში- აჭარაში დაწყებულმა აღმშენებლობამ ახალი მასშტაბები გამოკვეთა ტურიზმის დარგის წარმატებული განვითარების საქმეში.

კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმი ყველაზე გრძელვადიანია (ხანგრძლივი პერიოდის ტურებია) ტურიზმის სხვა სახეობებთან შედარებით, იგი არ არის სეზონური.

აჭარა ქ. ბათუმთან ერთად 5 ადმინისტრაციულ ერთეულს მოიცავს, თითოეული მუნიციპალიტეტი სპეციფიკური ტურისტული რესურსით გამოირჩევა, აღსანიშნავია, რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, კურორტებისა და საკურორტო ზონების სიმრავლე, წარმოდგენილია დაცული ტერიტორიების კატეგორიები სამიზნე ობიექტებით (ნაკრძალი, აღკვეთილი, ბუნების ძეგლი/მღვიმე/კანიონი, ეროვნული პარკი), კულტურა, ხელოვნება და ტრადიციები. ქ, ბათუმს ჰქონდა და აქვს ტურისტების მიღებისა და განაწილების ფუნქცია, რასაც განაპირობებს შავი ზღვისა და საახმელეთო საზღვრებთან სიახლოვე.

სრულყოფილად რომ მოხდეს მოხდეს აუთვისებელი კულტურული ტურიზმის ტურისტული რესურესების ათვისება სტრატეგიული გეგმის მომზადების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები: ისტორიული, კულტურული და რელიგიური მემკვიდრეობის გამოყენება მეტი ტურისტების მოსაზიდად . რეგიონის

მუნიციპალიტეტების და სოფლების საზოგადოებრივი აღიარება, არსებული რესურსის სათანადო რეკლამირება . ტურისტულ ობიექტებისათვის სწორი სტრატეგიის შემუშავება. დადგინდეს კრიტერიუმები, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული რეგიონის ეკონომიკური განვითარების მოკლე თუ გრძელვადიან სტრატეგიაში და უნდა იყოს გაზომვადი. ამ კომპონენტის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია განხილულ და შეფასებულ იქნას წარმატება ან გატარებული რეფორმის შედეგი. დაიგეგმოს გაზომვადი ღონისძიებები, რომელთა შეფასება გარკვეული კრიტერიუმებით არის შესაძლებელი; გასათვალისწინებელი გარემოება: შეფასებები მოზდეს არა უშუალოდ გეგმის დასრულების შემდგომ, არამედ შუალედურ პერიოდშიც, რათა გადახრების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მათი გამოსწორება. აქტივობების შესაბამისად განხორციელდეს

მონიტორინგის ზოგადი აღწერა: მიზნები, რომლებთა განხორციელებას ისახავს რეგიონში ტურიზმის განვითარებისა და ეკონომიკური წინსვლის სტრატეგიაუნდა იყოს მიღწევადი ანუ შედეგზე ორიენტირებული. ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების შედეგები უნდა იყოს მიღწევადი. გასათვალისწინებელი გარემოებაა: მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანების განხორციელება უნდა დაეკისროს პასუხისმგებელ პირებსა თუ უწყებებს, რათა გამოჩნდეს თითოეული რგოლის ვალდებულება და პასუხისმგებლობა (სამოქმედო გეგმის ცალკეული კომპონენტების შეუსრულებლობაზე). რეგიონულ და ლოკალურ დონეზე ეკონომიკური განვითარების ღონისძიებები უნდა იყოს მიზანთან მიმართებაში ადეკვატური (შესაბამისი). დასახული ამოცანების განხორციელება უნდა გამომდინარეობდეს სტრატეგიის მიზნებისაგან გასათვალისწინებელი. ღონისძიებები უნდა გატარდეს გაწერილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად. ყველა ქმედება ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით უნდა იყოს დაკავშირებული.

ქ. ბათუმის განვითარების კონცეფციის ორგანულ ნაწილად შეიძლება განვიხილოთ კულტურული (საქალაქო) ტურიზმის განვითარება და მისი როლი ქალაქის ეკონო-მიკური სრულყოფისათვის. აღსანიშნავია,რომ ტურისტები, რომლებიც ეწვევიან ქალაქს, მოხიბლული არიან ბათუმის განვითარების ტემპებით,მისი სილამაზით,ზღვით,ბუნებით და შეთავაზებული სხვადასხვა ატრაქციებით. ამავე დროს პარალელურად მათ შეუძლიათ გამოიყენონ ქალაქის გარეგანი და შინაგანი ერთობლიობა.

კულტურული ტურიზმის განვითარება მოითხოვს კარგად ორგანიზებული მომსახურების ინფრასტრუქტურის შექმნას. ამგვარი ინფრასტრუქტურა მოიცავს მომსახურების სფეროს სისტემას, რომელიც ქალაქის სტუმრებს შესაბამის კომფორტს უქმნის. ამიტომაც აუცილებელია შეთანხმდეს იმ ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც, ერთი მხრივ, აგვარებენ ტურისტების მიღებისა და მათი საექსკურსიო მომსახურების საკითხებს, და მეორეს მხრივ, იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოვრების, კვებისა

და მომსახურების სხვა სერვისის კომფორტულ პირობებს, ანუ სტუმართმომსახურების ობიექტების მთელი ქსელის საქმიანობას.

ტურისტებს ქვეყნის შესახებ წარმოდგენა ექმნებათ არა მარტო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ფესტივალებში მონაწილეობით, ფერწერული თუ თეატრალური ხელოვნების ნაწარმოებების გაცნობით,არამედ ძალიან ხშირად ქალაქის როგორც ტურისტული ცენტრის იმიჯს სასტუმრო კომპლექსის, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და კვების სისტემის დაწესებულებები განსაზღვრავენ. ქალაქის ტურისტული ინფრასტრუქტურის ამ მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილებისს განვითარება ხელს შეუწყობს ქალაქსა და ზოგადად ქვეყანაში კიდევ უფრო მეტი ტურისტის მოზიდვას.

კულტურის ამგვარი გააზრება თავის კვალს ტოვებს არა მარტო ტურისტებისათვის მხატვრული, არქიტექტურული და სხვა ღირსშესანიშნაობების წარდგენის კონცეფციის შემუშავებაზე, არამედ სტუმარმასპინძლობის, სტუმართმომსახურების ინდუსტრიის ორგანიზებაზეც, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ კულტურული ტურიზმის შემადგენელ ნაწილად, რაც შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ მისი განვითარების სტრატეგიის ფორმირებისას.

პირველ რიგში, მუდმივად იზრდება მოსახლეობის ტერიტორიული მობილობა, რაც გამოიხატება არა მარტო ტურისტულ და შემეცნებით, არამედ საქმიანი, საგანმანა-თლებლო, პირადი და სხვა სახის მოგზაურობებშიც.

მეორე, მიმდინარეობს სოციალურ-კულტურული ფასეულობების, იდეების, ტრადიციებისა თუ სამომხმარებლო სტანდარტების გაცვლის პროცესი.

მესამე, ცალკეული მომსახურების გამოყენებისა და ქცევის სტანდარტების უნიფიკაცია, სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ქცევის კოსმოპოლიტიზმი პირველ რიგში ვლინდება მასპინძლობის ინდუსტრიის საწარმოთა მომსახურების გამოყენებაში.

მეოთხე, სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის საწარმოთა მომსახურების მოხმარების ინტერნაციონალიზაციის მიმდინარე პროცესები გამოიხატება იმაში, რომ მოსახლეობის იოლი გადაადგილება, ინფორმაციის გაცვლა იწვევს ტურისტის მუდმივი საცხოვრებელი ადგილისათვის ჩვეული, ტრადიციული მომსახურების სხვა ქვეყნებში მიღების ობიექტური შესაძლებლობების გაზრდას.

ბოლო წლებში მსოფლიო ტურისტულ ბიზნესში ძლიერად განვითარდა უნიფიკაციისა და კოსმოპოლიტიზმის ტენდენცია. მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამერიკელი ტურისტებიც კი, რომლებიც ყველაზე მეტად მიეჩვივნენ სასტუმრო და ტურისტული მომსახურების უნიფიცირებულ სტანდარტებს და ყველგან მომსახურების წმინდა ამერიკულ ფორმებს მოელიან, ისინიც კი საკმაო ინტერესს ავლენენ გარკვეული ეროვნული თავისებურების, ტრადიციის მიმართ, თუნდაც შეზღუდული მასშტაბით, იქნება ეს ნაციონალური სამზარეულოს

ელემენტები, მუსიკალური თანხლება თუ სხვა.

ქ. ბათუმში გაცილებით ძნელია იპოვოთ დახვეწილი რესტორანი უცხოური ქვეყნის სამზარეულოთი. მასპინძლობის სფერო ტურისტული ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. შესაბამისი პირობების შექმნა ტურისტებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ეროვნული ხასიათის, ტრადიციებისა და ყოფა-ცხოვ-რების ძირითადი თვისებების სწორი იდენტიფიცირება. უფრო მეტიც, ბევრი ტურისტი ქვეყნის კულტურულ თვითმყოფადობას აღიქვამს არა თეატრების, მუზეუმების, საკონცერტო დარბაზებისა და ა.შ. მეშვეობით, არამედ სწორედ მასპინძლობის დაწესებულებათა საქმიანობის იმ შემადგენელი კულტურული მომენტებით, რომლებსაც აწყდებიან ჩვენს ქვეყანაში ყოფნისას.

ამგვარად, ჩნდება კულტურული შემადგენელი კომპონენტის მასპინძლობის საწარმოთა საქმიანობის მეშვეობით ტურისტთა ფართო მასებამდე მიტანის ფორმებისა და მეთოდების

მოძიების ამოცანა. კულტურული ტრადიციის სპეციფიკა შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა ხერხით.

პირველი, შესაბამისი დიზაინის დახმარებით, სასტუმროების, რესტორნების, ბარებისა და მასპინძლობის სფეროს სხვა საწარმოების გაფორმებაში ქართული ეროვნული ელემენტების გამოყენებით, რომლებიც ითვალისწინებენ ქ.ბათუმის და ქართული კულტურის ეროვნულ თავისებურებებს.

მეორე, მასპინძლობის სფეროში ისეთი შესაბამისი კულტურულ-გასართო-ბი, ფოლკლორული პროგრამების შექმნით, რომლებიც მოიცავენ ეროვნული იდენტიფი-კაციის ელემენტებს.

მესამე, ეთნოგრაფიული კულტურის გარკვეული ელემენტები. ეს შეიძლება იყოს მომსახურე პერსონალის ტურისტებთან ურთიერთობის დამახასიათებელი ფორმები, ეროვნული სამოსისა და სამზარეულოს ელემენტები და ა.შ., ელემენტები, რომლებიც ამა თუ იმ კულტურულ-ისტორიულ მოვლენასთან არის დაკავშირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის მომსახურების სფეროს საწარმოები აცნობიერებენ კულტურული შემადგენლის მნიშვნელობას, ამიტომაც ისინი ნაყოფიერ შემოქმედებით ურთიერთობას ამყარებენ კულტურის დაწესებულებებთან და სწორედ ამიტომაც ბევრი სასტუმრო და რესტორანი იქცევა ხოლმე სხვადასხვა კულტურული აქციის - გამოფენების, ფესტივალების, კონკურსების - ჩატარების ადგილად.

მსოფლიო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა „მაღალი“ და „დაბალი“ კულტურების ერთგვარი სტერეოტიპი. შესაბამისად, „მაღალ“ ანუ „წმინდა“ კულტურას განასახიერებენ სხვადასხვა სახის მუზეუმები, საკონცერტო დარბაზები, საოპერო თეატრები და ა.შ. დაბალი კულტურა - ეს გახლავთ ვარიეტე, კაბარე, დისკოთეკა, არტ-კაფე, სხვადასხვაგვარი შოუ, რომლებსაც

მასპინძლობის საწარმოთა ფარგლებში ატარებენ. მაგალითად, ბათუმში გავრცელებულია შოუების მოწყობა კვების ობიექტებში,რომელთა აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს ცნობილ მსახიობთა გამოსვლები. აფიშებს მთელ ქალაქში აკრავენ, ტელევიზიით გადაიცემა რეკლამა, ამიტომაც რესტორანში მოდიან არა მხოლოდ იმიტომ, რომ მეგობრებთან ერთად გაატარონ დრო, არამედ იმიტომაც, რომ მოუსმინონ ვოკალისტების გამოსვლას, გაესაუბრონ მათ, რადგანაც გარკვეულ მომენტში თავისუფალი მსახიობები სხვა სტუმრებთან ერთად ბარში სხედან.

სწორედ ასეთ დაწესებულებებშია შერწყმული კულტურული პროგრამა, გართობა, დასვენება და სარესტორნო ბიზნესი, ისინი შეიძლება ჩაითვალოს კულტურის ერთიან, დამოუკიდებელ ელემენტად.

აღნიშნული პრობლემის - „მაღალი“ და „დაბალი“ კულტურის შერწყმის კიდევ ერთი ასპექტი არსებობს. ხშირად სასტუმროები და რესტორნები დროთა განმავლობაში თავად იქცევიან ქვეყნისა და ქალაქის ერთგვარ სიმბოლოებად და ტურისტული მარშრუტის ნაწილი ხდებიან, წარმოადგენენ „მაღალი“ კულტურისა და კულტურული პროგრამის ელემენტებს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი კვების დაწესებულებები არა მარტო და არა იმდენად ტურისტის კვებით მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, არამედ დამოუკიდებელ კულტურულ-ისტორიულ ღირებულებას იძენენ და ტურპროდუქტის ნაწილად იქცევა, რომელიც მეტნაკლებად სრულ წარმოდგენას უქმნის ტურისტს ქვეყნის შესახებ.

არსებობს კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ მასპინძლობის დაწესებულებები კულტურული ტურიზმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, თუმცა, როგორც წესი, ტურისტული ფირმების მიერ შეთავაზებულ მარშრუტებში არ შედიან. ხშირად ბათუმში ჩამოსული ტურისტი ცდილობს ეწვიოს იმ ბარებსა და რესტორნებს, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ამჯობინებს დროის გატარებას. მაგალითად, ტრადიციული სახინკლეები და ბათუმური ლუდის ბარები,სახაშეები. საკმაოდ მიმზიდველია სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტებისათვის, თუმცა მათ ძირითად კონტინგენტს ადგილობრივები შეადგენენ.

როგორც აღვნიშნეთ, ბევრი უცხოელი ტურისტი ქვეყანას აღიქვამს იმ კულტურის დონეზე, რომელიც რესტორნებსა და სასტუმროებში იხილეს. ეს განსაკუთრებით ეხება ტურიზმის ისეთ მასობრივ ფორმებს, როგორიცაა რეკრეაციული ტურიზმი, ,,MIҌE” ტურიზმი, როდესაც ძირითად მიზანს არ წარმოადგენს დასათვალიერებელი ქვეყნის კულტურული ფასეულობების გაზიარება, მაგრამ მასპინძლობის საწარმოები აბსოლუტურად ყველა ტურისტისათვის არის საჭირო.

მასპინძლობის სფეროს საწარმოთა საქმიანობის კულტურულმა შემადგენელმა განსაკუთრებული განვითარება უნდა ჰპოვოს ცალკეული დაწესებულებების მარკეტინგული

სტრატეგიების ფარგლებში. მარკეტინგული შემადგენელი განსაკუ-თრებით მნიშვნელოვანია ისეთ მსხვილ კულტურულ ცენტრში, როგორიცაა ბათუმი, რადგანაც მუზეუმები, ქალაქის ღირსშესანიშნაობები წარმოადგენენ ტურისტულ ობიექტებს, რომლებსაც სრულიად განსხვავებული ეროვნული, სოციალური, პროფესიონალური და ა.შ. თავისებურებების ტურისტები ათვალიერებენ. ამიტომაც მარკეტინგული თვალსაზრისით საზოგადოებრივი კვების სისტემის განვითარება მიზანმიმართული უნდა იყოს ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურების ბაზრის სრულიად განსხვავებული სეგმენტების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე.

მიზანშეწონილია მუზეუმებისა და კულტურული ობიექტების ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტების პოტენციური მფლობელებისა და ინვესტორების მოზიდვა კონკურსის წესით, რაც გაზრდის სარეალიზაციო პროექტების ხარისხს. ამრიგად, კულტურული ტურიზმი ერთიანი ტურისტული პროდუქტის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მოიცავს როგორც კულტურულ, ისტორიულ, რეკრეაციულ შემადგენლებს, ასევე ინფრასტრუქტურულ შემადგენელსაც, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას ტურისტული მარშრუტების დაგეგმვის დროს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. აბულაძე კ., სასტუმრო საქმის საფუძვლები, თბილისი 2015 წ.

2. ასათიანი რ. მომსახურება და საბაზრო სისტემა, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1993.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ტურიზმის ორგანიზების შესახებ, 2007წლის 16მაისი.

4. დევიძე ე. , კულტურული მემკვიდრეობა და იმერეთის ტურიზმის განვითარების პრობლემები

5. თოდუა ნ., ბახტაძე ე. ტურიზმის ბაზრის მარკეტინგული კვლევა და მისი განვითარების სტრატეგიები აჭარაში, გამომცემლობა «უნივერსალი», თბ. 2006

6. კვარაცხელია ნ. კულტურული ტურიზმი, თბილისი, 2004

7. მეტრეველი მ. ტურიზმი, გამომცემლობა «უნივერსალი», თბილისი 2003.

8. მეტრეველი მ. ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, თბილისი 2011.

9. საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ, 1997 წლის 6მარტი.

10. საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ, 1998 წლის 20 მარტი.

11. საქართველოში შემოსული და საქართველოდან გასული ტურისტების აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ 1998 წლის 24 დეკემბერი

12. საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ, 2010 წლის 26 ოქტომბერი

13. ქათამაძე დ., ქათამაძე გ.,-მომსახურების მარკეტინგი. სახელმძღვანელო. გამომცემლობა \\\»ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი\\\». ბათუმი, 2013 წ.

14. შუბლაძე ვ. საქართველო და ტურიზმი (სამაგიდო წიგნი), თბილისი 2004.

15.www.unwto.org

16. www.worldheritagesite.info

17.www.ajara.gov.ge

18. http://www.gnta.ge/

**სამუზეუმო ტურიზმის როლი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში**

**(აჭარის მაგალითზე)**

**The role of museum tourism in the economic development of the region**

**(on the example of Adjara)**

**რომან მამულაძე**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი,*

*ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია*

**ლედი ძნელაძე**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი*

*ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია*

**მერი გაბაიძე**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი*

*ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია*

**Roman Mamuladze**

*Phd, Professor, Batumi State Maritime Academy*

**Ledi Dzneladze**

*Phd, Professor, Batumi State Maritime Academy*

**Mery Gabaidze**

*Phd, Assistant Professor, Batumi State Maritime Academy*

**DOI:** https://doi.org/10.52340/gmg2023.01.26

**აბსტრაქტი:** ნაშრომში „სამუზეუმო ტურიზმის როლი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში (აჭარის მაგალითზე)“ წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ეკონომკური მაჩვენებლების საქართველოს შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებითი ანალიზი და შეფასებულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

გამოკვეთილია ტურიზმის სფეროს მნიშვნელობა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში. განხილული და შეფასებულია სამუზეუმო ტურიზმის პოტენციური შესაძლებლობების გამოყენების არსებული მდგომარეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

აჭარის მაღალმთიანეთში ტურიზმის სფეროს შემდგომი განვითარების მიზნით შემოთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები, მათ შორის კომპლექსური სამუზეუმო დაწესებულებების შექმნის შესაძლებლობები.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკა, ტურიზმი, მუზეუმები, მაღალმთიანეთი, პრობლემები.

**Abstract:** The paper « The role of museum tourism in the economic development of the region (on the example of Adjara)" presents a comparative analysis of economic indicators between the Autonomous Republic of Adjara and Georgia, evaluating Adjara's contribution to the country's economic development. The importance of tourism for the region's economy is emphasized, along with an assessment of the current utilization of museum tourism potential in Adjara. Specific recommendations are proposed to further develop tourism in the highlands of Adjara, including the possibility of creating complex museum institutions.

**Keywords:** economy, tourism, museums, highlands, problems.

სახელმწიფოებრივი მშენებლობის მოცემულ ეტაპზე საქართველო უამრავი გამოწვევის წინაშეა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სხვა სახის გამოწვევები. არსებულ და პოტენციურ გამოწვევებთან ბრძოლა შეუძლებელია, როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე, მისი ცალკეული რეგიონების სწრაფი ეკონომიკური განვითარების, ცხოვრების დონის ამაღლების და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გარეშე. სწორედ, ეკონომიკური ხასიათის გამოწვევები განაპირობებს ისეთი ნეგატიურ პროცესებს, როგორიცაა სამუშაო ძალის ქვეყნიდან გადინება, და ზოგადად, ემიგრაციის არასასურველი მაჩვენებელი, მთიანი რეგიონების დაცარიელება, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის და შობადობის დაბალი მაჩვენებლები და სხვ.

ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი რეგიონული განვითარებაც, რისი მიღწევაც, სახელმწიფოს სწორ ეკონომიკურ პოლიტიკასთან ერთად, შეუძლებელია ცალკეულ რეგიონებში არსებული პოტენციური შესაძლებლობების, მათ შორის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ეფექტიანი გამოყენების გარეშე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ობიექტურად შეფასდეს, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე, ცალკეულ რეგიონებში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, სიღრმისეულად გაანალიზდეს ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე უმთავრესი გამოწვევები, გამოვლინდეს რეგიონებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ახალ-ახალი შესაძლებლობები და შემუშავდეს რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველო ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაახლოებით 65% მთიანი რელიეფია[1]. მთიანი, განსაკუთრებით კი, მაღალმთიანი დასახლებების ბუნებრივი, ეკონომიკური თუ სასოფლო-სამეურნეო რესურსები მნიშვნელოვნად განსხვავდება,

1. https://mrdi.gov.ge/ka/about/საქმიანობა/მთის%20განვითარება

როგორც სხვა ტიპის დასახლებებისაგან, ასევე ერთმანეთისგანაც. თანამედროვე პირობებში, მაღალმთიანეთის დამახასიათებელ თავისებურებად გაუარესებული სოციალური, კერძოდ კი სამეურნეო და საცხოვრებელი პირობები გვევლინება, რაც მაღალმთიანი რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზია.

საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მაღალმთიანია, რომლისთვისაც დამახასიათებელია იგივე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რაც ზოგადად საქართველოს სხვა მაღალმთიანი რეგიონებისთვის არის დამახასიათებელი.

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თანაბარი სოციალური და ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ძირითად მიმართულებას, რომლის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 1999 წელს მიიღო კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ“[2]. აღნიშნული კანონი გავრცელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზღვის დონიდან 1000 მეტრის ზევით მდებარე 200-ზე მეტ დასახლებაზე. გარდა ამისა, 2015 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“[3], რომლის მიხედვითაც მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობისათვის დაწესდა რიგი სოციალური შეღავათები. 2019 წელს კი შემუშავებული იქნა „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლის სტრატეგია“[4]. აღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ 2002 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 28%-ით. იგივე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველო მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის 47.8% ცხოვრობს მაღალმთიან აჭარაში [1. გვ. 9.]

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის და განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად აჭარის, ისე როგორც საქართველოს სხვა მაღალმთიანი დასახლებები ხასიათდება მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით, რომლის ერთ-ერთ მიზეზსაც რიგი შესაძლებლობების, მათ შორის მაღალმთიანი რეგიონების ტურისტული პოტენციალის არასრული გამოყენება წარმოადგენს.

აჭარის ა.რ.-ს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაში, რასაც ადასტურებს აჭარის ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებლების მნიშვნელობები და მათი წილი ქვეყნის შესაბამის მაჩვენებლებში (იხ. ცხრილი 1).

მონაცემებით ირკვევა, რომ აჭარის ა.რ.-ის ფართობი შეადგენს ქვეყნის ფართობის 4.1%-

2. https://matsne.gov.ge/ka/document/view/19210?publication=16
3. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2924386?publication=5
4. file:///C:/Users/gmamu/Downloads/strategy%20-%20geo.pdf

ს. მიუხედავადა ამისა, აჭარაში ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის 9.5%, ხოლო აჭარის ა.რ.-ში შექმნილი მშპ-ს მოცულობის წილი ქვეყნის შესაბამის მაჩვენებელში დაახლოებით 10%-ია, რაც ადასტურებს, რომ აჭარის ა.რ.-ს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის მშპ-ს ფორმირებაში.

რაც შეეხება ცხოვრების დონეს, აჭარაში მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2020 წელს შეადგენდა 10890.6 ლარს, რაც გაცილებით ნაკლებია ქვეყნის შესაბამის მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობაზე. კერძოდ, 2020 წელს საქართველოში მშპ ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 13234. 1 ლარს, რაც 2 343.5 ლარით აღემატება აჭარის შესაბამის მაჩვენებელს. ასევე, არასახარბიელოა უმუშევრობის დონე, რომელიც 2021 წლის მონაცემებით 19,2% შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია ახალგაზრდებში. კერძოდ, 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში ის შეადგენს 52.2%-ს, 20-24 წლის - 41.0%-ს, 25-29 წლის - 27.8%-ს. 2021 წელს 2020 წელთან შედარებით აჭარის ა.რ.-ში უმუშევრობის დონე გაიზარდა 0.5%-ით.

**ცხრილი №1**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებლების წილი საქართველოს ეკონომიკურ მაჩვენებლებში**

| | | | | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ფართობი, კვ.კმ | საქართველო | კვ. კმ | 69 700 | | | | | | |
| | | | % | 100 | | | | | | |
| | | აჭარა | კვ. კმ | 2 900 | | | | | | |
| | | | % | 4.16 | | | | | | |
| 2. | მოსახლეობა | საქართველო | ათასი კაცი | 3 728.6 | 3 726.4 | 3 729.6 | 3 723.5 | 3 716.9 | 3 728.6 | 3 688.6 |
| | | | % | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| | | აჭარა | ათასი კაცი | 340.2 | 343.0 | 346.3 | 349.0 | 351.9 | - | - |
| | | | % | 9.1 | 9.2 | 9.3 | 9.4 | 9.5 | - | - |
| 3. | მშპ, მიმდინარე ფასებში, | საქართველო | მლნ. ლარი | 35 836.0 | 40 761.7 | 44 599.3 | 49 252.7 | 49 266.7 | 60.0 | - |
| | | | % | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | - |
| | | აჭარა | მლნ. ლარი | 3000.4 | 3059.6 | 3491.5 | 4 377.1 | 3832.4 | - | - |
| | | | % | 9.5 | 8.7 | 9.0 | 10.1 | 8.9 | - | - |
| 4. | მშპ ერთ სულ მოსახლეზე | საქართველო | ლარი | 9 613.9 | 10933.9 | 11968.0 | 13239.4 | 13234. 1 | - | - |
| | | აჭარა | ლარი | 8819.5 | 8920.1 | 10082.3 | 12541.8 | 10890.6 | - | - |
| | უმუშევრობის დონე[5] | საქართველო | % | 21.7 | 21.6 | 19.2 | 17.6 | 18.5 | 20.5 | - |
| | | აჭარა[6] | % | 31.2 | 22.5 | 18.3 | 17.6 | 18.7 | 19.2 | - |

5. https://www.geostat.ge/media/45150/სამუშაო-ძალის-მაჩვენებლები-%28დასაქმება-და-უმუშევრობა%29---2021.pdf
6 დასაქმება და უმუშევრობა, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5. | დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი | საქართველო | ლარი | 900.4 | 999.1 | 1068.3 | 1129.5 | 1191.0 | 1304.5 | - |
| | | აჭარა | ლარი | 845.4 | 848.5 | 928.7 | 1019.0 | 995.6 | 1290 | - |

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით - https://www.geostat.ge

ცხრილში (იხ. ცხრილი №1) ასევე, წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო წლიური ხელფასის მაჩვენებლები აჭარის ა.რ.-ში და ქვეყანაში. ქვეყნის მასშტაბით აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა 2020 წელს შეადგენდა 1191.0 ლარს, ხოლო აჭარის ა.რ.-ში 995.6 ლარს. სიტუაცია გარკვეულწილად შეიცვალა 2021 წელს. კერძოდ, ქვეყნის მასშტაბით ეს მაჩვენებელი შეადგენდა 1304.5 ლარს, ხოლო აჭარაში - 1290 ლარს.

წარმოდგენილი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ აჭარის ა.რ.-ს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, თუმცა, რიგი ეკონომიკური მაჩვენებლები (უმუშევრობის დონე, მშპ ერთ სულ მოსახლეზე, საშუალო ხელფასი) საჭიროებს გაუმჯობესებას და მინიმუმ ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებთან გათანაბრებას, რისთვისაც აუცილებელია რეგიონის ყველა პოტენციური შესაძლებლობის ეფექტური გამოყენება.

ქვეყნის წინაშე არსებულ დემოგრაფიული ხასიათის გამოწვევის საშიშ ტენდენციებზე მიუთითებს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის სტატისტიკური მაჩვენებლები, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში (იხ. ცხრილი №2).

**ცხრილი №2**

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის სტატისტიკური მაჩვენებლები (2015-2022 წელი, ათასი კაცი)

| | | | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საქართველო** | | | **3 721.9** | **3 728.6** | **3 726.4** | **3 729.6** | **3 723.5** | **3 716.9** | **3 728.6** | **3 688.6** |
| 1. | ქ. თბილისი | ათასი | 1 115.7 | 1 132.0 | 1 145.5 | 1 158.7 | 1 171.1 | 1 184.8 | 1 202.7 | 1 201.8 |
| | | % | 30.0 | 30..4 | 30.7 | 31.1 | 31.5 | 31.99 | 32.3 | 32.6 |
| 2. | აჭარა | ათასი | 336.6 | 340.2 | 343 | 346.3 | 349 | 351.9 | 354.9 | 355.5 |
| | | %[7] | 9.0 | 9.1 | 9.2 | 9.3 | 9.4 | 9.45 | 9.5 | 9.6 |
| 3. | გურია | ათასი | 113.3 | 112.4 | 111.5 | 110.5 | 109.4 | 108.1 | 107.1 | 105.3 |
| | | % | 3.0 | 3.0 | 3.0 | 3.0 | 3.0 | 2.9 | 2.9 | 2.9 |
| 4. | იმერეთი | ათასი | 531 | 523.7 | 514.4 | 507 | 497.4 | 487 | 481.5 | 466.6 |
| | | % | 14.3 | 14.0 | 13.8 | 13.6 | 13.4 | 13.1 | 12.9 | 12.6 |

7. შენიშვნა: %-ით აღნიშნულია რეგიონის მოსახლეობის წილი ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობაში

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5. | კახეთი | ათასი | 318.8 | 317.8 | 315.9 | 314.7 | 312.5 | 310.1 | 309.6 | 304.9 |
| | | % | 8.6 | 8.5 | 8.5 | 8.4 | 8.4 | 8.3 | 8.3 | 8.3 |
| 6. | მცხეთა-მთიანეთი | ათასი | 94.1 | 94.1 | 93.9 | 93.9 | 93.6 | 93.3 | 93.4 | 92.4 |
| | | % | 2.5 | 2.5 | 2.5 | 2.5 | 2.5 | 2.5 | 2.5 | 2.5 |
| 7. | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | ათასი | 32.2 | 31.5 | 30.8 | 30.2 | 29.7 | 29.1 | 28.5 | 27.6 |
| | | % | 0.9 | 0.8 | 0.8 | 0.8 | 0.8 | 0.8 | 0.8 | 0.7 |
| 8. | სამეგრელო-ზემო სვანეთი | ათასი | 331.8 | 328.4 | 324.2 | 320.8 | 316.2 | 311.1 | 308.4 | 301.2 |
| | | % | 8.9 | 8.8 | 8.7 | 8.6 | 8.5 | 8.4 | 8.3 | 8.2 |
| 9. | სამცხე-ჯავახეთი | ათასი | 160.3 | 158.7 | 157.2 | 155.9 | 154.1 | 152.1 | 151.1 | 148.3 |
| | | % | 4.3 | 4.3 | 4.2 | 4.2 | 4.1 | 4.1 | 4.1 | 4.0 |
| 10. | ქვემო ქართლი | ათასი | 425.2 | 428 | 429.7 | 432.3 | 433.2 | 434.2 | 437.3 | 434.5 |
| | | % | 11.4 | 11.5 | 11.5 | 11.6 | 11.6 | 11.7 | 11.7 | 11.8 |
| 11. | შიდა ქართლი | ათასი | 262.9 | 261.9 | 260.4 | 259.3 | 257.3 | 255.1 | 254.1 | 250.5 |
| | | % | 7.1 | 7.0 | 7.0 | 7.0 | 6.9 | 6.9 | 6.8 | 6.8 |

**წყარო:** ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით - https://www.geostat.ge

წარმოდგენილი მაჩვენებლებით ირკვევა, რომ 2022 წელს, 2016 წელთან შედარებით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 40 000 კაცით, რაც მკაფიოდ გამოკვეთილი ნეგატიური ტენდენციაა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს 13 რეგიონიდან ათში (გარდა თბილისის, აჭარის და ქვემო ქართლის რეგიონებისა) ფიქსირდება მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ტენდენციები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყნის დედაქალაქის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით მესამედს. ბოლო შვიდ წელიწადში (2015-2022 წ.წ.) თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა გაზრდილია 2,6%-ით, რომლის ერთ-ერთი მიზეზიც არათანაბარი რეგიონული ეკონომიკური განვითარებაა.

აჭარის ა.რ.-ის მოსახლეობის რიცხოვნობის სტატისტიკური მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილი №3-ში (2015-2022 წ.წ.).

**ცხრილი №3**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინუციპალიტეტების მოსახლეობის რიცხოვნობის სტატისტიკური მაჩვენებლები (2015-2022 წელი, ათასი კაცი)

| | | | | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 | 2022 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საქართველო** | | | | **3721.9** | **3728.6** | **3726.4** | **3729.6** | **3723.5** | **3716.9** | **3728.6** | **3688.6** |
| 1. | აჭარა | | ათასი | 336.6 | 340.2 | 343 | 346.3 | 349 | 351.9 | 354.9 | 355.5 |
| | | | %[8] | 9.0 | 9.1 | 9.2 | 9.3 | 9.4 | 9.5 | 9.5 | 9.6 |
| | | საქალაქო დასახლება | ათასი | 187.1 | 190.1 | 192.6 | 195.2 | 197.7 | 200.6 | 203.5 | 204.9 |
| | | | %[9] | 55.6 | 55.9 | 56.2 | 56.4 | 56.6 | 57.0 | 57.3 | 57.6 |
| | | სასოფლო დასახლება | ათასი | 149.5 | 150.0 | 150.4 | 151.1 | 151.4 | 151.3 | 151.4 | 150.6 |
| | | | % | 44.4 | 44.1 | 43.8 | 43.6 | 43.4 | 43.0 | 42.7 | 42.4 |
| 2. | ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტი | | ათასი | 155.2 | 158.2 | 160.8 | 163.4 | 166.0 | 169.1 | 172.1 | 173.7 |
| | | | % | 46.1 | 46.5 | 46.9 | 47.2 | 47.6 | 48.1 | 48.5 | 48.9 |
| 3. | ქედის მუნიციპალიტეტი | | ათასი | 16.7 | 16.8 | 16.8 | 16.8 | 16.8 | 16.8 | 16.7 | 16.6 |
| | | | % | 5.0 | 4.9 | 4.9 | 4.9 | 4.8 | 4.8 | 4.7 | 4.7 |
| 4. | ქობულეთის მუნიციპალიტეტი | | ათასი | 74.5 | 74.1 | 73.6 | 73.4 | 72.8 | 72.2 | 71.8 | 70.7 |
| | | | % | 22.1 | 22.8 | 22.5 | 22.12 | 20.9 | 20.5 | 20.2 | 19.9 |
| 5. | შუახევის მუნიციპალიტეტი | | ათასი | 15.2 | 15.1 | 15.1 | 15.1 | 15.1 | 15.0 | 14.9 | 14.8 |
| | | | % | 4.5 | 4.4 | 4.4 | 4.4 | 4.3 | 4.3 | 4.2 | 4.2 |
| 6. | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი | | ათასი | 51.1 | 51.5 | 51.8 | 52.1 | 52.4 | 52.6 | 52.7 | 52.7 |
| | | | % | 15.2 | 15.1 | 15.1 | 15.0 | 15.0 | 15.0 | 14.9 | 14.8 |
| 7. | ხულოს მუნიციპალიტეტი | | ათასი | 24.0 | 24.5 | 25.0 | 25.5 | 25.9 | 26.3 | 26.6 | 26.8 |
| | | | % | 7.1 | 7.2 | 7.3 | 7.4 | 7.4 | 7.5 | 7.5 | 7.5 |

**წყარო:** ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით - https://www.geostat.ge

აჭარა ერთადერთი რეგიონია საქართველოში, რომლის მოსახლეობის რიცხოვნობაც არ შემცირებულა ბოლო წლების განმავლობაში, ხოლო 2022 წლის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობის ზრდა საქართველოს მასშტაბით დაფიქსირდა მხოლოდ აჭარაში (2021 წელს მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 354 900 ადამიანს, 2022 წელს კი ფიქსირდება 355 500 ათასი).

თუ განვიხილავთ აჭარის ა.რ.-ის მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის რიცხოვნობის სტატისტიკურ მაჩვენებლებს, თვალსაჩინოა, რომ აჭარის მოსახლეობა იზრდება ქ. ბათუმისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მოსახლეობის ხარჯზე. ბათუმის მოსახლეობა 2022 წელს 2015 წელთან შედარებით გაიზარდა 2,8%-ით, ხოლო ამავე პერიოდში ხულოს მუნიციპალიტეტში -

8. შენიშვნა: აჭარის მოსახლეობის პროცენტული წილი საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობაში
9. შენიშვნა: აჭარის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის პროცენტული წილი აჭარის მოსახლეობის რიცხოვნობაში

0,4%-ით, თუმცა 2020-2022 წლებში ზრდის ტენდენცია უცვლელია - 0,4%!

თუმცა, უმუშევრობის არსებული დონე იმის ინდიკატორია, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუსაქმებელია, ეს მაშინ, როცა არსებობს მუნიციპალიტეტებში აუმოქმედებელი რეზერვები ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მზარდ, პერსპექტიულ და განვითარებად ინდუსტრიაში - ტურიზმში. ტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს დამატებითი შემოსავლების მიღებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ინფრასტრუქტურისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, და შესაბამისად რეგიონის და ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. [2]

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევები[10] ცხადყოფს, რომ ტურიზმის წილი საქართველოს მშპ-ში 2018-2021 წლების მონაცემებით დაახლოებით 5,9-დან 8,4%-ის ფარგლებში მერყეობს (იხ. ცხრილი №4).

**ცხრილი №4**

**ტურიზმის წილი საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელში**

| წელი | 2018 | 2019 | 2020 | 2021 |
|---|---|---|---|---|
| **ტურიზმის სფეროს დამატებითი ღირებულება, სულ, (მლნ ლარი)** | **3 016** | **3 630** | **2 558** | **3 498** |
| **მათ შორის:** | | | | |
| სახმელეთო და წყლის ტრანსპორტი | 987 | 1 099 | 1 235 | 1 476 |
| საჰაერო ტრანსპორტი | 109 | 154 | 87 | 138 |
| განთავსება | 1 185 | 1 559 | 637 | 1 096 |
| საკვებით და სასმელებით მომსახურება | 615 | 664 | 568 | 687 |
| ტურისტული სააგენტოები, ტურ-ოპერატორები და სხვა დაჯავშნის მომსახურება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები | 120 | 154 | 32 | 101 |
| **საქართველოს მშპ საბაზისო ფასებში** | **38 779** | **43 138** | **43 137** | **52 412** |
| **ტურიზმის წილი მშპ-ში** | **7.8%** | **8.4%** | **5.9%** | **6.7%** |

**წყარო:** ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, წყაროზე დაყრდნობით - https://gnta.ge/ge/სტატისტიკა/

ამგვარად, ტურიზმში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. საერთაშორისო ტენდენციების გაანალიზება ასევე ცხადყოფს, რომ ტურიზმის მდგრადი განვითარება ამცირებს მიგრაციის მასშტაბებს მაღალმთიანი რეგიონებიდან.[3]

ტურიზმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აჭარის ა.რ.-ს ეკონომიკურ განვითარებაში. ცხრილში (იხ. ცხრილი №5) წარმოდგენილია განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების ეკონომიკურ საქმიანობაში შექმნილი მშპ მოცულობა საქართველოში, მათ შორის აჭარაში.

10. https://gnta.ge/ge/სტატისტიკა/

**ცხრილი №5**

განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების ეკონომიკურ საქმიანობაში შექმნილი მშპ მოცულობა

| მაჩვენებლები | | | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მშპ, მიმდინარე ფასებ ში | საქართველო | (მლნ. ლარი) | 35 836 | 40 762 | 44 599 | 49 253 | 49 267 |
| | მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში | (მლნ. ლარი) | 3000 | 3060 | 3491.5 | 4 377 | 3832 |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების ეკონომიკურ საქმიანობაში შექმნილი მშპ | საქართველო | (მლნ. ლარი) | 1 054 | 1 438 | 1 800 | 2 223 | 1 205 |
| | | პროცენტული წილი მშპ-ში, % | 3.3 | 4.1 | 4.6 | 5.2 | 2.8 |
| | მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში | (მლნ. ლარი) | 226.1 | 278.4 | 318.8 | 450.6 | 220.4 |
| | | პროცენტული წილი მშპ-ში, % | 7.5 | 9.1 | 9.1 | 10.3 | 5.8 |

**წყარო:** ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით - https://www.geostat.ge

წარმოდგენილი მონაცემებით ირკვევა, რომ განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების ეკონომიკურ საქმიანობის წილი აჭარის ა.რ.-ში 2020 წლის მონაცემებით 2-ჯერ აღემატება იგივე მაჩვენებლის წილს ქვეყნის მასშტაბით (აჭარის ა.რ.-ში განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების ეკონომიკურ საქმიანობაში შექმნილი მშპ ს მოცულობამ 2021 წელს შეადგინა 220.4 მლნ ლარი, რაც აჭარის ა.რ.-ში შექმნილი მშპ-ს 5.8%-ია, ქვეყნის მასშტაბით იგივე პერიოდში იგივე ეკონომიკური საქმიანობით შექმნილი მშპ-ს მოცულობაა 49 266.7 მლნ ლარი, რაც ქვეყანაში შექმნილი მშპ-ს 2.8%-ია.

უდავოა, რომ აჭარის რეგიონი მდიდარია ტურისტული რესურსების პოტენციალით, თუმცა ზოგი აუმოქმედებელი რესურსის გამოყენება დააინტერესებს ადგილობრივ მოსახლეობას, განავითარებს ტურიზმის ინდუსტრიას და მუნიციპალიტეტებში გაზრდის კულტურული ტურიზმის კერებს!

ტურიზმის მნიშვნელობა აჭარის ეკონომიკურ განვითარებაში უმნიშვნელოვანესია და ეროვნული მეურნეობის დარგების დაბალი განვითარების (ზოგიერთი დარგის სრულიად განუვითარებლობის) პირობებში დღეს ფაქტობრივად ეს ყველაზე საიმედო, განვითარებადი და პერსპექტიული დარგია, რომელიც პოტენციურად უზრუნველყოფს უმუშევართა დასაქმებას.

ტურიზმის ინდუსტრიის მრავალფეროვან ერთობლიობაში განსაკუთრებულ ადგილს

იკავებს სამუზეუმო ტურიზმი. ეს სფერო მსოფლიოშია აღიარებული და არც საქართველო უნდა იყოს გამონაკლისი.

გვსურს შეგახსენოთ სასიქადულო მამულიშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვები: „მუზეუმს ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, როგორც გიმნაზიას... ან ქართულ თეატრს და რამდენიმე სკოლას. მისი მნიშვნელობა და სარგებლობა უხმო და უჩინარია, ვითარცა სარგებლობა თეატრისა, მხატვრობისა, მუსიკისა, ლიტერატურისა, სამშობლო ენისა და ყოველგვარი სულიერი შემოქმედებისა, მაგრამ იმათთვის, ვისაც კიდევ სწამს ჩვენი ეროვნული სიცოცხლის უნარი და ჩვენი მომავალი, იგი ხილულიც არის, ასაზომიც და გასაზომიც“.[4. გვ.3].

სწორედ ამ სულიერი და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შენახვა-აღდგენა-განვითარება და მათი ვიზიტორთათვის გაზიარება უდევს საფუძვლად ჩვენს იდეას, რაც გამოიხატება კომპლექსური სამუზეუმო დაწესებულებების შექმნის შესაძლებლობებში აჭარის მაღალმთიანეთში.

სამუზეუმო მოგზაურობა წარმოადგენს კულტურული ტურიზმის განსაკუთრებულ ფორმას. [5]. თუმცა, ეს მნიშვნელოვანი მიმართულება ყურადღების მიღმა რჩება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან. მხედველობაში გვაქვს, როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და ასევე, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. მაგალითად, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე დევს ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი[11]:

-„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, რომელშიც ტერმინი მუზეუმი მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები, ისიც ასეთ კონტექსტში „არქეოლოგიური გათხრების ადგილებისა და მუზეუმების შენობების გამოყენება დროებითი და თემატური გამოფენების მოწყობის მიზნით“;

- „საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია - 2030“, რომელშიც ტერმინი მუზეუმი საერთოდ არ არის ნახსენები.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე[12] „სად წახვიდე“ ჩამონათვალში მუზეუმები ცალკე გამოყოფილი არ არის. მხოლოდ ნიგაზეულის და მაჭახლის ხეობის ტურისტული პოტენციალის აღწერით ნაწილში ნახსენებია შესაბამისი მუზეუმები. თუმცა იგივე ვებ-გვერდის „კულტურული ძეგლების“ ნაწილში აჭარაში არსებული მუზეუმების მხოლოდ ნაწილია მითითებული:

- გონიო აფსაროსის ციხე მუზეუმი;

- ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი;

- ეთნოგრაფიული მუზეუმი „ბორჯღალო“;

---

11. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, https://gnta.ge/ge/საჯარო-ინფორმაცია/
12. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=7#?pid =208&gid=7

- აჭარის ხელოვნების მუზეუმი;

- ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმი;

- ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიური მუზეუმი;

- ილია ჭავჭავაძის მუზეუმი;

სსიპ აჭარის მუზეუმის - „აჭარის მუზეუმი“ (შეიქმნა 2018 წელს), ვებ გვერდზე [13]მითითებულია, რომ მასში გაერთიანებულია:

- ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი;

- აჭარის ხელოვნების მუზეუმი;

- აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი;

- ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიური მუზეუმი;

- მემედ აბაშიძის სახელობის სახლ-მუზეუმი;

- რელიგიის მუზეუმი.

აღნიშნულ ჩამონათვალში არ იძებნება მაღალმთიან აჭარაში არსებული სამუზეუმო დაწესებულებები.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ტურიზმის სფეროში მოქმედი კომპანიების მხრიდან მუზეუმებთან დამოკიდებულებაში. მაგ. საქართველოს ტუროპერატორის „Betravel“-ის ვებ გვერდზე[14] http://betravel.ge/index.php?hide=geadj - იძებნება აჭარის შემდეგი სამუზეუმო დაწესებულებები:

1. აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი
2. აჭარის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
3. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი
4. ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი
5. პეტრა-ციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
6. გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი
7. მაჭახელას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
8. ახალშენის მუზეუმი
9. მეჯინისწყლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
10. შუახევის ეთნოგრაფიული მუზეუმი
11. ნიგაზეულის სელიმ ხიმშიაშვილის მუზეუმი
12. კვიახიძეების მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
13. ხულოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
14. სხალთის შერიფ ხიმშიაშვილის სახლ–მუზეუმი
15. ქედის ისტორიული მუზეუმი

13. სსიპ აჭარის მუზეუმი, https://ajaramuseums.ge
14. საქართველოს ტუროპერატორის „Betravel“, http://betravel.ge/index.php?hide=gemus

თუმცა, ეს ჩამონათვალი გაცილებით მრავალრიცხოვანი იქნებოდა, რომ ასახულიყო მაღალმთიანი აჭარის ყველა ის პოტენციური ობიექტი, სადაც დაგროვილია უამრავი სიძველეები და ტრადიციული ფასეულობები, სადაც ნამდვილად არის შესაძლებელი კომპლექსური მუზეუმების შექმნის ორგანიზება, რათა გადავარჩინოთ და არ დავკარგოთ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ვიზიტორთათვის აღმოჩენა იქნება.

საქართველოს კანონი „მუზეუმების შესახებ“[15] - განმარტავს, რომ: „სამუზეუმო ნივთი არის - მუზეუმის ფონდში დაცული კულტურული ფასეულობა, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლი, კულტურის უძრავი ძეგლის ფრაგმენტული ნაწილი ან კულტურის ძეგლის ნიშნის მქონე ანტიკვარული საგანი“. ჩვენი აზრით, არ უნდა დაიკარგოს მაღალმთიან აჭარაში არსებული კულტურის ძეგლის ნიშნის მქონე არცერთი ანტიკვარული ნივთი, რომელიც დამთვალიერებელთათვის წარსადგენად სავარაუდოდ მოითხოვს მათი იერ-სახის აღდგენის სარესტავრაციო სამუშაოებში დახმარებას, და ეს სპეციალისტების დახმარების გარეშე ალბათ შეუძლებელი იქნება.

ვფიქრობთ, შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა უზრუნველყონ მხარდამჭერი პროექტების შემუშავება აჭარის მაღალმთიანეთში კომპლექსური სამუზეუმო დაწესებულებების შექმნის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რადგან ხელშეწყობის გარეშე დაიკარგება ის მნიშვნელოვანი, ნებისმიერი ქართველი თუ უცხოელი ვიზიტორისთვის საინტერესო და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, რაც ჯერ კიდევ არსებობს (შემორჩენილია) მუნიციპალიტეტებში. კომპლექსური მუზეუმების შექმნა ხელს შეუწყობს მაღალმთიანეთში ტურიზმის, და შესაბამისად, ეკონომიკურ განვითარებას

15. საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/15508?publication=7

**გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**


1. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია, file:///C:/Users/gmamu/Downloads/strategy%20-%20geo.pdf [1]

2. Sana Naseem, „The Role of Tourism in Economic Growth: Empirical Evidence from Saudi Arabia", Economies 2021, 9(3), 117, https://www.mdpi.com/2227-7099/9/3/117 , [2]

3.მედეა მელაშვილი, ნუნუ ქისტაური, ქეთევან ქველიძე, „მდგრადი ტურიზმი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, «ეკონომიკა – XXI საუკუნე». [3]

4. ერმილე მესხია, „მუზეოლოგია". ბათუმი, 2014; 566 გვ. [4]

5. ნიკო კვარაცხელია, „კულტურული ტურიზმი", თბილისი, 2009; 89 გვ. [5]

6. https://digitallibrary.tsu.ge/book/2019/july/dissertations/kulturuli%20turizmi.pdf

7. https://www.geostat.ge/media/48925/ დემოგრაფიული-ვითარება-საქართველოში -2021.pdf

8. https://www.geostat.ge/media/45150/ სამუშაო-ძალის-მაჩვენებლები-%28დასაქმება-და-უმუშევრობა%29---2021.pdf

9. დასაქმება და უმუშევრობა, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

10. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika

11. საქართველოს კანონი „მუზეუმების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/15508?publication=6

12. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025:, https://gnta.ge/ge/საჯარო-ინფორმაცია/